www.kvirispalitra.ge

# კვირის პალიტრა

ყოველკვირეული გაზ

№9 (969) ◆ 25 თებერვალი — 3 მარტი, 2013 წ. ფასი 1 ლარი

## ზურაბ ბაქრაძე: „ეს ფირი დამონტაჟებულია“



სკანდალური ინტერვიუ კრიმინალური პოლიციის ყოფილ უფროსთან

ზურაბ ბაქრაძე: „ბაშალეიშვილი მთვრალი გადმოვიდა მანქანიდან და ამ დროს გაუვარდა იარაღი... საცოდავ ბიჭს ტყვია ილიაში გაარტყა. მიქაძისთვის რომ არ ყოფილიყო გირაო შეფარდებული, ის აუცილებლად დაასახელებდა იმ გვარებს, ვის დავალებასაც ასრულებდა. ყველაფერი იცის გურამ დონაძემ. იმ დროს იქ იყო და პატრული მთლიანად მას ექვემდებარებოდა...



### „მინდა ვთხოვო ლევან გვაზავას, სიმართლე თქვას“

...სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ამ ბიჭებიდან არც ერთს იარაღი არ ჰქონია. ყველა ის იარაღი პირადად ზურაბ მიქაძის მიტანილია...

...ვფიქრობ, ირაკლი ფირცხალავა გამოიყენეს, მისცეს ფირი და მანაც გამოაჩინა...

...ამ განცხადების შემდეგ შეიძლება დონაძე და მიქაძე ერთობლივად ჩაერთონ ამ საქმეში და ჩემს წინააღმდეგ გაავრცელონ ფირები, მაგრამ მე არაფრის მეშინია. დავიღალე უკვე ამ საქმით და ვამბობ სიმართლეს...“

გვ.5,12




ბუტა რობაქიძის საქმის გამომძიებელი შალვა ნიქაბაძე: ზურაბ ადეიშვილის კაბინეტში ვიყავით მე და რაიონული პროკურორი და იქ გვითხრა, პატრული პრეზიდენტის შექმნილი ორგანიზაციაა, მას ჩირქი არ უნდა მოეცხოსო...

### „დონაძეს აბა, ვინ დამაკითხვინებდა“



# უგულავა ომში მიდის?!

„უგულავა ბოლო დროს ძალიან არეულია. წესით, ასეც უნდა იყოს, მაგრამ ვის ატყუებს, რომ თურმე არ ეშინია“

„ვინც მსხვერპლის როლს თამაშობს, არაკეთილსინდისიერი ადამიანია, რადგან სურს, თავის ჭკუაზე ატაროს ის, ვის მსხვერპლადაც წარმოაჩენს თავს“

გვ.13,14

„მისი განცხადებები ძალიან აღიზიანებს საზოგადოებას, იმიტომ, რომ არაგულწრფელობა ადვილად შესამჩნევია და ამას ვერავინ იტანს“

„პატრიოტთა თამაშები“ თუ დაანონსებული შეტაკების ამბავი?!

„თბილისის მერია სამყაროს ჭიპი ხომ არ არის?“

ამირან ბიწაძე: „სიმწრით ერთი ტყვია ამოვიძვრე. ვიგრძენი, ბლანტი სისხლი როგორ წამოვიდა. ძალა დავკარგე, კანკალი დამაწყებინა...

გვ.6,7



...წყალი მწყუროდა საშინლად, საქარე მინის საწმენდის პლასტმასის ბაკი ამოვგლიჯე და ის წყალი დავლიე“

### „წმინდა წერილით ღმერთი გვესაუბრება“

„არის შემთხვევა, როცა შინ აქვთ ბიბლია, მაგრამ არ კითხულობენ... ამიტომ მთავარია, დავაფიქროთ, კითხვა მოვანდომოთ ადამიანებს“

გვ.4



### XX საუკუნის უძლეველი მასონური ლოჟა პ-2

გვ.30

არიან თუ არა საქართველოში მასონები?

### „ყურიჭამიას“ დაბრუნება




გვ.29

SOCAR
სოკარ გაზი

სოკარი უსაფრთხოების უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბაზგასამართი სადგურებით შენს გზაზე R

გვ.13

„კვირის პალიტრის“ ამ ნომერთან ერთად!

## მთავარი

წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!




წიგნის სპეციალური ფასი

14 ლარი

გაზეთთან ერთად 15 ლარი

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის

იკითხეთ პრესის გამავრცელებლებთან

სერია №6

ამოჭერით

ლურჯი მონეტა




სერია ძალაშია 2013 წლის 30 აპრილის ჩათვლით

## 3 მარტი დედის დღეა! მოეფერეთ დედებს!..

## სააკაშვილი, შესაძლოა, დაჰკითხონ

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა თბილისის მერ გიგი უგულავას სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მითვისებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მუხლებით ბრალი წაუყენა. კერძოდ, საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ამოხსნილია ძველი ხელისუფლების მიერ ტელეკომპანია „იმედის“ ხელში ჩაგდების სქემა, რომლის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე გიგი უგულავა იყო. გამოძიების ცნობით, სქემაში უგულავასთან ერთად ჩართული იყო დავით კეზერაშვილი. არსებული ინფორმაციით, საქმეში მთავარი მოწმე ჯოზეფ ქეია. მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის ინფორმაციით, ქეი აცხადებს, რომ „იმედის“ ხელში ჩაგდების საქმეში უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. სავარაუდოდ, სააკაშვილს მოწმის სტატუსით დაჰკითხავენ. უგულავას ბრალდების მეორე ეპიზოდი „თბილსერვის ჯგუფის“ საქმეს, ანუ „ნაციონალური მოძრაობის“ თვალთმაქცური დაფინანსების სქემას ეხება. გამოძიების ინფორმაციით, უგულავას ორგანიზებით, „ნაციონალი“ აქტივისტებისათვის ფულის დარიგების მიზნით „თბილსერვისში“ შეიქმნა „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება“, სადაც ფიქციურად გაფორმდა 764 აქტივისტი. უმეტესობას ამ სამსახურში არც ერთი დღე არ უმუშავია და ეწეოდა პარტიულ საქმიანობას, თუმცა დედაქალაქის ბიუჯეტისთვის განკუთვნილი ასიგნებებიდან ხელფასის სახით 4 130 728 ლარი დაერიცხათ. გიგი უგულავა ბრალდებებს უარყოფს და პოლიტიკურ დევნაზე ლაპარაკობს (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

## პრეზიდენტს პარლამენტში გამოსვლა სურს



პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტს ღია წერილით მიმართა და სთხოვა, მისცენ საშუალება, საკანონმდებლო ორგანოს წინაშე წარდგეს ყოველწლიური ანგარიშით. პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტს პარლამენტის ტრიბუნიდან საზოგადოებისთვის მიმართვის საშუალება, სავარაუდოდ, მარტის ბოლოს ექნება. „მისი გამოსვლა მოხდება თუ არა ცარიელ კედლებში, დამოკიდებულია მის გადაწყვეტილებაზე, გაიზიარებს თუ არა შეთავაზებულ საკონსტიტუციო ცვლილებას და პარლამენტს საკუთარ უფლებამოსილებას დაუბრუნებს“, — აღნიშნა უსუფაშვილმა (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

## „პოლიტიკიდან წასვლას ვაპირებდი“

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, 1-ლი ოქტომბრის არჩევნებში „ნაციონალურ მოძრაობას“ რომ გაემარჯვა, ის პოლიტიკიდან წავიდოდა. მისი თქმით, პრემიერ-მინისტრის სავარძელში გადანაცვლებას არ აპირებდა, რადგან ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაცია დაიბლოკებოდა. სააკაშვილმა აღნიშნა, რომ დღევანდელ ვითარებაში პოლიტიკიდან წასვლა ბრძოლის ველიდან გაქცევა იქნება.


რა უნდა ვიცოდეთ?
„ლურჯი მონეტები“-ს შესახებ

კუპონებს, „ლურჯი მონეტების“ გამოსახულებით იპოვით „კვირის პალიტრის“, „ყველა სიახლის“ და „რეიტინგის“ ყოველ ნომერში, იქვე დეტალურად შეიტყობთ:

- პროექტში მონაწილეობის წესებს;
- პროდუქციის ჩამონათვალს, რომელზეც „ლურჯი მონეტა“ ლარის ნაცვლად გამოიყენება;
- „ლურჯი მონეტის“ კურსს ლარის მიმართ და სხვა აუცილებელ ინფორმაციას.

„ლურჯი მონეტები“ მოქმედებს მხოლოდ აქციაში მონაწილე პროდუქციაზე.

თვეში ერთხელ, განახლდება პროდუქციის ჩამონათვალი, რომელზეც მოქმედებს ლურჯი მონეტები!.

„ლურჯი მონეტების“ ეს სერია მოქმედებს თებერვლის, მარტის და აპრილის პროდუქციაზე.

სერია №6 ძალაშია 2013 წლის 30 აპრილის ჩათვლით!

პროექტში მონაწილეობის პირობებს გაეცანით გვ. 43


## მერაბიშვილი მერიაში მიდის



თბილისის პირველ ვიცე-მერად სევდია უგრეხელიძე, მერის მოადგილედ კი ვანო მერაბიშვილი ინიშნება. პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით, მერაბიშვილის მერიაში გადასვლა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, რადგან „დღეს ფრონტის ხაზი მერიაში გადის“. მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ აქტიურად იმუშავებს გუნდთან ერთად, რათა თბილისს „ოლეგა იაძეები არ დაეპატრონონ“.

## „ნაციონალების“ მიტინგი

„ნაციონალური მოძრაობა“ 19 აპრილს რუსთაველზე მიტინგს გამართავს „მინდა მოვიწვიო საქართველოს ყველა პატრიოტი, რათა დღევანდელ მთავრობას დავანახოთ, რომ სულერთი არ არის ჩვენი და ჩვენი შვილების მომავალი, საქართველო არ უნდა დაბრუნდეს ძველ დროში, სადაც არ იყო დემოკრატია და თავისუფლება. ჩვენ გვინდა, შვილებს ჰქონდეს გარანტირებული მომავალი, საქართველო არ იყოს მონობაში“, — განაცხადა პარტიის გენერალურმა მდივანმა ვანო მერაბიშვილმა, რომლის თქმითაც, ხელისუფლებას უნდა დაანახონ, რომ საქართველოს მომავალი დასავლეთს უკავშირდება და არა რუსეთს (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

## ვიდეომასალა რობაქიძის საქმეზე

დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის ყოფილმა უფროსმა ირაკლი ფირცხალავამ ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით ვიდეომასალა გაავრცელა. ვიდეომასალის გავრცელების შემდეგ ფირცხალავა და გურამ დონაძე აცხადებდნენ, კადრებით დასტურდება, რომ ახალგაზრდებს იარაღი ჰქონდათო. საქმეში ბრალდებული ზოგიერთი ყოფილი მაღალჩინოსანი თუ პოლიციის თანამშრომელი მთავარი პროკურატურის მხრიდან ზეწოლასა და გამოძიების შეცდომაში შეყვანაზე ალაპარაკდა. ექსპერტების განცხადებით, ვიდეო-




მასალას აშკარად ეტყობა მონტაჟი. ვიდეომასალამ ბუტა რობაქიძის ოჯახის წევრები ალაშფოთა. ისინი პროკურატურისგან მოითხოვენ ყალბი კადრების გამავრცელებლების დასჯას და ყველა იმ პირის პასუხისგებაში მიცემას, ვინც საქმის ფაბრიკაცია მოახდინა. პროკურატურის ინფორმაციით, ვიდეომასალას საერთაშორისო ექსპერტიზა ჩაუტარდება (ვრცლად იხ. გვ. 5,12, სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

## კოჰაბიტაციას სირთულეები ახლავს



საქართველოში ამერიკის კონგრესის დელეგაცია ვიზიტით იმყოფებოდა. დელეგაციის ხელმძღვანელის, წარმომადგენელთა პალატის, ევრაზიისა და მოსალოდნელი საფრთხეების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე დანა რორაბაქერის განცხადებით, აშშ-ში კარგად იციან, რომ დემოკრატია არ არის მმართველობის ყველაზე მარტივი, მაგრამ ყველაზე ზნეობრივი და სწორი ფორმაა.

„კარგად ვიცით, რა სირთულეებიც ახლავს კოჰაბიტაციას. ჩვენს ქვეყანაშიც ხშირად იჩენს თავს „დემოკრატებსა“ და „რესპუბლიკელებს“ შორის აზრთა სხვადასხვაობა. სრული წარმოდგენა გვაქვს იმ სირთულეებზე, რომელიც დემოკრატიულ პროცესებს სდევს თან, მაგრამ საქართველოს წარმატებას ვუსურვებდით იმ გზაზე, რომელზეც დგას“, — განაცხადა დანა რორაბაქერმა.

## შეხვედრა ბიზნესმენებთან

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ბიზნესმენებთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ კერძო საკუთრების ხელყოფას ვეღარავინ გაბედავს. მისივე თქმით, წინა ხელისუფლება ახერხებდა რეიტინგებში ადგილების მოპოვებას, მაგრამ ბევრი იყო ხელოვნურობა და სიყალბე. „ჩემი თხოვნა იქნება, თქვენს პარტნიორებს მიაწოდოთ ინფორმაცია, რომ საქართველო საინტერესო ქვეყანაა ინვესტიციებისთვის და აქ არსებობს შეღავათიანი გადასახადი. ჩემი თხოვნა იქნება, მაქსიმალურად, რეკლამა გაუკეთოთ ჩვენს ქვეყანას“, — მიმართა ივანიშვილმა ბიზნესმენებს.




## ხაჩირაშვილი წავიდა

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკოლოზ ხაჩირაშვილმა თანამდებობა დატოვა. მან ამ გადაწყვეტილების მიზეზად ჯერ „ნაციონალებთან“ აზრთა სხვადასხვაობა დაასახელა, შემდეგ კი განაცხადა, რომ ფრაქციის თავმჯდომარეობა პირადი მოტივებით დატოვა. ამასთან, ხაჩირაშვილი „ქართული ოცნების“ მხრიდან ზეწოლას კატეგორიულად გამორიცხავს. ის ჯერ დამოუკიდებელ დეპუტატად რჩება, თუმცა, შესაძლოა, სამომავლოდ ახალი ფრაქცია შექმნას.

## გუბერნატორების ინსტიტუტი გაუქმდება

ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით ნარმანიას ცნობით, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ გუბერნატორების ინსტიტუტის გაუქმება იგეგმება. მისი თქმით, შეიქმნება სამხარეო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები და წარმომადგენლობითი ორგანო. ყოველ მხარეს ეყოლება აღმასრულებელი ხელისუფლება, რომლის ხელმძღვანელიც იქნება ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. ამ პოსტზე სამხარეო საბჭო სამ კანდიდატურას დაასახელებს და შემდეგ მთავრობას წარუდგენს, ხოლო მთავრობა აქედან ერთ-ერთს დაამტკიცებს.

## მონიტორინგი დაიწყო

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (ODIHR) საქართველოს ყოფილი მაღალჩინოსნების სასამართლო პროცესის მონიტორინგი დაიწყო. „სასამართლო პროცესის მონიტორინგი ძლიერი მექანიზმია სასამართლო სისტემის რეფორმის მხარდაჭერისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების საშინაო და საერთაშორისო გარანტიების უზრუნველყოფისთვის. დარწმუნებული ვარ, საქართველოში ჩვენი მონიტორინგის საქმიანობა ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციას ხელს შეუწყობს“, — განაცხადა ODIHR-ის დირექტორმა იანეშ ლენარჩიჩმა.

## ვარძელაშვილი დააკავეს



შსს-მ სპორტის ყოფილი მინისტრის, ლადო ვარძელაშვილის სახლში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო, დააკავა თავად ყოფილი მინისტრი, ზვიად ქავთარაძე და ვახტანგ ბიჭაშვილი. გამოძიების ინფორმაციით, 22 თებერვალს ვარძელაშვილს სტუმრები ჰყავდა. მან საკუთარი იარაღის კოლექციის დასათვალიერებლად მეგობრები გვერდით ოთახში გაიყვანა და ზვიად ქავთარაძეს საჩვენებლად ტეტე-ს სისტემის პისტოლეტი მიაწოდა. ამ დროს ამ უკანასკნელს იარაღი გაუფრთხილებლობით გაუვარდა და ტყვია დევი სირაძეს მოხვდა, რომელიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. იარაღი რეგისტრირებული იყო ლადო ვარძელაშვილის ნათესავის სახელზე, მაგრამ ვარძელაშვილის სეიფში ინახებოდა (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

## „პალიტრა TV“-მ თბილისში საკაბელო მაუწყებლობა გააფართოვა

„პალიტრაTV“-მ თბილისში საკაბელო მაუწყებლობა გააფართოვა. ტელევიზიის გადაცემების ნახვა დღეიდან საკაბელო ოპერატორების „სტუდია TV“-ს და „დიდგორი-2“-ის აბონენტებსაც შეეძლებათ.

როგორც „პალიტრა TV“-ს დირექტორმა, ზაზა ქანთარიამ აღნიშნა, ტელევიზია უკვე მაუწყებლობს საკაბელო ოპერატორების „გლობალ TV“-სა და „a+b“-ს მეშვეობით. ამავდროულად, მიმდინარეობს მოლაპარაკებები რამდენიმე ოპერატორთან, რომლებიც უახლოეს მომავალში „პალიტრა TV“-ს თავის ქსელში ჩართავენ.

დღის განმავლობაში „პალიტრა TV“-ს ეთერი მრავალფეროვან გადაცემებს ეთმობა. ეთერში გადის საინფორმაციო გამოშვებები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუები და შემეცნებით-გასართობი პროექტები.

გაზაფხულზე იგეგმება ქართულ ენაზე გახმოვანებული მაღალრეიტინგული თურქული სერიალის „ეზელის“ ჩვენება.

## „აფხაზეთი და ცხინვალი საქართველოს ღია ჭრილობაა“



„ჩვენი დიდი სურვილია, საქართველო გახდეს ევროპული სტრუქტურების ნაწილი, მჭიდრო კავშირი ჰქონდეს გაეროსთან, ევროპის სტრუქტურებთან. ჩვენ იმედით ვუყურებთ თქვენს ვიზიტს და ვფიქრობთ, ეს ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკურ განვითარებას. ჩვენთვის ძალიან მძიმეა ის ფაქტი, რომ არ არის აღდგენილი ტერიტორიული მთლიანობა. აფხაზეთი და ცხინვალი არის ღია ჭრილობა საქართველოსი. იმედი გვაქვს, რომ წართმეული ტერიტორიები კვლავ დაბრუნდება. როგორც აფხაზეთი, ასევე ცხინვალის რეგიონი არის ძირძველი ტერიტორიები საქართველოსი“, — ბრძანა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გაეროს განვითარების პროგრამის ადმინისტრატორ ჰელენ კლარკთან შეხვედრისას (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ze).

## თარგამაძეს პატიმრობა შეუფარდეს



მოსკოვის ბასმანის სასამართლომ საქართველოს პარლამენტის წევრ გივი თარგამაძეს დაუსწრებლად პატიმრობა შეუფარდა. სასამართლოს აღნიშნული შუამდგომლობით გამოძიებამ მიმართა. გივი თარგამაძე ბრალდებულია რუსეთში მასობრივი არეულობების მომზადებაში. ამასთანავე, მოსკოვის პოლიციამ საქართველოს პარლამენტის წევრ გივი თარგამაძეზე ფედერალური ძებნა ოფიციალურად გამოაცხადა. თარგამაძე აცხადებს, რომ რუსეთის სასამართლოს ვერც ერთი გადაწყვეტილება მის გადაადგილებას ვერ დააბრკოლებს.

## რაფალიანცის საქმე გაიხსნება

შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინფორმაციით, გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში 10 თვის ბარბარე რაფალიანცის გარდაცვალების საქმე უახლოეს მომავალში გაიხსნება. როგორც ჩვილის დეიდა და ბებია ირწმუნებიან, არსებობს ვიდეოჩანაწერი, სადაც ერთ-ერთი პიროვნება ბავშვის მკვლელობას აღიარებს და შემკვეთსაც ასახელებს. მათი მტკიცებით, ვიდეოჩანაწერი შინაგან საქმეთა სამინისტროშია გადაგზავნილი. თუმცა ღარიბაშვილი აცხადებს, რომ მან ვიდეოჩანაწერის შესახებ არაფერი იცის.

# „ახალ ხელისუფლებას პიარტექნოლოგიების მხრივ პრობლემები აქვს“

*თქვენი მონა-მორჩილის მეზობლად ერთი „ნაციონალი“ კოორდინატორი ცხოვრობს — კარგი და კაცური კაცი. ოღონდ, ერთი უცნაურობა ახასიათებს — როდესაც პატრული დააჯარიმებს, დარწმუნებულია: სპეციალური სიების საფუძველზე, თავისი პოლიტიკური მრწამსის გამო აჯარიმებენ. რას იზამ, „ცისფერი მთების“ პერსონაჟის არ იყოს, პატარა კაცია და რასაც ჩასძახებენ, იმას ამოსძახებს. ეს ამბავი იმიტომ გამახსენდა, „ზემოთ“ მყოფთ, ანუ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს უკვე ავტომატიზებული აქვთ — ნებისმიერი ბრალდება პოლიტიკურად მოტივირებულად მონათლონ. ამაში ჩემპიონი თბილისის მერი გიგი უგულავაა, რომელიც ყველაფერს პოლიტიკას უკავშირებს, მიუხედავად იმისა, მას ჯიხურის მეპატრონე უჩივის თუ ტელეკომპანია „იმედის“ ხელში ჩაგდების ორგანიზებაში ედავებიან. სხვათა შორის, შესაძლოა, მინიისტორიული ფაქტის მომსწრენი გავხდეთ და როგორც „ნაციონალებს“ უყვართ თქმა, პირველად საქართველოს ისტორიაში მოქმედი პრეზიდენტი დაჰკითხონ. ყოველ შემთხვევაში, არჩილ კბილაშვილის ცნობით, ტელეკომპანია „იმედის“ საქმეში უგულავასა და კეზერაშვილთან ერთად მიხეილ სააკაშვილიც ფიგურირებდა და შესაძლოა, პრეზიდენტს მოწმის სტატუსით გამომძიებლისთვის ჩვენების მიცემამ მოუწიოს. ექსპერტი* ***ბადრი ნაჭყებია*** *მიიჩნევს, რომ დროა, კანონი ყველას ერთნაირად ეპყრობოდეს — მეეზოვით დაწყებული, მერითა თუ პრეზიდენტით დამთავრებული.*



**„ასეთი დოკუმენტური შვარცენეგერიზმი მართლაც ბევრ ეჭვს ბადებს“**

— დემოკრატიულ საზოგადოებაში არ უნდა იყოს საოცარი მოვლენა, თუ პრეზიდენტთან გამოძიებას კითხვა გაუჩნდება. აშშ-ში თავის დროზე პრეზიდენტი ბილ კლინტონი დაჰკითხეს, ისრაელში კი — მოშე კაცავი, მაგრამ არ დაქცეულა ქვეყანა. კანონი ინდულგენციას არავის აძლევს და დროა, ეს ჩვენთანაც დამკვიდრდეს. რაც შეეხება გიგი უგულავას მიმართ წაყენებულ ბრალდებებს ტელეკომპანია „იმედთან“ თუ „თბილსერვისთან“ დაკავშირებით, რა თქმა უნდა, სასამართლოს უნდა დაველოდოთ. ბრალდებები მართლაც მძიმეა და თუ მართლაც მოქმედებდა აღნიშნული სქემა, საგანგაშოდ ყოფილა საქმე. ისე, საინტერესოა, პატარკაციშვილის ოჯახმა თუ იცოდა ამის შესახებ და თუ იცოდა, რატომ დუმდა.

**— ბრალდებას უგულავა პოლიტიკურ ზეწოლად აფასებს და აცხადებს, რომ მთავრობას თბილისის თვითმმართველობის ხელში ჩაგდება სურს.**

— ვერ ვიტყვი, რომ პოლიტიკურ ზეწოლასთან გვაქვს საქმე. უგულავამ ნაჩქარევად არ უნდა შეაფასოს მოვლენები. ვიმეორებ, ბრალდება ძალიან სერიოზულია, რომელიც გამოძიებას საჭიროებს.

**— რაც ცნობილი გახდა, რომ უგულავას ბრალდებას წაუყენებდნენ, იმავე დღეს „ნაციონალებმა“ მერიაში საკადრო გადაწყვეტილება მიიღეს. პირველ ვიცე-მერად სევდია უგრეხელიძე ინიშნება, მერის მოადგილედ კი — ვანო მერაბიშვილი.**

— გასაგებია, რას ემსახურება ეს საკადრო ცვლილებები — თავს იზღვევენ იმ შემთხვევისთვის, თუ უგულავას დააკავებენ. უგრეხელიძის რა მოგახსენოთ, მაგრამ მერაბიშვილის მერიაში გადასროლით სააკაშვილი ადასტურებს, რომ თბილისის დათმობას არ აპირებს.

ორხელისუფლებიანობის პერიოდში დედაქალაქისთვის ბრძოლა მწვავდება და ფართომასშტაბიანი ხდება.

**— ამ ამბავში ერთ-ერთი მთავარი მომენტი ის არის, რომ უგულავასთვის ბრალის წარდგენას „ნაციონალები“ უკავშირებენ 19 აპრილს რუსთაველის გამზირზე დაგეგმილ აქციას — ივანიშვილს აქციის შეეშინდა და „ნაციონალი“ ლიდერების დევნა დაიწყოო.**

— ესეც პიარტექნოლოგიაა. ისე, ღიმილის მომგვრელია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ თავს ოპოზიციას უწოდებს. საქართველოში კლასიკური ორხელისუფლებიანობაა. „ნაციონალების“

19 აპრილის მიტინგზე იქნება მცდელობა, რომ გამოიწვიონ ძალოვანი სტრუქტურები, როგორც ეს „ფერადი რევოლუციების“ დროს ხდება.

თუ მიზანს მიაღწევენ, ჩაგრულის იმიჯს უკვე „ნაციონალური მოძრაობა“ მოირგებს. ასეთი ნაბიჯები ემსახურება იმას, რომ მათ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის დივიდენდები მიიღონ. 19 აპრილის მიტინგთან დაკავშირებით მხოლოდ ძალოვან სტრუქტურებზე არ უნდა ვილაპარაკოთ. შესაძლოა, გაიმართოს პარალელური აქციაც და, მაგალითად, ეს გამართონ იმ ადამიანებმა, რომლებიც 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან შეიკრიბნენ. შესაბამისად, რა მოხდება, არავინ იცის. თუმცა თუ რაიმე მოხდა, პოლიციას ჩარევა მოუწევს. ამიტომაც „ნაციონალების“ მთავარი მიზანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოლიციის გამოწვევა და საკუთარი თავის მსხვერპლად წარმოჩენაა.

**— ამის მთავარი ადრესატი დასავლეთი იქნება?**

— რასაკვირველია. არ გამოვრიცხავ, რომ „ნაციონალებმა“ ასევე გამოიყენონ „ფერადი რევოლუციების“ ტექნოლოგიები. ამ ტექნოლოგიების მეორე თუ მესამე პუნქტი მიზნად ისახავს ძალოვან სტრუქტურებთან დაპირისპირებას. სხვათა შორის, ამის სერიოზული გამოცდილება აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“. ამიტომაც მეორე მხარე და მთლიანად საზოგადოება ფრთხილად უნდა იყოს. იმედია, „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ ეყოფათ ჭკუა, რომ ვითარება არ გაამწვავონ.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ რუბიკონის გადალახვა არ შეიძლება, თორემ სამოქალაქო დაპირისპირებას მივიღებთ.

არ მინდა სირია ან ლიბია გავიხსენო, მაგრამ ეგვიპტის მაგალითს მოვიყვანდი, სადაც პერმანენტული დაპირისპირებაა და ქვეყანაში პოლიტიკური ქაოსია. საქართველოშიც, თუ არ დამთავრდება ორხელისუფლებიანობა და ერთი პოლიტიკური ძალა არ მიიღებს კარტბლანშს, სულ პოლიტიკური ქაოსი იქნება. იმასაც ვიტყოდი, რომ ახალ ხელისუფლებას პიარტექნოლოგიების მხრივ პრობლემები აქვს. ქვეყანაში ადეკვატური პიარკამპანია არ მიმდინარეობს მაშინ, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ აუდიოვიზუალური მასმედიის გამოყენებით სერიოზულ სამუშაოებს ატარებს. ისინი ახერხებენ, მუდმივად დაძაბულობაში ჰყავდეთ საზოგადოება და რაც მთავარია, თვითონ იყვნენ ყურადღების ცენტრში, მათგან მოდიოდეს ინიციატივები. ახალ ხელისუფლებას რეზონანსული საქმეების სახით სერიოზული კოზირი აქვს, მაგრამ მათი გამოძიება ნელი ტემპით მიმდინარეობს. პარალელურად კი, არ არსებობს პიარი, რომელიც მოსახლეობას აუხსნიდა, რატომ ჭიანურდება ამა თუ იმ საქმის გამოძიება. შესაბამისად, იქმნება სეგმენტი, რომელიც ამით უკმაყოფილოა. „ნაციონალები“ კი ამ სეგმენტზეც „მუშაობენ“ და ასეთი ტიპის უკმაყოფილების თავის სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობენ. ამიტომ თუ ამ პრობლემას სერიოზულად არ მიხედა ახალმა ხელისუფლებამ, შესაძლოა, ყველაფერი სავალალოდ დამთავრდეს. 19 აპრილის აქციის ერთ-ერთი მთავარი თემა ის არის, რომ საქართველოს მომავალი რუსეთი არ არის. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, როგორ კარგად იყენებენ „ნაციონალები“ ამა თუ იმ საკითხს. მათ

რუსეთის თემის პედალირებით არა მხოლოდ საშინაო, საგარეო არენაზეც მიაღწიეს იმას, რომ ახალი ხელისუფლება თავს იკავებს რუსეთთან უფრო აქტიური კონტაქტების დამყარებაზე.

**« ახალ ხელისუფლებას რეზონანსული საქმეების სახით სერიოზული კოზირი აქვს, მაგრამ მათი გამოძიება ნელი ტემპით მიმდინარეობს**

არადა, საქართველოს ეკონომიკური მომავალი გარკვეულწილად დამოკიდებულია იმაზე, დავალაგებთ თუ არა რუსეთთან ურთიერთობას. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა, ქართულ ეკონომიკაში სირთულეებიც გაჩნდეს და „ქართულ ოცნებას“ გაუჭირდეს ან დროში გაეწელოს დაპირებების შესრულება. ამით ისევ და ისევ „ნაციონალები“ ისარგებლებენ, რომლებიც მუდმივად უსვამენ ხაზს, რომ „ქართული ოცნება“ დაპირებებს არ ასრულებს.

**— საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ სირთულეები იმ საბოტაჟის დამსახურებაა, რომელსაც ხელისუფლების „ნაციონალური“ ნაწილი ახორციელებს. პრესაშიც არაერთ კონკრეტულ ფაქტზე გამახვილებულა ყურადღება.**

— არ არის გამორიცხული. შესაძლოა, მოვლენები ისე არ განვითარდეს, როგორც სირიასა და ლიბიაში, მაგრამ მივიღებთ ტუნისისა და ეგვიპტის სცენარებს. საქართველო გახდება არასტაბილურობის კერა და ქართული პოლიტიკური რეალობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი პერმანენტული კრიზისი იქნება. ვიმედოვნებ, საქმე აქამდე არ მივა. რაც შეეხება მოლაპარაკებებს, ასევე ვიმედოვნებ, რომ ის განახლდება და მხარეები კომპრომისს მიაღწევენ. ყურადღება მინდა გავამახვილო „ნაციონალების“ მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, ქვეყნის საგარეო კურსის შესახებ ჩანაწერი კონსტიტუციაში უნდა დაფიქსირებულიყო. არადა, საგარეო-პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით თუმცა უფრო კონკრეტულად რომ ვისაუბრო, მტკიცებულებები უნდა მქონდეს. თუ მსგავსი რამ მართლაც არსებობს, აუცილებლად უნდა აღიკვეთოს. ამისთვის

ივანიშვილის ხელისუფლებამ უნდა გააფართოოს საკადრო რესურსი ყველა მიმართულებით — პროკურატურით დაწყებული, ნებისმიერი სხვა სტრუქტურით დამთავრებული.

სამწუხაროდ, ახალ ხელისუფლებას ეს რესურსი არ აქვს. ზემოთ უკვე ვახსენეთ რეზონანსული საქმეები, რომელთა გამოძიების გაჭიანურება ძალიან აზიანებს ახალი ხელისუფლების იმიჯს.

**— გასულ კვირას „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის საკონსტიტუციო ცვლილებებზე მოლაპარაკებები ჩაიშალა. არსებული ინფორმაციით, მიზეზი ის იყო, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებს მიება საჯარო მოხელეთა ამნისტიის თემა. დეპუტატების განცხადებით, „ნაციონალებს“ სრული ამნისტია სურდათ და არა გრადაცია საჯარო მოხელეების რანგის მიხედვით, როგორსაც „ქართული ოცნება“ სთავაზობდა.**

— სპეციფიკური სიტუაციაა — ერთი მხრივ „ნაციონალებს“ სურთ ამნისტია, მეორე მხრივ კი, არ სურთ, რომ ამას ამნისტია ერქვას. მართლაც, თუ საჯარო მოხელეებისთვის სამართალდარღვევის პატიებას ოფიციალურად ამნისტიას ვუწოდებთ, გამოდის, რომ ოფიციალურად ვაფორმებთ — „ნაციონალური“ ხელისუფლება დანაშაულებრივი იყო. ამიტომაც „ნაციონალები“ ყველაფერს გააკეთებენ ამ ტერმინის წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

**— საზოგადოების ერთი ნაწილი იმასაც მიიჩნევს, რომ „ნაციონალები“ მოლაპარაკებებს მოლაპარაკებებისთვის დათანხმდნენ და რეალურად არ აპირებდნენ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის მხარდაჭერას. ამ ვერსიის მიხედვით, პრეზიდენტი არ დათმობს უფლებამოსილებას და მათ შესაბამის დროს, მაგალითად, აპრილში, ქვეყნისთვის ქაოსის აცილების მომიზეზებით პარლამენტისა და მთავრობის წინააღმდეგ გამოიყენებს.**

— თუ ეს გააკეთა, მივიღებთ სამოქალაქო დაპირისპირებას მისგან გამომდინარე ყველა შედეგით.

**„გარემოცვამ სააკაშვილზე გავლენა გააძლიერა“**

„ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალებს“ შორის დიდი განსხვავება არ არის. უბრალოდ, „ქართულ ოცნებაში“ მეტია რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის სეგმენტი. არანაირი აუცილებლობა არ არსებობს, რომ ნატოსთან დაკავშირებით კონსტიტუციაში რაიმე ჩანაწერი გვქონდეს — ელემენტარულად, ბევრი ბლოკი დაშლილა. სავარაუდოდ, ამას „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ ხვდებიან.

**— ზემოთ რეზონანსულ საქმეებზე ისაუბრეთ. ფაქტობრივად, პროკურატურას დახურული ჰქონდა ბუტა რობაქიძის საქმე, როდესაც შსს-ს ყოფილმა მაღალჩინოსანმა ირაკლი ფირცხალავამ რობაქიძის საქმეზე ვიდეომასალა გაავრცელა. პირადად თქვენ ამ მასალამ კითხვები და ეჭვი გაგიჩინათ?**

— ჩემთვის გასაკვირი იყო ამ მასალის გამოჩენა, რადგან ვიდეომასალის ნამდვილობის დამტკიცება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, პრობლემა არ არის. რაც შეეხება ჩემს ეჭვებს — ის უკავშირდება სიტუაციურ მომენტებს. ვიდეომასალაში პოლიციელების მოქმედება არაადეკვატურია. გასროლის მომენტს მივაქციოთ ყურადღება — როგორც წესი, ასეთ დროს პოლიციელები სხვაგვარად იქცევიან. ასეთი დოკუმენტური შვარცენეგერიზმი მართლაც ბევრ ეჭვს ბადებს. სწორედ ამ მომენტის გამო ეჭვი შემაქვს ამ ფირის ნამდვილობაში. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაველოდოთ საერთაშორისო ექსპერტიზის პასუხს.

**— სავარაუდოდ, მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში ანგარიშით მარტის ბოლოს წარდგება. ეს ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის, რადგან უმრავლესობის ლიდერების განცხადებით, პრეზიდენტმა პარლამენტს ჯერ წართმეული უფლებები უნდა დაუბრუნოს, თორემ საკანონმდებლო ორგანოში ცარიელი კედლები დახვდება. თუ შედგა სააკაშვილის გამოსვლა, ის 8 თებერვლის მოხსენებას მეორედ წაიკითხავს, თუ რაიმე ახალ აქცენტებს გააკეთებს?**

— მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ორხელისუფლებიანობის განმტკიცებისა და თავისი გუნდის გამხნევებისკენ იქნება მიმართული. ისე, ეს ორხელისუფლებიანობაც უცნაურია — ხელფასს იღებენ გუბერნატორები, უშიშროების საბჭოს მდივანი და რეალურად, მათ ფუნქცია არ გააჩნიათ.

**— ახალი ხელისუფლება გუბერნატორების ინსტიტუტის გაუქმებას 2014 წლის არჩევნების შემდეგ გეგმავს.**

— მართლაც აქვს ასეთი ინიციატივა ახალ ხელისუფლებას, რაც სერიოზულ მსჯელობას საჭიროებს. დავუბრუნდები სააკაშვილის სავარაუდო გამოსვლას — მისი მიზანი იქნება, საზოგადოებას შეახსენოს — ქვეყანაში არის პრეზიდენტი, მუშაობენ გუბერნატორები და ა.შ. მიხეილ სააკაშვილმა შესაძლოა ისეთი ნაბიჯები გადადგას, რომელსაც ვერც ერთი ანალიტიკოსი თუ პოლიტოლოგი ვერ განსაზღვრავს. თუმცა ვფიქრობ, დღეს პრეზიდენტი არ არის იმ მდგომარეობაში, რომ აბსოლუტურად დამოუკიდებლად იღებდეს გადაწყვეტილებებს, როგორც ადრე აკეთებდა.

**— ანუ გარემოცვის ზეგავლენის ქვეშაა?**

— რასაკვირველია. ჩემი აზრით, გარემოცვამ მასზე გავლენა გააძლიერა.

**— ამ ზეგავლენაში ვინ თამაშობს მთავარ როლს — ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა თუ გიგა ბოკერია?**

— ვფიქრობ, მაინც გიგა ბოკერია, რომლის პოზიცია საკვანძო თემების განხილვისას გადამწყვეტ როლს თამაშობს.

***გიორგი კვიტაშვილი***

**« აშშ-ში თავის დროზე პრეზიდენტი ბილ კლინტონი დაჰკითხეს, ისრაელში კი — მოშე კაცავი, მაგრამ არ დაქცეულა ქვეყანა. კანონი ინდულგენციას არავის აძლევს და დროა, ეს ჩვენთანაც დამკვიდრდეს**

# „წმინდა წერილით ღმერთი გვესაუბრება“

**მთავარი წიგნი „პალიტრის“ ამ ნომერთან ერთად!!!**

**ჩვენს მრავალი განსაცდელით აღსავსე დროში ვის არ უფიქრია ხსნისა და შვების ძიებაზე, ამიტომაც ყველა ოჯახში უნდა იყოს ბიბლია, ვკითხულობდეთ მას, ვიდრე ვცოცხლობთ...**

**პატრიარქმა გამოთქვა სურვილი, რომ ბიბლია საპატიმროებშიც მოხვდეს და ამ წმინდა წერილს პატიმრებიც ეზიარონ. „პალიტრამედია“ პატრიარქის ინიციატივას სააღდგომოდ აუცილებლად შეასრულებს და პატიმრებს ციხეებში ბიბლიას გაუგზავნის**



*უწმინდესი და უნეტარესი ჩვენს ნაჩუქარ ბიბლიას ემთხვია*

*მას მერე, რაც გამომცემლობამ პროექტის გაგრძელება გადაწყვიტა და პრეზენტაციაზე წარადგინა „50 + 1 + 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“, ყველა განსაკუთრებულად ელოდა ბიბლიას... დიდი სიხარულით შევხვდით ჩვენც — მედიასახლის თანამშრომლები მაღალპოლიგრაფიულ დონეზე, საპატრიარქოს დამუშავებული ტექსტით გამოცემულ დაბადებას... შეგახსენებთ, რომ საგამომცემლო სახლმა „პალიტრამ“ ბიბლიის გამოცემასთან დაკავშირებით გადაწყვიტა, რჩევა პატრიარქისთვის ეკითხა. მისი კურთხევით, ბიბლია უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ არა დანომრილი... კურთხევა შესრულდა...*

სასიგნალო ეგზემპლარების გამოცემისთანავე მედიასახლის თანამშრომლები საპატრიარქოს ვეწვიეთ. თან რამდენიმე ახლადგამოცემული ბიბლიაც მივართვით უწმინდესს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან სტუმრობა დიდი პატივია, თანაც არაჩვეულებრივი საშუალებაა, მოუსმინო ჩვენი ერის მწყემსმთავარს, მისი თითოეული სიტყვა კიდევ ერთხელ მიიღო სიბრძნედ და სწავლებად, მიიტანო მკითხველამდე და ამით სწორი ორიენტირის დასახვაში დაეხმარო საზოგადოებას.

საუბრის თემა წიგნებსა და კითხვას უკავშირდებოდა. პატრიარქმა ბრძანა: „უდიდესი მნიშვნელობა აქვს, წიგნისკენ მოვაბრუნოთ საზოგადოება. არის შემთხვევა, როცა შინ აქვთ ბიბლია, მაგრამ არ კითხულობენ... ამიტომ მთავარია, დავაფიქროთ, კითხვა მოვანდომოთ ადამიანებს“.

უწმინდესმა და უნეტარესმა სიყვარულით გაიხსენა ბავშვობა და პირველი წიგნი, რომელიც თავად შეიძინა:

„ადრე ასე იყო — ყულაბაში ყრიდნენ ხურდას. მეც მქონდა სალარო, ძაღლის ფორმა ჰქონდა. გასატეხი იყო. გავტეხე და ავიღე ფული... მაშინ ვლადიკავკაზში ვცხოვრობდით... პირველ კლასში ვიყავი, შეიძლება არც ვსწავლობდი... ავიღებდი მელანს და თითებს გავითხუპნიდი, ვითომ წერა-კითხვა ვიცოდი. ახლოს იყო წიგნის მაღაზია, შევედი და ჩემთვის უცხო სამყარო ვნახე. რომელი გინდაო, — მკითხეს. ვუყურებდი ლამაზ ყდებს, ერთი ცოტა მოლურჯო იყო და — ის-მეთქი. ზედ ეწერა „ვოლგა-ვოლგა“. ეს იყო პირველი წიგნი, რომელიც ვიყიდე“.

წიგნის სიყვარული ოჯახიდან მოდის. სამუდამოდ ილექება ბავშვის მეხსიერებაში მშობლების წიგნის კარადა ან თაროები, სადაც სხვადასხვა საინტერესო ლიტერატურა ინახება... მეხსიერებას სურათებად რჩება საყვარელი წიგნები, თაროზე მათი განლაგებაც კი...



*ბიბლიის სასიგნალო ეგზემპლარების გამოცემისთანავე გამომცემლობა „პალიტრა L“-ის თანამშრომლები საპატრიარქოს ეწვივნენ*

**„არის შემთხვევა, როცა შინ აქვთ ბიბლია, მაგრამ არ კითხულობენ... ამიტომ მთავარია, დავაფიქროთ, კითხვა მოვანდომოთ ადამიანებს“**

როცა მოკრძალებით, წაკითხულ წიგნებზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, უწმინდესსა და უნეტარესს უწინარეს ის კუთხე გაახსენდა, სადაც მის მშობლებს ბიბლია — ეს უდიდესი წიგნი ჰქონდათ დაბრძანებული:

„სახარება გვქონდა, ქართულადაც და რუსულადაც. კუთხეში ბიბლია გვედო, ხატები გვქონდა და კანდელი ენთო, ნაკურთხი წყალი გვედგა. ყოველ საღამოს მამაჩემი გვასხურებდა. ზეპირად იცოდა დილა-საღამოს ლოცვები. საღამოს ლოცვებში არ არის 50-ე ფსალმუნი, ჩვენ გვათქმევინებდა, ჩვენ ვიცოდით ზეპირად“.

ამ მცირე მოგონებითაც თვალწინ იშლება ის დიდი მადლი და ზემოქმედების ძალა, რომელიც შეიძლება ბიბლიამ შეიტანოს ყოველ ოჯახში.

პატრიარქმა გამოთქვა სურვილი, რომ ბიბლია საპატიმროებშიც მოხვდეს და ამ წმინდა წერილს პატიმრებიც ეზიარონ. „პალიტრამედია“ პატრიარქის ინიციატივას სააღდგომოდ აუცილებლად შეასრულებს და პატიმრებს ციხეებში ბიბლიას გაუგზავნის.

უწმინდესმა და უნეტარესმა ნეტარი ავგუსტინეც გაიხსენა:

„ნეტარი ავგუსტინე ურწმუნო იყო, სხვადასხვა სექტაში მონაწილეობდა, 16 წლისას უკანონო შვილი ჰყავდა. დედა ძალიან დარდობდა, ლოცულობდა და ტიროდა... წავიდა მედიოლანის ეპისკოპოს ამბროსისთან. ევედრა, უშველეო. შენ ლოცულობო? — ჰკითხა ამბროსი მედიოლანელმა. ვლოცულობო, — დედამ. ცრემლით ლოცულობო? ცრემლით ვლოცულობო. ნუ გეშინია, შეუძლებელია, დედის ლოცვა, დედის ცრემლი დაიკარგოსო. ამ დროს, როცა ის იქ ელაპარაკებოდა, ავგუსტინემ აიღო სახარება, დაიწყო კითხვა და ატირდა... შემდეგ ეპისკოპოსი გახდა. კარგია, როცა ლოცვის დროს ტირის ადამიანი. წმინდა მამები ამბობენ, ამ დროს მისი ანგელოზი ღვთის წინაშე ლოცულობსო“.

ჩვენს შეჭირვებულ და მრავალი განსაცდელით აღსავსე დროში ვის არ უფიქრია ხსნისა და შვების ძიებაზე... ნეტარი ავგუსტინე ამბობს სახარების კითხვაზე: ლოცვისას ჩვენ ვსაუბრობთ ღმერთთან, წმინდა წერილით კი ღმერთი გვესაუბრებაო. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი დიალოგია, რომელიც უამრავ ადამიანს შეიძლება ექცეს ხსნად... ამიტომაც აქვს ამხელა მნიშვნელობა, რომ ყველა ოჯახში იყოს ბიბლია, ვკითხულობდეთ მას, ვიდრე ვცოცხლობთ...

***ლელა ჯიყაშვილი***



**«ადრე ასე იყო — ყულაბაში ყრიდნენ ხურდას. მეც მქონდა სალარო, ძაღლის ფორმა ჰქონდა. გასატეხი იყო. გავტეხე და ავიღე ფული... მაშინ ვლადიკავკაზში ვცხოვრობდი. პირველ კლასში ვიყავი, შეიძლება არც ვსწავლობდი... ახლოს იყო წიგნის მაღაზია, შევედი და ჩემთვის უცხო სამყარო ვნახე. რომელი გინდაო, — მკითხეს. ვუყურებდი ლამაზ ყდებს, ერთი ცოტა მოლურჯო იყო და — ის-მეთქი...**

## სკანდალური ინტერვიუ კრიმინალური პოლიციის ყოფილ უფროსთან

# ზურაბ ბაქრაძე: „ეს ფირი დამონტაჟებულია“



ზურაბ ბაქრაძე







**ზურაბ ბაქრაძე: „ფირი, რომელიც ახლა გვაჩვენეს, მომხდარიდან 50 წუთის შემდეგ არის გადაღებული“**

*19 წლის ამირან (ბუტა) რობაქიძის საქმის ირგვლივ ვნებათაღელვა არ წყდება. განსაკუთრებული აჟიოტაჟი იმ შემზარავი ვიდეოფირის გავრცელებამ გამოიწვია, რომელიც რამდენიმე დღის წინ ირაკლი ფირცხალავამ გამოძიებასა და ჟურნალისტებს გადასცა. დამოუკიდებელი ექსპერტების მტკიცებით, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ ფირი დამონტაჟებულია. თავის უდანაშაულობაზე ალაპარაკდა გურგენ დონაძე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ კადრების გავრცელების შემდეგ დაკითხული ძალოვანები ჩვენებებს ცვლიან და იმის დამტკიცებას ცდილობენ, რომ ბუტას მეგობრები შეიარაღებულები იყვნენ. ჩვენება უკვე შეცვალა ოცმეთაურმა მაიზერ ლიპარტელიანმა, მკვლელობაში ბრალდებული ბაშალეიშვილის მეწყვილე ლობჟანიძემ. ზეწოლაზე ალაპარაკდა ზურაბ მიქაძის ადვოკატი კობა კობახიძეც.*

*ჯერჯერობით ამ საქმეზე კომენტარს არ აკეთებს მთავარი პროკურატურა, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით, სულ მალე საქმეზე გამოძიება დასრულდება და საქმე უკვე სასამართლოში წარიმართება.*

*ამ ფირის ნახვა განსაკუთრებით შოკის მომგვრელი აღმოჩნდა ბუტას მშობლებისთვის.*

**ია მეტრეველი:** — „რუსთავი 2“-მა კიდევ ერთხელ ჩაიდინა დანაშაული, — ჯერ წლების წინ გამოაცხადეს ჩემი შვილი ბანდიტად და ახლაც ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ეს საშინელი ფირი გვაჩვენეს. ჩემი ოჯახის წევრები შოკირებული არიან და მთელი საქართველო მირეკავს. ეს არის ის ფირი, რომელიც მაშინ იხილა საზოგადოებამ, ოღონდ უფრო ვრცელი ვარიანტი. საზოგადოებამ კიდევ ერთხელ დაინახა, რა ჯალათებთან გვქონდა საქმე. ნაცვლად იმისა, დაჭრილი ბავშვისთვის ეშველათ, ნახეთ, როგორ პოზიორობენ და რას აკეთებენ ვიდეოკამერების წინ. რა საჭიროა ექსპერტიზა, როდესაც ნათლად ჩანს, რომ ფირი დამონტაჟებულია. ბევრი უზუსტობა გაეპარათ. პირველ ფირში კარგად ჩანს ყუმბარა და ნიღბები, იქ ხმა არ ისმის. რაც უნდოდათ, ამოჭრეს, რაც უნდოდათ, დაამატეს. ვერ გამიგია, რატომ უნდა მიწევდეს თავის მართლება, რაში მჭირდება? გაგიჟებული ვარ, რომ დამნაშავეები ისევ გარეთ არიან. არც კი ვიცოდი ფირცხალავას არსებობა და ყველამ ნახა, ვინც არის. მას თავის გადარჩენა უნდა, რადგან ვაზაგაშვილის საქმეშიც ფიგურირებს. დონაძე კი ჩამოვიდა დაგეგმილი სცენარით, რომელშიც, როგორც ჩანს, ირაკლი ოქრუაშვილიც არის გარეული. ისიც ამბობს, იარაღი იქ იყოო, არადა, აქამდე გაიძახოდა, წარმოდგენაც არა მაქვს, რა მოხდაო. არაფერი გამოუვათ, უამრავი მასალა დევს პროკურატურაში. უბრალოდ, ცდილობენ ამ ფირით ჩვენს განადგურებას. ალბათ, უნდათ ისე გამისტუმრონ, როგორც ირინა ენუქიძე, მაგრამ ვერ ეღირსებიან. მათ მე გავისტუმრებ ციხეში. ვიცი, ძალიან მალე ყველაფერს ნათელი მოეფინება. მათ საინფორმაციო ომი აქვთ გამოცხადებული. თუ საქმეს იგივე სასამართლო განიხილავს, იმედი არა მაქვს, მირჩევნია, გათავისუფლდეს სასამართლო კუბლაშვილისგან და მერე განიხილონ.



**„უნდათ ისე გამისტუმრონ, როგორც ირინა ენუქიძე, მაგრამ ვერ ეღირსებიან“**

***„გაგიჟებული ვარ, რომ დამნაშავეები ისევ გარეთ არიან“***

— **ოქრუაშვილის პასუხისმგებლობასაც მოითხოვთ?**

— რადგან სინდისი არ აწუხებს, პასუხი უნდა აგოს, ისევე როგორც ყველა მაღალჩინოსანმა, ვინც ამ საქმეში მონაწილეობდა. მათ შორის არის გიორგი ღვინიაშვილიც. დონაძის განცხადებები უცხოეთზეა გათვლილი. უნდათ, აჩვენონ, რომ ვითომ წამებულები არიან. მე შურისძიება რომ მნდომოდა სხვა ფორმით, არც დონაძე იქნებოდა ცოცხალი და არც სხვები.

### თუ მათი ჩაქოლვა გვინდოდა, 9 წლის მანძილზე ჩავქოლავდით.

ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი, მაგრამ არა მგონია, ახალი ხელისუფლების პირობებში სამართალს ვერ მივაღწიოთ.

ჯერჯერობით უცნობია, განადგურებულია თუ არა ოპერატორ ზურაბ ვაწაძის მიერ შემთხვევის ადგილზე გადაღებული კადრები, სადაც ჟურნალისტ გოჩა მუკბანიანის თქმით, გასროლა დაფიქსირებულია. მუკბანიანი ირწმუნება, რომ ეს კადრები მათ გურამ დონაძემ გამოართვა.

**გოჩა მუკბანიანი:** „ბაშალეიშვილის მანქანით ვმოძრაობდით. მას მეწყვილე ჰყავდა, ლობჟანიძე. მანქანაში ვისხედით, როცა რაციით გადმოსცეს, რომ პატრულს ჰყავდა გაჩერებული მანქანა და ახალგაზრდები პოლიციელებს ეკამათებოდნენ. რომ მივედით, 6 ახალგაზრდა და ორი პოლიციელი დაგვხვდა. შემთხვევის ადგილზე 3-4 წუთში მივედით. გადავედით მანქანიდან, ჩემმა ოპერატორმა კამერა ჩართო და დაიწყო გადაღება. რატომღაც გადაწყვიტეს, ბიჭებისთვის ხელბორკილები დაედოთ. ისინი ეკითხებოდნენ, რა დავაშავეთო. ამ დროს ბაშალეიშვილი ხელს უგრეხდა ბუტას და ცდილობდა, ხელბორკილი დაედო. რატომღაც იარაღი მომარჯვებული ჰქონდა. ძიძგილაობაში იარაღი გაუვარდა. ამასობაში სხვა ეკიპაჟებიც მოცვივდნენ. ამ დროს მირეკავს დონაძე და მეუბნება, დაუძახე ზურაბ ვაწაძეს, გადმოდით ქუჩის მეორე მხარესო. ჩავსხედით მე და ვაწაძე მის მანქანაში. გურამი გვეუბნება, მომეცით მასალაო. ამ დროს საჭესთან ზურაბ მიქაძე იჯდა, მის გვერდით — დონაძე. კასეტა 4-5 ჯერ ნახეს. იქ დაფიქსირებული იყო გასროლის ხმა, მაგრამ მოკლული არ ჩანდა. ერთმანეთს გადახედეს. დონაძემ გვითხრა, აქ დარჩითო, მერე ზურა ვაწაძეს მიუბრუნდა, როცა დაგიძახებ, მაშინ გადმოდი მანქანიდანო. კასეტა ამოიღო და წაიღო. 30-40 წუთი ვისხედით მანქანაში, მერე ვაწაძეს დაუძახეს და ის გადავიდა გადასაღებად. მე რომ მივედი, მანქანის საბარგულზე ავტომატები, ხელყუმბარები, ვაზნები ეწყო, ბუტას ფეხებთანაც იდო იარაღი“.

მუკბანიანი ირწმუნება, დონაძე მოკვლით მემუქრებოდა, თუ ამ ფაქტს გაახმაურებო.

კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც ამტკიცებს ბიჭების უდანაშაულობას, ზურაბ ბაქრაძეა. იგი თბილისის კრიმინალური პოლიციის უფროსი იყო და ამ საქმეში ბრალდებულის სტატუსი აქვს. მართალია, სხვა ბრალდებულებს: გურგენ დონაძეს, ზურაბ მიქაძეს, ირაკლი იაშვილსა და ირაკლი ფირცხალავას სასამართლომ გირაო შეუფარდა, მაგრამ ზურაბ ბაქრაძე პატიმრობაში დატოვეს. გამოძიების მტკიცებით, ბაქრაძემ მიქაძესთან ერთად შემთხვევის ადგილზე იარაღი მიიტანა. იგი ამჟამად იძებნება და საქართველოში არ იმყოფება.

გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს **ზურაბ ბაქრაძესთან:** — გავიგე, ზურაბ მიქაძის ადვოკატი აცხადებს, რომ მის დასაცავს ჩვენება ზეწოლით მიაცემინეს და მან ახლა შეცვალა ჩვენება. ზურაბ მიქაძე კიდევ რამდენიმეჯერ შეცვლის ჩვენებას. ის ვაჭრობს, ცდილობს, როგორმე ამ საქმიდან გამოძვრეს. რაც შეეხება ფირს, რომელიც გავრცელდა, ის ნამდვილად არსებობდა, მაგრამ მერწმუნეთ, გადაღებულია მომხდარიდან დაახლოებით 50 წუთის შემდეგ. არავითარი კავშირი ამ ფირს რეალობასთან არა აქვს. არ მინდა, არც ირაკლი ფირცხალავა და არც სხვები უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო, მაგრამ ძალიან მიკვირს, ირაკლიმ რატომ აიღო ამხელა ტვირთი საკუთარ თავზე, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ეს ფირი შემოუგდეს. ისიც შემიძლია გითხრათ, საიდან მოხვდებოდა ეს ფირი ირაკლი ფირცხალავასთან, მაგრამ ამაზე საუბრისგან ჯერ თავს შევიკავებ, რადგან ზუსტად დადასტურებული არა მაქვს. ერთს გეტყვით, ეს ფირი ფირცხალავას რომ არ გამოეჩინა, შეიძლებოდა მისთვის ფირის განადგურება დაებრალებინათ. არც ალექსანდრე გვაზავა, არც ირაკლი ფირცხალავა და არც ირაკლი იაშვილი საქმის გაყალბების დროს იქ არ ყოფილან. მიქაძემ თავიდანვე დაიწყო ამ საქმით ვაჭრობა და თქვა, თითქოს მას ზურაბ ბაქრაძემ დაავალა ეს, მაგრამ ეს არ გამოუვიდა. ახლა ახალ ვერსიას თხზავს.

— **ბატონო ზურაბ, თქვენ ადასტურებთ, რომ ფირში ნაჩვენები იარაღი ჩადებულია?**

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ამ ბიჭებიდან არც ერთს იარაღი არ ჰქონია. ყველა ის იარაღი პირადად ზურაბ მიქაძის მიტანილია. მე თავს დამნაშავედ მხოლოდ ერთ რამეში ვცნობ, რომ 9 წლის განმავლობაში ეს ამბავი ვიცოდი და არ განვაცხადე. ამის გამო დიდ ბოდიშს ვუხდი ბუტა რობაქიძის მშობლებს და საზოგადოებას.

— **მაშინ იქნებ ისიც გვითხრათ, რატომ დუმდით ამდენ ხანს?**

— თუ ამას 2004 წელს ვიტყოდი, ამ 9 წლის განმავლობაში პატიმარი ვიქნებოდი და კიდევ რამდენი წელი მექნებოდა დარჩენილი, ვინ იცის. იმ ფირში კარგად ჩანს, არის ყვირილი, ადექი, დაწექი, ვის აქვს იარაღი და ამ დროს ვჩნდები მეც. მე იქ ლევან გვაზავასთან, ირაკლი ფირცხალავასა და ირაკლი იაშვილთან ერთად მივედი, მაშინ, როცა ყველაფერი გაწყობილი იყო და ბუტა უკვე გარდაცვლილი იყო. მერწმუნეთ, ცოცხალი რომ დაგვხვედროდა, სასწრაფოს გამოძახებას არ დავიწყებდით, მანქანაში ჩავსვამდით და საავადმყოფოში გადავიყვანდით.

— **თქვენი აზრით, ფირი დამონტაჟებულია?**

— სხვადასხვა ეპიზოდი ერთმანეთშია არეული. ე. ი. დამონტაჟებულია.

— **თქვენ ძებნილი ხართ. თავიდან ამბობდით, რომ აუცილებლად ჩამოხვიდოდით საქართველოში, რატომ აარიდეთ თავი გამოძიებას?**

— ვიცოდი, არეული სიტუაცია იქნებოდა და ამიტომ თავი შევიკავე. ჩემს ძმას უწყება 4 საათზე მიუტანეს და 6 საათზე ბრალი უკვე წამიყენეს. მერწმუნეთ, ორ საათში ვერანაირად ვერ ჩამოვიდოდი საქართველოში. მე თავს დამნაშავედ არ ვცნობ. ვერ დავეთანხმები იმ კომენტარებს, რაც ირაკლი ფირცხალავაზე ვრცელდება, ვფიქრობ, ის გამოიყენეს, მისცეს ფირი და მანაც გამოაჩინა. თქვენ რომ არ შემხმიანებოდით, ვაპირებდი, ქალბატონი ია მეტრეველისთვის „ფეისბუკზე“ მიმეწერა ყველაფერი და ბოდიში მომეთხოვა, რომ ამას ამდენი წელი ვმალავდი.

პოზიციას არასოდეს შევიცვლი. ეს იყო პატრულის სახელის გაფრთხილება, სხვა არაფერი. ბაშალეიშვილი მთვრალი იყო, ამას ვადასტურებ. როდესაც მოვიკითხე, სად არის ის პატრულის თანამშრომელი-მეთქი, მიქაძემ მითხრა, მთვრალიაო. შენც იცი, დღეს პატრულის როგორი პიარი მიდის და მეტს ვერაფერს გეტყვიო.

### ბაშალეიშვილი მთვრალი გადმოვიდა მანქანიდან და ამ დროს გაუვარდა იარაღი, როგორც ვიცი, საცოდავ ბიჭს ტყვია ილლიაში გაარტყა. მიქაძისთვის რომ არ ყოფილიყო გირაო შეფარდებული, ის აუცილებლად დაასახელებდა იმ გვარებს, ვის დავალებასაც ასრულებდა. ყველაფერი იცის გურამ დონაძემ. იმ დროს იქ იყო და პატრული მთლიანად მას ექვემდებარებოდა.

(გაგრძელება გვ. 12)

# „ვიცი ბევრი იმ სპორტსმენის ვინაობა, რომელიც მაწამებდა“



*მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, კარატისტი ამირან ბიწაძე, რომელსაც არაერთი მოწინააღმდეგე დაუმარცხებია რინგზე, საშინელი ძალადობის და წამების მსხვერპლი გახდა. არადა, იგი „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი მონაწილე იყო. ამბობს, რომ სააკაშვილის გუნდის სამიზნე განსხვავებული აზრის გამო გახდა... გლდანის საპყრობილეში ორი თვე გაატარა და იმ პირობით გამოუშვეს, თუ საქართველოს დატოვებდა.*

ამირან ბიწაძე: — მიშამ მტრად იმ დღიდან გამომაცხადა, მარჯანიშვილზე აქციის მონაწილეები რომ დახვდნენ, მათ რიცხვში მეც ვიყავი. პოლიციელები მომიტინგეებს დაერივნენ, მე კი ხალხს ვშველოდი. მაშინ სიძულვილით შეპყრობილმა სააკაშვილმა ჩემი განადგურება გადაწყვიტა. პირველად 2009 წლის 28 მაისს დამიპირეს დაკავება. რუსთავში, ჩემს სახლში, მეუღლის დაბადების დღეს აღვნიშნავდით. თბილისში კარვები იყო გაშლილი და აქციები იმართებოდა. სახლთან უამრავი ძალოვანი მოგროვდა. მივხვდი, ჩემი და ჩემი ძმის, ტარიელის (*ტარიელ ბიწაძე მსოფლიოს 4-გზის ჩემპიონია. — ავტ.*) დაკავებას აპირებდნენ. მაშინვე დავურეკე ჩემს ნათესავს, ბადრი ბიწაძეს... განყოფილებაში წაყოლა მომთხოვეს, შენმა მოწაფემ ვიღაც დაჭრაო, გვარიც არ იცოდნენ... ამ დროს ნინო ბურჯანაძეს მიტინგზე გამოუცხადებია, რუსთავში მივდივარ, იქ სპეცოპერაცია იგეგმებაო. არ ვიცი, ეს იყო მიზეზი თუ სხვა ბრძანება მიიღეს, მაგრამ ფაქტია, წავიდნენ. მეორე დღეს, ჩემი მეუღლის სახელზე გაფორმებულ მაღაზიაში საგადასახადო შევიდა — რუსთავში ტექნიკის მაღაზია გვქონდა. მისი დაკავება მოინდომეს, ამით

**„მხარი, იდაყვი, ხელის მტევანი, კოჭი და წვივი მოტეხილი მქონდა“**

ჩემი გამწარება უნდოდათ. ვიღაც ზურასთან შემიყვანეს, უფროსიაო. მეუბნება, — გაფრთხილებ, ყველაფერი ვიცი თქვენზე და ჯობია ყველაფერი აღიაროო. მაშინ დავემუქრე, თუ დავაშავე, მზად ვარ, პასუხი ვაგო, მაგრამ მეუღლეს თუ რამეს მოუწყობთ, კაცი არ ვიყო, თუ არ მოგკლა-მეთქი. საბუთების ფალსიფიცირებას გვედავებოდნენ, საბოლოოდ 3 800 ლარით დამაჯარიმეს. მეუღლის გამო დავთმე.

2009 წლის 2 აგვისტოს კი ბიძაშვილთან, დათო ბენდელიანთან ერთად მანქანით ცხვარიჭამიის გზაზე მივდიოდით, როცა „ჯიპმა“ გზა ჩაგვიჭრა. ახლობელი მეგონა და მანქანა გადავაყენე. უცებ ჩემ გვერდით სამარშრუტო ავტობუსი გაჩერდა, უკან — „ნივა“, „ბმვ“ და „07“ — ალყაში მომაქციეს. მივხვდი, რაღაც ხდებოდა და დათოს ვუთხარი, არ გაინძრე-მეთქი. მანქანებიდან ნიღბიანები სროლა-სროლით გადმოცვივდნენ, შესაშინებლად ჰაერში ისროდნენ... უცებ ვიგრძენი, რაღაც მომხვდა ფერდში... (როგორც შემდეგ გავარკვიე, რეზინის ტყვიები ყოფილა) ჩემი ბიძაშვილი მანქანიდან გაიტაცეს, მე საჭეს ჩავებღაუჭე და წმინდა გიორგის დახმარება შევთხოვე, ამ საშინელებიდან ვაჟკაცურად გამომიყვანე-მეთქი. მერე ღვთისმშობლის ლოცვაც წავიკითხე... უცნაურია, მაგრამ უცებ თვალწინ ჩემი შვილები და ჩემი ცხოვრება კადრებად დამიდგა. მშობლები ადრე დამეღუპნენ და გავიფიქრე, ნუთუ მეც ადრე უნდა მოვკვდე-მეთქი, ჩემი ოჯახი შემეცოდა... მერე ისევ რეალობაში დავბრუნდი. მანქანიდან ჩემს გადმოთრევას ცდილობდნენ, მივხვდი, წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა... არმატურით მცემდნენ, იმდენი მირტყეს, ტკივილს ვეღარ ვგრძნობდი, მერე ვიღაცამ ელექტროშოკი მომადო და ავყვირდი. უნდა გენახათ, როგორ გაუხარდათ. მერე კიდევ 5-ჯერ მომადეს. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ შიგნით მთელი სხეული დამეგლიჯა. ვყვიროდი, თუ მკლავთ, კაცურად მაინც მომკალით-მეთქი... ჩემს წამებაში მორაგბეები და მოჭიდავეები მონაწილეობდნენ. ნიღბები ეკეთათ, მაგრამ მათი ვინაობა ვიცი, მალე დავასახელებ. მათ შორის ჩემი ნაცნობებიც არიან... სამარშრუტო ავტობუსის ჭერზე სისხლის კვალი შევნიშნე, გავიფიქრე, ის მანქანა ხომ არ არის, სადაც გია კრიალაშვილი მოკლეს-მეთქი... დამაგდეს და წიხლებით შემდგნენ, თან არმატურას მირტყამდნენ. პარალელურად, ვიღაცას რაციით ელაპარაკებოდნენ. მერე, წავედითო და მანქანა დაიძრა.

**«« ამირან ბიწაძე: თქვენ არ იცით, სააკაშვილი და მისი გუნდი რა საშინელებებს სჩადიოდნენ, თან ყველაფერს ფირზე აღბეჭდავდნენ და მერე ყურებით ტკბებოდნენ. ყოფილი ძალოვანი დაშნიანი 2009 წელს სასტიკად აწამეს იმის გამო, რომ მათი დაკვეთების შესრულებაზე უარი თქვა. სასაფლაოზე აიყვანეს, ამოთხრილ ორმოში ჩააგდეს და ზემოდან დააშარდეს...**

**„199-ე საკანში რომ შემიყვანეს, პატიმრები ხმას არ იღებდნენ. წინაღამეს საკნიდან ორი ადამიანი გაუსვენებიათ, ცემით მოკლესო“**

— **თქვენს ბიძაშვილს რა ბედი ეწია?**

— ნაცემი იქვე დააგდეს. მერე მომიყვა, ძირს დაგდებულს ავტომატის ჯერი როგორ გადააატარეს. ხელი ორ ადგილას ჰქონდა მოტეხილი, ფეხიც მოტეხილი ჰქონდა, თვალი დასივებული. მითხრა, ვხედავდი, ყველა ტყვია როგორ აკრიფეს და, რაც ყველაზე ამაზრზენია, ამ საშინელებას კამერით იღებდნენო. მაზოხისტები არიან, ამის ყურებით იღებდნენ სიამოვნებას. დათო გამვლელებმა აღმოაჩინეს... სამწუხაროდ, იმავე წელს, 41 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა...

— **თქვენ სად წაგიყვანეს?**

— სასაფლაოსკენ, სადღაც გორაზე, ირგვლივ ტრიალი მდელო იყო. მანქანიდან გადმომაგდეს, იქ ვიღაცები დაგვხვდნენ, მხოლოდ მათ ფეხებს ვხედავდი. ისევ განაგრძეს ჩემი ცემა. სამარშრუტო ავტობუსის საბურავს ჩავებღაუჭე, თავი შიგნით შევყავი და ვცდილობდი ასე დამეცვა თავი დარტყმისგან. ისეთი გამწარებული ვიყავი, გავიფიქრე, 2-3 კაცს მივახრჩობ-მეთქი...

— **არ ჰკითხეთ, რას გერჩოდნენ?**

— ვყვიროდი, რატომ მკლავთ-მეთქი. ჩვენიანებს რომ ურტყამდი, აბა რა გეგონაო. ვუხსნიდი, არავისთვის დამირტყამს, ხატის წინ დავიფიცებ-მეთქი და ამ დროს კიდევ დამცხეს. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ჩემი წამება, მერე ვიღაცამ დაიძახა, მანქანით გადავუაროთო. აიტაცეს ეს იდეა და მარჯვენა ხელზე გადამიარეს, მერე იქაურობა დატოვეს... გონს რომ მოვედი, ჩემი დაცხრილული მანქანა შევნიშნე, ეტყობა, ვიღაც ჩემი მანქანით უკან გამოგვყვა... ძლივს მივღოღდი იქამდე, გასაღები ამოცლილი ჰქონდა. წყალი მწყუროდა საშინლად, საქარე მინის საწმენდის პლასტმასის ბაკი ამოვგლიჯე და ის წყალი დავლიე. მანქანაში რომ ჩავჯექი, მერეღა დავინახე, რომ ქვევით უამრავი ქვეწარმავალი ირეოდა. კარი მოვხურე, შემეშინდა გველს არ დავეგესლე და ისევ ლოცვა დავიწყე. 4-5 საათი ვიყავი ასე... თავს როგორც კი წამოვყოფდი, ღებინება მეწყებოდა. ჭრილობაც საშინლად მაწუხებდა, სიმწრით ერთი ტყვია ამოვიძვრე. ვიგრძენი ბლანტი სისხლი როგორ წამოვიდა. ძალა დავკარგე, კანკალი დამაწყებინა. რომ მოვსულიერდი, შევნიშნე, მანქანაში რაღაც ხახვის ნაჭრებივით ეყარა. გამიკვირდა, ხახვს აქ რა უნდოდა-მეთქი, ერთს ხელი წავავლე და ჩემი დაფლეთილი ხორცი შემრჩა. მერე მანქანის ჭერზეც ვნახე მიკრული, ეტყობა, რეზინის ტყვიები რომ დამიშინეს, მაშინ ხორცი მანქანაში მიმოიფანტა.

4 სმ სიგრძის ტყვია იყო. ახლო მანძილიდან ნებისმიერ ადამიანს მოკლავს. ორი ცალი მქონდა ფერდში, მეორე ტყვიას ვერ მივწვდი, თორემ მასაც ამოვაძრობდი... მერე მოშორებით ადამიანები შევნიშნე და ვიყვირე, მიშველეთ-მეთქი... სასწრაფოთი ღუდუშაურში გადამიყვანეს. მხარი, იდაყვი, ხელის მტევანი, კოჭი და წვივი მოტეხილი მქონდა. ნინო ბურჯანაძემ მთელ მსოფლიოს გააგებინა ჩემი ამბავი. ეუთოს წარმომადგენელი პიტერ სემნები ორჯერ შემხვდა, ნუ გეშინია, აწი არაფერი მოგივაო. ვუთხარი, პრეზიდენტისგან ამის პირობა მიიღეთ-მეთქი? პასუხი ვერ გამცა.

— **საქმე არ აღძრულა?**

— ჩემი საქმე მტვრიან კუთხეში დევს დღესაც. ახლა ერთს ველოდებოდი, რომელმაც იცის ყველაფერი. ისიც ჩამოვიდა საქართველოში, განდევნილი იყო ჩემსავით.



**«« არმატურით მცემდნენ, იმდენი მირტყეს, ტკივილს ვეღარ ვგრძნობდი, მერე ვიღაცამ ელექტროშოკი მომადო და ავყვირდი. უნდა გენახათ, როგორ გაუხარდათ. მერე კიდევ 5-ჯერ მომადეს. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ შიგნით მთელი სხეული დამეგლიჯა. ვყვიროდი, თუ მკლავთ, კაცურად მაინც მომკალით-მეთქი...**

**„მადლობა ღმერთს, რომ ეს კოშმარი დამთავრდა“**



**«« სიმწრით ერთი ტყვია ამოვიძვრე. ვიგრძენი, ბლანტი სისხლი როგორ წამოვიდა. ძალა დავკარგე, კანკალი დამაწყებინა. რომ მოვსულიერდი, შევნიშნე, მანქანაში რაღაც ხახვის ნაჭრებივით ეყარა. გამიკვირდა, ხახვს აქ რა უნდოდა-მეთქი, ერთს ხელი წავავლე და, ჩემი დაფლეთილი ხორცი შემრჩა. მერე მანქანის ჭერზეც ვნახე მიკრული, ეტყობა, რეზინის ტყვიები რომ დამიშინეს, მაშინ ხორცი მანქანაში მიმოიფანტა(!)**



**«« გონს რომ მოვედი, ჩემი დაცხრილული მანქანა შევნიშნე. ძლივს მივღოღდი იქამდე, გასაღები ამოცლილი ჰქონდა. წყალი მწყუროდა საშინლად, საქარე მინის საწმენდის პლასტმასის ბაკი ამოვგლიჯე და ის წყალი დავლიე. მანქანაში რომ ჩავჯექი, მერეღა დავინახე, რომ ქვევით უამრავი ქვეწარმავალი ირეოდა. კარი მოვხურე, შემეშინდა გველს არ დავეგესლე და ლოცვა დავიწყე...**



*მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, კარატისტი ამირან ბიწაძე, რომელსაც არაერთი მოწინააღმდეგე დაუმარცხებია რინგზე, გაუგონარი ძალადობისა და წამების მსხვერპლი გახდა*

**— თქვენ როდის დატოვეთ საქართველო?**

— შარშან დამაპატიმრეს. გლდანის ციხეში ორი თვე გავატარე. თურმე ბავშვობისას მე ვავარჯიშებდი ციხის მაშინდელ დირექტორს, დავით ხუჭუას და მინისტრის მოადგილეს. ამიტომ არ მცემეს. 29 წლის ხუჭუა 46 წლის კაცს მეუბნება, ხომ იცი, ჭკვიანად უნდა მოიქცეო.

**— დაპატიმრების საფუძველი რა იყო?**

— ივანიშვილს პოლიტიკური მოქმედებები დაწყებული ჰქონდა და თურმე ვიღაცას ჩემი კანდიდატურა შეუთავაზებია. ეტყობა, ეს გაიგეს... ბრალი კი სხვა რამე იყო. თბილისიდან ვინმე ხვედელიძე ჩამოვიდა რუსთავში და ჩემი სახლის შესასვლელთან ძაღლივით მოშარდა. მის ცემაში მადანაშაულებდნენ. ის რომ მეცემა, ცოცხალი ვერ გადამირჩებოდა. ხელი მოვკიდე იღლიებში და ღობეზე მივაკარი, უცებ ყვირილი ატეხა და მივხვდი, პროვოკაციას მიწყობდნენ. სასწრაფოდ შინ შევედი. ხვედელიძე პრობაციონერი აღმოჩნდა. ხვედელიძის სხეულის დაზიანებაში დამდეს ბრალი და 2012 წლის 12 მაისს დამაპატიმრეს... მახსოვს, 199-ე საკანში რომ შემიყვანეს, პატიმრები ხმას არ იღებდნენ. წინა ღამეს საკნიდან ორი ადამიანი გაუსვენებიათ, ცემით მოკლესო. პატრიარქის ჩარევით გამიშვეს ციხიდან და პირობა წამომიყენეს, რომ საქართველოდან წავსულიყავი. 3 თვე ვიყავი რუსეთში, პატრიარქის კურთხევით დავბრუნდი არჩევნების შემდეგ. ოჯახი გაფრთხილებული მყავდა, თუ ისევ „ნაციონალები“ მოიგებდნენ, სახლი გაეყიდათ და ყველანი წამოსულიყვნენ. არადა, რატომ უნდა დამეტოვებინა ჩემი ქვეყანა? როგორც სპორტსმენს, იაპონელები, ჰოლანდიელები, ფრანგები მთავაზობდნენ თავიანთ ქვეყანაში დარჩენას, მაგრამ მე სამშობლოში დავბრუნდი. მადლობა ღმერთს, რომ ეს კოშმარი დამთავრდა. მჯერა, ყველა დამნაშავე პასუხს აგებს ჩემი წამების გამო. დამოუკიდებლად ვატარებ გამოძიებას და

ვიცი ბევრი იმ სპორტსმენის ვინაობა, რომელიც ჩემს წამებაში მონაწილეობდა.

თქვენ არ იცით, სააკაშვილი და მისი გუნდი რა საშინელებებს სჩადიოდნენ, თან ამ ყველაფერს ფირზე აღბეჭდავდნენ და მერე ყურებით ტკბებოდნენ. ყოფილი ძალოვანი დაშნიანი 2009 წელს სასტიკად აწამეს იმის გამო, რომ მათი დაკვეთების შესრულებაზე უარი თქვა. სასაფლაოზე აიყვანეს, ამოთხრილ ორმოში ჩააგდეს და ზემოდან დააშარდეს. ასეთი ავადმყოფები და მაზოხისტები იყვნენ. ესენი დაუსჯელები არ უნდა დადიოდნენ.

*თეა ხურცილავა*

# „სიმწრისგან ვენა გამოვიჭამე“

*პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ ქვემო ქართლის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ყოფილი პოლიტპატიმარი **თორნიკე არევაძე** პატიმრების წამებაში მონაწილე შსს-ს მაღალჩინოსნებს ასახელებს.*

— 2009 წლიდან აქციების ორგანიზებაში აქტიურად ვარ ჩართული. პირველად „საკნების ქალაქის“ დაშლის შემდეგ დამაკავეს. რუსთავში მაღაზიიდან გამოვდიოდი, შარვლის ტოტში ხელი ჩამავლეს და ასე მიმათრიეს მანქანამდე. რუსთავის პოლიციის სამმართველოში შეადგინეს აქტი — თურმე ჩხრეკის დროს აღმომაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება... სასამართლომ 7 წელი მომისაჯა. ოთხი თვის შემდეგ პრეზიდენტის შეწყალებით გამომიშვეს ჩემს 50 მეგობართან ერთად, რომლებიც საკნების აქციაში ვმონაწილეობდით. ციხეში ჩემთან შემოდიოდნენ კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები: ლევან ტყეშელაშვილი — რუსთავის კუდ-ის ყოფილი უფროსი და ზურა ტატიკიშვილი — ქვემო ქართლის კუდ-ის ყოფილი უფროსი. პირველი კლასელია ჩემი, მეორე — ნათლულის ძმა.

4 თვის განმავლობაში ყოველღამ 2-3 სთ-ზე იღებოდა საკნის კარი და ოთხი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ნიღბოსანი შემოდიოდა. შემდეგ გავყავდი აბანოში და მაიძულებდნენ, მეღიარებინა ნარკოტიკების მოხმარება. როცა ციხიდან გამოვედი, ტყეშელაშვილსა და ტატიკიშვილს ვკითხე, მართლა მიგზავნიდით ნიღბიანებს ყოველ ღამე-მეთქი? — კიო, — მიპასუხეს, გამოდის, ჩემი კლასელი და ნათლულის ძმა მაწამებდნენ(!) — ხომ გაგაფრთხილეთ, არ მისულიყავი აქციებზეო. ეს ჩემი პირველი

**„სისხლიანი კარანტინის შემდეგ სანაძლეოს დებდნენ, ვინ უფრო მეტი კბილი ჩამოუღო პატიმარს“**



**«გაშიშვლებულ პატიმარს ხელებსა და ფეხებში ჩაავლებდნენ და მთელი ძალით კედელს ანარცხებდნენ. პატიმარს სხეულზე ცემის კვალი არ რჩებოდა, სამაგიეროდ, ბევრი ორგანოების ჩაწყვეტითა და ფარული სისხლდენით იღუპებოდა**

პატიმრობა იყო. ნამდვილი ჯოჯოხეთი კი შემდეგ დაიწყო.

**— მეორედ რატომ დაგიჭირეს?**

— 26 მაისის აქციაზე რუსთავიდან ხალხი ჩავიყვანე თბილისში... იმ სასაკლაოს ერთ-ერთი ავტორი ლევან ტყეშელაშვილია. ის უშუალოდ მონაწილეობდა აქციის დარბევაში და რუსთავის ორგანიზაციის წევრების ცემაში... დღე-ნახევარი ვიჯექი ცეკავშირის შენობის სახურავზე. აქციის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, რომ მომადგა წლების უნახავი ასევე ბავშვობის მეგობარი, ძველი თბილისის კუდ-ის მაშინდელი უფროსის მოადგილე, ვიცე-პოლკოვნიკი ვახო დანელია. რუსთავში ჰქონდა რესტორანი „მწვადის სახლი“. მეგობრებთან ერთად 8 მარტის აღნიშვნა მის რესტორანში გადავწყვიტე. შუა ქეიფის დროს ვახო მეუბნება, ცუდი სიმთვრალე დამჩემდა, იარაღს ვისვრიო და თავისი იარაღის შენახვა მთხოვა. გამოვართვი შავტარიანი, ვერცხლისფერი რევოლვერი და სუფრაზე გვერდით დავიდე. ამის შემდეგ დანელია გარეთ გავიდა. 5 წუთში შემოვიდნენ პოლიციელები და ჩემს მოპირდაპირე მხარეს დასხდნენ. რაღაცა ვიეჭვე და იარაღი სასწრაფოდ ბარმენს გავატანე შესანახად, მერე კი პოლიციელების გასაგონად ოფისში დავრეკე და საქმის ვითარება ავუხსენი... ამის შემდეგ სტუმრებთან ერთად სხვა რესტორანში გადავედი. დანელია იქაც თავზე დამადგა და ჩხუბი აუტეხა გვერდით მაგიდასთან მშვიდად მსხდომ აზერბაიჯანელებს. ისინიც ადგნენ და გავიდნენ, დანელიაც უკან გაჰყვა... ცოტა ხანში ყვირილი შემოგვესმა. დანელია კი მალევე შემობრუნდა, ვითომ არაფერიო და განაგრძო ქეიფი. მალე რესტორანში ისევ ის პოლიციელები შემოვიდნენ, ერთი საათის წინ რომ გავერიდე. თან გასისხლიანებულ აზერბაიჯანელს მოათრევდნენ, რომელიც ხელს დანელიასკენ იშვერდა. ამ დროს დანელია იღებს იარაღს და ყველას დასანახავად მაწვდის, — ძმურად, აიღე რა... ამჯერად, წითელტარიან მაკაროვს. გასისხლიანებული აზერბაიჯანელის, პოლიციელებისა და იარაღის დანახვაზე ჩემი სტუმარი გოგონები აკივლდნენ. დანელიამ უკან ჩაიდო იარაღი, მივიდა პოლიციელებთან და გადაკოცნა ისინი. აუხსნა, — აზერბაიჯანელს „წავესპ-ორეო“ და პოლიციელებს გაჰყვა ახსნა-განმარტების მისაცემად... მოკლედ, დანელიას უნდოდა, როგორმე გავეფუჭებინე, მაგრამ არ გამოუვიდა...

არ გასულა ერთი თვე, რომ კონსტიტუციური უსაფრთხოების თანამშრომლებმა პირდაპირ ქუჩიდან ამიყვანეს. ამჯერად, რუსთავის პოლიციის სამმართველოში პროკურორ მირზა სუბელიანთან აღმოვჩნდი. ეს ის პროკურორი იყო, რომელიც შეთითხნილი ბრალდებებით უშვებდა რეჟიმის მოწინააღმდეგეებს ციხეში (არჩევნების შემდეგ სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე სოზარ სუბარის მოადგილედ დაინიშნა, 2 თვის წინ კი თანამდებობა დატოვა. მისი სახელი ფიგურირებს ყველა რუსთაველი პოლიტპატიმრის საქმეში). ოთახის კარი ღია დარჩათ და დავინახე, როგორ უთითებდნენ აზერბაიჯანელს, ჩემს წინააღმდეგ მიეცა ჩვენება. აქტი ხელმოსაწერად სუბელიანმა მომიტანა, — ვიცი,

**«ამდენ ცემასა და უბედურებას რომ ვერ გავუძელი, კბილებით ვენა გამოვიჭამე – ცნობილი ჯალათები „ბასტი“ და „ბუბუ“ პატიმრების ცემის სურვილით კანკალებდნენ. ერთხელ, როცა გამეტებით მირტყამდნენ, ტელეფონმა დარეკა. უბრძანეს, შეეწყვიტათ ცემა, მაგრამ ისე აღგზნებული იყვნენ, ბრძანებას არ დაემორჩილნენ, – ძლივს გავხურდით, რა დროს შეწყვეტააო და ისე მცემეს, საკანში დაბრუნებულმა ვენა გამოვიჭამე**

რაც მოხდა, მაგრამ ჯობია, ხელი მოაწეროო. ლევან ტყეშელაშვილმა კი ხელბორკილი დამადო. ასე მოვხვდი 2012 წელს გლდანის ციხეში, რომელთან შედარებით, 2009 წლის ციხე სანატორიუმი იყო... ციხის კარის დაკეტვისთანავე იწყებოდა ჯოჯოხეთი. ცნობილი ჯალათის, ოლეგ ფაცაციას ნოვაცია გახლდათ ე. წ. სისხლიანი პარასკევი. ყოველ პარასკევს, საღამოს 7-8 საათზე, როდესაც კარანტინი იშლებოდა, დერეფნის ორივე მხარეს 15-მდე პოლიციელი ხელკეტით დგებოდა. კარანტინის გავლის შემდეგ დასისხლიანებულ პატიმრებს დერეფნის ბოლოში ფაცაცია ხვდებოდა. მისთვის უნდა მოგვეხსენებინა, რა მუხლით ვიხდიდით სასჯელს. ე. წ. ფინანსურებს საკნებში აბრუნებდა, „განსხვავებულებს“ კი „განსხვავებულად“ გვცემდა.



**„ჩემი კლასელი და ნათლულის ძმა მაწამებდნენ“**

**— განსხვავებული ცემა რას ნიშნავს?**

— სპეციალურად ნავარჯიშები ბიჭები ჰყავდათ. სისხლიანი კარანტინის შემდეგ სანაძლეოს დებდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტი კბილი ჩამოუღლო პატიმარს. ბოლოს, ამდენ ცემასა და უბედურებას რომ ვერ გავუძელი, კბილებით ვენა გამოვიჭამე — ცნობილი ჯალათები „ბასტი“ და „ბუბუ“ პატიმრების ცემის სურვილით კანკალებდნენ. ერთხელ, როცა გამეტებით მირტყამდნენ, ტელეფონმა დარეკა. უბრძანეს, შეეწყვიტათ ცემა, მაგრამ ისე აღგზნებული იყვნენ, ბრძანებას არ დაემორჩილნენ, — ძლივს გავხურდით, რა დროს შეწყვეტააო და ისე მცემეს, საკანში დაბრუნებულმა ვენა გამოვიჭამე.

ყველაზე მეტად პატიმრებს აბანოში ჩასვლის გვეშინოდა. ოლეგ ფაცაციას ცემის ასეთი მეთოდი ჰქონდა — გაშიშვლებულ პატიმარს ხელებსა და ფეხებში ჩაავლებდნენ და მთელი ძალით კედელს ანარცხებდნენ. მსხვერპლს სხეულზე ცემის კვალი არ რჩებოდა, სამაგიეროდ, ბევრი პატიმარი ორგანოების ჩაწყვეტითა და ფარული სისხლდენით იღუპებოდა.

იმ ცნობილი ვიდეოფირის გამოქვეყნების შემდეგ ციხის ჯოჯოხეთი შეწყდა. უცებ ბატონ თორნიკედ ვიქეცი. ოფიცრები მეხვეწებოდნენ, არ დაგვასახელო, შვილები გვყავსო. მე არ მყავდა შვილები, სასიკვდილოდ რომ მიმეტებდნენ? პროკურატურაში ვაპირებ საჩივრის შეტანას ყველა იმ პირზე, რომლებიც ჩემს საქმეში მონაწილეობდნენ.

*თამარ როსტიაშვილი*

*„რაც უნდა იგნორირება გაუკეთო, ფაქტი ფაქტად რჩება“*

*ოლდოს ჰაქსლი*



ტესტი-IMP
კომპლექსური სამედიცინო პრაქტიკა
INTEGRATED MEDICAL PRACTICE

# სიმსუქნის დამარცხება შესაძლებელია!

*Სიმსუქნე — პრობლემა, რომელზეც მსოფლიოში მილიონები იხარჯება, არა მარტო პრეპარატებზე, რომლებიც წონის კლებას უწყობს ხელს, არამედ თვითონ ადამიანზეც. სიმსუქნე არ არის ხანმოკლე, მხოლოდ თვალით შესამჩნევი პრობლემა; ეს არის ქრონიკული დაავადება და სწორი მკურნალობა სჭირდება.*

**რა იწვევს სიმსუქნეს?**

ეს არის პათოლოგია, რომელსაც განაპირობებს ენდოკრინოლოგიური და არაენდოკრინოლოგიური პათოლოგიები, ასევე არასწორი კვება, არაჯანსაღი ცხოვრების წესი, კერძოდ, როდესაც საკვებით მიღებული ენერგიის რაოდენობა ჭარბობს დახარჯულს. დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სოციალურ მდგომარეობას.

**რატომ ჭამენ ადამიანები?**

ჭამა დამამშვიდებლად მოქმედებს ადამიანებზე. ხანდახან ადამიანი ჭამს იმისთვის, რომ რამით დაკავდეს. მადამ შეიძლება გადასძლიოს მაძღრობა; კერძოდ, ადამიანმა, რომელმაც გემრიელად ისადილა ხორცით, ბოსტნეულით, მაინც ოცნებობს შოკოლადის ფილაზე, რადგან მისთვის ეს სიამოვნებაა. დიდი მნიშვნელობა აქვს, სად და ვისთან ერთად მიირთმევთ, მნიშვნელობა აქვს ოჯახურ ტრადიციებს, შეკრებებს, რომლებიც სასიამოვნო საღამოების გატარების საშუალებას იძლევა. ეს ჯერჯერობით საქართველოში შენარჩუნებულია.

**რა არის გამოსავალი?**

ცხოვრების წესის შეცვლა. პაციენტი პირველ რიგში მართალი უნდა იყოს საკუთარ თავთან, სწორად უნდა აფასებდეს საკუთარ მდგომარეობას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პაციენტი არ უნდა იყოს მარტო თავის პრობლემასთან, მას ხელი უნდა შეუწყოს ოჯახმა;

თუ საჭიროა, მისი კვების რეჟიმზეც უნდა გადავიდეს.

**როგორ მოვაგვაროთ პრობლემა?**

საკითხისადმი მიდგომა უნდა იყოს სწორი კვებითი ჩვევების გამომუშავება, არ უნდა დაუშვათ მოდური დიეტის გამოყენება, რომელიც იწვევს წონის მკვეთრ დაკლებას და შემდეგ ორმაგად მომატებას. ეს კი, ორგანიზმისთვის სტრესია. ნაკლები ყურადღება უნდა მივაქციოთ კოსმეტიკურ მხარეს და მეტი ცხოვრების ჯანსაღ წესს. სწრაფად არ ნიშნავს სწორად და სასარგებლოდ. თვეში წონის კლება უნდა იყოს 3-5 კგ.

**რას ნიშნავს სწორი კვება?**

გახარჯული კალორიები უნდა ჭარბობ-



დეს მიღებულს, რაციონი მარტივი უნდა იყოს პაციენტისთვის. აუცილებელია ჩვევების განმტკიცება, რომელიც შედეგის შენარჩუნებაში მიეხმარება.

ჩვენ მიერ შემუშავებული სწორი კვება, სწრაფმოქმედი დიეტისაგან განსხვავებით, დაფუძნებულია არა მკვეთრ კვებით შეზღუდვაზე, არამედ ის ემსახურება გარკვეულ მიზანს — ასწავლოს ადამიანს, როგორ დაგეგმოს საკუთარი რაციონი ხელმისაწვდომი პროდუქტებით, ფსიქოლოგიური დისკომფორტის გარეშე არეგულიროს საკუთარი წონა და მიღებული შედეგი მუდმივად შეინარჩუნოს.

ჯანსაღი ცხოვრების წესი თითოეული ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის პირდაპირპროპორციულია. ნათქვამია: „სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს“, თუმცა ეს მსხვერპლი ჩვენი ჯანმრთელობა არ უნდა იყოს.

***კლინიკა „ტესტი IMP“-ის ენდოკრინოლოგი რუსუდან იანქოშვილი***

R

ანტიბიოტიკოთერაპიის შემდგომი
დისბაქტერიოზი

ანტიბიოტიკები – ეს არის სამკურნალო პრეპარატები, რომლებიც აფერხებენ ბაქტერიებისა და სხვა მიკროორგანიზმების ზრდას, ან იწვევენ მათ სიკვდილს.

სასარგებლო ბაქტერიები ისევე ექცევიან ანტიბიოტიკების ზემოქმედების ქვეშ, როგორც მავნე ბაქტერიები.

ირღვევა ბალანსი სასარგებლო და მავნე ბაქტერიებს შორის და ვითარდება
დისბაქტერიოზი.

სწორედ დისბაქტერიოზი (და არა ანტიბიოტიკოთერაპია), იწვევს ისეთ გართულებებს, როგორიცაა:

- შებერილობა
- ფაღარათი
- შეკრულობა
- მუცლის ტკივილი
- იმუნიტეტის დაქვეითება და ა.შ.

ანტიბიოტიკებით გამოწვეული დისბაქტერიოზის მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის საუკეთესო არჩევანს წარმოადგენს პრეპარატი -
ლაქტო-ჯი

ლაქტო-ჯი
ანტიბიოტიკები ანადგურებენ არამარტო მავნე, არამედ სასარგებლო ბაქტერიებსაც და იწვევენ დისბაქტერიოზს.
ვითარდება:
✓ფაღარათი ✓შებერილობა ✓მუცლის ტკივილი

ანტიბიოტიკების მიღების პირველივე დღიდან
მიიღეთ ლაქტო-ჯი

ლაქტო-ჯი სწრაფად აღადგენს ნაწლავის ნორმალურ მიკროგარემოს

მიიღეთ
ლაქტო-ჯი
ანტიბიოტიკებთან ერთად, მკურნალობის პირველივე დღიდან




GMP
ჯი-ემ-პი
გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდით მოვლენებზე დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

რეპლიკა ხათუნა კალმახელიძის გახმაურებულ წერილზე

# „ქალბატონო ხათუნა, ახლა მაინც გაუსწორეთ სიმართლეს თვალი!“



წერილი, რომელიც სასჯელაღსრულების ყოფილმა მინისტრმა, ხათუნა კალმახელიძემ „ფეისბუკში“ გამოაქვეყნა, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის შოკის მომგვრელი აღმოჩნდა. ალბათ იკითხავთ, განა ასეთი რა დაწერა ნამინისტრალმაო. ბოლოს და ბოლოს, ის ადრეც გვიმტკიცებდა, რომ ციხეებში „ნამდვილი სამოთხე“ იყო და წარმატებული რეფორმების გამო ქართველების გამოცდილებას ევროპელი კოლეგებიც კი იზიარებდნენ (მაგალითად, კარგად მახსოვს ესპანეთის სასჯელაღსრულების სისტემის წარმომადგენელთა ვიზიტი საქართველოში და ქალბატონი ხათუნას კომენტარი, — სტუმრები ქართველი კოლეგების მიღწევებისა და გამოცდილების გასაზიარებლად ჩამოვიდნენო).

**ქალბატონი ხათუნა თურმე წიგნებს პატიმრებისთვის საკუთარი ფულით ყიდულობდა(?!)**

ამჯერად კალმახელიძის წერილიდან იმ ამონარიდებს გთავაზობთ, რომელიც პატიმრის წამების ამსახველი ვიდეომასალის გავრცელებას ეხება: *„ჩემთვის ეს კადრები ვინმეს რომ ეჩვენებინა თავის დროზე, გარწმუნებთ, განგაშს ავტეხდი უმალვე, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, და ვინ იცის, რამდენ ადამიანს ავარიდებდით მსგავს მდგომარეობაში აღმოჩენას. იმ დღეს, როდესაც კადრები გადიოდა ეთერში, ვიყავი სრულიად ატროფირებული, ნაწყენი, გულდაწყვეტილი“.*


8 გოლის დ...
შეუშვით ციხეებში პრესა და წიგნები!
SOS! – სოსო, გაიღე მოწყალება „საეჭვო სტუმრებისთვის... საიდანღაც“

*12-18 მარტი, 2012 წ.* ■


14 ითით ასეთი?
წააკითხეთ წიგნები პატიმრებს!..
გთხოვთ გვიპასუხოთ: რატომ არ დაადგა საშველი ციხეში საჩუქრად გამზადებული წიგნების შეტანას!!!
ქალბატონ მინისტრს, როგორც ჩანს, ჩვენი პატიმრები არასრულფასოვან ადამიანებად მიაჩნია, ანუ რა საჭიროა წიგნი, როცა „კომბიჟირი“ არსებობს

*20-26 თებერვალი, 2012 წ.* ■

ამ სიტყვებზე კომენტარი სოციალურ ქსელებში ძალიან აქტიურ ადამიანებსაც კი გაუჭირდათ და პასუხად ქალბატონ ხათუნას მხოლოდ დათო ტურაშვილის სიტყვები შეახსენეს, რომლებიც ამ უკანასკნელმა ერთ-ერთი საეთერო გამოსვლისას წარმოთქვა: *„ომბუდსმენი არის სახელმწიფო პირი, ნებისმიერ პარლამენტარს (მით უფრო სასჯელაღსრულების მინისტრს) შეიძლებოდა მოესმინა ოფიციალური ფაქტები წამებით დახოცილი ადამიანების შესახებ. შე, დედა...ო, ამას როცა ისმენ და რეაქცია არა გაქვს, წახვალ სახლში, გადაბრუნდები და დაიძინებ, ამ დროს კი იცი, 20 წლის ბიჭს წამებით კლავენ ციხეში, ასეთი ადამიანების არსებობას პარლამენტში რა გამართლება აქვს?! ან როგორ, რა ნამუსით ითხოვენ, ისევ ავირჩიოთ და ხმა მივცეთ? ეს არის აუხსნელი და გამაოგნებელი!“.*

მოკლედ, ხათუნა კალმახელიძის გრძელი უსტარიც ასეთივე აუხსნელი და გამაოგნებელი დარჩა ქართველი საზოგადოებისთვის. წერილიდან ისიც გაირკვა, რომ კალმახელიძის მინისტრობის დროს ციხის თანამშრომლებს თურმე ტრენინგებს უტარებდნენ და *„ძალის მინიმალურ გამოყენებას, აგრესიის მართვას, ეფექტურ კომუნიკაციას ასწავლიდნენ“.* ის კი, ვინ რა ისწავლა, შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა კარგად დაგვანახა.

ჩემთვის შოკის მომგვრელი წერილის კიდევ ერთი ეპიზოდია, საიდანაც შევიტყვე, რომ ქალბატონი ხათუნა თურმე წიგნებს პატიმრებისთვის საკუთარი ფულით ყიდულობდა. არადა, მისი მინისტრობის პერიოდში გამომცემლობა „პალიტრა L“ ქველმოქმედების უფლების მოსაპოვებლად დიდხანს უშედეგოდ იბრძოდა, რომ ციხის ბიბლიოთეკებისთვის ახალთახალი და რჩეული წიგნები საჩუქრად გადაეცა, რის საშუალებასაც სწორედ სასჯელაღსრულების სამინისტრო და დეპარტამენტი არ აძლევდა. ახლა კი ქალბატონ ნამინისტრალს სურს დაგვარწმუნოს, რომ საკუთარი ფულით ყიდულობდა პატიმრებისთვის წიგნებს?! სხვა თუ არაფერი, „კვირის პალიტრაში“ წერილები:

**„წააკითხეთ წიგნები პატიმრებს!“ და „შეუშვით ციხეებში პრესა და წიგნები“**

იმ მიზნით გამოქვეყნდა, რომ არსებული პრობლემის შესახებ ფართო აუდიტორიისთვის გვეცნობებინა. კარგად გვახსოვს, სასჯელაღსრულების სამინისტროს წარმომადგენელთა მობილურ ტელეფონებსა და ელექტრონულ მისამართებზე გაგზავნილ შეკითხვას: რატომ არ აძლევენ „პალიტრა L“-ს ქველმოქმედების საშუალებას? არავინ პასუხობდა. ამიტომ ისღა დაგვრჩენოდა, გაზეთის ფურცლებიდან გამოვხმაურებოდით ამ თემას. ერთ-ერთ სტატიაში კი ისიც აღვნიშნეთ: *„ქალბატონ მინისტრს, როგორც ჩანს, პატიმრები არასრულფასოვან ადამიანებად მიაჩნია! ეტყობა, ჩვენს სასჯელაღსრულებით სისტემაში „კომბიჟირზე“ დამზადებული საკვები და საწოლებზე რიგრიგობით ძილი ევროსტანდარტი ჰგონიათ, წიგნის კითხვა კი პატიმრისთვის ზედმეტ ფუფუნებად მიაჩნიათ. ამ შემთხვევაში ისღა დაგვრჩენია, მოვუწოდოთ მათ, „წააკითხეთ წიგნები პატიმრებს!“.*

ახლა კი, ჰოი საოცრებავ!.. ქალბატონი ხათუნა თავის გახმაურებულ წერილში წერს: *„მუდამ ვცდილობდით ბიბლიოთეკების წიგნებით მომარაგებასა და კეთილმოწყობას. მე და ჩემს მოადგილეებს არაერთხელ შეგვიგროვებია ფული წიგნების საყიდლად(?!)“.*

გულწრფელად გეტყვით, არ ვიცით, ყოფილ მინისტრს ამ სიტყვების დაწერა რამ აიძულა, მაგრამ ხომ შეიძლება მაშინ მაინც, როცა „ტყუილების ქვეყანა“ თავზე ენგრევა, სიმართლეს თვალი გაუსწოროს თუნდაც ნანგრევებიდან.

***ეკა ასათიანი***

# ახალშექმნილი პატრულის პიარს შეწირულნი?!

ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებულმა ახალმა ვიდეოჩანაწერმა, რომელიც დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის ყოფილმა უფროსმა ირაკლი ფირცხალავამ გაავრცელა, საზოგადოების დიდი გამოხმაურება პოვა.

ვიდეოკადრების გავრცელების შემდეგ გაჩნდა ორი კითხვა: მართლაც ჰქონდათ თუ არა მანქანაში იარაღი მაშინ დაკავებულ ახალგაზრდებს და დამონტაჟებულია თუ არა ეს ვიდეოკადრები.

ჩვენ კიდევ ერთი კითხვა გვიჩნდება: რატომ გააჩერა ის „ბე-ემ-ვე“ იმ ღამეს პატრულმა?

როგორც ირაკლი ფირცხალავა აცხადებს, პოლიციას ჰქონდა ინფორმაცია, რომ დილომში მომხდარ დაჭრის ფაქტთან დაკავშირებით ფიგურირებდა სწორედ ამ ნომერაციას შს მინისტრსა და სხვა მაღალჩინოსნებთან შეთანხმების გარეშე ვერ ჩაატარებდნენ. თუკი 2004 წლის ნოემბერში ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებული დამონტაჟებული ვიდეომასალის გავრცელება ახალშექმნილი პატრულის იმიჯის გადარჩენას ემსახურებოდა, 2013 წლის თებერვალში, სავარაუდოდ, დამონტაჟებული ვიდეოკადრების გავრცელებით ის, ვინც 2004 წელს იარაღის ჩადებასა და „დამნაშავეთა გაუვნებლების ოპერაციაში“ მონაწილეობდა, საკუთარი ტყავის გადარჩენას ცდილობს.

ყველაზე კარგად ზურაბ მიქაძესა და იმ პოლიციელებს მოეხსენებათ იარაღის ჩადება-არჩადების შესახებ, ვინც იმ ტრაგიკულ ღამეს იქ იმყოფებოდა. შესაძლოა, პოლიციელებს საკუთარი ინიციატივით არც ეც-



*კარგი იქნება, თუკი გამოძიება დაინტერესდება, ძველ საქმეებშიც ფიგურირებს თუ არა, როგორც ნივთმტკიცება, იმ ორი „კალაშნიკოვისა“ და ერთი რევოლვერის საქარხნო ნომრები, რომლებიც თითქოს „ბე-ემ-ვე“-დან ამოიღეს...* ■

რიანი „ბე-ემ-ვე“, რომელიც გადაცემული იყო ძებნაზე. ამიტომაც გააჩერა იგი პატრულმა.

თუკი გამოძიება კეთილს ინებებს და შსს-ს სამორიგეოს არქივიდან ამოსწევს 2004 წლის 23 ნოემბრის მთელი დღის ინფორმაციას, გამომძიებლები იმის მინიშნებასაც კი ვერ აღმოაჩენენ, რომ ეს „ბე-ემ-ვე“ იძებნებოდა. ვერ აღმოაჩენენ იმიტომ, რომ ასეთ მანქანას არავინ ეძებდა...

ჩვენი ვერსია ასეთია: გიორგობას, ღამით, პატრული წერეთლის გამზირზე აჩერებს „ბე-ემ-ვეს“ იმ ვარაუდით, რომ მძღოლი შეიძლება ნაქეიფარი იყოს. მანქანაში მსხდომი ახალგაზრდები პატრულს რატომღაც საეჭვოდ მოეჩვენა, ამიტომ ისინი გადმოჰყავთ მანქანიდან, რის შემდეგ პატრული ბაშალეიშვილი, სავარაუდოდ, გაუფრთხილებლობით, ისვრის პისტოლეტით და ბუტა რობაქიძე სასიკვდილოდ იჭრება.

სწორედ ამის შემდეგ იწყება მთავარი მოვლენები. საქმეში ერთვება გადაცემა „პატრულის“ ხელმძღვანელი გურამ დონაძე, რომელსაც პრეზიდენტისა და შს მინისტრისაგან დავალებული ჰქონდა ახალშექმნილი პატრულის საქმიანობის გაპიარება.

**პატრულის მიერ, თუნდაც გაუფრთხილებლობით, უდანაშაულო ახალგაზრდის მკვლელობას, დონაძისა და მის ზემდგომთა აზრით, მოჰყვებოდა პატრულის დისკრედიტაცია, რაც „ვარდების რევოლუციით“ მოსული და პიარტექნოლოგიების მოყვარული ხელისუფლების მაღალი ეშელონებისთვის სრულიად მიუღებელი იყო.**

ამიტომ უდანაშაულო ახალგაზრდის მკვლელობის გადაფარვა სცადეს შეთითხნილი ვერსიით, თითქოს მანქანიდან პატრულმა იარაღი ამოიღო და ეს ახალგაზრდები სულაც არ იყვნენ უდანაშაულოები.

სასწრაფოდ იწყება პოლიციის სხვადასხვა სამმართველოში გაუფორმებლად შენახული იარაღის ძებნა (გაუფორმებელი ავტომატები პოლიციის განყოფილებაში შევარდნაძის ხელისუფლების დროიდან ინახებოდა, რათა საჭიროების შემთხვევაში, როგორც ნივთმტკიცება, ჩაედოთ იმ პირებისთვის, რომელთა დასაკავებლად სხვა საფუძველი არ ჰქონდათ). ასე ჩნდება ამ საქმეში თითქოს მანქანიდან ამოღებული ერთი რევოლვერი (სავარაუდოდ, ბრაზილიური წარმოების „ტაურუსი“) და ორი „კალაშნიკოვი“.

მიუხედავად იმისა, რომ ამ იარაღზე დაკავებულთა თითის ანაბეჭდები არ აღმოჩენილა, გურამ დონაძისა და იმ ტელევიზიების საშუალებით, რომლებიც ემსახურებოდნენ და ახლაც ემსახურებიან „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს, საზოგადოებას თავს ახვევენ ინფორმაციას, რომ დაკავებული ახალგაზრდები შეიარაღებული იყვნენ და ბუტა რობაქიძეც შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ მოკლეს.

გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ გურამ დონაძე ამხელა გავლენას ახდენდა მაშინდელი პოლიციის, კერძოდ, პატრულის მაღალჩინოსნებზე. ჩნდება ეჭვი, რომ დონაძე და მიქაძე მანქანაში იარაღის ჩადების პიაროპადათ ფაქტების გაყალბება და პატრული ბაშალეიშვილი მაშინვე დაეკავებინათ, როგორც გაუფრთხილებლობით მკვლელობის ჩამდენი (ასე ხდება სხვა ქვეყნებშიც), მაგრამ სახელმწიფო პიარის მანქანამ თავისი გაიტანა...

ვინც ვიდეოკადრები ნახა, აუცილებლად შეამჩნევდა, პატრულის დაუფარავ აგრესიას მიწაზე დაყრილი ახალგაზრდების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მათ წინააღმდეგობას არ უწევდნენ. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ზოგიერთი პატრულის პისტოლეტის ჭერის მანერა — მათ საჩვენებელი თითი პისტოლეტის სასხლეტზე უდევთ, რაც უდიდესი შეცდომაა, რადგან ამ დროს მოსალოდნელი იყო ინსტინქტურად სასხლეტის გამოკვრა, რასაც შეიძლებოდა სხვა დაკავებული ახალგაზრდების სიკვდილიც მოჰყოლოდა.

ყოველივე ამის მიზეზი კი ისევ სახელმწიფო პიარი გახლდათ. „ვარდების რევოლუციის“ ლიდერებს სურდათ, რაც შეიძლება მალე ეცნობებინათ მთელი მსოფლიოსთვის, რომ შევარდნაძის კორუმპირებული პოლიცია მოსპეს და დასავლური ყაიდის, თანამედროვე პატრული შექმნეს.

სწორედ სისწრაფე გახდა პატრულის პირველი თანამშრომლების არასათანადო მომზადების მიზეზი. მათმა ნაწილმა იარაღთან უსაფრთხო მოპყრობის წესებიც კი არ იცოდა. მაშინდელი ხელისუფლებისთვის პოლიციელთა პროფესიონალიზმზე მეტად მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რამდენად ლამაზად გამოჩნდებოდნენ პატრულის თანამშრომლები ტელეეკრანებზე.

ამიტომაც იყო, რომ ახალშექმნილ პატრულს საბჭოთა „მაკაროვების“ ნაცვლად სასწრაფოდ დაურიგეს ისრაელში შეძენილი „იერიჰოს“ ტიპის თვითდამტენი პისტოლეტები, რომელთა უსაფრთხოდ მოხმარების წესების ათვისება პატრულის ბევრმა თანამშრომელმა, უბრალოდ, ვერ მოასწრო (რაზეც მეტყველებს თუნდაც იმ პატრულთა რიცხვი, რომლებმაც „იერიჰოებიდან“ გაუფრთხილებელი გასროლის შედეგად თავად მიიღეს ჭრილობები, თუმცა ამ ფაქტებს მაშინდელი შსს-ს ხელმძღვანელობა უმკაცრესად ასაიდუმლოებდა).

ასევე კარგი იქნებოდა, თუკი გამოძიება დაინტერესდებოდა, რა თანამდებობებზე დააწინაურეს პატრულის იმ თანამშრომელთა ნაწილი, ვინც გავრცელებულ ვიდეოკადრებში ჩანს.

ჩვენს ვერსიას, რა თქმა უნდა, დამტკიცება სჭირდება, რისი ნაწილიც იქნებოდა გავრცელებული ვიდეოკადრების პროფესიონალური ექსპერტიზა.

თუმცა ექსპერტიზის გარდა არსებობს ადამიანური პასუხისმგებლობაც საზოგადოების წინაშე, როდესაც ყოფილმა თუ მოქმედმა პოლიციელებმა, ვინც ამ გახმაურებულ საქმესთან იყო დაკავშირებული, უბრალოდ, კაცურად აღიარონ, რომ იმ ახალგაზრდებს იარაღი არ ჰქონიათ...

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# ავღანელებს მალე საქართველოშიც გაწვრთნიან



***ქართველმა სამხედრო ინსტრუქტორებმა არაერთ ავღანელ არტილერისტს ასწავლეს Д-30 ტიპის ჰაუბიცებიდან სროლა*** ■

ISAF-ის, ანუ ავღანეთში უსაფრთხოების დამხმარე საერთაშორისო ძალების მისია, რომელიც 2001 წლის 20 დეკემბერს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით დაიწყო, 2014 წლის ბოლოსთვის სრულდება.

გასულ კვირას, ბრიუსელში, NATO-ს შტაბბინაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მინისტერიალზე წყდებოდა თუ რა იქნება ISAF-ის დასრულების შემდეგ ავღანეთში.

მიუხედავად თითქმის 12-წლიანი მისიისა, NATO-ს წევრი ქვეყნების ლიდერებს არ შეუძლიათ განაცხადონ, რომ მათ ბოლომდე დაამარცხეს „თალიბანი“ და „ალ-ქაიდა“ და ავღანეთის დღევანდელ ხელისუფლებას ISAF-ის თითქმის 90-ათასიანი სამხედრო კონტინგენტის გარეშე შეუძლია ქვეყანა მართოს. პირიქით, იმ პროვინციებში, საიდანაც ISAF-ს ნელ-ნელა გამოჰყავს თავისი დანაყოფები, ხელისუფლებას ხელში არა პრეზიდენტ ყარზაის, არამედ სწორედ თალიბანის წარმომადგენლები იღებენ. მიუხედავად ამისა, NATO-ს მაინც მოუწევს ISAF-ის მისიის დამთავრება 2014 წლის ბოლოს, რაც უკვე შეთანხმებულია პრეზიდენტ ყარზაის ხელისუფლებასთან.

დარჩენილ ორ წელიწადში NATO და ავღანეთის ხელისუფლება უნდა შეთანხმდნენ, 2015 წლიდან დასავლეთი დაიწყებს ახალ საერთაშორისო მისიას ამ ქვეყანაში თუ დატოვებს მის ტერიტორიას.

ეს კითხვა აქტუალურია საქართველოსთვისაც, რადგან ავღანეთში 1600-მდე ჩვენი სამხედრო იმყოფება, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ISAF-ის ოპერაციაში მონაწილე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის არაწევრ ქვეყნებს შორის.

ბრიუსელში NATO-ს მინისტერიალზე მყოფი საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია (რომელიც ესწრებოდა ალიანსის ასპირანტი ქვეყნებისთვის გამართულ შეხვედრებს) აცხადებს, რომ ქართული სამხედრო კონტინგენტი ავღანეთში ISAF-ის მისიის დასრულებამდე დარჩება და ამერიკელ, ბრიტანელ და ავსტრალიელ კოლეგებთან ერთად ხელს შეუწყობს ამ ქვეყანაში დაგეგმილი არჩევნების უსაფრთხოდ ჩატარებას.

ალასანიას თქმით, მინისტერიალზე გადაწყდა, რომ ISAF-ის მისიის დასრულების შემდეგ ქართული მხარე დაიწყებს ავღანელი სამხედროების მომზადებას, როგორც უშუალოდ ავღანეთში, ისე — საქართველოში.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ქართველი სამხედრო ინსტრუქტორები ფრანგ კოლეგებთან ერთად ისედაც ამზადებდნენ ავღანელ არტილერისტებს და მათ საბჭოთა წარმოების Д-30 ტიპის ჰაუბიცებისა, ასევე 120 და 82 მმ კალიბრის ნაღმსატყორცნების საბრძოლო გამოყენებას ასწავლიდნენ.

როგორც ჩანს, ავღანელი სამხედროების სწავლება უფრო დიდი მასშტაბით დაიწყება როგორც ადგილზე, ისე NATO-ს წევრი და არაწევრი ქვეყნების ტერიტორიებზე, მათ შორის, საქართველოშიც.

საბრძოლო ოპერაციებში მრავალრიცხოვანი სამხედრო კონტინგენტის გაგზავნას, რასაც, სამწუხაროდ, ტრაგიკული შემთხვევები მოჰყვა, თავიდანვე სამხედრო ინსტრუქტორების დონეზე დახმარება სჯობდა. მიუხედავად იმისა, რომ ავღანელებს ოდითგან შეთვისებული აქვთ პარტიზანული ბრძოლის წესები, მათ უჭირთ ბრძოლისუნარიანი რეგულარული არმიის ჩამოყალიბება. დასავლეთი ეცდება (საქართველოს მონაწილეობითაც), პრეზიდენტ ყარზაის მოუმზადოს ბრძოლისუნარიანი არმია, რომელიც „თალიბანის“ მოძრაობას ძალაუფლებას არ დაუთმობს.



# 5 კილოგრამი ოქრო მამა ბასილის სიცოცხლისათვის



პანკისის ხეობიდან ბორბალოს მთამდე გაუვალი ტყეებია. თუ ბილიკები არ იცი, ბერთა სადგომამდე მისვლა ადვილი არ არის

*„ამას არავის შევარჩენთ, შვილო, მაგის ჯანი კიდევ შერჩენილი გვაქვს. აღარც ერს ინდობენ და აღარც ბერს. დავირაზმებით და კუდით ქვას ვასროლინებთ ამ არაკაცებს, მღვდელზე კაცი ხელს რომ ასწევს, ის აღარ უნდა დაინდო. რა მნიშვნელობა აქვს, ქართველი იქნება, ჩეჩენი თუ რუსი, პოლიციელი თუ კრიმინალი.“*

**შიო პაპა, ახმეტა, 2001 წ, ნოემბერი**

*„ჩვენ უკვე დავადგინეთ ეს ჯგუფი (ბერების გამტაცებლები. — ავტ.). ჯერჯერობით ინფორმაციის დაკონკრეტება არ შეიძლება, რადგან ჩვენი უწყება გარკვეულ ღონისძიებებს გეგმავს. ვიმედოვნებთ, მძევლებს მალე გავათავისუფლებთ.“*

**კობა ნარჩემაშვილი, შს მინისტრი, 2001 წლის დეკემბერი**

*„იმ დროისთვის პანკისში რამდენიმე ჯგუფი შეიქმნა შამილის (ბასაევის. — ავტ.), გელაევის, ჰუსეინ ისაბაევის და ძმები ახმედოვების. საომარი მოქმედებების დაწყება ან ვინმეს მოშორება შამილის ჯგუფს ევალებოდა, ადამიანთა გატაცებაზე ახმედოვების ჯგუფი მუშაობდა, არასასურველი ადამიანების საიდუმლო მკვლელობებისთვის კი ისაბაევის ჯგუფს იყენებდნენ. ამ ჯგუფების უკან საქართველოს ანტიტერორისტული ცენტრი და კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსი გია გაბუნია იდგნენ.“*

**ხიზრი ალდამოვი, 2010 წ.**

2001 წლის იანვარში ჩეჩენი საველე მეთაურის, რუსლან გელაევის მცირერიცხოვანმა შეიარაღებულმა რაზმმა, რომელსაც რუსეთის სპეცდანიშნულების რაზმები ფეხდაფეხ მოჰყვებოდნენ, საქართველოს საზღვარი გადმოლახა. გელაევს გამცილებელი არ ახლდა, ამიტომ ორი დღის შემდეგ გათოშილი, მშიერ-მწყურვალი ჯგუფი შემთხვევით ბორბალოს მთის ძირში განდეგილი ბერების სადგომს მიადგა (იქ ე.წ. ფინურ სახლში ქართველი ბერები 90-იანი წლებიდან ცხოვრობდნენ), სადაც იმ დროს მამა ბასილი მაჩიტაძე (არქიმანდრიტი, სხვადასხვა დროს ჯვრის, ზედაზნის და ქვათახევის მონასტრების წინამძღვარი), ბერი ტახნილი (ხაჩიძე) და 4 მორჩილი იმყოფებოდნენ. ბერებმა გაჭირვებაში ჩავარდნილი მეომრები შეიფარეს, გაათბეს, დააპურეს. საუბრისას საველე მეთაურმა თქვა, რუსებთან ბოლო შეტაკებისას ორი მეომარი მძიმედ დამეჭრა და იძულებული გავხდი, გზაში დამეტოვებინა, რადგან დაჭრილების ტარება რაზმს სწრაფად გადაადგილებაში ხელს უშლიდაო. მამა ბასილიმ დაჭრილთა სავარაუდო ადგილსამყოფელი გამოიკითხა. ბერები ბილიკ-ბილიკ მივიდნენ იმ ადგილამდე. როგორც მოგვიანებით გადარჩენილები იხსენებდნენ, ერთ მათგანს მოყინვისგან სიკვდილი ელოდა. მამა ბასილიმ კაბა გაიხადა, შიშველ მკერდზე მიიკრა დაჭრილი და ისე ატარა სადგომამდე. ჩეჩენმა მეომრებმა ბერებთან რამდენიმე დღე დაჰყვეს, პანკისის ხეობაში ჩამოსვლის წინ რუსლან გელაევს მასპინძლებისთვის უთქვამს, — მე არ ვიქნები ჭეშმარიტი მუსლიმანი, თუ ოდესმე დავივიწყო ქართველი ბერების ვაჟკაცობა და დიდი გულიო....

1999 წელს პუტინის ხელისუფლებამ იჩქერიაში დაიწყო სამხედრო ოპერაცია, რომელიც ისტორიაში „მეორე ჩეჩნური ომის“ სახელწოდებით შევიდა და სანამ რუსეთის მრავალათასიანი არმიის ალყაში მოქცეული გროზნოს ათასამდე დამცველი ქალაქის ჩაბარებას საკუთარი სიცოცხლის ფასადაც არ აპირებდა, საქართველოს საზღვრებს ომს და სიკვდილს გამოქცეული ასობით ჩეჩენი ლტოლვილი მოაწყდა. ხელისუფლება ფიქრობდა, რომ ქალებთან და ბავშვებთან ერთად ქვეყანაში ადრე თუ გვიან, შეიარაღებული მეომრებიც გადმოვიდოდნენ და ამის გამო თავიდან თავს იკავებდა ლტოლვილებისთვის საზღვრის გახსნაზე, თუმცა, გაეროს და აშშ-ის ზეწოლის შედეგად, საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, ლტოლვილებისთვის კარი გაეღო. მათი უმრავლესობა ქისტებით დასახლებულ პანკისის ხეობაში გადავიდა. სულ მალე კახეთის ეს პატარა ხეობა მძლავრ კრიმინალურ ანკლავად და პოლიტიკური თამაშების მოედნად იქცა.

2001 წლის 27 ოქტომბერს, საღამოს, ბერების სადგომს უცნობები მიადგნენ.

*„პანკისის ხეობიდან ბორბალოს მთამდე გაუვალი ტყეებია. თუ ბილიკები არ იცი, ბერთა სადგომამდე მისვლას სამი დღე მაინც დასჭირდება. გამტაცებლები სწორედ ამდენი დღე მიდიოდნენ. ერთმა მათგანმა ფეხი იტკინა კიდეც. კელიაში რომ მივიდნენ, ბერებს სთხოვეს, გზა დაგვებნა და ღამე გაგვათევინეთო. მამა ბასილიმ სტუმრები მიიღო და დააპურა კიდეც. სანამ დაშავებული გამომჯობინდებოდა, ჩეჩნები ბერებთან იყვნენ, შემდეგ კი მამა ბასილს სთხოვეს, პანკისში მივდივართ და გზამდე მიგვიყვანეო. ჯგუფს ბერი ტახნილი და მამა ბასილი გაჰყვნენ. ორი დღის შემდეგ, 1-ელ ნოემბერს, ხეობის გზას მიაღწიეს. დამშვიდობებისას მოულოდნელად მამა ბასილის გამოუცხადეს, — გატაცებულები ხართო. ერთ-ერთმა, რომელიც, სავარაუდოდ, მამა ბასილის იცნობდა, — მოიბოდიშა, პირადული არაფერია, „ზაკაზია“ თბილისიდანო(?!). შემდეგ ბერ ტახნილს მიუბრუნდნენ, — დაბრუნდი და მორჩილები წამოიყვანე. თუ დილით აქ არ იქნები, მამა ბასილის მოვკლავთო. სიტყვებით გადმოცემა იმისა, რაც შემდეგ ბერმა ტახნილმა გააკეთა, შეუძლებელია, ამას მხოლოდ თავგანწირული ადამიანი ჩაიდენდა — მძიმე გზას არ შეუდრკა, ერთ დღეში ავიდა კელიაში, მორჩილები წამოიყვანა და დათქმულ დროზე ეახლა ჩეჩნებს (როგორც ხეობაში ამბობენ, ერთხანს გამტაცებლები ფიქრობდნენ კიდეც, რომ ბერი არ დაბრუნდებოდა, — ავტ.).*

**ვახტანგი, მამა ბასილის სულიერი შვილი**

მეორე დილით ხეობაში ხმა გავარდა — მამა ბასილი, ბერი ტახნილი, მორჩილი ზურა ქავთარაშვილი (წარმოშობით ქისტი) და კიდევ ერთი პანკისელი მორჩილი გაიტაცესო. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ საქართველოში ადამიანთა გატაცება უცხო ხილი არ იყო (ხალხს თბილისში ქუჩიდან იტაცებდნენ და ხეობაში გადაჰყავდათ), სასულიერო პირების გატაცებამ ქვეყანა აღაშფოთა.

*„როგორც მაშინ გავიგეთ, ქართველ ბერებზე რამდენიმე ჯგუფი მუშაობდა. მათ გატაცებას თურმე ადრეც აპირებდნენ, არადა, ისინი არა მარტო ხეობის მოსახლეობას ეხმარებოდნენ, არამედ ბევრი ჩვენი ბიჭის სიცოცხლეც გადაარჩინეს. მოგეხსენებათ, მაშინ ჩეჩნეთი პარტიზანულ ომში იყო ჩართული, ამიტომ ხეობის მთებში ხშირად შევხვდებოდით ჩეჩენ მეომართა ჯგუფებს, რომლებიც სულის მოსათქმელად საქართველოში გადმოდიოდნენ და ხშირად გზააბნეულებს სწორედ ქართველი ბერები პატრონობდნენ, საჭმელს და ტანსაცმელს აძლევდნენ, განსაკუთრებით ზამთარში, როდესაც მთაში თოვლი ორ მეტრამდე აღწევს... ამდენი ლტოლვილის (7 000 კაცი, — ავტ.) მიღება ხეობას ძალიან გაუჭირდა, ჰუმანიტარული დახმარების იმედად თითქმის ვშიმშილობდით. ჩემს სოფელს რომ შვეულმფრენი გადაუფრენდა, გული სიხარულით გვევსებოდა — ვიცოდით, მას ბერებთან სურსათ-სანოვაგე მიჰქონდა (მამა ბასილის სულიერი შვილები უგზავნიდნენ. — ავტ.), ე.ი. ხეობაში პური გაჩნდებოდა! მამა ბასილის და ბერებს თბილისიდან მათთვის გამოგზავნილი ფქვილი, შაქარი და სხვა სურსათი ჩამოჰქონდათ, ხალხს ურიგებდნენ, სამაგიეროდ არაფერს ითხოვდნენ. მახსოვს, ერთხელ ბერებს ძროხები გაუგზავნეს, მათ კი ჩვენთან ჩამოიყვანეს და გაჭირვებულ ოჯახებს აჩუქეს, — ბავშვებს რძე ექნებათო. ჩვენი რელიგიისანი არ იყვნენ, მაგრამ პანკისის ხეობის 14 ათასამდე მუსლიმანი ბორბალოს მთის ბერების სადგომს იმედით შეჰყურებდა. მათი გატაცების ამბავი რომ გავიგეთ, თავზარი დაგვეცა. ხეობელებს გამტაცებლების ვინაობა რომ სცოდნოდათ, საკუთარი ხელებით დაახრჩობდნენ*

**სელიმი, სოფ. ბირკიანი**

10 ნოემბერს რუსთავში მამა ბასილის ერთ-ერთი სულიერი შვილის, ბესო ჯუღელის ტელეფონზე ზარი გაისმა — რეკავდნენ ბერების გამტაცებლები და გამოსასყიდს — ერთ მილიონ დოლარს ითხოვდნენ. ჯუღელს მეტი დამაჯერებლობისთვის ბერი ტახნილიც დაალაპარაკეს. საუბრისას ესმოდა, გამტაცებლები აიძულებდნენ ბერს, მხოლოდ რუსულად ესაუბრა, რაც, სავარაუდოდ, ნიშნავდა, რომ გამტაცებლებმა ქართული არ იცოდნენ (სწორედ ამ სატელეფონო ზარის შემდეგ გაჩნდა ეჭვი გატაცებაში „ჩეჩნური კვალის“ შესახებ). როგორც ჩანს, გამტაცებლებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ მამა ბასილის ფინანსურად ძლიერი სულიერი შვილები ჰყავდა, რომლებიც მოძღვრის გამოსახსნელად არაფერს დაიშურებდნენ, მეორე ვერსიით კი აქცენტი საპატრიარქოზე კეთდებოდა. როგორც საქმეში ჩახედულნი ამბობენ, ბანდიტები მილიონს საქართველოს საპატრიარქოს სთხოვდნენ. მეორე დღეს საქართველოს საპატრიარქომ განცხადება გაავრცელა, სადაც ბერების გატაცება დაგმო და სამართალდამცავებს მათი გათავისუფლებისკენ მოუწოდა.

*„ჩემი ძმის ამბავი რომ გაიგეს, რუისურბნისის ეპარქიის წარმომადგენლები მატანში ჩავიდნენ. იქ პოლიციის ბლოკ- პოსტები იყო და ხეობაში არავის უშვებდნენ, სამართალდამცავებს ბერების ამბავი ჰკითხეს. რამდენიმე დღე დარჩნენ, მაგრამ იქ ყოფნას რა აზრი ჰქონდა! შემდეგ უკან დაბრუნდნენ. სახლში პროკურატურის წარმომადგენლები მოდიოდნენ, ჰქონდათ კითხვები, მათ შორის საკმაოდ უცნაური, ნარკოტიკებთან დაკავშირებით (ბერების ნარკობიზნესთან სავარაუდო კავშირის შესახებ პოლიცია გატაცების პირველივე დღიდან საუბრობდა, თუმცა მალევე გაირკვა, რომ ნარკოტიკებთან გატაცებულებს საერთო არაფერი ჰქონდათ. — ავტ.), როდესაც გამომძიებლებმა ჩვენი სახლი ნახეს (საკმაოდ მოკრძალებულად ვცხოვრობთ, რაიმე ფასეულ ნივთს ვერ ნახავთ, ჩემს ძმას ყოველთვის ყველაფერი სხვებისთვის — გაჭირვებულებისთვის უნდოდა), დარწმუნდნენ, რომ ყოველივე მხოლოდ ბინძური ჭორი იყო. გვაიმედებდნენ — დღეს თუ ხვალ ყველაფერი გაირკვევა და ბერებს გაათავისუფლებენო.*

**ვერიკო მაჩიტაძე, მამა ბასილის და**

1-ელ დეკემბერს ბერი ტახნილი და მორჩილები გაათავისუფლეს. ამ ფაქტს ხეობაში მოქმედი ყველა დაჯგუფება თავის გამარჯვებად თვლიდა, მათ შორის პოლიციაც. გათავისუფლებულები იხსენებდნენ: ბანდიტებმა ისინი სოფელ წინუბანში მიიყვანეს. იმ სახლში კიდევ ერთი მძევალი — აზიზ ხალილოვის მამა ჰყავდათ დამწყვდეული (თავიდან კრიმინალებმა აზიზ ხალილოვი მოიტაცეს, გატაცებისას ფეხში დაიჭრა, შემდეგ მათ შვილის სანაცვლოდ მამა ჩაბარდა, სანამ ოჯახი გამოსასყიდს იშოვიდა. — ავტ.). ბერებს შიმშილობა დაუწყიათ, მხოლოდ ლოცულობდნენ, რაც მცველებს აოცებდათ. ამის გამო ისინი რამდენჯერმე უცემიათ კიდეც, თუმცა, როცა მიმხვდარან, ვერაფერს გააწყობდნენ, თავი დაუნებებიათ. საქმეს ის ართულებდა, რომ არც გათავისუფლებულებმა იცოდნენ რამე გამტაცებელთა ვინაობის შესახებ და, რაც მთავარია, არც გატაცების მიზეზის შესახებ. დრო გადიოდა და სამართალდამცავები მხოლოდ დაპირებებს იძლეოდნენ. მამა ბასილის სამეგობრომ გადაწყვიტა, დამოუკიდებლად ემოქმედა. თბილისში მოძებნეს შუამავალი რუსლან გელაევთან და მალე პანკისში საველე მეთაურს შეხვდნენ..

*„გელაევი გულწრფელად იყო შეწუხებული მომხდარით და ამტკიცებდა, არც ერთ ჩემს ჯგუფს (ასეთი კი სამასი შეიარაღებული პირი იყო. — ავტ.) ამის ჩადენა არ შეეძლო, თუმცა ამ საქმეს მაინც გავარკვევ და დამნაშავეებს დავსჯიო; დაიმედებულები დავბრუნდით. ორიოდე კვირის შემდეგ გავიგეთ, რომ პანკისში, სოფელ დუისთან, მდინარე ალაზანში გელაევმა 4 კაცი მოაკვლევინა. ამბობდნენ, ისინი ბერების გატაცების უშუალო მონაწილენი იყვნენო. ჩანს, დანაპირები შეასრულა, ერთი მათგანი გადარჩა. თბილისში, საავადმყოფოში გადმოიყვანეს. როგორც კი ეს ამბავი გავიგეთ, იქ მივცვივდით. როცა ვნახე, გავოცდი, მომაკვდავი სწორედ ის ბიჭი იყო, მამა ბასილიმ დაჭრილი მკერდზე მიკრული რომ ატარა. ძლივს ლაპარაკობდა. მხოლოდ ის მითხრა, — ჩვენ მხოლოდ წამოვიყვანეთ, ყველაფერს მერე მოგიყვებიო, თუმცა მეორე დღეს გარდაიცვალა. მგონი, მუსა ერქვა.“*

**ვახტანგი, მამა ბასილის სულიერი შვილი**

გატაცებული მოძღვრის კვალი დაიკარგა. პანკისში იხსენებენ, რომ ბერების გატაცების გამო ხეობაში სიტუაცია ძალიან დაიძაბა, ჯამაათში განხეთქილების მიზეზიც სწორედ ეს იყო. ითქვა, გატაცების უკან შეიძლება ძმები ახმედოვები დგანანო (ჩეჩენი 9 ძმა, რომლებმაც ადამიანის გატაცება მომგებიან ბიზნესად აქციეს. მათ სახელს უკავშირდება ყველა გახმაურებული მსგავსი ფაქტი კავკასიასა თუ რუსეთში. დღეს მათგან მხოლოდ ორია ცოცხალი. სწორედ ახმედოვებს შეუკვეთეს ერთ დროს ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობაც, რომელიც ორიოდე თვის წინ თურქეთში მოკლულ ცნობილ კილერს, რაულ პაპასკირს უნდა აღესრულებინა), მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო დამკვეთი? ამაზე პასუხი არავის ჰქონდა. არავინ იცოდა, ცოცხალი იყო თუ არა მამა ბასილი. ხეობაში ხმები დადიოდა, — როდესაც გელაევმა მისი გამტაცებლები დახოცა, დახოცილთა ახლობლებმა შური იძიეს და მოძღვარი მოკლესო. თუმცა ამის დადასტურება არავის შეეძლო, ამასობაში სოფელ მატანთან მთელი კახეთი იყრიდა თავს და ზღვარგადასული კრიმინალის აღსაკვეთად ქუდზე კაცს უხმობდა. ცოტა ხანში მათ ავღანეთის მეომართა კავშირის წევრებიც შეუერთდნენ, კრიმინალთან და ნარკოტიკებთან საბრძოლველად ხეობის მიმდებარე სოფლებში სახალხო ლაშქარი იქმნებოდა ლუკა რამაზაშვილის მეთაურობით. ჩანდა, სისხლიანი შეტაკება გარდაუვალი იქნებოდა, ამიტომ 2002 წლის დასაწყისში ხელისუფლებამ პანკისის ხეობაში წესრიგის დამყარება გადაწყვიტა. 14 იანვარს საქართველოს პრეზიდენტთან უშიშროების საბჭოს საგანგებო თათბირზე გადაწყდა, რომ საქართველოს შინაგანი ჯარი, უშიშროების სამინისტროს შესაბამის დანაყოფებთან ერთად, ხეობაში შევიდოდა და პანკისს კრიმინალებისა და შეიარაღებული მეომრებისგან გაწმენდდა. მაშინ სამართალდამცავი ორგანოები იმედოვნებდნენ, რომ მამა ბასილის გათავისუფლებას შეძლებდნენ. ამაოდ...

წლები გადიოდა. ხეობა ნელ-ნელა დატოვა შეიარაღებულმა ხალხმა, საქართველოს საზღვრისკენ მომავალი რუსლან გელაევი 2004 წლის 3 მარტს მოკლეს. ამრიგად, მამა ბასილის კვალი სამუდამოდ დაიკარგა. ერთ დღეს, მოულოდნელად, ტყვეობიდან გათავისუფლებულ მორჩილებს დაურეკეს — თუ მამა ბასილის ბედი ისევ გაწუხებთ, დაგეხმარებითო და გარკვეული თანხა მოითხოვეს. უცნობებმა კიდევ ერთი პირობა წაუყენეს — მორჩილებს კრინტი არავისთან არ უნდა დაეძრათ. რა თქმა უნდა, მორჩილები ყველა პირობას დათანხმდნენ, თუმცა ჯერ მოძღვართან საუბარი მოითხოვეს. როგორც ისინი მოგვიანებით აცხადებდნენ, უცნობებმა მამა ბასილი მართლაც დაალაპარაკეს და ამიტომაც წავიდნენ პანკისში. უცნობები ორი დუისელი მეცხვარე აღმოჩნდა, ერთს ვახა ერქვა. მორჩილებმა მათ 17 000 დოლარი და 8000 ლარი გადასცეს და დაჰპირდნენ, დანარჩენს მერე ჩამოიტანდნენ. დათქმულ დროზე მორჩილებმა შემოწირულობით შეგროვებული ხუთი კილოგრამი ოქრო გადასცეს მეცხვარეების მიერ გამოგზავნილ კაცს და თბილისში იმედიანად დაბრუნდნენ. თუმცა მამა ბასილი არც ამის შემდეგ გამოჩენილა. როდესაც მორჩილებს მოძღვრის დაბრუნების იმედი გადაეწურათ, იძულებული გახდნენ, ყველაფერი მამა ბასილის მეგობრებისთვის ეამბნათ.

უკვე გვიან იყო. მამა ბასილის კვალი ისევ გაქრა... მოძღვრის გამოჩენის იმედი პანკისშიც დაკარგული აქვთ და ფიქრობენ, ცოცხალი აღარ არისო, თუმცა, ლეგენდებს ქართველი ბერების დიდ გულსა და სიმამაცეზე დღესაც თვალებანთებულნი ჰყვებიან...

**ნინო ბურჭულაძე**

# მერაბ მეტრეველის კვირის ფიქრები...



### თუ კანონმა მოგიკაკუნა

ყველა ელოდა, როდის მიადგებოდნენ გიგის, და აი, ეს დღეც დადგა. რა თქმა უნდა, არაფერია სასიხარულო. მხოლოდ იმის განცდა, რომ ქვეყანაში ხელშეუხებელი არავინ იქნება და ადრე თუ გვიან, კანონი ყველას კარზე მიუკაკუნებს და მისი უპატივცემლობის გამო პასუხს მოითხოვს. კანონი ეტყვის მას: გინდა მერი იყავი, გინდა მაყვალა, როდესაც დანაშაული გაქვს ჩადენილი, წესით და რიგით, პასუხიც უნდა აგო. ეს ზოგადად, კონკრეტულად კი, რა თქმა უნდა, სასამართლოს გადაწყვეტილებას უნდა დაველოდოთ და არ ვიჩქაროთ ვინმეს დადანაშაულება. სასამართლომდე ამის მტკიცება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაა. ამიტომ „თუ“-ებით უნდა ვილაპარაკოთ. თუ ყველაფერი, რასაც გამოძიება ამტკიცებს, მართალია, ცხადია, საქმე დანაშაულთან გვაქვს. მართალია, ბევრს ეგონა, რომ რიყის საქმიდან გამქრალი 10 მილიონი გიგის და სხვებს სახლში ექნებოდათ წაღებული და სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ჯოზეფ კეისთვის გადაურიცხავთ, მაგრამ დანაშაული მაინც სახეზეა: ბიუჯეტის ფული კერძო ტელეკომპანიის გამოსყიდვის საქმეში დაიხარჯა.

დღეს ბატონმა გიგიმ რაც უნდა იძახოს, რიყე ჩემი საამაყო პროექტიაო, დანაშაული თუ დაუმტკიცდა, ალბათ პასუხიც უნდა აგოს. დიახ, რიყე საშინელება იყო „ვარდების რევოლუციამდე“ და დღეს ის, მართლაც შეიძლება ითქვას, ხალხს დაუბრუნდა, მაგრამ განა ეს კარგი საქმე ამართლებს ბიუჯეტიდან ათი მილიონის გაფლანგვას? საერთოდ ხშირად ხდება, როდესაც „ნაციონალურ მოძრაობაში“ ცალკეული წევრების დანაშაულზე იწყებენ საუბარს, მათი მომხრეები მაშინვე მათ მიერ გაკეთებულ კარგ საქმეებს გაიხსენებენ. ეს ორი რამე არ შეიძლება ერთმანეთის საპირწონე იყოს. ყველას გახსოვთ ვიქტორ ჰიუგოს რომანი „ოთხმოცდაცამეტი წელი“. იქ არის აღწერილი ასეთი ეპიზოდი: სამხედრო გემზე ერთ-ერთი მეზღვაურის დაუდევრობით, უბედურება დატრიალდება, დაბმული ზარბაზანი მოწყდება, რამდენიმე ადამიანს მოკლავს და გემსაც დაღუპვით ემუქრება. ბოლოს თავად დამნაშავე გამოიჩენს უმაგალითო გმირობას და საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ზარბაზანს შეაჩერებს. შედეგად გენერალი ამ ადამიანს ჯერ მამაცობისთვის წმინდა ლუდოვიკოს ჯვრით დააჯილდოებს, შემდეგ კი დაუდევრობისთვის დახვრეტს. მე, ბუნებრივია, არავის დახვრეტას არ ვითხოვ. ეს მაგალითი მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ მოვიყვანე, რომ დანაშაულისთვის პასუხი ყველამ უნდა აგოს, გმირიც რომ იყოს.





### ბრძოლა თბილისისთვის

პარასკევ საღამოს „რუსთავი 2“-ის წამყვანმა გადაცემა „პოზიციაში“ ვანო მერაბიშვილი მიიწვია, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი და ხელში შერჩა თბილისის ვიცემერი. სანამ სტუდიაში მივიდოდა, ვანო გიგი უგულავამ ახალ თანამდებობაზე დანიშნა. აქაოდა, მე თუ დამიჭირეს, მერიაში „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი უნდა იყოს, თბილისის მერიაც „ოცნებამ“ რომ არ ჩაიგდოს ხელშიო. ასე სასწრაფოდ ეს დანიშვნა იმიტომ განახორციელეს, რომ ეგონათ, შაბათს გიგის უკვე დაიჭერდნენ, თუმცა რამდენიმე წუთში მთავარმა პროკურორმა „იმედის“ ეთერში განმარტა, რომ ამ ეტაპზე უგულავას დაკავებას არ აპირებენ.

მოკლედ, რომ ვთქვათ, იჩქარეს ბიჭებმა, მაგრამ მთავარი ეს არაა. მთავარი ისაა, რომ უგულავასთვის ბრალის წაყენებას ისინი თბილისისთვის ბრძოლას არქმევენ. „არ დავუთმობთ თბილისს ივანიშვილს“, — განაცხადა პარასკევ საღამოს „ნაციონალური მოძრაობის“ მზეთუნახავმა, მარიამ საჯაიამ. რას ნიშნავს, არ დავუთმობთ თბილისს? რატომ არის დღეს თბილისი „ნაციონალების“, როდესაც თბილისი მათი მაშინაც კი არ იყო, ხელისუფლებაში რომ იყვნენ? მე მესმის, რატომ ებღაუჭებიან თბილისის მერიას და საკრებულოს. მიშა ხელისუფლებაში ხომ სწორედ საკრებულოს თავმჯდომარეობიდან მოვიდა და ალბათ იმედი აქვთ, თბილისის ხელისუფლებაში თუ დარჩებიან, შანსი ისევ ექნებათ, მაგრამ... აქ ძალიან დიდი მაგრამ არსებობს. თბილისი შენი მაშინ კი არ არის, როდესაც მის ხელისუფლებაში ხარ, არამედ მაშინ, როდესაც თბილისელები მხარს გიჭერენ. 2003 წელს მიშა საკრებულოს თავმჯდომარეობიდან ქვეყნის სათავეში იმიტომ მოვიდა, რომ მას თბილისელებიც და მთელი საქართველოც მხარს უჭერდა. ახლა რა თავში იხლის თბილისის ხელისუფლებაში ყოფნას? ბრძოლა თბილისისთვის მიშას უკვე დიდი ხანია, წაგებული აქვს.

### გამოდით, დაგთვალოთ!

რამდენი ადამიანი უჭერს მხარს „ნაციონალურ მოძრაობას“, ეს 19 აპრილს რუსთაველის გამზირზე გამოჩნდება. ვანო მერაბიშვილის მიერ ორი თვით ადრე აქციის დაანონსებამ ბევრი კითხვა გააჩინა. ბევრმა მაშინვე გაიხსენა, რომ ეს ის პერიოდია, როდესაც, კანონის თანახმად, სააკაშვილს პარლამენტის დათხოვნის უფლება უჩნდება. ემანდ რამე ჩაფიქრებული არ ჰქონდეთო, შეშფოთდნენ ვიღაცები. ვფიქრობ, საქმე მარტივადაა: „ნაციონალების“ მიერ ორი თვით ადრე აქციის დაანონსების და ამ აქციის თარიღის იმ პერიოდზე დამთხვევის, როდესაც სააკაშვილს პარლამენტის დათხოვნის უფლება აქვს, ერთადერთი მიზანი არის ივანიშვილზე ზეწოლა. გათვლა მარტივია: ვანოს აზრით, ივანიშვილი არის პანიკიორი, ჰოდა, დაეჭვდება, ემანდ რამე პროვოკაციას არ გეგმავდნენ „ნაცებიო“, შეეშინდება და დათანხმდება მათთან მოლაპარაკებას ამნისტიის პროექტზე, ან დაპანიკებული რამე შეცდომას დაუშვებს (ორივე აწყობს). საკმაოდ სულელური გეგმაა, მაგრამ ზოგჯერ ეფექტურიც. მაგალითად, აჭარის რევოლუციის დროს ამან იმუშავა. მაშინ ვანოს იდეით, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ტემპერატურა ხელოვნურად ასწია, კულმინაციის მომენტში კი ჩოლოქთან ახლოს ჯარის წვრთნა დანიშნა. სულელიც კი მიხვდებოდა, რომ მიშა აჭარასთან ომს და სისხლის ღვრას არ დაიწყებდა, მაგრამ ასლანი დაპანიკდა და ხიდი ააფეთქა. აი, იქ დამთავრდა კიდეც. იმედია, ივანიშვილს მეტი ჭკუა აქვს და მათ პროვოკაციას არ წამოეგება. თუ ხელისუფლება ამ აქციას დაიკიდებს, ის შეიძლება „ნაციონალების“ კრახად იქცეს. თუ ხელისუფლება ყველაფერს მშვიდად მოეკიდება და შეეცდება, არავის მისცეს პროვოკაციების უფლება, აქტუალური მხოლოდ სოციალურ ქსელებში გავრცელებული გამოთქმა დარჩება: გამოდით ერთი, უნდა დაგთვალოთ!

# დიპლომამდელი განათლების ამერიკული პროგრამა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

## პროგრამა კურსდამთავრებულებს მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში ექიმად მუშაობის საშუალებას მისცემს

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ტრადიციული უმაღლესი სასწავლებელია ამიერკავკასიაში. საინტერესო და მნიშვნელოვან ინოვაციებს სამედიცინო უნივერსიტეტი სტუდენტებს საკმაოდ ხშირად სთავაზობს და ამ შემთხვევაშიც სიახლე უდიდეს ყურადღებას იმსახურებს.*

2013 წლის სექტემბრიდან სამედიცინო უნივერსიტეტი დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას იწყებს, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) სამედიცინო სკოლის (ESOM) ერთობლივი პროექტის საფუძველზე შემუშავდა.

ინგლისურენოვანი სწავლება და პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის პროცესშივე აშშ-ის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის (United State Medical Licensing Examination - USMLE) ჩაბარებას. ამ ლიცენზიის მფლობელი კი, რეზიდენტურაში სწავლის უფლებას აშშ-ში და მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში მიიღებს... რეალურად, ამ ლიცენზიის მიღებით უსაზღვროდ ფართოვდება მისი დასაქმების, პროფესიული დახელოვნების, მუდმივი პროფესიული განვითარების არეალი. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურდამთავრებულებს ყოველთვის ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ ამერიკის და სხვა საერთაშორისო დონის სალიცენზიო გამოცდებზე გასულიყვნენ, რისთვისაც ისინი, ინგლისური ენის ცოდნის გარდა, დამატებით მომზადებას საჭიროებდნენ. ახალი პროგრამით კი, სალიცენზიო გამოცდებისთვის მზადება და მათი ჩაბარება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, რაც დროს, ენერგიას და ხარჯებს მნიშვნელოვნად ზოგავს.



პროგრამის მიზანია, აღზარდოს საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური სამედიცინო კადრები, რომლებიც მზად არიან დიპლომის შემდგომი განათლებისა და სპეციალური მზადებისთვის როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. სწავლის პროცესში ბაზისური და კლინიკური დისციპლინები ინტეგრირებულია და სტუდენტს საშუალებას აძლევს, სწავლის დაწყებისთანავე აქტიურად იყოს ჩართული კლინიკურ საქმიანობაში და ამავდროულად, განახორციელოს სამეცნიერო კვლევაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება მიეცემათ სწავლის, სამეცნიერო კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის ეტაპები ემორის უნივერსიტეტში გაიარონ. სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი მიენიჭება. ამასთან, სამეცნიერო კვლევაში აქტიურად ჩართულ სტუდენტს დიპლომირებული მედიკოსის (M.D.) ხარისხთან ერთად, შესაძლებლობა ეძლევა აიღოს დამატებით, მაგისტრის ხარისხი მედიცინის მეცნიერებაში (Master of Medical Science) და განსაკუთრებული წარმატების შემთხვევაში — დოქტორის ხარისხი (Ph.D.).

სწავლის ხანგრძლივობაა 6 წელი; სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქეებისთვის წლიურად 8 ათას ლარს შეადგენს.

მსურველთა პროგრამაში ჩართვა, საქართველოს მოქალაქეებისთვის, ერთიანი ეროვნული გამოცდების საშუალებით განხორციელდება. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ ნომერზე: 254-24-49; ელ.ფოსტა: USMDprogram@tsmu.edu

R

# „ეს ფირი დამონტაჟებულია“



ბუტა რობაქიძის საქმის გამომძიებელი შალვა ნიქაბაძე გაყალბებაზე ლაპარაკობს და ამბობს, რომ დავალებებს უშუალოდ ზურაბ ადეიშვილი იძლეოდა



**შალვა ნიქაბაძე: „დონაძე წყვეტდა, ვისთვის რომელი იარაღი ჩაედოთ. ჩემ თვალწინ პატრულ-ინსპექტორს აალებინა ავტომატი და მანქანის წინა სალონში ჩაადებინა. ვხედავდი, როგორ ჩაადებინა ხელყუმბარა ბართაიასთვის. მას შარვლის ჯიბე დახეული ჰქონია და ხელყუმბარა ძირს დავარდა. მერე ყუმბარა საქამრეში ჩაუდეს და ვითომ იქ იპოვეს“.**



**ზურა ბაქრაძე: „მიკვირს, ირაკლიმ რატომ აიღო ამხელა ტვირთი საკუთარ თავზე? არ არის გამორიცხული, რომ ეს ფირი შემოუგდეს. ისიც შემიძლია გითხრათ, საიდან მოხვდებოდა ეს ფირი ირაკლი ფირცხალავასთან, მაგრამ ამაზე საუბრისგან ჯერ თავს შევიკავებ... ეს ფირი ფირცხალავას რომ არ გამოეჩინა, შეიძლებოდა მისთვის ფირის განადგურება დაებრალებინათ“.**

(დასაწყისი გვ. 5)

ეს კაცი პრესსამსახურის უფროსი კი არა, არაოფიციალურად პატრულის ხელმძღვანელი იყო. კიდევ ერთხელ ვამბობ, — ბუტა რობაქიძე არასოდეს ყოფილა დანაშაულში შემჩნეული და არც იმ ბიჭების დანაშაულზე არსებობდა ინფორმაცია. ამას გეუბნებით როგორც თბილისის კრიმინალური პოლიციის მაშინდელი უფროსი.

მინდა ვთხოვო ლევან გვაზავას, ალბათ, ძალიან კარგად ახსოვს, მისივე სამსახურებრივი მანქანით როგორ მივედით შემთხვევის ადგილზე. დარწმუნებული ვარ, სიმართლეს იტყვის. გვაზავასთან ერთად მე, იაშვილი და ფირცხალავა რესტორანში ვიყავით, როცა ლევანს დაურეკეს და უთხრეს, რაც მოხდა. იქ რომ მივედით, ყველაფერი უკვე დალაგებული იყო. რატომ არ უნდა გამოძიებას გაიზიაროს თუნდაც პასუხისმგებელი მორიგის, სარიშვილის განცხადება, რომელიც ამბობს, რომ მიქაძემ წამოიღო იარაღი. მიქაძე ვაკე-საბურთალოს ადმინისტრაციული პოლიციის უფროსის პოსტიდან ახალი გადმოსული იყო პატრულში. ის თავისუფლად გამოიტანდა იქიდან იარაღს. არ შემიძლია იმის თქმა, თუ ვის ესაუბრებოდა ტელეფონზე, რას ათანხმებდა. ამ განცხადების შემდეგ შეიძლება დონაძე და მიქაძე ერთობლივად ჩაერთონ ამ საქმეში და ჩემს წინააღმდეგ გაავრცელონ ფირები, მაგრამ მე არაფრის მეშინია. დავიღალე უკვე ამ საქმით და ვამბობ სიმართლეს. დონაძის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ გაჩნდა ეს ყველაფერი და ესეც ბევრ ეჭვს ბადებს.

— **ხომ არ იცით, სად შეიძლება ინახებოდეს ის ფირი, რაც რეალობას ასახავს?**

— არ ვიცი, ეს დონაძეს უნდა ჰკითხოთ.

— **პატიმრობა შეგიფარდეს და ძებნა გამოცხადდა. არ დადგა იმის დრო, რომ დაბრუნდეთ საქართველოში და გამოძიებას ჩვენება მისცეთ?**

— საქართველოში დაბრუნება ახლა გამიჭირდება. იცით, რომ ჩემს პასპორტს მოქმედება შეუჩერდება, რადგან ძებნილი ვარ. პირველივე საზღვარზე დამაკავებენ. სასამართლო 27 მარტს არის დანიშნული და გადავწყვეტ, როგორ ვიმოქმედო. შესაძლებელია, ამ დროისთვის დავბრუნდე კიდეც.

კიდევ ერთი პირი, რომელიც საქმის გაყალბებაზე ლაპარაკობს, ამ საქმის გამომძიებელი შალვა ნიქაბაძეა. მისი თქმით, დავალებებს უშუალოდ ზურაბ ადეიშვილი იძლეოდა.

**შალვა ნიქაბაძე:** — შემთხვევის ადგილზე იმ მომენტში აღმოვჩნდი, როცა ზურაბ მიქაძე და გურამ დონაძე იარაღსა და საბრძოლო მასალას ულაგებდნენ დაკავებულებს. დონაძე წყვეტდა, ვისთვის რომელი იარაღი ჩაედოთ. ჩემ თვალწინ პატრულ-ინსპექტორს აალებინა ავტომატი და მანქანის წინა სალონში ჩაადებინა. ოქმში დაფიქსირდა, რომ თითქოს მანქანაში ავტომატი იპოვეს. ვხედავდი, როგორ ჩაადებინა ხელყუმბარა ბართაიასთვის. მას შარვლის ჯიბე დახეული ჰქონია და ხელყუმბარა ძირს დავარდა. ამან პანიკა გამოიწვია, მერე ყუმბარა საქამრეში ჩაუდეს და ვითომ იქ იპოვეს.

— **ამას უყურებდით და როგორც გამომძიებელმა რა მოიმოქმედეთ?**

— დავუკავშირდი ჩემს ხელმძღვანელ პროკურორ ირაკლი წერეთელს და ყველაფერი ვუთხარი. მითხრა, შენ გვამზე იმუშავე, დაკავებულებს პოლიცია მიხედავსო. მე უფროსის მითითება შევასრულე. ფირი, რომელიც გავრცელდა, არ არის შემთხვევის ამსახველი. ვფიქრობ, გადაღებულია შემთხვევიდან მოკლე პერიოდში. მიქაძის ადვოკატის მტკიცებით, ის იქ შემთხვევიდან დაახლოებით 20 წუთში მივიდა, ფირში კი მიქაძე ჩანს. გამოძიების პროცესში სასწრაფო დახმარების სამსახურში მივედი, იქ დაფიქსირებულია, რომ სასწრაფო დახმარება შემთხვევის ადგილზე გამოძახებიდან ზუსტად 3 წუთში მივიდა. ფირში არ ჩანს ეს მანქანა, ესეც ადასტურებს, რომ მოგვიანებით არის გადაღებული.



**„ამ ბიჭებიდან არც ერთს იარაღი არ ჰქონია. ყველა ის იარაღი პირადად ზურაბ მიქაძის მიტანილია“**

— **იქ ჩანს, რომ მაიზერ ლიპარტელიანი იძახებს სასწრაფოს.**

— ესეც დადგმულია, მაიზერ ლიპარტელიანი იქ იმ მომენტში არ ყოფილა და არ გამოუძახია სასწრაფო. მაიზერ ლიპარტელიანმა რაციაში მოისმინა, რომ სასწრაფო დახმარება გამოიძახეს და მხოლოდ ამის შემდეგ მივიდა შემთხვევის ადგილზე. ყველაზე მთავარი დადასტურებულია — გასროლიდან 3-4 წუთი 4 პატრულის თანამშრომლის გარდა, იქ არც ერთი პატრული არ ყოფილა. ამ ფირში კი ვხედავთ, რომ ბევრი ფორმიანი ტრიალებს, ესეც ადასტურებს, რომ გვიან არის გადაღებული.

— **თავიდან საქმე რა მუხლით აღძარით?**

— იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა ტარების მუხლით.

— **როცა იცოდით, იარაღი ჩალაგებული იყო, მაინც რატომ აღძარით ამ მუხლით, თუ ბრძანება იყო, არ გიცდიათ წინააღმდეგობის გაწევა?**

— ასეთი საკითხები გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილისა და ქალაქის პროკურორის გიორგი ღვინიაშვილის დონეზე წყდებოდა, მათი დაკვეთა იყო და იყო მუქარაც. მესამე დღეს, როდესაც დაკავებული ბიჭები მოსამართლე ნინო შარაძემ დარბაზიდან გაათავისუფლა, სანამ პროცესიდან პროკურატურაში დავბრუნდებოდი, რაიონულმა პროკურორმა მითხრა: პირადად ადეიშვილი მესაუბრა, ხვალ დილის 10 საათზეა დანიშნული პროცესი, ამ გადაწყვეტილებას ვასაჩივრებთ და იმ ხუთი გაშვებული პირიდან ერთიც რომ არ მივიდეს სასამართლო პროცესზე, ნაბრძანები გვაქვს, შენ და მოსამართლე დაგაპატიმროთო. ეს არ არის ზეწოლა? იყო ასეთი შემთხვევაც — ზურაბ ადეიშვილის კაბინეტში ვიყავით მე და რაიონული პროკურორი და ითქვა, პატრული პრეზიდენტის შექმნილი ორგანიზაციაა, მას ჩირქი არ უნდა მოეცხოს, მჯერა პატრულ-ინსპექტორები არ მოიტყუებიან და უნდა მიჰყვეთ მათ ჩვენებასო. ხმა არ ამომიღია, მაგრამ ეს ჩემს გასაგონად ითქვა. ეს ყველაფერი იმისთვის დაიდგა, რომ პატრულის იმიჯი არ შელახულიყო. რა უნდა მექნა? მე ერთ წელიწადში გამათავისუფლეს სამსახურიდან. ადეიშვილს უთქვამს, ნიქაბაძე არ მჭირდება, უმართავი კაციაო. ოფიციალურად კი თითქოს რეფორმა მოხდა და პროკურატურიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში გადამიყვანეს, სადაც 2009 წლამდე ვმუშაობდი, მერე ჩემი ნებით წამოვედი. ეს საქმე კი სხვას გადაეწერა.

— **ბაშალეიშვილს სიმთვრალის ტესტი ჩაუტარდა? რას ამბობდა ჩვენებაში?**

— ოთხივე პატრულის თანამშრომელი იდენტურ ჩვენებას მაძლევდა, — თითქოს ბუტა რობაქიძე გადმოვიდა მანქანის სალონის უკანა, მარჯვენა მხრიდან, მოუარა BMV-ს, ბაშალეიშვილის პირდაპირ დადგა და ორჯერ გაისროლა, რის შემდეგ ბაშალეიშვილმა დამიზნებით ესროლა და მოკლა. ეს მათ თავდაცვაში ეთვლებოდათ და ამიტომაც თქვეს ასე. დაკავებული ბიჭები კი ამას კატეგორიულად უარყოფდნენ. მათ მთავარი გამორჩათ, არ იცოდნენ, სად ჰქონდა ტყვია მოხვედრილი ბუტა რობაქიძეს. ისიც დადგინდა ექსპერტიზით, რომ ბუტა რობაქიძე იმ დღეს იმ მანქანაში იმ მხარეს არ მჯდარა.

პოლიციის განყოფილებაში გამოვიტანე დადგენილება, ოთხივე პატრულ-ინსპექტორს ჩატარებოდა ექსპერტიზა სიმთვრალე-სიფხიზლეზე. საქმის კურსში ჩავაყენე ზემდგომი პროკურორიც. 15 წუთში დამირეკეს და მითხრეს, ეს ბიჭები არ უნდა შეამოწმოთო.

— **გურამ დონაძე დაჰკითხეთ?**

— როგორ დავკითხავდი, არ დაგავიწყდეთ, 2004 წელი იდგა. დაახლოებით 10 დღის მომხდარი იყო ეს ფაქტი. მქონდა ინფორმაცია, რომ მკვლელობა გადაღებული იყო. დონაძემ ფირის ჩვენებაზე უარი მითხრა, მე ეს ირაკლი წერეთელს ვაცნობე. მასაც აინტერესებდა ფირის ნახვა და ღვინიაშვილს დაუკავშირდა. მერე ღვინიაშვილმა დამირეკა და მითხრა, სასწრაფოდ მიდი შს სამინისტროში, საშვი დაშვებულია და წამოიღე კასეტაო. იქ რომ მივედი, დონაძემ მითხრა, შემთხვევით ის კასეტა წაგვეშალაო. ამას შეესწრო ჟურნალისტი მაკა რაზმაძე.

— **საინტერესოა ოპერატორ ზურაბ ვაწაძის ჩვენება, ის არ დაგიკითხავთ?**

— დავკითხე. მითხრა, როგორც კი მივუახლოვდი შემთხვევის ადგილს, კამერა მაშინვე ჩავრთე. არ მახსოვს მკვლელობის მომენტი არის თუ არა გადაღებული, მაგრამ გასროლა ისმის. გადაღებიდან დაბრუნების შემდეგ კასეტა დონაძემ გამომართვაო. დონაძეს კი აბა, ვინ დამაკითხვინებდა.

*თეა ხურცილავა*


ავერსის კლინიკა
AVERSI CLINIC

## უცხოელი სპეციალისტი „ავერსის კლინიკა“-ში

„ავერსის კლინიკაში“ კვლავ წარმატებით გრძელდება ართროსკოპიული ოპერაციების ჩატარება ევროპის წამყვან სპეციალისტებთან ერთად. ამ მიზნით 8-9 მარტს კლინიკას კვლავ ესტუმრება ევროპაში სპორტული მედიცინისა და ართროსკოპიული ქირურგიის გამოჩენილი ექსპერტი, პროფესორი **საშა იანკოვიჩი**, რომელიც ქართველ კოლეგასთან — **პაატა ღუდუშაურთან** (AO ტრავმა საქართველოს საბჭოს თავმჯდომარე; ევროპის მუხლის ქირურგიის და ართროსკოპიის საზოგადოების წევრი; ევროპის მხრის და იდაყვის ქირურგიის საზოგადოების წევრი) ერთად ულტრათანამედროვე მეთოდებით განახორციელებს დაზიანებული მენისკების ენდოსკოპიურ აღდგენა-გაკერვას, ნაწილობრივ ან სრულ ამოკვეთას; მუხლის სახსრის ჯვარედინა და გვერდითი იოგების, კოჭ წვივის სახსრის იოგოვანი აპარატის პლასტიკა-აღდგენას.

საოპერაციო ავადმყოფების კონსულტაცია და ჩაწერა მოხდება წინასწარ ტრავმატოლოგ ორთოპედ პაატა ღუდუშაურთან „ავერსის კლინიკაში“ ოთხშაბათობით 09:00-15:00 და ხუთშაბათობით 09:00-13:00.



მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 27ბ, ავერსის კლინიკა, მე-2 სართული, ოთ. 216

2 399-888
2 391-501
2 398-763
2 417-019



კომპანია „პოზაცრონი“ მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები

გერმანული კარ-ფანჯრები სამმაგი მინით — მხოლოდ ჩვენთან!
გერმანული SALAMANDER და KOMMERLING - 5-კამერიანი, 7სმ. სამონტაჟო სისქით
ფერები: თეთრი, თეთრი მუხა; ხის ტექსტურით: წითელი ხე, კაკალი, წაბლი, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, და ა.შ.
მის: წერეთლის 141ა მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 35-47-47; 53-06-00; 61-32-37; 899-90-20-91; 895-30-22-92 ტ/ფაქსი: 35-13-13

# უგულავა ომში მიდის?!

*„თუ ჩემი ქვეყნის თავისუფლების გზა გადის ომზე, მე მზად ვარ წავიდე ომში, თუ ჩემი ქვეყნის თავისუფლების გზა გადის ციხეზე, მზად ვარ წავიდე ციხეში. თუ ჩემი ქვეყნის თავისუფლების გზა გადის სიკვდილზე, მე მზად ვარ წავიდე ამაზე, მაგრამ გიჟურ, შიზოფრენიულ ჩანასახოვან დიქტატურას არ შევეგუები“, — განაცხადა თბილისის მერმა გიგი უგულავამ მას შემდეგ, რაც გამოძიებამ ის რიყესა და ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებულ მაქინაციებში ბრალდებულად ცნო. უგულავას პროკურატურაში დაკითხვის პარალელურად „ნაციონალურმა მოძრაობამ“ „ივანიშვილისაგან თბილისის დასაცავად“ აქცია გამართა. რისკენ არის მიმართული „ნაციონალური მოძრაობის“ ბოლოდროინდელი აქტიურობა, ამის შესახებ ფსიქოლოგიის პროფესორ* **მარინა ბალიაშვილს** *ვესაუბრეთ:*



**„უგულავა ბოლო დროს ძალიან არეულია. წესით, ასეც უნდა იყოს, მაგრამ ვის ატყუებს, რომ თურმე არ ეშინია“**

— როდესაც უგულავა ქვეყნის თავისუფლებისთვის ციხეში წასვლასა და სიკვდილისთვის მზადყოფნაზე ლაპარაკობდა, აბსოლუტურად არაადეკვატური იყო. აფერისტობდა, ცდილობდა, თავისი მაქინაციები, ფულის კეთება და სიბინძურე პათეტიკურ სამოსში გაეხვია და თავი დევნილად, ტანჯულად წარმოეჩინა. უგულავა ამბობს, იმის გამო მედავებიან, რომ ხალხს ხელფასს ვაძლევდიო. რატომ აძლევდა ბიუჯეტის ფულს კოორდინატორებს, ვინ მისცა ამის უფლება? ამათი უბადრუკობა მაკვირვებს. რა ეგონა უგულავას, მუდმივად იქნებოდა თანამდებობაზე? ის სტიქაროსანი იყო და რით ვერ გაიაზრა ქრისტიანული რელიგიის არსი, რომ ამქვეყნად მარადიული არაფერია, უპირველესად, სულზე უნდა იზრუნო და არა ყოველდღიურ ყოფით საგნებზე.

გასაოცარი იყო თბილისის მერისა და პრეზიდენტის განცხადებები, თითქოს ივანიშვილის მთავარი ამოცანა თბილისის მერიის

**« ვინც მსხვერპლის როლს თამაშობს, არაკეთილსინდისიერი ადამიანია, რადგან სურს, თავის ჭკუაზე ატაროს ის, ვის მსხვერპლადაც წარმოაჩენს თავს**

ხელში ჩაგდება ყოფილა. თბილისის მერია სამყაროს ჭიპი ხომ არ არის? უგულავამ თქვა, — მეცინება ხელისუფლების ბრალდებებზეო. ამ დროს სხეულის ენა და სახის გამომეტყველება სულ სხვას ამბობდა. კი არ ეცინებოდა, ეშინოდა. უგულავა ბოლო დროს ძალიან არეულია. ასეც უნდა იყოს, მაგრამ ვის ატყუებს, რომ თურმე არ ეშინია. ვერ ვხედავთ? ციხეში ჩასაჯდომად და სიკვდილისთვის მზად ვარო, როცა ამბობს, ტყუის. ნეტავ რისთვის არის მზად უგულავა, რომელიც თავის მუცელს, საკუთარ სიამოვნებასა და თავისი ცხოვრების გამრავალფეროვნებას გადაჰყვა. მისი განცხადებები ძალიან აღიზიანებს საზოგადოებას, იმიტომ, რომ არაგულწრფელობა ადვილად შესამჩნევია და ამას ვერავინ იტანს. სააკაშვილის გუნდში თვითშენარჩუნების, თავის გადარჩენის ინსტინქტი ამუშავდა და ჩასაძირი გემიდან ვირთხებივით გარბიან. არ მეგონა, თუ ასე სწრაფად დაინგრეოდნენ, როცა პრობლემა გაჩნდა, მაშინვე გაწყდა ჯაჭვი, დაიფანტნენ. „ნაციონალური მოძრაობა“ დომინოს პრინციპით იშლება.

— **„ნაციონალური მოძრაობა“ არ აპირებს დათმობას, უგულავამ დედაქალაქი ფაქტობრივად ვანო მერაბიშვილს გადააბარა, როდესაც ვიცე-მერად დანიშნა.**

— ვანოს ვერ მოჰკიდებენ ხელს თუ რა? ძალიან უცნაურად მეჩვენა, რომ უგულავამ მერაბიშვილს ჩააბარა თბილისის მერია...

— **დასავლეთის რეკომენდებული კოჰაბიტაცია ძნელი მისაღწევი აღმოჩნდა მაშინ, როდესაც ხალხი სამართლიანობის აღდგენას, ყოფილი მაღალჩინოსნები კი ხელშეუხებლობას მოითხოვენ.**

— სამართლიანობის ცნება ყველანაირ ურთიერთობას მსჭვალავს და ბალანსს ქმნის.

**„თბილისის მერია სამყაროს ჭიპი ხომ არ არის?“**

იმისათვის, რომ მტკიცე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა არსებობდეს, აუცილებელია წონასწორობის დაცვა — რამდენსაც გასცემ, იმდენივე უნდა მიიღო. „ნაციონალებმა“ კი ყველანაირი ბალანსი დაარღვიეს. რისი წაღებაც შეიძლებოდა, ყველაფერი წაიღეს და არაფერი დააბრუნეს. ახლა ვალების დაბრუნების დრო დადგა.

— **რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში ხათუნა კალმახელიძის წერილი გავრცელდა, სადაც სასჯელაღსრულების ყოფილი მინისტრი წერს, რომ არ იცოდა, რა ხდებოდა ციხეებში. წამების ამბავი რომ მცოდნოდა, განგაშს ავტეხდიო.**

— ვამჩნევ, რომ განკითხვის ჟამს ხელისუფლების არაერთი წარმომადგენელი თავს ისაწყლებს და მსხვერპლის როლს თამაშობს. რატომ არ იცოდა კალმახელიძემ, რა ხდებოდა მის სამინისტროში? განა ეს არ არის დანაშაული? მისი წერილი პასუხისმგებლობისაგან გაქცევის სურვილით არის ნაკარნახები და კარგად ჩანს მსხვერპლის როლის თამაშის სურვილი. მსხვერპლის როლი მანიპულაციის საშუალებაა. ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში მსხვერპლის როლს დესტრუქციული როლი ჰქვია და მომგებიანია მისთვის, ვინც ამ როლს ირგებს, რადგან დანაშაულის გრძნობას აღუძრავს მას, ვის მსხვერპლადაც უნდა თავის წარმოჩენა. დანაშაულის გრძნობა კი არის ყველაზე ცუდი, დამთრგუნველი გრძნობა. ადამიანები კარგად იმიტომ ვიქცევით, რომ მერე დანაშაულის გრძნობამ არ შეგვჭამოს. ვინც მსხვერპლის როლს თამაშობს, არაკეთილსინდისიერი ადამიანია, რადგან სურს თავის ჭკუაზე ატაროს ის, ვის მსხვერპლადაც წარმოაჩენს თავს.

ხათუნა კალმახელიძე თავს ისულელებს, არაფერი ვიცოდიო. თუ ვერაფერს ამჩნევდა და ასეთი გულუბრყვილო იყო, რას დასთანხმდა ურთულეს სამინისტროში მუშაობას? სად მისი ამერიკული განათლება და სად ქართული ციხე? იქ ნასწავლი კანონები რომ თბილისის ციხეში არ გამოადგებოდა, ხომ უნდა მიმხვდარიყო? ასეთ თანამდებობაზე მთავარი გამოცდილებაა. აშშ-ში ფსიქოანალიტიკოსად არავინ გაუშვებს 23 წლის ახალგაზრდას, რაგინდ განათლებულიც უნდა იყოს. იქ მიაჩნიათ, თუ ცხოვრებისეული გამოცდილება არა გაქვს, ვერ იქნები ფსიქოანალიტიკოსიო... პატრონი არ ჰყავდა კალმახელიძეს, რომ არ უთხრა, სად მიდიოდა?

ნიურნბერგის პროცესზე ნაცისტები, რომლებიც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში იყვნენ ბრალდებულნი, აცხადებდნენ, არ ვიცოდი, რა ხდებოდა, მე პატარა კაცი ვიყავი, ფიცი მქონდა მიცემული და რასაც მავალებდნენ, იმას ვაკეთებდიო. არავის უთქვამს სასამართლოზე, მინდოდა ხალხის წამება და ვაწამებდიო. რაიმეს არცოდნა პასუხისმგებლობისაგან არავის ათავისუფლებს.

ხათუნა კალმახელძის მსგავსად, მანიპულაციის სურვილი ჩანდა გურამ დონაძის სატელევიზიო გამოსვლაში, 9 წელი მკვლელს მეძახდნენ... თუკი ჩემი არ გჯერათ, მომკალით, ჩამქოლეთო. დონაძე მაშინ იმას აკეთებდა, რასაც ავალებდნენ და ამით თავის კარიერას იწყობდა. ახლა ითხოვს, რაც იყო წარსულია, მაპატიეთო... ხალხს წონასწორობის აღდგენა უნდა, საზოგადოების წესრიგი იმაზე დგას, დაუსჯელი არავინ დარჩეს.

— **მაგრამ სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლას უცხოელი პარტნიორები ხშირად პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დევნად აფასებენ.**

— ვინც ამას ამბობს, ლობირებული და ნაყიდია. თავიანთ ქვეყნებში რატომ არ ითხოვენ დამნაშავის დაუსჯელობას? დასავლეთში რატომ არავის არაფერს არჩენენ? ვიღაც ნაყიდი ჩინოვნიკები გველაპარაკებიან ისეთ თემებზე, რაზეც წარმოდგენაც არა აქვთ. მათ დავუჯეროთ და არ დავუჯეროთ საკუთარ ყურს და თვალს?

— **19 აპრილს „ნაციონალური მოძრაობის“ აქციის დაანონსება რას ემსახურება?**

— ესეც მანიპულაციაა. უნდათ აჩვენონ, ჩვენც გვყავს მხარდამჭერები, გარიყული არა ვართ და საქართველოში მშვიდად ცხოვრების უფლება გვაქვსო. ეს ძალის დემონსტრირების სურვილია, დესტაბილიზაცია სურთ, მაგრამ ამისთვის ჯერ მზად არ არიან, იციან, რომ პასუხს მიიღებენ. „ნაციონალური მოძრაობა“ დღეს საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობს, სააკაშვილი კი უთავმოყვარეო ადამიანია. ხალხს არ უნდა და მაინც არ მიდის. თუ წავა, ხალხის გულსაც მოიგებს, მაგრამ თავმოყვარეობადაკარგული ადამიანი ცხოველივით არის, — ვერ ხვდება რაღაცებს და ასეა სააკაშვილიც.

*იზო რიკაძე*

# „სოკარი“ უსაფრთხოების უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი გაზგასამართი სადგურებით შედის ბაზარზე

*უკვე წლებია საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი საავტომობილო ბუნებრივი აირით სარგებლობს და ბაზარზე მაღალხარისხიან, უსაფრთხო და ევროპული დონის ავტოგაზგასამართ სადგურებს ელოდება. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით 2012 წლის მეორე ნახევრიდან კომპანია „სოკარმა“ ამ ბაზარზე შესვლა ევრობული სტანდარტის სრული დაცვით დაიწყო.*

2013 წლის 22 თებერვალს კი კიდევ ორი, რიგით მე-2 და მე-3 ავტოგაზგასამართი სადგურები გახსნა.

ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ისნის ხიდთან და გურამიშვილის ქუჩაზე 84-ნომერში მდებარე ავტოგაზგასამართი სადგური „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა ბატონმა მაირ მამედოვმა სპეციალურ სტუმართან, „ალილეოს“ წარმომადგენელ ოსვალდო დელ კამპოსთან და სხვა სტუმრებთან ერთად გახსნა.



„სოკარის“ ახალი ავტოგაზგასამართი სადგურები აღჭურვილია არგენტინულ ბრენდ „ალილეოს“ ბოლო თაობის გაზ-საკომპრესორო დანადგარებით, რომელიც უზრუნველყოფს გაზის სწრაფ და უსაფრთხო ჩატუმბვას მომხმარებლის ავტომობილში. მაღალტექნოლოგიური ბუნებრივი აირის კომპრესორი არ საჭიროებს საკომპრესორო შენობას, რადგანაც მოთავსებულია მიკრობოქსში, რომელიც აღჭურვილია უახლესი ხანძარსაწინააღმდეგო და დაცვითი ტექნოლოგიით.

„სოკარის“ ავტოგაზგასამართ სადგურზე მომხმარებლებს ეძლევათ საშუალება, ისარგებლონ სპეციალური სერვისბლოკებით, რომლის მეშვეობითაც შეძლებენ საბურავების წნევის რეგულირებას, ავტომობილში წყლის დამატებას, სალონის ამოწმენდასა და სხვა. აგრეთვე, კახეთის გზატკეცილის ავტოგაზგასამართ სადგურზე იფუნქციონირებს მარკეტი, რომელიც მომხმარებელს 24 საათის განმავლობაში მოემსახურება.

სულ ობიექტებზე 25 ადამიანი დასაქმდა.

კომპანია „სოკარი“ 2006 წლის შემოდგომაზე შემოვიდა საქართველოს ნავთობბაზარზე და უკვე წლებია ლიდერის პოზიციას არ თმობს. ბიუჯეტში ყველაზე მსხვილი გადამხდელის სტატუსის მქონე კომპანია თითოეული მომხმარებლის კომფორტზეა ორიენტირებული. მომხმარებლისთვის მოსახერხებელ და ქვეყნისთვის სტრატეგიულ წერტილებში გადანაწილებული 101 ავტოგასამართი სადგური სრული კომფორტითა და მომსახურების მაღალი დონით გამოირჩევა. ისეთი ტრანზიტული მნიშვნელობის ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მნიშვნელოვანია ევროპული დონის ავტოგასამართი სადგურების არსებობა.

კომპანია „სოკარი“, როგორც ქვეყნის ძლიერი და ღირსეული პარტნიორი, შეუფერხებლად განაგრძობს ქვეყანაში ინვესტირებასა და ასობით ადამიანის დასაქმებას.

R

# „პატრიოტთა თამაშები“ თუ დაანონსებული შეტაკების ამბავი

***რა** კავშირია 19 აპრილს დაანონსებულ „ნაციონალების“ მიტინგსა და თბილისის მერ გიგი უგულავასთვის ბრალდების წაყენებას შორის? მაგალითად, ვანო მერაბიშვილი მიიჩნევს, რომ კავშირი პირდაპირია — ბიძინა ივანიშვილს აქციის შეეშინდა და „ნაციონალების“ ლიდერების დევნა დაიწყო.*

„ნაციონალები“, ალბათ, ამ მიტინგს დაუკავშირებენ მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის განცხადებასაც, რომ ტელეკომპანია „იმედის“ ხელში ჩაგდების საქმეზე, რომლის „მთავარი გმირი“ უგულავაა, შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილიც დაიკითხოს. მოკლედ, რაც უფრო მძიმეა სამართალდამცველების ბრალდება ამა თუ იმ მაღალჩინოსნისადმი, მით მეტად ცდილობენ „ნაციონალები“, რომ წამებულის მანტია მოისხან და ზეპატრიოტული განცხადებები აკეთონ.

**თავშეკავება ისე გვჭირდება, როგორც არასდროს!..**

მაგალითად, გიგი უგულავას გამოძიება ედავება, რომ სწორედ მისი ორგანიზებით და დავით კეზერაშვილის მონაწილეობით, საბიუჯეტო სახსრებით ხელში ჩაიგდეს „იმედი“, რომელსაც წლების განმავლობაში სააკაშვილის თანაგუნდელი გიორგი არველაძე ხელმძღვანელობდა.

გულზე ხელი დავიდოთ და სიმართლე ვთქვათ, სიურპრიზი იყო ჩვენთვის „იმედის“ ხელში ჩაგდების ამბავი? არა, რადგან ჩვენს თვალწინ შევარდა 7 ნოემბერს მერაბიშვილის სპეცრაზმი ტელეკომპანიაში, ასევე ჩვენ თვალწინ გახდა მისი ხელმძღვანელი ჯერ ჯოზეფ ქეი, შემდეგ კი გიორგი არველაძე. მოკლედ, ყველაფერი ნათელი იყო, ოღონდ, ასე ვთქვათ, გვარ-სახელები საჭიროებდა დაზუსტებას.

თუმცა იმ ამბის დეტალების დაზუსტებას, რომლის შესახებაც ასე თუ ისე ინფორმირებული ვიყავით, „ნაციონალების“ ორგანიზებული პიარშეტევა მოჰყვა. მიხეილ სააკაშვილის, გიგი უგულავასა თუ ვანო მერაბიშვილის განცხადებები, ალბათ, ყველამ მოისმინეთ ან წაიკითხეთ და ციტატების მოყვანით არ დაგღლით. ოღონდ, ყოფილი მმართველი გუნდი პრაქტიკულიცაა — პირველ ვიცე-მერად დანიშნეს და უგულავას დაჭერის შემთხვევაში, ფასადად მოამზადეს სევდია უგრეხელიძე. თბილისის მერის ფუნქციები კი უგულავას დაკავების შემთხვევაში სინამდვილეში ვანო მერაბიშვილს დააკისრეს, რომელიც დედაქალაქის ხელმძღვანელის „ჩვეულებრივ“ მოადგილედ ინიშნება.

სხვათა შორის, ექსპერტები მიიჩნევენ, — კონკრეტული საქმეებით სამართალდამცველთა დაინტერესებაზე პასუხისას, „ნაციონალების“ ლიდერები ზოგჯერ ისე გაუტევენ ხოლმე, რომ თავისდა უნებურად გამოძიების ვერსიას ეთანხმებიან.

„მაგალითად, გიგი უგულავამ განაცხადა, რომ „თბილსერვისში“ მართლაც ჰყავდა ძალიან ბევრი ადამიანი დასაქმებული და მათ ხელფასს უხდიდა. მან ასევე მოუწოდა ივანიშვილს, შენს შპს-ებს მიხედეო. კი მაგრამ, ივანიშვილი თავის კომპანიებში დასაქმებულებს თავის ფულს უხდიდა, უგულავა კი ჩვენი ბიუჯეტიდან. რაც შეეხება „იმედის“ საქმეს, ამ ტელეკომპანიის გარშემო განვითარებულ მოვლენებში მთავარ როლს რომ ყოფილი ხელისუფლება და მისი მაღალჩინოსნები ასრულებდნენ, რად უნდა ლაპარაკი. თუმცა მე როგორც იურისტი, სასამართლოს დაველოდები“, — განაცხადა ექსპერტმა **კახი კახიშვილმა**.

მოკლედ, საზოგადოების



დიდი ნაწილი პოლიტიკური სეირის მაყურებელია, მაგრამ ათასობით ადამიანისთვის „ნაციონალების“ უტიფარი პიარშეტევები პირადი შეურაცხყოფის ტოლფასია. საქმე ეხება იმ მოქალაქეებს, რომლებსაც წინა ხელისუფლების დროს ქონება წაართვეს, ციხეებში გამოკეტეს შეთითხნილი ბრალდებებით, იქ აწამებდნენ, ან თავად აუპატიურებდნენ, ან ცოლ-შვილის გაუპატიურებით ემუქრებოდნენ.

სხვათა შორის, ადამიანების ეს კატეგორია ვერ გრძნობს, რომ სამართალი ზეიმობს. თითქმის ყველა ყოფილი თუ მოქმედი მაღალჩინოსანი, რომლებზეც საქმე აღიძრა, გირაოთი გათავისუფლებული გარეთ დასეირნობს. ყველაზე მტკივნეული კი ალბათ ის არის, რომ ზემოხსენებულ მოქალაქეებს სააკაშვილი, მერაბიშვილი თუ უგულავა კრიმინალებად ნათლავენ. შესაბამისად, არ უნდა გაგვიკვირდეს (თუმცა, რა თქმა უნდა, მიუღებელია), როდესაც შვილმკვდარი მამა იტყვის, ან აღასრულეთ სამართალი, ან მე პირადად აღვასრულებო.

ამ ფონზე, როდესაც „ნაციონალების“ მიტინგს ორი თვით ადრე აანონსებ, ორი ვარიანტია, — ან წარმოდგენა არა გაქვს ქვეყანაში შექმნილ რეალობაზე, ან სპეციალურად აკეთებ. სხვათა შორის, აქციის მიზეზი მერაბიშვილმა ბუნდოვნად ახსნა: „მინდა, მოვიწვიო საქართველოს ყველა პატრიოტი, რათა დღევანდელ მთავრობას დავანახოთ, რომ სულერთი არ არის ჩვენი და ჩვენი შვილების მომავალი, საქართველო არ უნდა დაბრუნდეს ძველ დროში, სადაც არ იყო დემოკრატია და თავისუფლება. ჩვენ გვინდა, შვილებს ჰქონდეთ გარანტირებული მომავალი, საქართველო არ იყოს მონობაში“.

თუმცა ვეჭვობთ, რომ მიტინგს კონკრეტული მიზანი აქვს. მაგალითად, შესაძლოა, ერთ-ერთი სავარაუდო მიზეზი აქციის ასე ადრე დაანონსებისა ის არის, რომ რაც შეიძლება დიდხანს იტრიალოს ამ თემამ და „მოიხარშოს“. განსაკუთრებით იმათში, რომლებმაც პირადად იწვნიეს წინა ხელისუფლების დროს უსამართლობა.

შესაძლოა, დაუსრულებლად მოუწოდო ადამიანებს თავშეკავებისკენ, მაგრამ რად უნდა დიდი ანალიზი იმას, რომ ის ადამიანი, რომელსაც მერაბიშვილის სპეცრაზმი რუსთაველის პროსპექტზე 7 ნოემბერს თუ 26 მაისს ხელებშეკრულს ურტყამდა, რუსთაველზევე მერაბიშვილის მიტინგს მიაკითხავს? ან გაჭრის თავშეკავებისკენ მოწოდება იმის მიმართ, ვისაც საკანში ცოლშვილის სურათებს აჩვენებდნენ და ეუბნებოდნენ, ასე და



**« სიმართლე ვთქვათ, სიურპრიზი იყო ჩვენთვის „იმედის“ ხელში ჩაგდების ამბავი? არა, რადგან ჩვენ თვალწინ შევარდა 7 ნოემბერს მერაბიშვილის სპეცრაზმი ტელეკომპანიაში**

ისე ვუზამთო?

მოკლედ, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვთქვათ, რომ 19 აპრილს გვაქვს დაანონსებული შეტაკება (იხ. 8 თებერვლის მოვლენები). ასევე, ერთი-ორი პროვოკატორის მოძებნა რთული არ არის, რომელიც სამართალდამცველებს ან მომიტინგეებს, მაგალითად, ქვას, ბოთლს ან სულაც „მოლოტოვის კოქტეილს“ ესვრის.

შემდეგ კი, ალბათ, შემოივლის მსოფლიო მედიას დასისხლიანებული „ნაციონალების“ ფოტოები, დაიწერება სტატიები იმაზე, რომ ახალი ხელისუფლება უსუსურია ან მისი ორგანიზებული იყო შეხლა-შემოხლა, პრეზიდენტმა კი, შესაძლოა, განაცხადოს, რომ არ დაუშვებს ქაოსს ქვეყანაში. ძნელი წარმოსადგენია, მან მთავრობის დათხოვნა გაბედოს, მაგრამ შესაძლოა, ძალოვან ბლოკზე კონტროლის დაბრუნებას შეეცადოს.

ასე რომ, თავშეკავება მართლაც ისე გვჭირდება, როგორც არასოდეს.

***გიორგი კვიტაშვილი***

www.kvirispalitra.ge

**თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?**

**გთხოვთ კომენტარი დატოვოთ ჩვენს საიტზე ან მოგვწეროთ რედაქციაში**




***ე**რთი მხრივ, დაჭერა-გაშვებების სერიალი, მეორე მხრივ — „ნაციონალების“ მხრიდან საზოგადოების აგრესიის ინსპირირების განუწყვეტელი მცდელობა, ზედ დართული ქვეცნობიერში სოლივით ჩაჭედილი აპრილი ხალხსა და ქვეყანას ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში მიშვების საშუალებას არ აძლევს.*

## „ლურჯი აპრილი“

საქართველოს უახლეს ისტორიაში ტრაგიკულად ცნობილი აპრილი კიდევ ერთ კითხვის ნიშანს სვამს. გაბედავს და გამოიყენებს სააკაშვილი კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ პარლამენტისა და მთავრობის დათხოვნის და შემდეგ მთავრობის ერთპიროვნულად დანიშვნის უფლებამოსილებას? ან იქნებ უმცირესობის წევრები მაინც დასთანხმდნენ საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად მისთვის ამ უფლების შეზღუდვას?!



„ნაციონალთა დაანონსებული“ 19 აპრილის აქცია არსებული მთავრობისა და პარლამენტის, როგორც ისინი უწოდებენ, საგარეო პოლიტიკური ჩანაფიქრის წინააღმდეგ, თავისთავად ადასტურებს იმას, რომ სააკაშვილი პარლამენტს არ ითხოვს: რომც დავუშვათ, რომ 19 აპრილის აქციით „ნაციონალები“ მთავრობის გადაყენების საბაბს მისცემენ სააკაშვილს, პროცედურულად პარლამენტის დათხოვნა მაინც ვერ ხერხდება: 1-ელ მაისამდე დარჩენილ 10 დღეში სააკაშვილი ვერ ასწრებს პარლამენტისთვის ახალი მთავრობის შემადგენლობის სამჯერ შეთავაზებას, პარლამენტის დათხოვნის უფლება კი მას მხოლოდ იმ შემთხვევაში ეძლევა, თუ საკანონმდებლო ორგანო სამჯერ ზედიზედ არ დაუმტკიცებს მთავრობას. ასე რომ, პარლამენტის დათხოვნა სააკაშვილის გეგმაში ნამდვილად არ შედის. პირიქით, მის კოჰაბიტაციურ ბუნებას ასეთი სცენარი დასავლეთში სწორედაც რომ მომხიბვლელად წარმოაჩენს: დატოვოს 1-ელ ოქტომბერს არჩეული პარლამენტი, დაითხოვოს მხოლოდ მთავრობა და საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთპიროვნულად დანიშნულ მთავრობასთან ერთად მართოს ქვეყანაც და არჩევნებიც. თან პარალელურად პარლამენტში გადახტომა-გადმოხტომას მიჩვეულ დეპუტატებს წაუხალისოს კეთილი ნება უმრავლესობიდან უმცირესობაში გადაბარგებისა.

რამდენად მაღალია საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის ამ აპოკალიფსური სცენარის განხორციელების ალბათობა?! მე ვიტყოდი, რომ ჯერჯერობით — ნულოვანი. ჯერ ერთი, თავად სააკაშვილმა განაცხადა 8 თებერვალს, რომ ის იმდენად კარგად გრძნობს პოლიტიკურ კონიუნქტურას, რომ იცის, მსგავსი ნაბიჯით ხარაკირის გაიკეთებს. მეორე მხრივ, თუნდაც გაბედოს, დღევანდელი პრემიერი არ და ვერ მიატოვებს მოსახლეობას შურისძიებას მოწყურებული, „ნაციონალების“ პირისპირ. მესამეც, 22 თებერვალს, უგულავას ამბის გაგების შემდეგ ქუთაისიდან თბილისში გამოქცეული „ნაციონალების“ სახეებზე ისეთი დაბნეულობა და შიში იკითხებოდა, რომ ძნელი წარმოსადგენია, მათ ხალხის ასეთ ავანტიურაზე გამოწვევა გაბედონ.

თუმცა ის, რომ მაქსიმალურად ცდილობენ ტემპერატურის აწევას, ფაქტია.

## ნაციონალური კვალი აფხაზეთიდან ჯავახეთამდე

„ნაციონალური ავანტიურის“ მთავარი მიმართულება, საიდანაც ზარი რეკავს — ჯავახეთია. სრულებით ცარიელ ნიადაგზე, ბოლო ერთი კვირაა, „ნაციონალთა“ სახეები ააქტიურებენ ჯავახეთში სეპარატიზმის თემას სხვადასხვა კონტექსტით: თითქოს ჯავახეთის რუსული დიასპორა ითხოვს, რომ „ნაციონალებს“ აეკრძალოთ ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებში მუშაობა; გამოკითხვაც კი უდევთ ახალგახსნილ „ნაციონალურ საიტზე“ შემდეგი კითხვით: „თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ჯავახეთში სომხური სეპარატიზმის საფრთხე?!“ გუშინ ჩვენმა დე ფაქტო პრეზიდენტმაც გაუსვა ხაზი, — რუსეთის აქცენტი ახლა ჯავახეთზე იქნება გადატანილი, რათა ამჯერად ეს რეგიონი გადავიდეს მათი კონტროლის ქვეშო.

ხელისუფლების ადგილზე, „ნაციონალთა“ ბიოგრაფიისა და ხელწერის გათვალისწინებით, სულ მცირე, დავინტერესდებოდი, რაიმე კავშირი ხომ არ არის 19 აპრილსა და „ნაციონალთა“ მიერ ასე უცნაურად აკვიატებულ-გააქტიურებულ ჯავახეთის თემას შორის.

დაბოლოს, მერაბ მეტრეველი პარასკევს „ფეისბუკის“ თავის გვერდზე რიტორიკულად კითხულობდა: დღეს პირველ არხს ჰყავს მიშა, „რუსთავი 2“-ს — ვანო, „იმედს“ — კბილაშვილი, რომელი უფრო საინტერესო იქნებაო?! ყველასთვის ნათელია, ვინ უკვეთს დღეს პოლიტიკურ დღის წესრიგს ქვეყანაში. ვნახოთ, რა იქნება ხვალ.

# ჟან-ჟაკი — ვაკელების ფრანგი დამპურებელი

*სხვადასხვა დროს ცხოვრობდა და სწავლობდა შტუტგარდტში, ბერლინსა და სტრასბურგში. ახლა კახეთის ერთ სოფელში ცხოვრობს და სოფლის მეურნეობას მისდევს. ყოველ შაბათს თავის მინიბუსს სოფლის ნობათით დატვირთავს და ვაკეში, ერთი სახლის ჭიშკართან დგამს დახლს, სადაც აწყობს ყველს, პურს, მურაბას, თაფლს, თხილს, ბოსტნეულსა და მწვანილს. ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ გარე მოვაჭრე, რომელსაც თითქმის მთელი ვაკე იცნობს, ფრანგია.*

მის დახლს ნაშუადღევს მივადექი. ცოტა ხანს შორიდან ვუცქირე, მუშტარს არ უჩიოდა. რამდენიმემ უსაყვედურა, ამდენი ხანი რატომ არ გამოჩნდიიო, რაზეც უპასუხა, ახლა ყოველ შაბათს ვივლიიო.

**„ახლა უკვე კახელი ვარ“**

დამტვრეული ქართულით ლაპარაკობს, მაგრამ სიტყვების მარაგი საკმარისი აქვს იმისთვის, რომ ყველაფერი გაგაგებინოს. ვიდრე ინტერვიუს ჩაწერას დავიწყებდით, მომიბოდიშა, ჯერ კლიენტებს უნდა მოვემსახუროო. დიდი ოსტატობით ჭრიდა პურს, ყველს, ქაღალდში კოხტად ახვევდა და მხოლოდ შემდეგ აწყობდა პოლიეთილენის პარკში. ამასობაში ელეგანტურად ჩაცმული ქალბატონი ჟან-ჟაკს მოულურტულე ფრანგულით ეკითხება: გეთაყვა, ეს პური საფუვრით არის თუ უსაფუვროდო. უდროჟოა, უდროჟო, პასუხობს ფრანგი გარე მოვაჭრე კახური აქცენტით. დახლის თავზე ფიცარი კიდია, რომელსაც ლათინური ასოებით აწერია: „მომავლის მიწა“. ეს იმ ორგანიზაციის სახელია, რომელშიც ჟან-ჟაკთან ერთად რამდენიმე ფერმერია გაწევრებული, მათ შორის დმანისში მცხოვრები უცხოელებიც. ფრანგ მოვაჭრეს თბილისში გასაყიდად მათი ჭირნახულიც ჩამოაქვს. ჟან-ჟაკს გერმანელი გოგონა ინკე ეხმარება.

ჟან-ჟაკ ჟაკობი: „ბავშვობიდან ალერგია მაქვს პურზე და ამის გამო ვერასდროს ვჭამდი. რამდენიმე წლის წინ შემთხვევით მოვხვდი საქართველოში და უძველესი ქართული ხორბლის ჯიშისგან გამომცხვარი პური გავსინჯე. 43 წლისამ აღმოვაჩინე ხორბალი, რომელზეც ალერგია არ მქონდა. ბევრი არც მიფიქრია, საფრანგეთიდან სოფლის მეურნეობისთვის საჭირო ხელსაწყოები წამოვიღე და საქართველოში დავსახლდი. 7 წელია, რაც აქ ვარ და წასვლას არ ვაპირებ.

**„დედამიწას აქვს უნარი, მთელი კაცობრიობა ჯანსაღი საკვებით გამოკვებოს, ჩვენ კი მას მომწამლავი ნივთიერებებით ვსპობთ“**

— **კახეთში სად ცხოვრობთ?**

— სახლი ვიყიდე საგარეჯოს რაიონის სოფელ არგოხში, მერე მიწაც. ჯერ 3 ჰექტარი, შემდეგ 6-მდე გავზარდე. ძროხების ფერმა მინდა რომ გავაკეთო. ახლა ხორბალს ვთესავ, რა თქმა უნდა, დოლის პურს. შემდეგ კომბაინით ვიღებ მოსავალს და წისქვილში ვფქვავ. პურს თვითონ ვაცხობ. ეს უსაფუვრო პურია. კილოგრამს 4 ლარად ვყიდი. ცომს ღამით ვზელ, რამდენიმე საათით ვიძინებ და გათენებისას ვდგები ამოსაგუნდავებლად. შემდეგ ღუმელს ვახურებ და პურს ნახშირზე ვაცხობ. ძალიან გემრიელი გამოდის. დაახლოებით ერთ ჰექტარზე მზესუმზირა მომყავს და ზეთს ვხდი. ცივად გამოხდილია, ყველა სასარგებლო თვისება შენარჩუნებული აქვს. გაზაფხულზე ბახჩეულიც მექნება.



*ჟან-ჟაკ ჟაკობი გარე მოვაჭრეა. ყოველ შაბათს თავის მინიბუსს სოფლის ნობათით დატვირთავს ხოლმე და ვაკეში, ერთი სახლის ჭიშკართან დახლს გაშლის*

**« მხოლოდ იაფი კრედიტებით საქმეს არ ეშველება, თუ ხალხმა მოსავლის სწორად მოყვანა არ ისწავლა. თბილისიდან როგორც კი გახვალთ, ნახავთ, რამდენი მიწაა დასამუშავებელი. თუ მოვინდომებთ, პროდუქტი ადგილობრივ ბაზარსაც ეყოფა და სხვა ქვეყნებშიც გავიტანთ...**

— **ეს რა ყველია?**

— ამ ყველს ჩემი მეგობარი ამზადებს. ქართველი ბიჭია, თელავთან ცხოვრობს. გერმანული რეცეპტის მიხედვით ყველი 6 თვის განმავლობაში მიწაში მწიფდება. ამიტომაც ღირს ასე ძვირი — 32-39 ლარი კილოგრამი. ეს დელიკატესია, ცოტ-ცოტა უნდა ჭამო.

— **საფრანგეთის რომელი ქალაქიდან ხართ?**

— ახლა უკვე კახელი ვარ. დასავლეთ საფრანგეთიდან, ბრეტანიდან ჩამოვედი. იქ მოხუცი დედ-მამა მყავს. საქონლის ფერმა გვქონდა და ბავშვობაში მშობლებს ვეხმარებოდი. ისე ფიზიკისა და ქიმიის სპეციალისტი ვარ.

— **გარევაჭრობა რატომ გადაწყვიტეთ?**

— მოსავალი ხომ უნდა გამეყიდა? ჯერ სხვა ადგილას ვიდექი, მაგრამ შემდეგ გარევაჭრობა აკრძალეს. ჯაბა წულაძეს ხომ იცნობ? აი, ის, ფილმში აკიმს რომ თამაშობს, ჩემი მეგობარია და შემომთავაზა, დახლი მისი სახლის ჭიშკართან გამეშალა. მას შემდეგ აქ ვვაჭრობ.

**„შავთმიანი ქალები ძალიან მომწონს“**

— **ვენახის გაშენებასაც აპირებთ?**

— კარგი ღვინოები გაქვთ, მაგრამ ღვინო რომ დააყენო, აუცილებლად უნდა გასინჯო. მე არ ვსვამ.

— **ოჯახი გყავთ?**

— ცოლ-შვილი არა მყავს, მაგრამ ამისთვისაც მოვიცლი. მიწა დიდ შრომას ითხოვს. ყოველდღე მუხლჩაუხრელად ვშრომობ, ყველაფერი ქიმიკატების გარეშე მომყავს. იცით, როგორ ვებრძვი პარაზიტებს? დავწვავ რამდენიმე მწერს და მათ ფერფლს მიმოვფანტავ ხოლმე. იქნებ ვინმეს სასაცილოდ მოეჩვენოს, მაგრამ ეს სხვა პარაზიტებს აფრთხობს.

— **ქართველი ქალის მოყვანას ხომ არ აპირებთ?**

— ჯერ არ ვიცი, მაგრამ შავთმიანი ქალები ძალიან მომწონს.

— **ჩვენი პრემიერ-მინისტრი რომ საფრანგეთის მოქალაქეა იცით, ალბათ?**

— კარგია, მაგრამ კარგი იქნება, მთავრობამ სოფლის მეურნეობას მეტი ყურადღება დაუთმოს. მხოლოდ იაფი კრედიტებით საქმეს არ ეშველება, თუ ხალხმა მოსავლის სწორად მოყვანა არ ისწავლა. თბილისიდან როგორც კი გახვალთ, ნახავთ, რამდენი მიწაა დასამუშავებელი. თუ მოვინდომებთ, პროდუქტი ადგილობრივ ბაზარსაც ეყოფა და სხვა ქვეყნებშიც გავიტანთ. დედამიწას აქვს უნარი, მთელი კაცობრიობა ჯანსაღი საკვებით გამოკვებოს, ჩვენ კი მას მომწამლავი ნივთიერებებით ვსპობთ.

*ემა ტუხაშვილი*

# „იყავი ქველმოქმედი“ „ახალ ნათებასთან“ ერთად

***დღეიდან, 25 თებერვლიდან, „ახალი ნათების“ მაღაზიათა ქსელში ახალი საქველმოქმედო აქცია იწყება. „იყავი ქველმოქმედი“ — ამ სახელწოდების მქონე აქციას ორმაგი დატვირთვა აქვს. ერთის მხრივ, ამ აქციის ფარგლებში შესული თანხა სოციალურად დაუცველ ოჯახებს მოხმარდება, ხოლო მეორეს მხრივ, ის ელექტროენერგიისა და ბუნებრივი რესურსების დაზოგვას ემსახურება.***

აქცია „იყავი ქველმოქმედი“ „ახალი ნათების“ მაღაზიათა ქსელში წარმოდგენილ Philips-ისა და Opple-ს უმაღლესი ხარისხის ეკონათურებზე ვრცელდება. ამ ნათურების გამოყენება ყველაზე ხშირად და მასობრივად ხდება როგორც საყოფაცხოვრებო დანიშნულებით, ასევე ოფისებსა და სხვადასხვა დაწესებულებებში. სწორე ამიტომ „ახალი ნათება“ შესაძლებლობას აძლევს ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტის შეძენით გააკეთონ ქველმოქმედება და ამავე დროს დაზოგონ ელექტროენერგია. ცნობილია, რომ ეკონათურები ელექტროენერგიის 80%-ით დაზოგვას უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ მომხმარებელს, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს, შესაძლებლობა ექნება აქციის მსვლელობისას ეკონათურები სპეციალური 20%-იანი ფასდაკლებით შეიძინონ, ხოლო შემოსული თანხიდან კიდევ 5%-ს კომპანია ქველმოქმედებისთვის გაიღებს.

აღნიშნული აქციის ფარგლებში „ახალი ნათების“ პარტნიორი ქველმოქმედთა სახლი „მომავლის გზაა“. სწორედ ამ ორგანიზაციის დახმარებით აქციის ფარგლებში შემოსული სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს მოხმარდება. დღეისათვის „მომავლის გზის“ საინფორმაციო ბაზაში 120 ასეთი ოჯახია რეგისტრირებული, რომელთა უმეტესობა სარდაფებში, მიტოვებულ კონტეინერებსა და სხვა საცხოვრებლად შეუფერებელ ადგილებში ცხოვრობს. თითოეულ ოჯახს მინიმუმ სამი და მაქსიმუმ შვიდი შვილი ჰყავს. მათ არ აქვთ არანაირი საარსებო წყარო. მათი შვილების უმეტესობა თავს აფარებს „მომავლის გზის“ დღის ცენტრს და




მცირე ნაწილი იქ ღამითაც რჩება.

ამ აქციის მიზანი არაა ამ ოჯახებისთვის მხოლოდ ერთჯერადად დახმარების აღმოჩენა, რაც მათთვის საარსებო პირობების გაუმჯობესებას გულისხმობს: საკვების, სამოსის, მედიკამენტების შეძენას. აქციის მიზანია ამ ოჯახებისთვის უფრო ხანგრძლივი კეთილდღეობის შექმნა, რაც გულისხმობს იმას, რომ თანხის გარკვეული ნაწილი ამ ოჯახების გაძლიერებას, ბავშვებისთვის ხელობის შესწავლას და მათი ნიჭის და შესაძლებლობების რეალიზებას მოხმარდება.

საქველმოქმედო აქცია „ახალ ნათებაში“ 25 მარტამდე გაგრძელდება და კომპანიის ქსელის ყველა მაღაზიაში მოქმედებს, გარდა ზუგდიდში არსებული ფრანჩაიზ მაღაზიისა.

აქციის დასრულების შემდეგ, „ახალი ნათება“ საზოგადოებას წარუდგენს ანგარიშს იმისა თუ რა თანხის შეგროვება მოხდება აქციის ფარგლებში და როგორ დაიხარჯება ის თანხა. ანგარიში გამოქვეყნდება როგორც „ახალი ნათების“ ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე „ნიუსლეთერში“ და კომპანიის „ფეისბუქის“ გვერდზე

ახალი ნათება
NEW LIGHT

— ***როგორც ვიცი, ეს არ არის პირველი საქველმოქმედო აქცია, რომელსაც „ახალი ნათება“ ატარებს. იქნებ მოკლედ გვითხრათ ის შედეგები, რაც წინა აქციამ გამოიღო?***

თათა მორჩილაძე, *„ახალი ნათების“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:*

— 2012 წელს „ახალმა ნათებამ“ შექმნა საქველმოქმედო ფონდი, რომელიც ატარებს „ახალი ნათების“ აწ გარდაცვლილი დამფუძნებლის, ქალბატონი ირმა გაბინაშვილის სახელს. გასული წლის განმავლობაში, ამ ფონდმა გააკეთა არაერთი კეთილი საქმე. ფონდის დონორები არიან თავად კომპანია და „ახალი ნათების“ თანამშრომლები.

2012 წლის მაისში ჩვენ დავიწყეთ ასევე გრანდიოდული აქცია Philips-ისა და Opple-ს ეკონათურებზე, რომელიც ერთი თვე გრძელდებოდა. მაშინ აქცია არ გულისხმობდა ფასდაკლებას ამ ნათურებზე, მაგრამ შემოსული თანხის 10% — ირიცხებოდა ირმა გაბინაშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდში — „ახალი ნათება“, რომელიც თავის მხრივ დახმარებას უწევდა ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს.

გარდა ამისა, გასული წლის გაზაფხულზე, მოხდა „ახალი ნათებისა“ და ჩვენი პარტნიორი კომპანიის OPPLE-ს მიერ კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლისთვის თერაპიის ოთახის გარემონტება და სრულად აღიჭურვა, როგორც ავეჯითა და განათებებით, ასევე ყველა იმ ნივთით, რაც მნიშვნელოვანი იყო ამ ბავშვებისათვის სარელაქსაციოდ და განვითარებისთვის.

ამასთან ერთად, გავურემონტეთ კიდევ 2 ოთახი და გადავეცით სანათი საშუალებები ყველა ოთახისათვის.

— ***მსგავსი აქციები მომავალშიც გაგრძელდება?***

— ზოგადად კომპანია ორიენტირებულია სოციალურ აქციებზე, თუმცა ამ ეტაპზე რამე კონკრეტული გეგმა არ არსებობს. სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ აუცილებლად ჩავატარებთ მსგავს საქველმოქმედო ღონისძიებებს“.

კომპანია „ახალი ნათება“ ქართულ ბაზარზე 1999 წლიდან არსებობს. კომპანიამ საკმაოდ მალე მიაღწია წარმატებას განათებისა და არქიტექტურის სფეროში და დღეისათვის ერთ ერთი პრესტიჟული ბრენდია არა მხოლოდ თბილისში, არამედ საქართველოში. „ახალ ნათებაში“ წარმოდგენილია მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ბრენდების, ე.წ. განათების გიგანტების პროდუქცია, მათ შორისაა Philips, Artemide, Osram, Kolarz, Opple. „ახალ ნათებაში“ წარმოდგენილი პროდუქციის წარმოება ხდება გერმანიაში, ბელგიაში, პოლონეთში, თურქეთში, ავსტრიაში, საბერძნეთში, საფრანგეთში, იტალიაში და ჩინეთში.

„ახალი ნათების“ მაღაზიათა ქსელში წარმოდგენილი 5000-ზე მეტი დასახელების პროდუქცია, მოიცავს როგორც ნათურებს (საყოფაცხოვრებო და სპეცნათურები) ასევე სანათ საშუალებებს. მომხმარებელს აქ შეუძლია შეიძინოს, როგორც სანათები ინტერიერისათვის, ასევე ექსტერიერისათვის და ლანდშაფტებისათვის.

„ახალი ნათება“ უკვე 13 წელია ერთგულად ემსახურება ქართველ მომხმარებელს, ითვლის 100-ზე მეტ თანამშრომელს და აქვს 14 მაღაზია სალონი, მათ შორის 8 თბილისში და 5 რეგიონებში. R

# ჩემი გვერდი

## ლაბირინთები

მოცემულ ლაბირინთებში იპოვე მინიშნებებზე სწორი პასუხები



ა)

| | | | |
|---|---|---|---|
| დ | ი | ქ | ი |
| ა | ლ | ა | რ |
| რ | ა | ე | ლ |
| ი | დ | ა | ვ |

1. დღე-ღამის პერიოდი;
2. ის ხან ძლიერად ქრის, ხან სუსტად;
3. კარგი ამინდი;
4. ერთგვარი შესაკრავიც არის და ატმოსფერული მოვლენაც.

ბ)

| | | | |
|---|---|---|---|
| კ | ა | ნ | ი |
| ი | რ | ო | ხ |
| დ | ა | ჭ | ე |
| ა | ნ | ი | რ |

1. ოთახში შესასვლელ-გასასვლელი;
2. იგივეა, რაც ხალიჩა;
3. ცივი იარაღია, თუმცა ჩვენ სამზარეულოში ვიყენებთ;
4. იატაკის საპირისპირო.

## ერთნაირი გოგონები




თითოეულ რიგში იპოვე ორი ზუსტად ერთნაირი გოგონა

## მხიარული არითმეტიკა




მოცემული რიცხვებიდან შემოხაზე მაგალითის სწორი პასუხი

## მუსიკალური რებუსები

გაიხსენე გამის ნოტები და ამოხსენი რებუსები









პასუხები იხილე: 37-ე გვ.





22 თებერვლიდან 1 მარტამდე

დიდი მეზღაპრეების

საღამოობით საკითხავი ამბები

სახალისო, ფერადი და ჯადოსნური წიგნები მაგარი ყდით

ყოველ პარასკევს ჟურნალ „საბავშვო კარუსელთან" ერთად ახალი წიგნი „საღამოობით საკითხავი „ლამაზ-ლამაზი ამბები" 5 ტომად

წაიკითხე, იოცნებე და იმოგზაურე ჯადოსნურ სამყაროში

წიგნის ფასი: 4 ლარი
ჟურნალთან ერთად: 5 ლარი

შემდეგი წიგნი: მეკობრის ჩვილი






იკითხეთ პრესის გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში!

წიგნები ადგილზე მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 www.elva.ge

ასევე, „საბავშვო კარუსელის" ამ ნომერში იპოვე

ჭენი კუჭონი

# ნახტომი ერთი სამყაროდან მეორეში





*19 წლის მესაზღვრე კონრად შუმანი ეკლიან მავთულხლართებს გადაახტა და პირველი ადამიანი გახდა, რომელიც დასავლეთ ბერლინში გაიქცა... ზუსტად იმ ადგილას ახლა ლითონის ქანდაკებაა აღმართული*

თავის დროზე მსოფლიო მოიარა პიტერ ლეიბინგის ცნობილმა ფოტომ — „1961 წლის 15 აგვისტოს, გდრ-ის არმიის ჯარისკაცის ნახტომი აღმოსავლეთიდან დასავლეთ ბერლინში".

ბერლინის კედლის შენების დაწყებიდან მესამე დღეს ბერნაუერშტრასეზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 19 წლის მესაზღვრე კონრად შუმანი ეკლიან მავთულხლართებს გადაახტა და პირველი ადამიანი გახდა, რომელიც დასავლეთ ბერლინში გაიქცა — მისი ბედი, რომ იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო გაცემული ბრძანება კედლის დამრღვევთა ლიკვიდაციის შესახებ...

ერთი სამყაროდან მეორეში შუმანის ნახტომის აღსანიშნავად, ზუსტად იმ ადგილას ახლა ლითონის ქანდაკებაა აღმართული.

შუმანის კვალს ასობით ადამიანი მიჰყვა. თავიდან, სანამ კედელს საბოლოოდ გაამაგრებდნენ, 14 წარმატებული გაქცევა დაფიქსირდა მძიმე სატვირთო მანქანით, რომელიც ადვილად ანგრევდა გამშვები პუნქტების შლაგბაუმსაც და თავად



*ბედნიერი ბერლინელები საძულველ კედელზე ბრანდენბურგის ჭიშკრის მახლობლად. 1989 წლის 21 დეკემბერი*

კედელსაც. მას შემდეგ რაც შლაგბაუმები ფოლადის ძელებით გაამაგრეს, ავტომობილებში ჩამალულები ცდილობდნენ კედლის მეორე მხარეს გაეღწიათ — 10 ასეთი მცდელობაც წარმატებით დასრულდა. 1961 წლის დეკემბერში, სანამ სარკინიგზო და ტრამვაის რელსებს აიღებდნენ, 24-მა ადამიანმა დასავლეთში მატარებლითაც კი გააღწია. 1962 წლის ივნისში კი მდინარე შპრეეზე რამდენიმე აღმოსავლეთბერლინელმა ხელში გემი ჩაიგდო და, მესაზღვრეთა ცეცხლის მიუხედავად, სამშვიდობოს გავიდა.

იმავე წელს დასავლეთ ბერლინში გადავიდა 12-კაციანი ჯგუფი, რომელმაც 16 დღეში კედლის ქვეშ 32 მ სიგრძისა და 1,75 მ სიმაღლის გვირაბი გათხარა. როდესაც ჰკითხეს, რა საჭირო იყო ასეთი მაღალი გვირაბიო, განაცხადეს, — ჩვენ გვსურდა თავაწეულები შევხვედროდით თავისუფლებას!

ყველაზე ცნობილი გაქცევა კი 1964 წელს მოხდა, როდესაც გდრ-ის 37 სტუდენტი და მათი დასავლეთელი ნათესავები ნახევარი წელი თხრიდნენ 150 მ სიგრძის გვირაბს 10-12 მ-ის სიღრმეზე. გადასვლამდე კი სტუდენტებმა აღმოსავლეთ ბერლინში მცხოვრებ ახლობლებს შეატყობინეს, — ვისაც გაქცევა გსურთ, შეგიძლიათ ამ გვირაბით ისარგებლოთო. ამ გზით დასვლეთ ბერლინში გადასვლა კიდევ 31-მა ქალმა, 23-მა მამაკაცმა და 3-მა ბავშვმა მოასწრო.

რამდენიმე ადამიანმა ამაოდ სცადა ბერნაუერშტრასეზე სასაზღვრო შენობების ფანჯრებით ესარგებლა — ფანჯრები მალევე ამოქოლეს. მაგრამ მსგავსი „საჰაერო გზით" გაქცევა მაინც მოახერხა ჰოლცაპფელების ოჯახმა — 1965 წლის 28 ივნისს ღამით, „აღმოსავლეთის" ერთ-ერთი სამინისტროს სახურავზე ასულებმა გრძელი საბელი „დასავლეთში" გადააგდეს, იქ კი ნათესავების ბრიგადას გაჭიმული საბელი მანამდე ეკავა, სანამ მთელმა ოჯახმა „მოგზაურობა" მშვიდობიანად არ დაასრულა.

გდრ-ის თავდაცვის სამინისტროს ავადსახსენებელი №101-ე ბრძანების თანახმად, კედლის გადალახვისას ნებისმიერი დამრღვევი უნდა განადგურებულიყო. ტყვიის აცილებისთვის მესაზღვრეს სასჯელი ელოდა, ხოლო „მოღალატის" მოკვლის შემთხვევაში — მედალი, „შტაზის" (აღმოსავლეთ გერმანიის დაზვერვის სამსახური) მეთაურის პირადი მილოცვა, ფულადი პრემია და დამატებითი შვებულება კურორტზე უფასო საგზურით.

გერმანიის დიდ, 155 კმ სიგრძის კედელს, 302 საგუშაგო კოშკით 14 000 მესაზღვრე იცავდა. 1961 წლის 13 აგვისტოდან 1989 წლის 9 ნოემბრამდე — კედლის არსებობის 38 წლის მანძილზე მესაზღვრეებმა 1693 გასროლა მოახდინეს. კედლის გადალახვისას პირველი მსხვერპლი გახდა პეტერ ფეხტერი. უკანასკნელი კი კრის გეფროი იყო, რომელიც 1989 წლის 6 თებერვალს, №101-ე ბრძანების გაუქმებამდე სულ რაღაც ორი კვირით ადრე მოკლეს.

***მოამზადა რამაზ გურგენიძემ***


## ჯანსაღი კვება კლიმაქსის დროს

ქალბატონების უმრავლესობა მენოპაუზას ტრაგიკულად აღიქვამს. ეს მტკივნეული საკითხი ასოცირდება კანის დაბერებასთან, ჭარბ წონასა და ჯანმრთელობის გაუარესებასთან.

მენოპაუზის პერიოდში ქალის სასქესო ჰორმონების სეკრეციის შეწყვეტა განაპირობებს ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებებს, რომელთა მართვა შესაძლებელი და აუცილებელია ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის.

მენოპაუზისთვის დამახასიათებელი სიმპტომები ცნობილია ყველა ქალისთვის. ესენია: ალები, წამოხურება, ჭარბი ოფლიანობა, არტერიული წნევის ცვალებადობა და სხვა. ამ უსიამოვნო მდგომარეობიდან თავის დაღწევა ჯანსაღი კვებითაც შეიძლება. მენოპაუზის შემდეგ ქალის ჯანმრთელობა მეტწილად დამოკიდებულია კვების თავისებურებებზე.

იმისათვის, რომ წამოხურებების ინტენსივობა და სიხშირე მინიმუმადე იქნეს დაყვანილი, რაციონიდან უნდა იქნეს ამოღებული შოკოლადი, ცხელი და მატონიზირებელი სასმელები, მათ შორის ყავა, კოფეინის შემცველი სხვა სასმელი, ალკოჰოლი. სასარგებლოა ხილისა და ბოსტნეულის რაოდენობის გაზრდა რაციონში, ცეხვილი ხორბლის პროდუქციის მიღება და ზომიერი რაოდენობით თხილეული. მკვეთრად უნდა შეიზღუდოს ცხოველური ცხიმი. შემცირდეს შაქრის გამოყენება.

მენოპაუზის პერიოდში დიდი რაოდენობით ხორცეულის მიღება არ არის სასურველი. მინიმუმამდე მცირდება ხორცის პროდუქტები, ხოლო სოსისები და ძეხვეული სრულიად იზღუდება. დიდი მნიშვნელობა აქვს რაციონში კალციუმის, და C ვიტამინის რაოდენობას.

კლიმაქსის დროს პათოლოგიური გამოვლინებებიდან ყველაზე ხშირი არის სიმსუქნე, შაქრიანი დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლისა და გულის დაავადებები და ოსტეოპოროზი, რომელიც სწორედ მენოპაუზასთან და მის შემდგომ პერიოდთან ასოცირდება.

მენოპაუზაში მყოფი ქალებისათვის, დაბალკალორიული კვებისას,განსაკუთრებით საყურადღებოა კალციუმის შემცველობა პროდუქტებში, რათა არ მოხდეს მისი კარგვა და შედეგად, ძვლოვანი ქსოვილის გამოფიტვა.

ყველა ქალისათვის არსებობს ოქროს წესი ,რომლის მიხედვით,მენოპაუზის დროს უნდა შემცირდეს:

- მარილი 1 5გრ–მდე და შაქარი;
- სითხე 1–1 5ლ ძირითადად წყალის, ჩაის და ახლადგაწურული წვენი სახით, თუ სხვა რეკომენდაცია არ არის;
- პური და სხვა ცომეული;
- სუნელი და მწარე სანელებლები;
- დიდი რაოდენობით ქოლესტერინის შემცველი პროდუქტი– ხორცი (ბატის, ღორის, ცხვრის), შოკოლადი, კვერცხი და სხვა.

უპირატესობა მიენიჭოს – ჯერად კვებას, მცირე ულუფებით - მოხარშულ საქონლის ან ქათმის თეთრ ხორცს, რძის პროდუქტს – ხაჭოს, მაწონს, მოთუშულ ბოსტნეულს, ბურღულეულს.

**ექიმი ენდოკრინოლოგი**
**ნინო ჯიქურაული**

## კლიმაქტოპლანი

კლიმაქტერული დარღვევების არაჰორმონული თერაპიის კლასიკა

- ახასიათებს „ესტროგენული რეცეპტორების შერჩევითი მოდიფიკატორების" (SERM) აქტიურობა
  - დამტკიცებული მაღალი ეფექტურობა
- არეგულირებს ჰიპოთალამო-ჰიპოფიზო-გონადურ სისტემას
  - სიმპტომების ფართო სპექტრზე ზემოქმედება
- აძლიერებს ესტროგენების გამომუშავებას
  - ბრწყინვალე ამტანობა
- ხელს უწყობს ცხიმოვანი ქსოვილებიდან ესტროგენის გამოთავისუფლებას
  - ბუნებრივი წარმოშობა
- ახდენს ოსტეოპოროზისა და სისხლძარღვების დაავადებების განვითარების პროფილაქტიკას
  - არ შეიცავს ჰორმონებს
- არ იწვევს ონკო-დაავადებებს
  - დამტკიცებული უსაფრთხოება

არაჰორმონული პრეპარატი „ესტროგენული რეცეპტორების შერჩევითი მოდიფიკატორების" (SERM) აქტიურობით, რომელიც 60 წელზე მეტია, წარმატებით გამოიყენება გერმანიაში



...ცხოვრება მხოლოდ ახლა იწყება!





ჩვენებები:
პრეკლიმაქტერული და კლიმაქტერული დარღვევები, კლიმაქტერული სინდრომი

წარმომადგენლობა საქართველოში
თბილისი, 0177, მიცკევიჩის ქ.№27, ოთახი 508.
ტელ: +995 32 261 46 88
www.alpenpharma.com



www.abdiibrahim.com.tr

## უეფუთნეთ „ზამთრის ინფექციები" თქვენი ოჯახის ერთგული მეგობრების დახმარებით





**ბენეტი** ორალური სპრეი

**ბენეტი პლიუსი** ორალური სპრეი

**ყელის ტკივილისა და პირ-ხახის ინფექციურ-ანთებითი დაავადებების ეფექტური, სწრაფი და უსაფრთხო მკურნალობა**

- სწრაფად ხსნის ტკივილსა და დისკომფორტს
- უზრუნველყოფს ხანგრძლივ გაუტკივარებას
- აუმჯობესებს ღეჭვისა და ყლაპვის ფუნქციებს
- გამოიყენება ყველა ასაკობრივ ჯგუფში: ბავშვებში, მოზრდილებსა და ხანდაზმულებში

ბენეტი სპრეის გამოყენება შეიძლება 6 წლამდე ასაკის ბავშვებში, ხოლო ბენეტი პლიუსი ბავშვებში ინიშნება 6 წლის ასაკიდან.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

საქართველო, თბილისი 0112,
დ. აღმაშენებლის გამზ. 148/III

PSP №1

ABDI IBRAHIM





ბენეტი
ბენზიდამინი

ბენეტი პლიუსი
ბენზიდამინი/ქლორჰექსიდინი

## 25 თებერვალი ივერიის ღვთისმშობლის ხსენების დღეა

# ჩვენ შეგვიძლია ტაძარი ავაშენოთ!

ჩვენ ტაძარს ვაშენებთ! არ გვაქვს განსაკუთრებული შემოსავალი, პირიქით, ზოგიერთი ხელმოკლენიც ვართ და მაინც — ჩვენ შეგვიძლია ტაძარი ავაშენოთ, რადგან ამის საშუალება ერის სულიერმა მამამ — უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოგვცა თავისი მრავლისმეტყველი წინადადებით: „ყველამ თანაბრად ავაშენოთ, ყველასაგან თვეში მხოლოდ ერთი ლარი შეეწიროს ამ დიდ საქმეს“.



**« მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი ჩვენი ერთიანობითა და თანასწორობით იქნება განსაკუთრებული**

თბილისში, მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი სწორედ ჩვენი ერთიანობითა და თანასწორობით იქნება განსაკუთრებული. მსოფლიოში ერთადერთი შემთხვევაა, როცა არა რომელიმე ბიზნესმენი ან ორგანიზაცია, არამედ ხალხი, თავისი კეთილი ნებითა და თანაბარი მონაწილეობით აშენებს უდიდესი მნიშვნელობის ტაძარს. ღვთისმშობლის საკვირველთმოქმედი ხატის სადიდებლად აგებულ სულიერ სავანეში შესულ ყველა დედას შეეძლება შვილს სიამაყით უთხრას:

„ეს ტაძარი მე და შენ ავაშენეთ მთელ საქართველოსთან ერთად!“

ეს მართლაც უნიკალური მშენებლობა და სახალხო აქციაა, რადგან ტაძარს მთელი საზოგადოება, საქართველოში მცხოვრები ხალხი და მთელი ქართული ემიგრაცია ერთად აშენებს. მახათას მთაზე სამონასტრო კომპლექსთან ერთად განთავსდება საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში ქრისტიანული სწავლების გავრცელებას, ასევე თავშესაფარი ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, პაატა ბურჭულაძემ დააარსა ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის ფონდი „ივერიისა“, რომელიც სათავეში ჩაუდგა პროექტს. ფონდისთვის პირველი შემოწირულობა უწმინდესმა თავისი წინაპრების, ქართველი მეფეებისა და პატრიარქების სახელით გაიღო.

ფონდ „ივერიისას“ მიერ შემოთავაზებული უნიკალური სქემა ყველა ადამიანს აძლევს აქციაში თანაბარი მონაწილეობის საშუალებას. ნებისმიერი შემომწირველი, შეწირული თანხის ოდენობის მიუხედავად, ლარს სწირავს თავის სახელზე, ხოლო დანარჩენ თანხას თავისი ახლობლების, ოჯახის წევრების, გარდაცვლილი წინაპრების ან სოციალურად დაუცველი ადამიანების სახელზე, ვისაც არ აქვს მატერიალური საშუალება, შეეწიოს ტაძრის მშენებლობას. იქმნება ცოცხალთა და გარდაცვლილთა წიგნი, რომელშიც ტაძრის აღმშენებელი მილიონობით ქართველის გვარ-სახელი ჩაიწერება. ტაძრის მშენებელთა რიცხვი 200 000-ს უკვე გადასცდა.

სწორედ თითოეული ჩვენგანის მონაწილეობის შედეგია, რომ ტაძრის საძირკვლის მშენებლობა დასრულდა.

ჩვენ ვაშენებთ ტაძარს და სულიერი განწმენდის გზით მივდივართ ქვეყნის მშენებლობისკენ...

**„ფონდ „ივერიისთვის“ პირველი შემოწირულობა უწმინდესმა თავისი წინაპრების, ქართველი მეფეებისა და პატრიარქების სახელით გაიღო“**

აქციაში ჩართვა ახლაც შესაძლებელია, ამისათვის საჭიროა, შეავსოთ ის ანკეტა, რომელიც გაზეთს თან ახლავს, ჩაწეროთ თქვენი ოჯახის წევრების გვარსახელები, როგორც ცოცხლების, ისე გარდაცვლილებისა. ეს ანკეტა უნდა მიიტანოთ ნებისმიერ ბანკში და მითითებული თანხა ავტომატურად ჩამოგეჭრებათ ანგარიშიდან. თუ ისეთ რაიონში ან სოფელში ცხოვრობთ, სადაც ახლომახლო არც ერთი ბანკი არ არის, მაშინ შეავსეთ ანკეტა და გამოგზავნეთ ფონდ „ივერიისას“ მისამართზე: თბილისი, პეკინის ქ. №28. შემოწირულობის გასაღებად კი იმდენჯერ აკრიფეთ ტელეფონის ნომერი 0901 777777, რამდენის ფინანსური შესაძლებლობაც გაქვთ. თითო აკრეფილ ნომერზე თქვენი სატელეფონო ანგარიშიდან ერთი ლარი ჩამოიჭრება.

*ლელა ჯიყაშვილი*

## ივერიის ღვთისმშობლის ხატი ქვეყნის მფარველადაა აღიარებული



ეს ამბავი IX საუკუნეში, ბიზანტიის იმპერიაში მოხდა. იმპერიის ტახტზე იჯდა თეოფილე, რომლის ბრძანებით დაიწყო ხატების მასობრივი დევნა-განადგურება. მორწმუნეები სიწმინდეებს მალავდნენ. ხატების მოსაძებნად და გასანადგურებლად მეფემ ყველა სოფელსა და ქალაქში მხედრები გაგზავნა.

იმ დროს ქალაქ ნიკეაში ქვრივი დედაკაცი ცხოვრობდა. მას ერთადერთი ვაჟი ჰყავდა. ქვრივს შინ ესვენა ღვთისმშობლის საკვირველთმოქმედი ხატი, რომელიც მეფის მაძებრებმა იპოვეს. ერთმა მათგანმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახებას მახვილი აძგერა და უცებ ხატიდან სისხლმა იფეთქა. ამ სასწაულით თავზარდაცემული მხედარი მოინათლა და ბოლოს ბერადაც აღიკვეცა. მეფის სხვა წარგზავნილებს ქვრივი ფულს დაჰპირდა და სთხოვა, ხვალამდე დამაცადეთო. ქალმა ხატი ზღვის პირას მიიტანა, მხურვალედ ილოცა, ღვთისმშობელს შეწევნა შესთხოვა: — „ზეციურო დედოფალო, შენ მეუფებ ყველა ქმნილებას, შენ შეგწევს ძალა, დაგვიხსნა უსჯულო მეფის რისხვისაგან და იხსნა შენი ყოვლადწმინდა ხატი.“ სარწმუნოებით წარმოთქმული ლოცვის შემდეგ ქვრივმა ხატი ზღვაში ჩაუშვა და კვლავ სასწაულის მოწმე გახდა: წმინდა ხატი ზღვის ტალღებზე აღიმართა და დასავლეთისაკენ დაიძრა. ქალმა მადლობა შესწირა წმინდა ქალწულს და ვაჟიშვილს შეევედრა, გაქცეულიყო ბერძენთა ქვეყანაში. ვაჟმა მორჩილად შეისმინა დედის თხოვნა, ბერად აღიკვეცა და ათონის მთის იმ ადგილას დამკვიდრდა, სადაც შემდგომში ივერიის ქართველთა მონასტერი (ივერონი) დაარსდა. სწორედ მისგან შეიტყვეს ამ წმინდა მთის ბინადრებმა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის ამბავი.

ღვთის განგებით, ზღვამ ღვთისმშობლის ხატი ათონის მთასთან მიაცურა. შეღამებისას, ივერიის მონასტრის ბერებმა ზღვაზე იხილეს ცამდე აწვდილი ნათლის სვეტი — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი ბრწყინავდა. ბერებმა რამდენჯერმე ამაოდ სცადეს მისი ამოსვენება. მიახლოებისას იგი ნაპირს შორდებოდა, არავის იკარებდა. ამ დროს ივერთა მონასტერში მოღვაწეობდა ერთი ქართველი ბერი, გაბრიელი. ზაფხულობით ის მიუვალ კლდეებში ცხოვრობდა, ზამთრობით — მონასტერში. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ამ წმინდა ბერს გამოეცხადა და უთხრა: — შემოდი ზღვაში, ტალღებზე რწმენით გაიარე და მაშინ ყველა იხილავს ჩემს სიყვარულსა და წყალობას თქვენი სავანისადმი.

გაბრიელი მართლაც ჩავიდა ზღვაში, ტალღებზე, როგორც ხმელეთზე, ისე გაიარა და წმინდა ხატი ნაპირზე გამოიყვანა. იმ ადგილას, სადაც პირველად ხატი დაასვენეს, ცივმა და საამო წყარომ ამოჩქეფა, რომელიც დღემდე მოედინება და მკურნალია. შემდეგ ხატი ეკლესიაში გადააბრძანეს და საკურთხეველში დაასვენეს. მეორე დილით იგი იქ აღარ დახვდათ, კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს. ბერებმა დიდი მოწიწებით ისევ საკურთხეველში დაასვენეს. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ბოლოს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ისევ გამოეცხადა გაბრიელ ბერს და უთხრა: — მნებავს, რომ არა თქვენ მიცავდეთ, არამედ მე გიფარავდეთ თქვენ არა მხოლოდ ამქვეყნად, არამედ სამუდამოდ და სანამ ჩემი ხატი ამ სავანეში იქნება, არ მოგაკლდებათ მადლი და წყალობა ძისა ჩემისა, იესო ქრისტესიო.

ბერებმა იქვე პატარა ტაძარი ააგეს და საკვირველთმოქმედი ხატიც იქ დაასვენეს. მას ეწოდა „კარიბჭის ღვთისმშობლის ხატი“ და რადგანაც ივერთა მონასტერში ინება დავანება, „ივერიის ღვთისმშობლის ხატიც“. ქართველთა სავანეში ამ ხატის მიბრძანება სამართლიანად იქნა გაგებული, როგორც ქართველთათვის ღვთისაგან უდიდესი წყალობის მინიჭება. იგი ჩვენი ქვეყნის მფარველადაა აღიარებული.




**ნახე!** www.ambebi.ge www.kvirispalitra.ge

**ინტერნეტპრესკონფერენცია**

# ჯარში გაწვევის წესები — რა ცვლილებებს სთავაზობს უწყება წვევამდელებს



*როგორ ხდება ჯარში გაწვევა, ვის შეუძლია უარი განაცხადოს სამხედრო სავალდებულო სამსახურზე და რა ცვლილებებს სთავაზობს უწყება წვევამდელებს. კითხვებს პასუხობს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი* **გოჩა ხარშილაძე.**

**კაკო ცხადაძე:** *დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი. ამჟამად ვმუშაობ და ჯარში რომ წავიდე, სამსახურს დავკარგავ.*

— ჯარში გაწვეული ადამიანი არ კარგავს სამსახურს. ეს იქნება სახელმწიფო თუ კერძო სექტორი, მნიშვნელობა არა აქვს. კანონის შესაბამისად, მას უნარჩუნდება სამუშაო ადგილი. გადავადება კი მას შემდეგ არის შესაძლებელი, თუ გადაიხდით მოსაკრებელს 2 000 ლარს, რომლის გადახდის შემთხვევაში წვევამდელს შეუძლია 18 თვით, ანუ წელიწად-ნახევრით ისარგებლოს.

**ბექა თეთრაძე:** *რამდენიმე წლის წინ ჯანმრთელობის გამო ჯარში წასასვლელად შეუსაბამო ვიყავი. ვიმკურნალე და ახლა ჯანმრთელი ვარ. არის თუ არა შესაძლებელი ჯარში სამსახური?*

— თუ ხართ 27 წლის ასაკამდე მოქალაქე, შეგიძლიათ მიმართოთ სამხედრო განყოფილებას. გაივლით სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიას და ჯანმრთელობის მდგომარეობის დადასტურების შემდეგ გაწვეული იქნებით.

**მარიკა ნაჭყებია:** *2012 წლის 2 თებერვალს გადავიხადეთ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადასავადებელი თანხა 2 000 ლარი. მაინტერესებს, როდის მოუწევს შემდეგი გაწვევა? შეიძლება თუ არა კვლავ გადავადება და რა საშუალებით?*

— 2 000 ლარის გადახდის შემთხვევაში, წვევამდელს გადაუვადდება სამხედრო სამსახურში გაწვევა 18 თვით. ამ პრივილეგიით მას შეუძლია ისარგებლოს ორჯერ, ისიც 25 წლის ასაკამდე.

**გოჩა მაკაძე:** *სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადა შემცირდა 1 წლამდე. ყოველივე შეეხო თუ არა 15 თვით გაწვეულებს?*

— მიმდინარე ეტაპზე ეს ცვლილება კანონში შეტანილი არ არის, ანუ დღეს სამხედრო სამსახურის ვადა კვლავ 15 თვეა.

**ეკა გოგოტიშვილი:** *პრეზიდენტის ინიციატივით, თუ პირველკურსელი გაივლიდა 12-თვიან სავალდებულო სამხედრო სამსახურს, შემდეგ 4 წელი ბაკალავრიატს დაუფინანსებდა სახელმწიფო. მაინტერესებს, კიდევ არის თუ არა ძალაში ეს ინიციატივა.*

— ეს ბრძანებულება დღესაც ძალაშია. აღნიშნულ კატეგორიას ამ ბრძანებულების საფუძველზე დაუფინანსდება სწავლა.

**ირმა დავითულიანი:** *ჩემს შვილს გურამ ხინჩიაშვილს 8 წლის ასაკში, 2003 წელს, დაუდგინდა ავთვისებიანი სიმსივნის მე-3 სტადია. არის მე-2 ჯგუფის ინვალიდი. აგვისტოში ხდება 18 წლის და ეხსნება პენსია. ეკუთვნის თუ არა ჯარში გაწვევა?*

— როგორც წესი, მეორე ჯგუფის ინვალიდები სარგებლობენ გადავადების უფლებით. თუმცალა აქ აღსანიშნავია ერთი ფაქტი, აღნიშნული პიროვნება აუცილებლად უნდა იყოს გატარებული სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიაზე, რომლის დასკვნის შედეგადაც, სავარაუდოდ, მიჩნეული იქნება, შეზღუდულად ვარგისად, რის შედეგადაც გადაუვადდება სამხედრო სამსახურში გაწვევა.

**ქეთევან ბოჭორიშვილი:** *2012 წლის ოქტომბერში, თბილისში, ინფექციურ საავადმყოფოში აღებული ანალიზით, წვევამდელს აღმოაჩნდა ჰეპატიტი. როცა ჯარში გაწვევის უწყება მოვიდა, მივიტანეთ ანალიზის პასუხი. ამჯერად ფოსტით ისევ მოვიდა უწყება.*

— ჰეპატიტის დადასტურების შემთხვევაში, გაწვევა არ გეკუთვნით. გაწვევა აუცილებლად გადავადდება. თუმცა აქ ერთი მომენტია აღსანიშნავი, ცნობების საფუძველზე არ ხდება გადავადების მინიჭება, ეს პიროვნება აუცილებლად უნდა მოხვდეს სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიაზე, B ჰეპატიტის დადასტურების შემთხვევაში, მიეცემა გადავადება.

**ნინო ურუშაძე:** *მაინტერესებს, ეხება თუ არა სავალდებულო სამხედრო სამსახური 2 შვილის მამას?*

— ორი შვილის მამას სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა არ ეხება. მას გადაუვადდება გაწვევა 27 წლის ასაკის მიღწევამდე.

**ნიკა:** *მაქვს მუხლზე მენისკის ოპერაცია გაკეთებული. მეკუთვნის თუ არა ჯარში გაწვევა?*

— გააჩნია, ოპერაციის შემდგომ რა პერიოდია გასული. ეს გადაწყვეტილება აუცილებლად მისაღებია სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიის მიერ. ეს კონკრეტული ექიმის გადასაწყვეტია. ახლა გამიჭირდება ამაზე ზუსტი პასუხის გაცემა. პოსტოპერაციული პერიოდის შემდეგ, როგორც წესი, გადავადების გარკვეული პერიოდით ისარგებლებთ.

**დავით ლოცულაშვილი:** *ერთადერთი შვილის მარჩენალი მხოლოდ მე ვარ. ოჯახის ყველა წევრი დაუსაქმებელია. მარტო მიწევს შვილის გაზრდა, რადგანაც მეუღლეს გაშორებული ვარ. ჯარში წასვლის შემთხვევაში არ ვიცი, ოჯახი როგორ უნდა ვარჩინო. ვარ 25 წლის.*

— ისარგებლეთ გაწვევის გადავადების შეღავათით. თუ მეუღლეს გაშორებული ხართ და ეს დადასტურებულია დოკუმენტალურად, უნდა მიმართოთ შესაბამის გამწვევ კომისიას და როგორც ერთადერთ მარჩენალს სრული უფლება გაქვთ მიიღოთ გადავადება სამხედრო სამსახურში გაწვევიდან.

**დავითი:** *შესაძლებელია თუ არა 1-წლიანი სავალდებულო სამხედრო სამსახური პირდაპირ გადავიდეს საკონტრაქტოზე?*

— რა თქმა უნდა, შესაძლებელია და ამ შესაძლებლობას თავდაცვის სამინისტრო იძლევა.



## თქვენთვის ქალბატონებო



«დიდი უბედურება ტრიალებდა ოჯახში... თურმე მამაზეც კი ეჭვიანობდა სანდრო. ერთხელ მამამთილს გულში ჩაუხუტებია ტატა, – არავის ჰყავს ასეთი ლამაზი რძალი, როგორიც ჩემი ტატააო... ამის შემხედვარე სანდროს უღრიალია, ჩემს ცოლს ხელი გაუშვი, შე ბინძურო, რას ბედავო...

**რა არის ეჭვიანობა? – ნამდვილი სიყვარულის თანამდევი გრძნობა თუ დაავადება, რომელიც არ იკურნება?**

# ეჭვიანობით დაბრმავებული

— ტატა? ისევ ძველებურად ლამაზია, რამდენი წელია თვალიც არ მომიკრავს, — ჩაილაპარაკა მეგობარმა და აღფრთოვანებული მზერა გააყოლა ახალგაზრდა ქალს... კაფეში ორი ლამაზი ქალი შემოვიდა. ტატას მხოლოდ ჩემი თანმხლები როდი უყურებდა დაუფარავი აღტაცებით, უამრავი თვალი მისკენ მიმართულიყო...

— ვინ არის ეს ქალი, გიყვარდა? — ჩავეძიე ლაშას. ტატა ყველას უყვარდა, მაგრამ მხოლოდ ერთმა შეძლო მისი გულის დაპყრობაც და გაპობაც. ერთი სანდრო იყო ჩვენს სკოლაში, ძალიან ლამაზი ბიჭი, სკოლა დააამთავრა თუ არა, იმ წელსვე მოიტაცა მეათეკლასელი ტატა. ეს ამბავი რომ გავიგეთ, უსიტყვო გლოვა გამოვაცხადეთ ბიჭებმა — თითქოს ტატას გათხოვებასთან ერთად, რაღაც დამთავრდა ჩვენს ცხოვრებაში. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ის დღე ტატასთვის იყო ყველაზე ტრაგიკული... მას ჰყავდა უზომოდ მოსიყვარულე, მაგრამ ავადმყოფურად ეჭვიანი ქმარი, რომელმაც ცოლსაც გაუმწარა სიცოცხლე და თვითონაც ტრაგიკულად დაასრულა ცხოვრება.

— მერე, როგორ იყო ეგ ამბავი, განაგრძე თხრობა, — ვთხოვე ლაშას, რომელსაც თვალები ასცრემლებოდა. ჯერ იყოყმანა, მაგრამ შემდეგ ტატას და სანდროს ტრაგიკული სიყვარულის ისტორია მიამბო.

— სანდრო ჭკუიდან იშლებოდა, როცა ქუჩაში ცოლთან ერთად მიმავალი ტატასკენ კისერმოღრეცილ კაცებს ხედავდა. — წესიერად გაიარე, ყველა შენ გიყურებს! გამოცრიდა კბილებში. არადა, სიარულის მანერა არაფერ შუაში იყო, სანდროს ისეთი ლამაზი ცოლი ჰყავდა, შეუძლებელი იყო, თვალი არ გაგეყოლებინა. მალე გარეთ მარტო გამოსვლა, შარვლის და მოკლე კაბის ჩაცმა აუკრძალა. თურმე თვითონ არჩევდა ტანსაცმელს ცოლისთვის. ამიტომაც ყველაფერი ერთფეროვანი, ტომრის ფორმის ეცვა ტატას, რომ მოხდენილი სხეული არ გამოსჩენოდა. ისეთი ლამაზი იყო, მაინც ვერაფერი ჩრდილავდა. რომ შესძლებოდა, სახეზე ჩადრსაც აafარებდა ალბათ ქმარი. გაგიჟდა გოგო ასეთი შეზღუდვებისგან და მშობლებთან გაიქცა, ქმრის ოჯახში აღარ დავბრუნდებიო. ტატას მამასთან „სანახაობა“ გამართა სანდრომ, — ცრემლმორეული იფიცებოდა, რომ სიგიჟემდე უყვარდა ცოლი. პირობა დადო, ტატას აღარ შევზღუდავ და თვალისჩინივით გავუფრთხილდებიო. ერთი წელი მშვიდად განვლეს. ერთ დღესაც ჩემი და სანდროს საერთო მეგობრის ქორწილში მოვხვდით. ტატა მეორე ბავშვზე იყო ორსულად. ისეთი ლამაზი ფეხმძიმე იყო, პატარძალს არავინ უყურებდა. სანდროს ხასიათი კარგად ვიცოდით და ახლობლები ვერიდებოდით ტატას მიმართ ზედმეტი ყურადღების გამოხატვას, მაგრამ მაინც გაგვირბოდა თვალი, როცა ტატა იცინოდა. შევამჩნიე, რომ სანდრო სასმელს მიეძალა და ჭიქას ჭიქაზე ცლიდა. უცებ ტატამ შეჰკივლა. თურმე, გამწარებულ და გვარიანად გამომთვრალ ქმარს ზურგში გამეტებით უთავაზებია მუშტი. ქმრის უაზრო საქციელი რომ შეუმჩნეველი გაეხადა, თავი ჩაღუნა და მუცელზე ხელი დაიდო. ქალებმა შეიცხადეს, სასწრაფო დახმარება გამოვიძახოთო. სანდრომაც დაიჟინა, საყვარელო, ფერი არ გაქვს, ნამდვილად დახმარება გჭირდებაო... იმ დღეს მხიარულება ჩაგვშხამდა, ყველა მიხვდა, რაც მოხდა, მაგრამ ვინ გაბედავდა ტატას დასაცავად სანდროსთვის წინააღმდეგობის გაწევას.

მეორე ბავშვი რომ გაუჩნდათ, სადილი გამართა სანდროს ოჯახმა. ჩვენც დაგვპატიჟეს. სტუმრებს შორის ის ბიჭიც იყო, ვინც სანდროს მთავარ მეტოქედ ითვლებოდა სკოლაში — ლუკას უზომოდ უყვარდა ტატა. მოგვიანებით გავიგეთ, რომ სანდროს ლუკა საგანგებოდ მოეწვია — მისი მოპატიჟებით ცოლს ცდიდა. ქეიფი გახურდა, გვეგონა ყველაფერი კარგად ჩაივლიდა, მაგრამ უცებ სანდრომ დაიღრიალა: ტატა, სადა ხარ, ტატა! გავხევდით, სანამ ტატა ბავშვის საძინებლიდან გამოვიდოდა, ლუკამ ღიმილით უთხრა, ტატა პატარას ძუძუს აწოვებსო — შეუნიშნავს, როგორ შევიდა ქალი ჩვილის ოთახში და ბავშვი გულზე მიიხუტა, ამიტომაც ალალად, ღიმილით თქვა... სანდრო შეშლილი სახით მიეჭრა ლუკას, საყელოში სწვდა, ფეხზე წამოაგდო და დაუღრიალა, ამისთვის შემოგიშვი სახლში, რომ ჩემი ცოლისთვის გეთვალთვალაო? ლუკა თავიდან მშვიდად ცდილობდა სანდროსგან გათავისუფლებას. როცა გაცოფებულმა სანდრომ გინების კორიანტელი ატეხა, გაჩაღდა ჩხუბი... ამ ამბის გამო ლუკას ფეხმძიმე ცოლი ცუდად გახდა, მეორე დღეს გავიგეთ, რომ მუცელი მოეშალა, ტატა კი ორი შვილით გაიქცა სახლიდან. სანდრომ მორიგი სცენები მოაწყო სიმამრთან, მაგრამ მისმა ცრემლებმა აღარ გაჭრა — შვილის უბედურებით შეწუხებულმა მამამ სიძეს კარი მიუჯახუნა... ერთი თვის განმავლობაში სანდრო თავის მოკვლით იმუქრებოდა, მერე ცრემლებს ღვრიდა და ცოლს სიყვარულს ეფიცებოდა. ტატამ ვეღარ აიტანა მისი საცოდაობა და ისევ დაუბრუნდა... შორიდან გვეგონა, რომ ყველაფერი კარგად იყო, სინამდვილეში კი თურმე ჯოჯოხეთი ტრიალებდა მათ ოჯახში. სანდრო ფსიქოპათს დაემსგავსა. შეეცვალა გამომეტყველება, ლაპარაკის მანერა, უცნაურად იქცეოდა... ტატას გარეთ არ ახედებდა. ერთ დღეს ისევ იფეთქა ეჭვიანობით ჭკუიდან შეშლილმა — უფროსი გოგონა ქორეოგრაფიულ ანსამბლში ცეკვავდა. გადაწყვიტეს უცხოეთში წაეყვანათ ბავშვები გასტროლზე. რამდენიმე მშობელს სთხოვეს გაყოლა, მათ შორის ტატასაც და ნება დართეს მეორე შვილიც თან წაეყვანა. გაგიჟდა სანდრო, სჯეროდა, რომ ტატა უცხოეთში გარბოდა მისგან თავის დასაღწევად. ყველაფერი გააკეთა, რომ ცოლ-შვილს ფეხი არსად გაედგა... — მეტის მოთმენა აღარ შეიძლება, შენ აღარაფერი გამოგასწორებსო, — უთქვამს ტატას და კვლავ გაქცეულა ქმრისგან, ამჯერად უკანმოუხედავად. მერე გაყრაზე შეიტანა განაცხადი, — სანდრო მოკვდა ჩემთვისო, — უთქვამს ჩვენი მეგობრისთვის და გული გადაუშლია — დიდი უბედურება ტრიალებდა ჩვენს ოჯახშიო... თურმე საკუთარ მამაზეც კი ეჭვიანობდა სანდრო, რის გამოც მშობლები სხვაგან გადასულან საცხოვრებლად... ერთხელ მამამთილს გულში ჩაუხუტებია ტატა და სიამაყით უთქვამს, არავის ჰყავს ასეთი ლამაზი რძალი, როგორიც ჩემი ტატააო, მერე ისიც დაუყოლებია, ხასიათითაც ანგელოზი ხარ და ჩემგან არაფერი მოგაკლდებაო. ამის შემხედვარე სანდროს უღრიალია, ჩემს ცოლს ხელი გაუშვი, შე ბინძურო, რას ბედავო. შესკდომიან ერთმანეთს მამა-შვილი. თურმე კაცი ტიროდა, ეს რა მაკადრა ჩემმა შვილმა, რა ავადმყოფი გამიზრდიაო.



*სანდროს სიკვდილმა თავზარი დასცა ყველას... თურმე მანქანის კარის საკეტი გაუფუჭებია, რაღაც წამალიც ჰქონია დალეული, რამაც მოადუნა, რომ წინააღმდეგობის გაწევის თავი არ ჰქონოდა... და წყალში მანქანით გადაეშვა*

მოკლედ, ტატასგან მიტოვებული სანდრო მარტო დარჩა, არც დას იკარებდა ახლოს, არც სიძეს, მშობლების დანახვაც არ უნდოდა და ერთ დღეს საერთოდ გაქრა...

იმ დღეს ცუდ ხასიათზე გამეღვიძა. ისეთი შეგრძნება მქონდა, რაღაც ძალიან ცუდი უნდა გამეგო. უბანში გავედი, ბიჭებმა თქვეს, სანდრო ორი დღეა არ გამოჩენილაო. მალე მისი ცხედარი მოასვენეს... ბავშვობაში დავდიოდით სათევზაოდ მტკვარზე, ერთი ლამაზი ადგილია, პატარა კლდის ქიმი მდინარის შუაგულისკენ არის გაშვერილი, წყალში ვხტებოდით იმ ადგილიდან, სანდრო ამჯერად მანქანით გადამხტარა... იმ ადგილას წყალი ისე ღრმა არ არის, რომ დაიხრჩო, ან მანქანიდან თავი ვერ დააღწიო, ამიტომ სანდროს კარის საკეტი გაუფუჭებია, რაღაც წამალიც ჰქონია დალეული, რამაც მოადუნა, წინააღმდეგობის გაწევის თავი რომ არ ჰქონოდა... წერილი დატოვა. ბოდიშს უხდიდა ყველას, ვისაც ეჭვიანობის გამო გულიატკინა, ყველაზე დიდი ადგილი ტატასადმი მონანიებას ეთმობოდა... ახლაც თვალწინ მიდგას აკანკალებული ხელით დაწერილი სანდროს უკანასკნელი სიტყვები: „ტატა, უშენოდ ვერ ვიცხოვრებ, ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა“.

სანდროს სიკვდილმა თავზარი დასცა ყველას. ტატა ლოგინად ჩავარდა და დიდხანს მკურნალობდნენ, მდგომარეობიდან რომ გამოსულიყო. ახლა ხომ ხედავ, ისევ ძალიან ლამაზია, იცინის, ცხოვრებას აგრძელებს, მაგრამ მჯერა, მისი გული სიცოცხლის ბოლომდე ვერ მორჩება მარადიული ტკივილისგან, რომელსაც სანდრო ჰქვია...

საერთოდ, რა ავადმყოფობაა ეჭვიანობა? — მეკითხება ლაშა. მართლაც რა არის ეს — ნამდვილი სიყვარულის თანამდევი გრძნობა თუ დაავადება, რომელიც არ იკურნება?

*სოფო გამრეკელი*



# ეკონომიკური პალიტრა

BUSINESS, ECONOMICS &...

№9 (264) 25.02-3.03, 2013

„კვირის პალიტრის“ ყოველკვირეული ეკონომიკური დამატება




## ჩინელები ქალაქს ნებისმიერ მსურველს მიჰყიდიან

ბოლო დროს თბილისის ზღვის მიმდებარედ ჩინური ქალაქის მშენებლობასთან დაკავშირებით დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. ცოტა ხნის წინ „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ სარეკლამო რგოლი გამოაშზეურა, სადაც ჩინურ ენაზე, თითქოსდა, საუბარია საქართველოში 127 ათასი ჩინელის ჩამოსახლებაზე. კონფიდენციალურმა წყარომ, რომელიც ორიოდე თვის წინ თბილისის ზღვის სიახლოვეს ჩინური კომპანიის გამართულ წვეულებას ესწრებოდა, გვითხრა, რომ ამ ღონისძიებისთვის ჩინეთიდან 200-მდე ბიზნესმენი იყო მოწვეული, რათა პროექტით დაეინტერესებინათ. წყარომ ისიც გვითხრა, რომ ჩინელი ბიზნესმენები, რომლებიც თბილისის ზღვის მიმდებარედ აწარმოებენ მშენებლობას, ყოფილი ხელისუფლების წევრების მხარდაჭერით სარგებლობდნენ. მეტიც, თვით შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის კუთვნილი ავტომობილით გადაადგილდებოდნენ, რომელსაც სახელმწიფო სერიად „CIN“ მიანიჭეს.

„ეკოპალიტრამ“ სამშენებლო ობიექტზე მისვლა გადაწყვიტა. ობიექტს დაცვის სამსახური იცავს და ნებართვის გარეშე იქ ჩიტიც ვერ შეფრინდება. დაცვის სამსახურმა ჩვენი სტუმრობის შესახებ ზემდგომებს გადასცა და მალევე კომპანია „ხუალინის“ პრესასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი სამშენებლო ობიექტზე შეგვიძღვა, სადაც სამშენებლო სამუშაოები სრული ტემპით მიმდინარეობს. კორპორაცია „ხუალინგი“ ჩინურ კომპანიათა ჯგუფია და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩინეთის ეკონომიკაში.

22



# კეზერაშვილის ჩაუქრავი მონოპოლია

## ვინ „კრიშავს“ ქებნილს?!

ემა ტუხიაშვილი

**ხელისუფლების დაპირების მიუხედავად, ქვეყანაში ჯერჯერობით არც ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა გვაქვს და არც შესაბამისი სამსახური, რომელიც ბაზარზე მონოპოლიური სუბიექტების არსებობას აღკვეთდა. მიუხედავად ამისა, მმართველი ძალის შეცვლა სხვადასხვა, განსაკუთრებით მომგებიან ბიზნესს მაინც დაეტყო: რამდენადმე შემცირდა ფასები საწვავზე, საგრძნობლად გაიაფდა მედიკამენტები, აგრეთვე ფქვილი და პურ-პროდუქტები. უცნაურია და თან სამწუხარო, რომ ისევე, როგორც წინა მთავრობის დროს, ამ ხელისუფლების პირობებშიც, ნაცმოძრაობის ბიზნესი ზოგჯერ კვლავ ხელშეუხებლობის გარანტიითა და ექსკლუზიური უფლებებით სარგებლობს, რითაც, პირველ რიგში, ბაზარი და მომხმარებელი ზარალდება. საკანონმდებლო ორგანოში კი გაცხარებით მსჯელობენ, დეპუტატებმა სადღესასწაულო დღეებში ნაციონალური სამოსით უნდა იარონ თუ არა.**

„გალფი“, იგივე „სან პეტროლეუმ ჯორჯია“, „საქართველოს ფოსტა“, „აუთდორჯი“ მთელი თავისი შვილობილი კომპანიებით, წილები ტელეკომპანია „რუსთავი 2“-სა და „მზეში“, „უაიდ დისტრიბუშენის“, იგივე შპს „ექსპრესის“ საგაზეთო ჯიხურები, „საქართველოს ლატარიის კომპანია“ — ეს იმ ბიზნესების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, რომელსაც თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი თანამდებობაზე ყოფნისას ან მას შემდეგ დაეპატრონა. ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ ძებნილი კეზერაშვილის არაერთი ბიზნესი დღემდე ინარჩუნებს საქართველოს ბაზარზე მონოპოლიურ მდგომარეობას, რომელიც წინა ხელისუფლების დროს, ხშირად უკანონო გზით მოიპოვეს.

დაახლოებით ერთი თვის წინ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ყოფილი თავდაცვის მინისტრი და ფინანსური პოლიციის ყოფილი უფროსი დავით კეზერაშვილი ბრალდებულად ცნო საჯარო მოხელის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის მოთხოვნისა და ქრთამის მიღების, ასევე, საფინანსო საქმიანობის სფეროში დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ ყველა ელოდა, რომ საგამოძიებო სამსახური კეზერაშვილის ქონებასა და ბიზნესწილებს დააყადაღებდა, მაგრამ ასე არ მომხდარა. ან კი რა უნდა დაეყადაღებინათ, როცა ბრალის წაყენებამდე ცოტა ხნით ადრე კეზერაშვილმა საინფორმაციო საშუალებებით ამბავი გაავრცელა: ჩემი წილები ბიზნესში დავით იაკობაშვილს გადავულოცეო. იაკობაშვილი რუსეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი ებრაელი ბიზნესმენია და ამავე დროს რუსეთის ბიზნესსაბჭოს პრეზიდენტი და რუსეთის მრეწველთა და ბიზნესმენთა კავშირის მმართველი ორგანოს ვიცე-პრეზიდენტი.

სხვათა შორის, ჯერ კიდევ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, „ეკოპალიტრას“ კეზერაშვილის ერთ-ერთი ბიზნესის წარმომადგენელმა პირად საუბარში განუცხადა, რომ ყოფილ თავდაცვის მინისტრს პირადი ხელშეუხებლობა ისრაელის მთავრობისგან $250 მილიონად ჰქონდა ნაყიდი, რამდენად შეესაბამება ეს ჭეშმარიტებას, თავს ვერ დავდებ...

„ეკოპალიტრა“ ბუნებრივია დაინტერესდა და „გალფის“, იგივე შპს „სან პეტროლეუმ ჯორჯიას“ აქციონერთა ბოლოდროინდელ ცვლილებებს გაეცნო. აღმოჩნდა, რომ 2013 წლის 4 თებერვლის მონაცემებით, მაშინ როცა კეზერაშვილს თავისი წილი უკვე „გადაცემული“ ჰქონდა იაკობაშვილისთვის, კომპანიის 100%-ს ამერიკული სააქციო საზოგადოება Energy Investment Venture Holdings-ი ფლობს, დირექტორი კი ისრაელის მოქალაქე იანივ ადამია. ჩვენ ასევე შევამოწმეთ საჯარო რეესტრის ბოლო ცვლილება შპს „აუთდორჯიში“: 2013 წლის 10 იანვრის მონაცემებით, კომპანიის დირექტორი ნიკა ურუშაძე კონსტანტინე ჭავჭანიძემ ჩაანაცვლა, რომელსაც, თავის მხრივ, წილები აქვს „აუთდორჯის“ შვილობილ კომპანიებში.

24

### კონსულტანტი ჯერ არ დანიშნული დირექტორისთვის

სს „საქართველოს რკინიგზაში“, რომელსაც გენერალური დირექტორი ჯერ კიდევ არ ჰყავს, გენერალური დირექტორის კონსულტანტად გია ხუხაშვილი დაინიშნა. რკინიგზაში ამ დანიშვნას ხუხაშვილის მრავალპროფილიანი გამოცდილებით ხსნიან. ის 2003-2004 წლებში შპს „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო, 2004 წელს კი მუშაობდა „საქართველოს რკინიგზის“ კორპორაციული მართვის დირექტორის თანამდებობაზე. რაც შეეხება კომპანიის გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობას, როგორც ცნობილია, კანდიდატი საპარტნიორო ფონდთან შეთანხმებით დაინიშნება. გენერალური დირექტორის მოვალეობას, 27 ნოემბრის შემდეგ, პირველი მოადგილე ოლეგ ბიჭიაშვილი ასრულებს. 27 ნოემბერსვე „სს საპარტნიორო ფონდის“ გადაწყვეტილებით, რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პორტფელი კოკა გუნცაძემ ჩაიბარა.



### ელექტრონული მარკირება 1-ელი მარტიდან არ ამოქმედდება

უალკოჰოლო სასმელების სავალდებულო ელექტრონული მარკირება 1-ლი მარტიდან არ ამოქმედდება. არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელთა ასოციაციის კონსულტანტ სოსო გალუმაშვილის განმარტებით, პრემიერმა ივანიშვილმა დაავალა ფინანსთა მინისტრს, ასოციაციის წევრებს შეხვდეს და გადაწყვეტილებები მათთან კონსულტაციების საფუძველზე მიიღოს. გაიცა დაპირება, რომ პროდუქციის ელექტრონული მარკირება 1-ელი მარტიდან სავალდებულო არ იქნება.

## „ტატა“ — $100 მილიარდის ბიზნესიმპერია

უმსხვილესი ინდური კორპორაცია „ტატა ჯგუფი“ საქართველოში ინვესტირების საკითხს სწავლობს. პირველი კონტაქტი იანვარში, დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე შედგა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან. ინდურ ჯგუფს ინტერესები არაერთ სფეროში აქვს: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტურიზმი და სხვ. „ტატა ჯგუფის“ წარმომადგენლები რამდენიმე დღის წინ საქართველოში ჩამოვიდნენ, კვლავ შეხვდნენ პრემიერ-მინისტრს, აგრეთვე ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძესა და ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს, საინვესტიციო გარემოს გასაცნობად ხვდებიან მთავრობის სხვა წევრებსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს. „ტატა ჯგუფი“ მოლაპარაკებას აწარმოებს ნორვეგიულ კომპანია „კლინ ენერჯისთან“, რომელსაც, ენერგეტიკის სამინისტროს საიტის თანახმად, აჭარაში შვიდი ჰიდროელექტროსადგურის აშენების შესახებ აქვს მემორანდუმი გაფორმებული. „მათი სურვილია, ერთად ააშენონ ეს ჰიდროელექტროსადგურები, რომლებში საერთო ინვესტიცია 700 მილიონს მიაღწევს“, — განმარტა ენერგეტიკის მინისტრმა.

23



# ჩინელები ქალაქს ნებისმიერ მსურველს მიჰყიდიან

## ცოტა ხნის წინ თბილისიდან ჩინეთისკენ პირდაპირი ავიარეისი დაინიშნა

**ვანგ შენგსინი: შექმნილი პროდუქტი — უძრავი ქონება, გაიყიდება ღია წესით და ვინც იყიდის, ის იყიდის**

*(21-ე გვერდიდან)*

კორპორაციის საქმიანობის ძირითადი სფერო მსხვილი დეველოპერული პროექტებია ჩინეთსა და სხვა ქვეყნებში: აშშ-ში, შუა აზიასა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში. საქართველოში ინვესტირება „ხუალინმა“ 2007 წლიდან დაიწყო, პროექტებს შორის იყო ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და მანქანათმშენებელი ქარხანა. ჩინური კორპორაციის ერთ-ერთი ბოლო შენაძენი კი „ბაზისბანკი“ იყო.

თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, კომპანიის წარმომადგენლების განმარტებით, 42 ათასი ჰექტარი მიწა სახელმწიფოსგან განსაზღვრული პირობებით შეიძინეს. პირობებს შორისაა 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის ოლიმპიური სოფლის მშენებლობა. ხელშეკრულება ამის თაობაზე საქართველოს მთავრობასთან 2012 წლის 30 მარტს გაფორმდა და კორპორაციას ავალდებულებს საინვესტიციო კაპიტალის ჩადებას არა უმცირეს $150 მილიონის მოცულობით, არანაკლებ 50 ათასი კვ.მ. ფართობის საცხოვრებელი კორპუსების აგებას, სადაც შესაძლებელი იქნება 3800 სპორტსმენის განთავსება, 200-ნომრიანი 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს, 100 ათასი კვ.მ საერთაშორისო სავაჭრო ცენტრისა და 50 ათასი კვ.მ. საცხოვრებელი ბინების აშენება.

კომპანიის მენეჯმენტში აღნიშნავენ, რომ ინფორმაცია ჩინელი ან რომელიმე სხვა ქვეყნის მოქალაქეების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით სიმართლეს არ შეესაბამება.

**თინათინ შიშინაშვილი** *(კომპანია „ხუალინ საქართველოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი):* „ეს ათწლიანი საინვესტიციო პროექტია. 2015 წლის მარტში დასრულდება ოლიმპიური სოფლის მშენებლობა და შემდეგ კი პროექტი ეტაპობრივად დასრულდება, მათ შორის სავაჭრო და ლოჯისტიკური ცენტრის, საცხოვრებელი კოტეჯებისა და ფართების მშენებლობა. სავაჭრო ცენტრი ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი იქნება. რა თქმა უნდა, შესაძლოა ამაში ჩინელი ინვესტორების შემდგომი დაინტერესება იგულისხმებოდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს აქ საცხოვრებლად ვინმეს ჩამოყვანასა და ჩამოსახლებას. ის კლიპი საქართველოში გასაშვებად გადაიღეს. ჩინურ ენაზე იმიტომ დამზადდა, რომ ჩინეთში დაამზადეს და შემდეგ უნდა გვეთარგმნა. ვთარგმნეთ კიდეც და ვაპირებდით გაშვებას, მაგრამ პროექტში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა და ამიტომ შევაჩერეთ მისი ჩვენება საქართველოში. ეს კლიპი ოფიციალურად არ გამოგვიყენებია, როგორც ჩვენი პრომო“.

**ვანგ შენგსინი** *(საქართველოში კორპორაცია „ხუალინის“ გენერალური დირექტორი):* „ასეთი არასწორი ინფორმაციის გავრცელება, რა თქმა უნდა, ცუდია თავად პროექტისთვის. ამან შეიძლება საფრთხე შეუქმნას პროექტის განხორციელებას და შემდეგ უკვე ოლიმპიადის გამართვას.

**— შესაძლოა, თქვენი მხრიდან დადგეს პროექტის გადახედვის საკითხი?**

— ამ ეტაპზე ჩვენ ასე არ ვფიქრობთ, რადგან მიგვაჩნია, რომ პროექტი უნდა მიმდინარეობდეს ტემპის, გეგმის და ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადებისა და პირობების დაცვით. ინვესტიციების დაბანდება ჩვეულ რეჟიმში იგეგმება.

**— ოლიმპიურ სოფელთან დაკავშირებით ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რის მშენებლობას აპირებთ ამის შემდეგ?**

— 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის ოლიმპიური სოფელი სამი თვით სამართავად ხელისუფლებას გადაეცემა. ფესტივალი დასრულების შემდეგ შენობა-ნაგებობები გაიყიდება. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია მსგავსი მაგალითები — ოლიმპიური სოფლები შენდება, შემდეგ კი ამ ტერიტორიას გაასხვისებენ, ან სხვა დანიშნულებით გამოიყენებენ.

**— ითქვა, რომ ძალიან იაფად შეიძინეთ მიწა ყოფილი ხელისუფლებისგან და 1 კვადრატულ მეტრში მხოლოდ $1 გადაიხადეთ...**

— მინდა გითხრათ, რომ ეს ტერიტორია ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით გაუმართავი იყო. სახლის აშენება არ არის მხოლოდ სახლის აშენება, მთელი ინფრასტრუქტურა უნდა შევქმნათ. ეს ინვესტორის ვალდებულებაა. ხელშეკრულებაში მიწის საფასური და მთელი ინფრასტრუქტურის შექმნა იყო გათვალისწინებული.

**— კომპანიამ ხელშეკრულება წინა ხელისუფლებასთან გააფორმა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში შესაძლოა ხელშეკრულების გადახედვის აუცილებლობა დადგეს?**

— ჩვენ გვაქვს გაფორმებული ხელშეკრულება საქართველოს სახელმწიფოსთან. მთავრობა თუ შეიცვალა, ეს არ მოქმედებს სახელმწიფოსთან დადებულ ხელშეკრულებაზე.

**— თქვენ უარყოფთ 127 ათასი ჩინელის ჩამოსახლების გეგმას. გამორიცხავთ, რომ თქვენი თანამემამულეები აქ უძრავი ქონების შეძენით დაინტერესდნენ?**

— არც ჩვენს პროექტში და არც ხელშეკრულებაში ჩინეთის მოქალაქეების ჩამოსახლებაზე არაფერი წერია და უარვყოფთ ამ გავრცელებულ ინფორმაციას. კიდევ ერთხელ ვამბობთ, რომ შექმნილი პროდუქტი — უძრავი ქონება, გაიყიდება ღია წესით და ვინც იყიდის, ის იყიდის“.

„ბედნიერების ნავსაყუდელი“ — ასე ჰქვია მინი-ქალაქს, რომლის გაშენებასაც ჩინური კორპორაცია თბილისის ზღვის სანაპიროზე აპირებს. სარეკლამო ბუკლეტში, რომელიც ქართულ, ჩინურ და ინგლისურ ენაზეა დაბეჭდილი, ნათქვამია, რომ დასახლებიდან გაკეთდება პირდაპირი დამაკავშირებელი გზა რკინიგზასა და თბილისის აეროპორტთან. ცოტა ხნის წინ დაინიშნა თვითმფრინავის რეისი თბილისურუმჩი, რაც გააადვილებს მიმოსვლას ჩინეთსა და საქართველოს შორის, რადგან ურუმჩიდან პეკინამდე ავიარეისი ყოველ ნახევარ საათშია. ვაზისუბანში, სამშენებლო ობიექტის მახლობლად, კორპორაციამ მე-40 საჯარო სკოლის შენობა შეიძინა, სადაც 3-ვარსკვლავიანი სასტუმრო მოაწყვეს და კომპანიის წარმომადგენლებიც აქვე ცხოვრობენ. ერთი ასეთი სასტუმრო ჩინურ კორპორაციას ქუთაისშიც მოუწყვია. სასტუმროშიც და სამშენებლო ობიექტზეც დასაქმებულთა უმეტესობა ქართველია. კომპანიაში ამბობენ, რომ ეს პირობაც სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების ნაწილია. კითხვას აჩენს ისიც, რომ ოლიმპიური სოფლის პროექტში სპორტული ინფრასტრუქტურა და მოედნები გათვალისწინებული არ არის. კომპანიაში ამბობენ, რომ ოლიმპიური ფესტივალი საასპარეზო სივრცეებით ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, ისევე როგორც კომპანიის გადასაწყვეტი არ უნდა იყოს ქვეყანაში მიგრაციის კანონმდებლობის მოწესრიგება.

*ემა ტუხიაშვილი*

ახალი ტექნოლოგიები „პალიტრა მედიაში“!

*ნახეთ ვიდეოსიუჟეტი ამ თემაზე!*
*დაასკანერეთ ეს QR კოდი სმარტფონით (iPhone, Android და სხვ.), რომელშიც გახსნილია შესაბამისი (QR კოდების სკანირების) აპლიკაცია. თქვენი მობილური ავტომატურად გახსნის შესაბამის ვიდეოს.*
*შენიშვნა: QR აპლიკაცია მუშაობს მხოლოდ იქ, სადაც ინტერნეტია.*

# ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წლიური წარმოება ერთ სულზე




ინფოგრაფიკა © „მედიაპალიტრა“

(2012 წლის საქართველოს ეროვნული ანგარიში ჯერ არ გამოქვეყნებულა)

კვლევა

## მეორადი ბინების ფასები თბილისის უბნების მიხედვით (თებერვალი, 2013)

„ეკოპალიტრა“ და „ილიაუნი ბიზნეს რევიუ“ გთავაზობენ თბილისში მეორადი საცხოვრებელი ფართების ფასების მორიგ, თებერვლის ბიზნესკვლევას. ის მოიცავს 27 უბანს და ადგენს ფასს საშუალოდ 1 კვ.მ-ზე, უბნების მიხედვით. აგრეთვე საშუალო ფასს თბილისის ბაზარზე. კვლევების მიზანია, გამოავლინოს თბილისის უბნები, სადაც მეორადი ბინები ყველაზე ძვირი და იაფი ღირს.

„ილიაუნი ბიზნეს რევიუმ“ კვლევა 10-15 თებერვალს მოაწყო. დადგინდა საშუალო ფასი 1 კვ.მ-ზე 27 უბნისთვის, რისთვისაც თითოეულ უბანზე შეირჩა სამ-სამი ერთეული 1; 1,5; 2; 2,5; 3; 3,5 და 4-ოთახიანი ბინები. კვადრატურისა და ფასის საშუალებით მკვლევრებმა დაადგინეს, საშუალოდ რა ღირს თითოეული კატეგორიის ბინა ყოველ უბანში. ბოლოს გამოიყვანეს მითითებული საშუალო ფასი მთლიანად უბნებისთვის. თბილისის უბნების ხუთეული, სადაც 1 კვ.მ-ზე ყველაზე მაღალი ფასი აღირიცხა, თებერვალში ასე გამოიყურება: 1. ძველი თბილისი; 2. ვერა; 3. ვაკე, ბაგები; 4. მთაწმინდა, სოლოლაკი; 5 საბურთალო. 2012 წლის იანვრის კლევასთან შედარებით, ხუთეულის შემადგენლობა ან მიმდევრობა არ შეცვლილა. ყველაზე დაბალი ფასების მიხედვით კი უბნების ხუთეული ასე გადანაწილდა: 23. თემქა (19); 24. მუხიანი (23); 25. ფონიჭალა (25); 26. სამგორი (20); 27. ავჭალა (26). წინა კვლევასთან შედარებით, ავჭალა და მესამე მასივი თემქამ და სამგორმა შეცვალეს.



**კვლევა მოაწყო „ილიაუნი ბიზნეს რევიუმ“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტზე არსებული ეკონომიკური კვლევებისა და კონსულტაციების ცენტრის მკვლევრების მონაწილეობით.**

Iliauni Business Review

| თბილისის უბანი | 1 კვ.მ.-ის ფასი ($) | თბილისის უბანი | 1 კვ.მ.-ის ფასი ($) |
|---|---|---|---|
| 1. ძველი თბილისი | 1160 (1327/1087)* | 14. ჩუღურეთი | 645 (799/658) |
| 2. ვერა | 1106 (1163/840) | 15. ნაძალადევი | 612 (595/799) |
| 3. ვაკე, ბაგები | 985 (1019/957) | 16. ვაშლიჯვარი | 599 (673/596) |
| 4. მთაწმინდა, სოლოლაკი | 935 (932/981) | 17. გლდანი | 596 (598/547) |
| 5. საბურთალო | 925 (854/874) | 18. დიდი დიღომი | 574 (622/557) |
| 6. ბახტრიონი, დოლიძე | 887 (820/695) | 19. მესამე მასივი | 534 (513/491) |
| 7. დიდუბე | 811 (832/576) | 20. ვარკეთილი | 509 (523/497) |
| 8. კრწანისი, ორთაჭალა | 809 (747/808) | 21. ვაზისუბანი | 474 (536/501) |
| 9. დიღმის მასივი | 804 (767/633) | 22. ლილო | 426 (403/342) |
| 10. ვაჟა-ფშაველას კვარტლები, ქავთარაძე | 796 (806/806) | 23. თემქა | 409 (557/482) |
| 11. ისანი | 737 (700/649) | 24. მუხიანი | 381 (518/496) |
| 12. ნუცუბიძის პლატო | 683 (670/715) | 25. ფონიჭალა | 373 (504/529) |
| 13. ავლაბარი | 674 (558/621) | 26. სამგორი | 338 (548/447) |
| | | 27. ავჭალა | 318 (461/498) |

* ფრჩხილებში მითითებულია წინა, 2013 წლის იანვრისა და 2012 წლის დეკემბრის მონაცემები

# „ტატა“ — $100 მილიარდის ბიზნესიმპერია

(21-ე გვერდიდან)

„ტატა ჯგუფი“ მსოფლიოს უმსხვილეს კორპორაციებს მიეკუთვნება. 2009 წელს ის მოხვდა ყველაზე მაღალი რეპუტაციის მქონე 11 კომპანიის რიცხვში, ხოლო მისი ბრენდი მსოფლიოს 50 ყველაზე ძვირი ბრენდების ჩამონათვალში.

კორპორაცია „ტატა ჯგუფი“ ე.წ. კონგლომერატის ტიპს მიეკუთვნება, მთავარი ოფისით მუმბაიში (ყოფილი ბომბეი), ხოლო მასში შემავალ ასზე მეტ ფირმაში 85 ქვეყანაში 450 ათასი ადამიანი მუშაობს. კორპორაცია თავისი მოგების უდიდეს ნაწილს ინდოეთის ფარგლებს გარეთ იღებს. წამყვანი დარგებია: ფოლადის წარმოება, ავტომობილების წარმოება, ტელეკომუნიკაციის საშუალებები და ციფრული ტელევიზია, სასტუმროების ბიზნესი, სოფლის მეურნეობა, იარაღის წარმოება, ქიმიური მრეწველობა, ენერგეტიკა და სხვ.



**„ტატას“ ფოლადის ქარხნები მრავალ ქვეყანაში ამუშავებენ ლითონს**

კომპანია 1868 წელს დაარეგისტრირა ირანიდან ადრე გადმოსახლებული ყოფილი ზოროასტრი ქურუმების კასტის წარმომადგენელმა ჯამსეჯი ტატამ, რომლის მამამ უარი თქვა ქურუმობაზე და შვილი სასწავლებლად ინგლისში გაგზავნა... ჯამსეჯი ტატამ თავიდანვე ჩაუყარა საფუძველი ისეთ საოჯახო ბიზნესს, რომლის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა ქველმოქმედებაა. ჯამსეჯიმ მემკვიდრეებს უანდერძა პრინციპი: „ფულის კეთების უნარი — ღირსებაა, მდიდრად სიკვდილი — სირცხვილი!“ 1885 წელს მთელ აზიაში „ტატამ“ პირველმა შექმნა საპენსიო ფონდი, ათი წლის შემდეგ კი მუშებს საწარმოო ტრავმისთვის კომპენსაციაც დაუნიშნა... ტატების დინასტიის უკვე მეხუთე თაობის წარმომადგენელთაგან არც ერთი არ შედის უმდიდრეს ადამიანთა რეიტინგებში. მათი კაპიტალის დიდი წილი საქველმოქმედო სატრასტო კომპანიებშია დაბანდებული. ისინი აფინანსებენ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, კულტურის ფონდებს, ქალთა ორგანიზაციებს, უნივერსიტეტებს და ა.შ.

კორპორაციის შვილობილი კომპანიებიდან „ფორბსმა“ ერთდროულად ოთხი შეიყვანა მსოფლიოს 2000 უმსხვილესი საჯარო კომპანიის ბოლო, 2012 წლის მარტში გამოქვეყნებულ რეიტინგში: Tata Motors-ი (348-ე ადგილი), Tata Steel-ი (423-ე), Tata Consultancy Services-ი (667-ე), Tata Power-ი (1512-ე). ღია სააქციო საზოგადოების ფორმით 32 კომპანია მოქმედებს, მათი საერთო საბაზრო კაპიტალიზაცია $94,51 მილიარდია. „ტატას“ იმპერიაში შედიან ცნობილი ფირმებიც — Jaguar Land Rover-ი, სამხრეთკორეული „დეუ ჯგუფისგან“ შეძენილი უმსხვილესი ავტომწარმოებელი, ერთობლივი საწარმო „ჰიტაჩისთან“ და სხვ.

კონგლომერატის ხელმძღვანელი 44 წლის საირუს პალონჯი მისტრია, რომელმაც წინა თავმჯდომარე, რათან ტატა 2012 წლის დეკემბერში შეცვალა. ამასთან, ყველა ფირმა დამოუკიდებლად მუშაობს და დირექტორთა და აქციონერთა საკუთარი საბჭოები ჰყავს. ტატების კომპანიების ერთობლივმა წლიურმა შემოსავალმა 2011-2012 წლებში $100,09 მილიარდი შეადგინა.



(ბიზნესიმპერიის ანატომია. ნაწილი I)

# კეზერაშვილის ჩაუძირავი მონოპოლია

## ვინ „კრიშავს“ ქებნილს?!



უცნაურია რომ ისევე, როგორც წინა მთავრობის დროს, ამ ხელისუფლების პირობებშიც, ჯერჯერობით ნაცმოძრაობის ბიზნესი ზოგჯერ კვლავ ხელშეუხებლობის გარანტიით სარგებლობს

*(21-ე გვერდიდან)*

რაც შეეხება პარტნიორებს, კომპანიის 20%-ს შპს „სამკუთხედი“ ფლობს, 10%-ს შპს „ჯეოტეკი“, ყველაზე მსუყე ლუკმა (70%) ოფშორში, ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ სააქციო საზოგადოება „ედპროჯექტს ინკსს“ აქვს. დირექტორის ცვლილებას თუ არ ჩავთვლით, იგივე მფლობელები ჰყავდა „აუთდორჯის“ 2011 წელსაც და არც მათი წილები შეცვლილა. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ კეზერაშვილი-იაკობაშვილის საკუთრების გადანაწილება მფლობელ ამერიკულ ჰოლდინგში მომხდარიყო, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ოფშორში რეგისტრირებული კომპანიის ცვლილებების შემოწმება, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია და ისღა დაგვრჩენია, კეზერაშვილის „პატიოსან სიტყვას“ ვენდოთ.

„გალფის“ თემას ჩვენ აუცილებლად დავუბრუნდებით და სამომავლოდ ამ თემაზე ცალკე ჟურნალისტურ მოკვლევას შემოგთავაზებთ. მანამდე კი თანმიმდევრულად მივყვეთ კეზერაშვილის უცაბედი გამდიდრების ანატომიას, რომელშიც ბევრი ყოფილი თუ ახლანდელი დიდმოხელის ხელი ურევია.

### როგორ შენდებოდა „კეზერაანთკარი“ ანუ „გაკაფული“ ბიზნესი

„აუთდორ დიჯითალი“, „აუთდორ მონიტორი“, „აუთდორ პრინტ მედია“, „აუთდორ მედია ჰაუსი“, „აუთდორ ტრანსპორტ ედვერტაიზინგი“ — ყველა ეს კომპანია კეზერაშვილის სახელთან დაკავშირებულ „აუთდორჯის“ ეკუთვნის და, ფაქტობრივად, სრულ მონოპოლიას ფლობს გარე რეკლამის ბაზარზე. „ეკოპალიტრა“ ამ ბაზრის იმ მოთამაშეებს შეხვდა, ვინც გარე რეკლამის სექტორში კეზერაშვილის გამოჩენამდე მუშაობდა და სთხოვა მოეთხროთ, როგორ ჩამოიცილა კონკურენტები თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ბრალდებული კეზერაშვილი დღემდე ინარჩუნებს წამყვან პოზიციებს ბიზნესში, საზოგადოებაში ჩნდება ეჭვი, რომ შესაძლოა მას ახლანდელი ხელისუფლება ან რომელიმე მისი გავლენიანი წევრი მფარველობდეს. სწორედ ამ მიზეზით ჩვენმა რესპონდენტებმა კონფიდენციალობის დაცვა მოითხოვეს. როგორც მათგან გახდა ცნობილი, თბილისში გარე რეკლამის პირველი სარეკლამო ფარები გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოჩნდა. ერთ-ერთი პირველი მსხვილი მოთამაშეები ამ ბიზნესში სარეკლამო კომპანია „ალმა+“ და „მიმინო“ იყვნენ. საერთო ჯამში კი გარე რეკლამის განთავსებაზე ქალაქში, დაახლოებით. ოცამდე კომპანია მუშაობდა.

„ხშირად ეს კომპანიები ერთი კლიენტისთვის იქმნებოდა და ძალიან მალევე იხურებოდა. ასეთი სარეკლამო ფარის დაყენება მეტად იაფი იყო, საკმარისი იყო ორი ჟანგიანი მილი და რკინის ფურცელი. არც განათებას აყენებდნენ. რადგან „მიმინო“ და „ალმა+“ ლიდერები იყვნენ ამ ბაზარზე, მათი ფარები ხარისხითაც გამოირჩეოდა. „ალმა+“ ყოველთვის იყო ასოცირებული „თიბისი ჯგუფთან“, სარგებლობდა კიდეც ამ ჯგუფის მხარდაჭერით. ამ კომპანიებს ქალაქის მასშტაბით საკმაოდ ბევრი, დაახლოებით, 200-200 ფარი ჰქონდათ. კიდევ რამდენიმე ასეული ფარი იყო დანარჩენი კომპანიების მფლობელობაში. შემდეგ ბაზარზე გამოჩნდა მოთამაშე, რომელსაც მოუნდა, ამ ბიზნესს მთლიანად დაპატრონებოდა. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიიჩნია, რომ რეკლამა საინტერესოა არა მხოლოდ კომერციული თვალსაზრისით, არამედ საჭიროა განსაზღვრული პოლიტიკური მიზნებისთვისაც. შესაბამისად, ჯგუფი, რომელმაც გარე რეკლამის ბაზარზე მონოპოლიური თამაში წამოიწყო, მაშინდელი ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობდა. მათ დაიწყეს სარეკლამო მედიასაშუალებების შეძენა, წართმევა, დაშინება. ხელისუფლებისგან ფინანსური მხარდაჭერაც ჰქონდათ. ქვეყანაში არ არსებობდა ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც ვითარებას დაარეგულირებდა და, ამდენად, მიზნისკენ სვლა საკმაოდ გაუადვილდათ, როგორც სატელევიზიო ბაზარზე, ისე სხვა სარეკლამო სეგმენტში. მივხვდით, საით მიდიოდა საქმე, მათთან ჭიდაობას აზრი არ ჰქონდა და ჩვენი ქსელი გავყიდეთ. სხვათა შორის, იმ ფასში, რაც მათ შემოგვთავაზეს და ვფიქრობ, სწორად მოვიქეცით, სხვა შემთხვევაში შეიძლება ყველაფერი დაგვეკარგა... სხვათა შორის, თავიდან ეს არ იყო „აუთდორჯი“. ბაზარი კონკურენტებისგან „მაგი სტილის“ მესვეურებმა გაწმინდეს. ესეც კეზერაშვილთან დაახლოებული ჯგუფი იყო. ის, რაც შემდეგ მოხდა, რბილად თუ ვიტყვით, არანორმალური იყო. მერიასთან ერთად, ქალაქი გაყვეს ორ ნაწილად, მარჯვენა და მარცხენა სანაპიროდ და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემაზე ტენდერი გამოაცხადეს. ოფიციალურად ამ ტენდერში ორი კომპანია — „აუთდორჯი“ და „მაგი სტილი“ მონაწილეობდა, მაგრამ ეს ერთი და იგივე ჯგუფი იყო და გაიმარჯვეს კიდეც. ასეთი რამ წინა ხელისუფლების დროს სხვა ბიზნესებშიც ხშირად ხდებოდა.

რაც შეეხება „ალმა+“-ს, ამ ფირმას თავისი კონტაქტები ჰქონდა ქვეყნის პირველ პირთან. ამიტომ, „აუთდორჯისა“ და „ალმას“ შორის მოხდა განსაზღვრული გარიგება, „ალმას“ თავისი ფარები და „თიბისი“ ჯგუფთან ასოცირებული რეკლამის ამ ფარებზე განთავსების უფლებები დაუტოვეს. სხვა კომპანიები ბაზრიდან ჩამოიცილეს. შემდეგ კიდევ ერთმა კომპანიამ, „ვილაჯიომ“, რომელიც ასევე ძალიან დაახლოებული იყო ხელისუფლებასთან და „ვისოლი ჯგუფის“ შვილობილია, მიიღო რაღაც უფლება, რომ დაეყენებინა ქალაქში სარეკლამო ფარები, ოღონდ საკუთარ ბენზინგასამართ სადგურებზე და ასევე თავისი კომპანიის სარეკლამო ბანერები განეთავსებინა.

რა თქმა უნდა, ამ ბიზნესში ძალიან აიწია ფასებმა. დღეს „აუთდორჯის“ გარე რეკლამის ბაზრის დაახლოებით 70% უკავია. მსოფლიო სტანდარტებით კი, საშუალოდ, როცა სუბიექტს ბაზრის წილის 35% აქვს, უკვე მონოპოლისტია. ახლა ამბობენ, რომ „აუთდორჯიც“ დავით იაკობაშვილის ხელში გადავიდა. თუმცა ისიც ითქვა, რომ ეს თვალის ასახვევი ფორმალური გარიგება იყო.

ეს ბაზარი აუცილებლად უნდა გაიხსნას. ამ კომპანიას არა მხოლოდ გარე რეკლამაზე აქვს მონოპოლია, არამედ სრული მონოპოლისტია რეკლამის განთავსებაზე მეტროში, ავტობუსებზე, მონიტორებსა და ლიფტებში. კეზერაშვილსა და მის ამფსონებს სატელევიზიო ბაზარზეც ჰქონდათ მონოპოლია, როგორც მაუწყებლობის, ასევე რეკლამის თვალსაზრისით. თუ მონოპოლია დაიშლება, ფასი გარე რეკლამაზე აუცილებლად შემცირდება. უნდა გადაიხედოს ტენდერის პირობები და არც ქალაქი უნდა იყოს გაყოფილი ორად. ადრე უფრო სამართლიანი სისტემა მოქმედებდა ფარის დასაყენებლად. მაგალითად, მე თუ ვნახავდი ხელსაყრელ ადგილს გარე რეკლამისთვის, უნდა წარმედგინა ესკიზი, ფოტომონტაჟი არქიტექტურის სამსახურში და თუ ეს არავის უშლიდა ხელს — მიმტკიცებდნენ. არანაირი ტენდერი ამას არ სჭირდება. ამ გზით გარკვეული მოსაკრებელიც შევა ქალაქის ბიუჯეტში, ახლა კი ქალაქს არავინ არაფერს უხდის, ტენდერისას გადაიხადეს და მორჩა. ერთი კომპანია დიდ ფულს შოულობს, სხვები, ფაქტობრივად, მკვდრები არიან. აუცილებლად რამდენიმე მოთამაშე უნდა იყოს ამ ბაზარზე“, — ამბობს ერთ-ერთი სარეკლამო კომპანიის წარმომადგენელი.

**ვისი გვარიც უნდა ფიგურირებდეს მონოპოლისტური ბიზნესების უკან, მათ მფარველად ყოველთვის არსებული მთავრობა მოისაზრება. ძნელი დასაჯერებელია, რომ დღევანდელი მთავრობა ამასთან შეგუებას აპირებს, რადგან მონოპოლიზმი ბიზნესის მახინჯი ფორმაა...**

### „გაუმჭვირვალე“ ტანდემი

სხვადასხვა დროს გარე რეკლამის ბაზრით არასამთავრობო ორგანიზაციები ინტერესდებოდნენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ ამ თემაზე კვლევაც კი გამოაქვეყნა, სადაც კეზერაშვილის, მისი ახლობელ-ნათესავების გვარ-სახელები ფიგურირებდა, მონოპოლიის წახალისებას კი თბილისის მერია უწყობდა ხელს.

**მამუკა ანდღულაძე** *(„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მედიაანალიტიკოსი):* „2009 წელს თბილისის მერიამ აუქციონის წესით გასცა ორი ნებართვა, რომელიც გარე რეკლამების განთავსების 12 წლის ვადით მართვას ითვალისწინებს. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე აბრები „აუთდორჯის“ გადაეცა, რომელსაც მერიამ სხვა კომპანიებისთვის ქველიცენზიით გადაცემის უფლებაც მიანიჭა. მარცხენა სანაპიროზე მდებარე აბრების განთავსების უფლება „მაგი სტილი მედიამ“ მიიღო, რომელსაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი ფლობდა. (ირაკლი ჩიქოვანი ოქტომბრის შემდეგ საქართველოდან წასულია) 2011 წლის დასაწყისში, „მაგი სტილი მედია“ ჩაანაცვლა „სმოდ ედვერტაიზინგმა“, რომელიც მხოლოდ 2011 წლის იანვარში შეიქმნა და რომელსაც პანამაში რეგისტრირებული ჰოლდინგური კომპანია „სმოდ იქუიტიზ კორპი“ ფლობს. საქართველოში ამ კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელია ალექსანდრე გოგოხია, რომელიც „აუთდორჯის“ მთავარ ფინანსურ დირექტორად მუშაობდა. მოკლედ, მოჯადოებული წრეც იკვრება. ამის შედეგად, დედაქალაქის გარე რეკლამების ბაზარზე დომინანტური პოზიცია „აუთდორჯიმ“ და „სმოდმა“ დაიკავეს, რომელიც „აუთდორჯისთან“ მჭიდროდ დაკავშირებული კომპანიაა. „აუთდორჯი“ თბილისის მერიასთან ერთად ერთობლივი საწარმოს — „აუთდორ ტრანსპორტს“ ოპერირებს“.

### მთელი ქალაქი ერთ ჯიბეში

კიდევ ერთხელ რომ დავრწმუნებულიყავით შექმნილ ვითარებაში, ჩვენ, როგორც ერთ-ერთი რიგითი კლიენტი, თბილისში ბილბორდებზე რეკლამის განთავსებისთვის კომპანია „აუთდორჯის“ დავუკავშირდით. მიღებული პასუხის თანახმად, ფასი დამოკიდებულია კონსტრუქციასა და განთავსების ადგილზე, ღირებულება 1 კვმ-ზე $40-$60-ს აღწევს მხოლოდ იჯარისთვის, ხოლო ბანერის 1 კვმ-ის ბეჭდვა კიდევ $10 ღირს. ჩვენ შევთავაზეთ, რომ ბანერებს თავად დავბეჭდავდით (რადგან მანამდე გადავამოწმე და სხვაგან იმავე ხარისხის ბანერის დაბეჭდვა თითქმის ნახევარ ფასად შემომთავაზეს), მაგრამ მკაცრი უარი მივიღეთ: გვაქვს ჩვენი სტამბა, ბანერის ბეჭდვაც სპეციფიკური ამოცანაა, ამიტომ მთელ პროცესს ჩვენ უზრუნველყოფთ, ჩვენთან დაბეჭდვა აუცილებელი პირობააო. როცა გარე რეკლამის განთავსება მთელ ქალაქში ვისურვეთ და ჩავეკითხეთ, მხოლოდ ისინი შეძლებდნენ ამას თუ სხვებსაც უნდა დავკავშირებოდით, ფარების ძირითადი ნაწილი — 80% — მაინც ჩვენ გვაქვსო, — გვიპასუხეს, — თუმცა ჩვენს პარტნიორ ფირმებსაც აქვთ სარეკლამო ფარების მცირე ნაწილი, შეგვიძლია ჩვენვე დავეკონტაქტოთ და ეს საკითხი მოვაგვაროთ. ფასიც კი არ შეიცვლება, — უკვე დიდი ხნის ურთიერთობა გვაქვს და როგორც „ალმას“ სჭირდება ჩვენგან ფარები, ისე გვჭირდება ხოლმე ჩვენ. ხოლო ექსკლუზიურად ჩვენ განგითავსებთ ავტობუსებში, აგრეთვე მონიტორებზე მთელ ქალაქში, მეტროსა თუ ლიფტებშიო.

**P.S.** ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ერთ-ერთი მთავარი თემა მონოპოლიზმის დამარცხება იყო, თუმცა ის დღეს თითქოს დავიწყებას ეძლევა. სამაგიეროდ, მონოპოლიზმი არ გამქრალა და ჩვეული „რიხით“ განაგრძობს ჯიბეების გასქელებას. არ გვინდა დავიჯეროთ, მაგრამ ბუნებრივად ჩნდება ეჭვი — ხომ არ განაახლეს „კრიშა“ მონოპოლისტებმა?! ვისი გვარიც უნდა ფიგურირებდეს მონოპოლისტური ბიზნესების უკან — კეზერაშვილის, იაკობაშვილის თუ ხახვიჭამიაშვილის, მათ მფარველად ყოველთვის არსებული მთავრობა მოისაზრება. ძნელი დასაჯერებელია, რომ დღევანდელი მთავრობა ამასთან შეგუებას აპირებს, რადგან მონოპოლიზმი ბიზნესის მახინჯი ფორმაა და ის ყველას აზარალებს, თვით მონოპოლისტების გარდა.

---

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 23.02.2013-დან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:**

| | |
|---|---|
| USD 1 აშშ დოლარი | 1.6563 |
| EUR 1 ევრო | 2.1871 |
| GBP 1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 2.5267 |
| RUB 100 რუსული რუბლი | 5.4556 |

---

### ცხენის ხორცის სკანდალი ევროპაში



ევროკომისიამ ხორცის ნახევარფაბრიკატების შემოწმების გეგმა დაამტკიცა, რაც სავაჭრო ქსელებში საქონლის ხორცის ნაცვლად ცხენის ხორცის გამოჩენას უკავშირდება. 27 ქვეყნის ვეტერინარულმა და სანიტარიულმა სტრუქტურებმა 2250 ტესტი უნდა ჩაატარონ. დღეისთვის საქონლის ხორცის ნაცვლად ცხენის ხორცისგან მომზადებული ნახევარფაბრიკატები აღმოჩენილია დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, დანიის, ირლანდიის, ესპანეთის, კვიპროსის, ლუქსემბურგის, პოლონეთის, საფრანგეთის, შვეიცარიისა და შვედეთის სავაჭრო ქსელში.

სარედაქციო კოლეგია
მთ.რედაქტორი: გელა გურგენიძე

მისამართი:
თბილისი; იოსებიძის ქ. 49,
ტელ.: 238-84-44
ელფოსტა: eko@palitra.ge

სარეკლამო სამსახური:
ტელ.: 237-78-07

გაზეთში გამოყენებულია სააგენტო „ინტერპრესნიუსისა“ და ინტერნეტპორტალ Commersant.ge-ს მასალები


აქცია
თქვენთვის
ქალბატონებო
ელექტრონიკა
დაბალი ფასების ტერიტორია
გილოცავთ დედის დღეს
აქცია ძალაშია 2013 წლის 25 თებერვლიდან 3 მარტის ჩათვლით
INDESIT WIN81
399
800 ბრ.
5 კგ.
85 60 53
კვირის შეთავაზება:
SAMSUNG WF0508NZW
499
800 ბრ.
5 კგ.
85 60 45
NORD DX-271
399
256 ლიტრი
თეთრი
141 57 61
NORD ПГ4 "102-4A"
349
ღუმელი - 62 ლიტრი
გაზის ზედაპირი
(4 კონფორი)
ელექტროანთება
თეთრი
85 60 50
INDESIT WIN101
449
1000 ბრ.
5 კგ.
85 60 53
INDESIT SB 15020
599
243 ლიტრი
თეთრი
150 60 67
INDESIT NTA 16 R
649
296 ლიტრი
A კლასი
თეთრი
167 60 67
Hotpoint ARISTON AR 63
499
600 ბრ.
5 კგ.
85 60 53
SAMSUNG WF0500NZW
529
5 კგ.
1000 ბრ.
85 60 45
Hotpoint ARISTON AR 83
549
800 ბრ.
5 კგ.
85 60 53
INDESIT H 151 WH
99
INDESIT H 150 T WH
119
19 ლარიდან
23 ლარიდან
25 ლარიდან
25 ლარიდან
25 ლარიდან
29 ლარიდან
29 ლარიდან
35 ლარიდან
45 ლარიდან
69 ლარიდან
99 ლარიდან
99 ლარიდან
129 ლარიდან
179 ლარიდან
189 ლარიდან
349 ლარიდან
სპეციალური შეთავაზება
განახლებულ მაღაზიაში
ვაჟა-ფშაველას 4, ტელ: 2-359-490
გარანტირებული საჩუქარი 500 ლარზე მეტ შენაძენზე
700 ლარზე მეტ შენაძენზე - საჩუქრად თმის მოვლის საშუალება
1000 ლარზე მეტ შენაძენზე - საჩუქრად იტალიური აირგამწოვი
და კიდევ, საუკეთესო ხარისხის
1000-ზე მეტი დასახელების საქონელი
SAMSUNG TOSHIBA SONY Hotpoint ARISTON Panasonic THOMSON PHILIPS TEFAL INDESIT Rowenta Moulinex
ელექტრონიკა
დაბალი ფასების ტერიტორია
ტელ: 2 518 815




ლეგენდარული ავსტრიელი ავტომრბოლელი




ამერიკელი მსახიობი




ინგლისური ავტომობილი




კანადელი მომღერალი ქალი




ინგლისელი მსახიობი

1. პორტუგალიის დედაქალაქი
2. იოლი, მარტივი
3. დიდი და სქელი შალი
4. ფიცრის ზღუდე ეზოს გარშემო
5. პერსონალური შეცდომა კალათბურთში
6. ქალაქი იტალიაში
7. ავეჯის ნაწილი
8. საყდარი
9. ხის თხელი ფურცელი
10. იტალიური მაკარონი
11. გუმბათიანი მრგვალი ნაგებობა
12. თხის ხმიანობა
13. ბელორუსიის დედაქალაქი
14. ქვეყანა აზიაში
15. აშშ-ის სატელევიზიო პრემია
16. დარდი, სევდა
17. „პეპი გრძელი წინდას" ავტორი
18. რუსი ფერმწერი
19. თბილისის გარეუბანი
20. პიტალო კლდე
21. პირველი ქალი
22. მხედრის დასაჯდომი ცხენზე
23. ქვეყანა აფრიკაში
24. ბოსტნეული
25. ბგერის გრაფიკული ნიშანი
26. რისამე დედააზრი
27. ჭამის სურვილი
28. გაზაფხულის თვე
29. ინგლისური ბილიარდი
30. მამაკაცის სასიმღერო ხმა
31. აშშ-ის კოსმოსური ცენტრი
32. პატარა ყუთი
33. მამალი კვიცი
34. თუთიყუშის სახეობა
35. ჰუნების ბელადი
36. ინგლისის ფეხბურთის გუნდი
37. ქალაქი უკრაინაში
38. ადვოკატთა გაერთიანება
39. ნადირობა აფრიკაში
40. დერეფანი
41. დროის მონაკვეთი კრივში
42. ერთგვარი მსუბუქი ნამცხვარი
43. თავსაბურავი
44. იგივეა რაც არჩვი
45. ფულის ერთეული ავსტრალიაში
46. კოქტეილის დამამზადებელი ჭურჭელი
47. ბურთისებრი ბაქტერია
48. ლოკატორი
49. აღლუმი
50. მხარე საქართველოში
51. დიდი ნაბიჯი
52. ქვეყანა აზიაში

**№8 სკანვორდის პასუხები:** 1. ჯავახეთი; 2. ვედრება; 3. ლოდი; 4. გვარდია; 5. რიკო; 6. ლუსაკა; 7. ლიტერატურა; 8. განძი; 9. პითეკანთროპი; 10. პანასონიკი; 11. წნორი; 12. კარავაჯო; 13. კუბრიკი; 14. პიცა; 15. ჩოდარი; 16. პაკისტანი; 17. ნოტი; 18. ელიტა; 19. ამოკი; 20. ყოჩი; 21. გოგრა; 22. ძმარი; 23. არვე; 24. ტრეფიკინგი; 25. მაჰაგონი; 26. მინა; 27. თოლია; 28. ლაქა; 29. ოსერი; 30. ჰობი; 31. ორქიდეა; 32. მელანი; 33. სასა; 34. ორეგონი; 35. ინგლისი; 36. მეტაფორა; 37. კარაბინიერი; 38. გარგარი; 39. საფირონი; 40. სალონიკი; 41. არსენალი; 42. ნიანგი; 43. რელიგია; 44. შოთი; 45. არარატი; 46. ფიალა; 47. ამალთეა; 48. ურანი.

სურათებზე: 1. ჯოელი; 2. ბახი; 3. მაზდა; 4. მური; 5. სტინგი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები**

შეადგინა ვანო კაჭახიძე


კიდევ 49 წიგნი, რომელიც
უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ
11-დან 18 მარტამდე
ერიხ მარია რემარკი
ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა
1
ერიხ მარია რემარკი
ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა
წიგნის სპეციალური ფასი: 7 ლარი
გაზეთთან ერთად: 8 ლარი
შემდეგი წიგნი: ბრემ სტოკერი „დრაკულა“
სპეციალური შანსი მათთვის, ვისაც „50 წიგნიდან“ რომელიმე ტომი გამორჩა:
თუ გამოიწერთ „49 წიგნის“ სერიას მინიმუმ 3 თვით, “50 წიგნის” თქვენთვის
სასურველ ტომებს აქციის ფასში 7 ლარად ადგილზე მოგართმევთ
ტელ: 238 26 73 238 26 74 238 26 76 ელვა.ჯი www.elva.ge

# „ეს ნაძირალა უჩემოდ დაქორწინდა ჩემზე“

ლეგენდარულმა სუპერვარსკვლავმა, 85 წლის ჯინა ლოლობრიჯიდამ კვლავ გააოცა ბომონდი — უკიდურესად აღშფოთებულია და ე.წ. ქმარს, ესპანელ ბიზნესმენ ხავიერ რიგაუ-ი-ალფონსს სასამართლოში უჩივის იმის გამო, რომ ბიზნესმენი მასზე „თაღლითურად დაქორწინდა“!

ჯინამ და რიგაუ-ი-ალფონსმა ერთმანეთი მონაკოში, 1984 წელს, ერთ-ერთ ხმაურიან საღამოზე გაიცნეს და 22 წლის მანძილზე ერთმანეთს არ დაშორებიან. მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობას გულმოდგინედ მალავდნენ, მათ 2006 წელს მომავალი ქორწინების შესახებ განცხადება გააკეთეს, რამაც საზოგადოებაში სენსაცია გამოიწვია — საქმრო ჯინაზე 34 წლით უმცროსია. ცერემონიის დრო და ადგილიც დაინიშნა: 2007 წლის 27 იანვარს რომში, კაპიტოლიუმის ბორცვზე მდებარე სანტა-მარია-არაკოელის ეკლესიაში, სადაც უამრავი ცნობილი ადამიანი იყო მიწვეული. თუმცა, რამდენიმე თვით ადრე, ლოლობრიჯიდამ მოულოდნელად განაცხადა, რომ ქორწინება აღარ შედგებოდა, რადგან საქმრომ „წინასაქორწინო დაძაბულობას ვერ გაუძლო“...



ჯინა ლოლობრიჯიდაზე 34 წლით უმცროსი ალფონსი სუპერვარსკვლავზე თაღლითურად დაქორწინდა?!



ახლახან კი სუპერვარსკვლავმა ინტერნეტით შეიტყო, რომ ყოფილი საყვარელი მისი ქმარი მაინც გამხდარა და 2010 წელს ბარსელონაში, 8 მოწმის თანდასწრებით ხელიც მოუწერიათ(?!).

„ეს ნაძირალა უჩემოდ დაქორწინდა ჩემზე, რათა ჩემი სიკვდილის შემდეგ ქონებას და ფულს დაეუფლოს. ადრე რაღაცებს აგვარებდა ჩემი სახელით და უამრავი მინდობილობა მაქვს მიცემული. ალბათ, ქორწინების ყალბი მოწმობაც მაშინ შემომაპარა სხვა დოკუმენტებთან ერთად ესპანურ ენაზე, რომელიც არ ვიცი. მაშინ მის წესიერებაში ეჭვი არ მეპარებოდა“ — აღშფოთებას ვერ მალავს მსახიობი.

51 წლის რიგაუ-ი-ალფონსი კი აცხადებს, რომ ჯინამ თავად მისცა თანხმობა ე.წ. დაუსწრებელი ქორწინების ცერემონიაზე და ყველაფერს თავადვე მოაწერა ხელი. მისი ადვოკატის, ტერეზა ბუიესის თქმით: „ქორწინება კანონიერი იყო, ჯინა ბარსელონაში ჩავიდა და დაუსწრებელი ქორწინების თხოვნას ნოტარიუსის თანდასწრებით მოაწერა ხელი. ამ ტიპის დოკუმენტი უამრავ წვრილმანს ითვალისწინებს და მას ყველაფერზე ხელი მოწერილი აქვს“.

არადა, რიგაუ-ი-ალფონსის ყოფილი ადვოკატი ხავიერ საავედრა თაღლითობის ფაქტს ამტკიცებს და აღნიშნავს, რომ მისმა ყოფილმა კლიენტმა უცნობ ქალს, რომელიც ლოლობრიჯიდას ჰგავდა, საცოლის როლის შესასრულებლად ფული გადაუხადა!

„ამის ატანა შეუძლებელია, ცრუ ქორწინებაზე საკურთხეველთან ჩემს ნაცვლად უცხო ქალი იდგა! მოვითხოვ ჩატარდეს საერთაშორისო გამოძიება. მსურს შუქი მოვფინო ამ ამბავს და ნიღაბი ავხადო ყველას, ვინც მასშია გარეული“ — ბობოქრობს ჯინა.

# ჩაეგდაუჭე საქმროს

ბრედ პიტის ყოფილი ცოლი, 43 წლის სუპერვარსკვლავი ჯენიფერ ენისტონი, როგორც იქნა, თხოვდება. მისი ქორწილი „ოსკარის“ ცერემონიის დასრულების შემდეგ ორიოდ კვირაში გაიმართება — ამ ბედნიერ დღეს ჰოლივუდელი ლამაზმანი 7 წელიწადს ელოდა. პიტთან განშორების შემდეგ ჯენიფერს რამდენიმე საყვარელი ჰყავდა, მაგრამ სერიოზული გრძნობა მხოლოდ მსახიობ ჯასტინ ტერუსთან გაუჩნდა. 15-თვიანი ურთიერთობის შემდეგ წყვილმა ქორწილი მარტის დასაწყისში დანიშნა, ტერუს 41-ე დაბადების დღეს. ენისტონის თქმით, ქორწილისთვის მზადება უკვე დასრულებულია, ცერემონია ლოს-ანჯელესში, სუპერვარსკვლავის სასახლეში გაიმართება. ჯენიფერს სურს ქორწილი რაც შეიძლება მდიდრული იყოს, მაგრამ მხოლოდ ახლობელი ადამიანების წრეში — ამიტომ სულ 50-მდე სტუმარია დაპატიჟებული. სხვათა შორის, ოჯახის შესაქმნელად წყვილი საგულდაგულოდ მოემზადა: მათ სანტა-მონიკას სასწავლო ბანაკში ოჯახური ცხოვრების რამდენიმედღიანი კურსიც კი გაიარეს.









# „ყურიჭამიას“ დაბრუნება



**მაიკ ტაისონი: მიყვარს ევანდერი, მაგარი კაცია!**





„ტაისონის ცნობილი „ილეთი“

*ერთურთს გადახვეული მაიკ ტაისონი და ევანდერ ჰოლიფილდი დიდი ხნის განშორების შემდეგ შეხვედრილ ძველ მეგობრებს ჰგვანან. თუმცა შეიძლება ახლა მართლაც არიან მეგობრები: კრივის ისტორიის ეს ორი ლეგენდა უკვე ოფიციალურად შერიგდა.*

მაგრამ ისინი ნამდვილად არ იყვნენ მეგობრები 1997 წლის ივნისში, ჩიკაგოში, ორი მძიმეწონოსანი მსოფლიო ჩემპიონის შერკინებაზე. იმ დღეს მაყურებელმა იხილა საარაკო მატჩი, რომელიც სამუდამოდ დარჩება კრივის ისტორიაში: გაშმაგებულმა ტაისონმა თავის ცივსისხლიან და მუდამ გაწონასწორებულ მეტოქეს „კლინჩში“ ყოფნისას ყური მოაკვნიტა! სიმბოლურია ისიც, რომ მატჩს, დასრულების შემდეგ, ოფიციალური სახელიც შეუცვალეს და თავდაპირველი „ტაისონი ჰოლიფილდის წინააღმდეგ: მძვინვარების ქუხილის“ მაგივრად „სისხლის გემო“ უწოდეს. არაერთი სტატია დაიწერა იმაზე, თუ რატომ გააკეთა ეს ტაისონმა. ექსპერტების აზრით, „რკინის მაიკი“ მიხვდა, რომ ჰოლიფილდთან ვერც მუშტითა და ვერც დაშინებით ვერას გახდებოდა და განზრახ „წავიდა“ დისკვალიფიკაციაზე. ტაისონი კი იფიცებოდა, ჰოლიფილდს ყური შემთხვევით თავის ჩარტყმისას მოვაჭამეო. სიტუაციას ისიც ართულებდა, რომ ტაისონი ჯიუტად ამბობდა უარს ბოდიშის მოხდაზე, თუმცა კრივის საერთაშორისო კომისიას კეთილსინდისიერად გადაუხადა დაკისრებული ჯარიმა — 3 მილიონი დოლარი. საბოლოოდ, 2009 წელს, „გამოსწორების გზაზე დამდგარმა“ ტაისონმა აღიარა, რომ „კარგად არ მოიქცა“ და თვალებზე ცრემლმომდგარმა ჰოლიფილდს ბოდიში მოუხადა. ამ უკანასკნელმა ბოდიში მიიღო და განაცხადა, — გულში ტაისონს დიდი ხანია ვაპატიეო.

ალბათ, სწორედ ამის დამადასტურებელია შეხვედრა ჩიკაგოს ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში გამართულ პრეზენტაციაზე, სადაც ჰოლიფილდმა საკუთარი პროდუქცია — ცხარე სოუსი წარადგინა. ტაისონმა, როგორც თავად აღნიშნა, „შემთხვევით შემოიარა“ თავისი მეგობრის, ევანდერის მოსანახულებლად. „ალბათ, ეს არის ყველაზე საუკეთესო, რაც შემიძლია მისთვის გავაკეთო. მინდოდა ევანდერი მენახა. მიყვარს ევანდერი, ძმებო. მაგარი კაცია. იმ შემთხვევამ ჩვენ სიცოცხლის ბოლომდე გადაგვაჯაჭვა ერთმანეთს. ოღონდ ამ „კლინჩში“ სისულელეებს აღარ ჩავიდენ“, — აცხადებს ხელში სოუსჩაბღუჯული ტაისონი. ძნელია მისი გულწრფელობა არ იწამო — ახალი მაიკი ძველის ლანდადაც კი არ გამოდგება. ამას თავადაც სინანულით აღნიშნავს. სულ ახლახან ბროდვეის თეატრის სცენაზეც გამოვიდა და მთელ მსოფლიოს მოუთხრო, თუ როგორ გახდა ბრუკლინელი მემტრედე ბიჭი მძიმეწონოსანი მსოფლიო ჩემპიონი და როგორ დაეშვა „რკინის მაიკი“ სკანდალების, კოკაინისა და ალკოჰოლის დაღმართზე. დადგმა უზომოდ პოპულარული აღმოჩნდა და ტაისონმა ამ გამოსვლით თითქმის ყველა შტატი მოიარა.

ტაისონის ტრანსფორმაცია არც ჰოლიფილდს, მის ყოფილ მეტოქეს, დარჩენია შეუმჩნეველი. მისი თქმით, მაიკი ახლა სულ სხვა კაცია.

„მან უთუოდ იპოვა საკუთარ თავში ძალა, რათა მსოფლიოსთვის ეთქვა, რომ არ იყო მართალი და მომხდარს ნანობს. ვფიქრობ, მისთვის მნიშვნელოვანია, რომ მე მას ვაპატიე. ამან შეაძლებინა, საკუთარი თავისთვისაც ეპატიებინა. სწორედ ასეთი გადაწყვეტილებების შემდეგ იცვლება ადამიანი უკეთესობისკენ“, — აცხადებს ჰოლიფილდი.

***მოამზადა ვაჟა თავბერიძემ***


## კარგი მიკროცირკულაცია — ბრწყინვალე სმენისთვის

# ბოლოსდაბოლოს ისევ ყველაფერი მესმის!

ჯონი კანადის ქალაქ ონტარიოში ცხოვრობს და თავის ისტორიას გვიამბობს:
„დიდი ხნის განმავლობაში მაწუხებდა ყურებში ხმაური, ამის გამო ცუდად მესმოდა – ეს კი ძალზედ უსიამოვნო იყო. ამ დროს გავსინჯე ტონი - და ჩემი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა...“

სმენის პრობლემები ხუთი წლის წინ გამიჩნდა. ვიგრძენი, რომ სმენა ძალიან სწრაფად მიქვეითდებოდა,ყურებში კი განუწყვეტელი ხმაური მაწუხებდა (სამედიცინო ტერმინოლოგიით tinnitus. ლათ.). ძალიან ხშირად, ისეთი გრძნობა მქონდა,თითქოს დიდი ქალაქის ცენტრში ვიყავი, სადაც ხმაური არასოდეს წყდებოდა. მეგობრებთან საუბრისას, მათი ნათქვამის გაგება მიჭირდა. რამდენჯერმე უხდებოდათ გამეორება, რათა მე გამეგო, თუ რას შეეხებოდა საუბარი. ამის გამო თავს უხერხულად ვგრძნობდა და ეს ძალიან მაწუხებდა.“

**ერთი თვის შემდეგ განსხვავება ვიგრძენი**
„როდესაც აფთიაქში პირველად შემომთავაზეს **ტონი,** ძალიან გამიკვირდა,რადგან არ მჯეროდა,რომ რამეს,მით უმეტეს კი,ტაბლეტებს,ჩემი დახმარება შეეძლო. მაგრამ ფარმაცევტმა ამიხსნა, რომ **ტონის** შემადგენლობაში შედის ნატურალური მცენარეული ნივთიერებები, რომლებიც შიდა ყურში მიკროცირკულაციას აძლიერებს, რაც თავის მხრივ, კარგი სმენისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ვიყიდე **ტონის** ერთი კოლოფი და მთელი თვის განმავლობაში, ყოველდღიურად,2 ტაბლეტს ვიღებდი. უკეთესობა ერთი კოლოფის გათავებამდეც ვიგრძენი. მართალია, ცვლილება თითქმის უმნიშვნელო იყო, მაგრამ ნამდვილად ვგრძნობდი,რომ რაღაც ხდებოდა. ყურებში ხმაური ნაკლებად მაწუხებდა და
თანდათანობით სმენაც გამომისწორდა. ბოლოსდაბოლოს, ხმაური საერთოდ გაქრა და მეგობრებთან ურთიერთობასაც სრულიად მშვიდად ვახერხებდი. ახლა თავს ისე ვგრძნობ, როგორც ძველ, კარგ დროს, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ჩემი ოჯახის წევრებმა და მეგობრებმაც კი შენიშნეს ჩემი სმენის გაუმჯობესება!“

**ასაკით გამოწვეული ცვლილებები**
ასაკით გამოწვეული სმენის გაუარესებას პრესბიაკუზია (ლათ. presbyacusia) ეწოდება. ყველაზე ხშირია ჩივილები ხმადაბალი საუბრის გაგებასა და ყურებში გამუდმებული ხმაურის გამო. ზოგჯერ ადამიანი სმენის გარკვეულ დაქვეითებას ეგუება, მაგრამ ყურებსა და თავში გამუდმებით ხმაურის შეგრძნება ძალიან დამღლელია. ეს ხმაური უფრო ინტენსიური ხდება, როდესაც ადამიანი ნერვიულობს, ან საღამოს, ჩუმ გარემოში აღმოჩნდება. ხმაურის შეგრძნება განსაკუთრებული სიმწვავით აღიქმება ღამით. ხშირად ასაკოვანი ადამიანები სხვადასხვა სიძლიერის თავბრუსხვევებს უჩივიან. სმენადაქვეითებული მოხუცები ხშირად არიან მოწყენილები და ეუფლებათ დეპრესია,

სოციალური აქტივობის დაქვეითება,უხერხულობისა და დაუცველობის შეგრძნება.
ბევრ ადამიანს აქვს სმენის პრობლემები და მათი უმრავლესობა ამის დამალვას ცდილობს. არავის სიამოვნებს თავი „უცხოდ“ იგრძნოს და თავის თავზე გამოსცადოს „როგორ ვერ გაიგე“-ს მსგავსი დამცინავი კომენტარები. ამის გამო,ბევრი ადამიანი უარყოფს თავის პრობლემას და ამტკიცებს, რომ „ყველაფერი ჩვეულებრივადაა“.

**ფაქტები ტონის შესახებ**
ტონი – ეს არის ორიგინალური სკანდინავიური ტაბლეტი, რომლის შემადგენლობაში შედის სმენისთვის სასარგებლო ნატურალური მცენარეული ექსტრაქტები.

**ტონის** შემადგენლობაში შედის დიდი რაოდენობით რუტინი და ოქსირუტინი (ისინი შედის წიწიბურას შემადგენლობაში), რომლებიც აძლიერებს შიდა ყურის კაპილარებსა და სისხლძარღვებს. ალპინიას ექსტრაქტი კი სმენის მგრძნობელობას აძლიერებს. მოცვის ექსტრაქტი აძლიერებს კაპილარებს და აუმჯობესებს სითხის მიკროცირკულაციას შიდა ყურში. ალაოს ექსტრაქტი ამცირებს შიდა ყურის
გაღიზიანებადობას, აუმჯობესებს სმენით მგრძნობელობას. ნიაცინი, მაგნიუმი და კალიუმი ასევე უმნიშვნელოვანესი ელემენტებია კარგი სმენისთვის. ისინი ხელს უწყობს ნერვული სისტემის ნორმალური მდგომარეობის შენარჩუნებას, მონაწილეობს ორგანიზმის ბიოქიმიურ რეაქციებში და უზრუნველყოფს კარგ სმენას. **ტონი** კარგი სმენის შენარჩუნებაში გვეხმარება.

მიიღეთ **ტონის** ორი ტაბლეტი ყოველ დილით,მინიმუმ,2-3 თვის განმავლობაში, რათა მან ყურის მნიშვნელოვან ნაწილებში
მიკროცირკულაციის სტიმულირება მოახდინოს და შესაძლებელი გახადის მათი აღდგენა.




**სად შევიძინო „ტონის“ ტაბლეტები?**
ტონის ტაბლეტების შეძენა შეიძლება აფთიაქში.
ტონის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მოსაძიებლად იხილეთ ინტერნეტ-საიტი:
www.newnordic.lv
ან დარეკეთ ტელეფონზე:
☎ (0) 570 102 392
ქალაქის ნომრიდან ზარი უფასოა



NEW NORDIC
შეფუთვაზე მოძებნეთ ვერცხლისფერი საფირმო ნიშანი. ეს იმის გარანტიაა, რომ პრეპარატი შეესაბამება ხარისხისა და უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს, რომელსაც კომპანია „ნიუ ნორდიკი“ გთავაზობთ.
„ნიუ ნორდიკი“ ზრუნავს ადამიანებსა დაბუნებაზე.

| სმენა ხომ არ დაგისუსტდათ? | კი | არა |
|---|---|---|
| 1. ხშირად მიჭირს თანამოსაუბრის სიტყვების გარჩევა. | ☐ | ☐ |
| 2. თანამოსაუბრეს კითხვებით ხშირად ვაწყვეტინებ თხრობას. | ☐ | ☐ |
| 3. გარემოს ზოგიერთი ბგერა ზედმეტად შემაწუხებელია. | ☐ | ☐ |
| 4. ყურებში ხმაური და, ზოგჯერ, თავბრუსხვევა მაწუხებს. | ☐ | ☐ |
| 5. გარშემომყოფებთან საუბარს გავურბივარ, რადგან ჩემი სმენის გამო თავს უხერხულად ვგრძნობ. | ☐ | ☐ |

**თუკი თქვენ დადებითად უპასუხეთ ზემოთ დასმული კითხვებიდან სამს მაინც, ეს ნიშნავს, რომ თქვენი სმენა ყურადღებას საჭიროებს!**

# XX საუკუნის უძლეველი მასონური ლოჟა პ-2

**ფანტომასი ლიჩო ჯელი და სიუჟეტი ტრილერის სტილში**

*იტალიისთვის გასული საუკუნის 70-80-იანი წლები ძალზე ბობოქარი იყო. მოიტაცეს და მოკლეს პრემიერი ალდო მორო. ააფეთქეს ექსპრესი „იტალიკუსი". პრესაში გაჩნდა პუბლიკაციები, რომელთა ავტორები ამტკიცებდნენ, რომ ქვეყანაში გადატრიალება მზადდებოდა, მისი ორგანიზატორები კი მასონური ლოჟა პ-2 და მისი თავკაცი ლიჩო ჯელი იყვნენ.*

*„შეგნებულად იქმნება მართვადი ქაოსი! მზადდება გადატრიალება!" — ეს იტალიელ ჟურნალისტებს მაფიის ერთ-ერთმა თავკაცმა ჯენტილემ განუცხადა. მალე ჯენტილე გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა...*

## ავანტიურისტი

ლიჩო ჯელი 1919 წელს დაიბადა. აკადემიური ჩამორჩენილობის გამო სკოლიდან გარიცხეს. ამის შემდეგ ჯელი ფაშისტური პარტიის წევრი გახდა. მეორე მსოფლიო ომის დროს იტალიის სამხედრო დაზვერვაში მსახურობდა, 1943 წელს წინააღმდეგობის მოძრაობას დაუკავშირდა. ყოველივე ამის წყალობით ახალ დემოკრატიულ იტალიაში ღირსეული ცხოვრების საშუალება მიეცა. ჯელიც რესპექტაბელურ მრეწველად გადაიქცა. ბევრისათვის გამოცანად დარჩა, საიდან გაუჩნდა მას მსხვილი ბიზნესის დაწყებისათვის საჭირო ფული.

*„ჯელიმ ხორვატული ოქრო მიითვისა! ანტე პაველიჩის მთავრობამ ჯერ კიდევ 1944 წელს თავისი ქვეყნის ოქროს მარაგი იტალიაში გაიტანა"* — წერდა „რეპუბლიკა".

იატაკქვეშა იმპერიას ჯელი წლების მანძილზე აგებდა. პ-2-ს საფუძველი 1946-47 წლებში ჩაეყარა. არსებობდა ორი ლოჟა: პირველი — ლეგალური, სადაც თავი მოიყარეს მსხვილმა ბიზნესმენებმა და ფინანსისტებმა; მეორე — იატაკქვეშა. ამ უკანასკნელს კავშირი ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნის დაზვერვასთან, ეწეოდა იარაღით უკანონო ვაჭრობას, ნარკობიზნესს, ფინანსურ მაქინაციებს. 1972-74 წლებში პ-2-მა ამერიკის დაზვერვის ყურადღება მიიქცია. მათ იტალიის მთავრობას მიმართეს: „პ-2 სახელმწიფო საფრთხეს წარმოადგენს!".

იტალიის ხელისუფლება კი ფეხს ითრევდა. თვით ალდო მოროს მკვლელობის შემდეგაც პ-2-ის მიმართ ქმედითი ზომები არ გატარდა. მაშინ ამერიკელებმა სპეცოპერაცია ჩაატარეს — ფინანსურ მაქინაციებში ამხილეს ჯელის მეგობარი ბანკირი სინდონა, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა „კოზა ნოსტრასთან".

სინდონა მართლმსაჯულებას დაემალა. ეჭვობდნენ, რომ ბანკირმა ჯელის კუთვნილ ვილა „ვანდას" შეაფარა თავი.

## სენსაცია

არეცო, 1981 წლის მარტი. ფინანსურმა გვარდიამ ვილა „ვანდას" ალყა შემოარტყა. სახლი გულდასმით გაჩხრიკეს, მაგრამ ხელჩასაჭიდს ვერაფერს მიაგნეს — არც სინდონა აღმოჩნდა, არც ჯელი. გამომძიებელი ტურონე ის იყო წასვლას აპირებდა, რომ ერთმა პოლიციელმა მიმართა:

— სენიორ, ამას შეხედეთ!

გვარდიელი სამალავზე მიუთითებდა... ტურონეს ყურადღება მსხვილმა საქაღალდეებმა და კონვერტებმა მიიპყრო. გამომძიებელმა ერთ-ერთი კონვერტი გახსნა და ელდა ეცა: გენერალი ვიტო მიჩელი, გენერალი ლუიჯი ლატონი... მის წინ მასონური ლოჟა პ-2-ის წევრთა სრული სია იდო. აქ იყვნენ მაღალჩინოსანი სამხედროები, მსხვილი მრეწველები, მთავრობის წევრები, პარლამენტის დეპუტატები. საქაღალდეებში აღმოჩნდა დოსიე წამყვან ბიზნესმენებზე, პოლიტიკოსებზე, სამხედროებზე. ასეთ დოსიეებს იტალიის კონტრდაზვერვა ადგენდა, მათი ასლები, როგორც ჩანს, ჯელისაც ჰქონდა.

**« კალვის ლონდონში მიაკვლიეს. დადგინდა სასტუმროც, სადაც ის სხვისი გვარით ცხოვრობდა. პოლიციელებს ნომერი ცარიელი დაუხვდათ... მალე ბანკირი იპოვეს. ის თემზის ერთ-ერთ ხიდზე თოკით ეკიდა...**



იტალიის ყველა წამყვანმა გაზეთმა პირველ გვერდზე სენსაციური ცნობა დაბეჭდა: *„მხილებულია იატაკქვეშა მასონური ლოჟა პ-2! იტალიას მართავს არა ხალხის მიერ არჩეული მთავრობა და პარლამენტი, არამედ იატაკქვეშა კასტურ-კლანური სტრუქტურები".* მალე იტალიის მთავრობა სრული შემადგენლობით გადადგა.

## არავითარი იდეოლოგია

ვერავინ გაიგო, სად გაქრა ლიჩო ჯელი, სამაგიეროდ, ლოჟის ბევრი წევრი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. ოფიციალურად დადასტურდა მათი კავშირი მაფიასთან, სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურებთან, ტერორისტებთან. მალე გამოქვეყნდა გენერალ როსეტის ინტერვიუ, რომელიც ამერიკელებზე მუშაობდა. ის ამტკიცებდა, რომ ჯელი გადატრიალებას გეგმავდა:

*„ნავარაუდევი იყო ხელისუფლების დამხობა, დიქტატურის დამყარება. იტალია უნდა გამოსულიყო ნატოდან და ნეიტრალურ სახელმწიფოდ გადაქცეულიყო. ჯელის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ყველა პარტია აიკრძალებოდა, სიტყვის თავისუფლებას ბოლო მოეღებოდა",* — ამბობდა როსეტი.

ამ სიტყვებმა გამსკდარი ბომბის ეფექტი იქონია. როსეტი ხომ იტალიის დაზვერვის შეფის, მიჩელის, კონსულტანტი იყო, მეორე მსოფლიო ომის დროს წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობდა და პ-2-ში ამერიკელების დავალებით დამკვიდრდა. გენერალმა შეაგროვა მტკიცებულებანი თავისი შეფის, მიჩელის საქმიანობაზე, რომელიც პ-2-ის წევრი აღმოჩნდა. პ-2-ის წევრებს შორის იყვნენ კომუნისტები, ნეოფაშისტები, ქრისტიან-დემოკრატები. როდესაც ერთ-ერთ დაპატიმრებულს ჰკითხეს, ასეთი განსხვავებული იდეოლოგიის ხალხს რა გაერთიანებდათო, მიუგო: — იდეოლოგია? მაპატიეთ, მაგრამ დღეს ეს ანაქრონიზმია! ჩვენ ორი რამ გვაერთიანებდა: — ძალაუფლება და ფული!

## ჩამოხრჩობილი ბანკირი

იტალიის პარლამენტში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც პ-2-ის საქმიანობა უნდა შეესწავლა... მალე პროკურატურა „ბანკო ამბროზიანოს" თავკაც რობერტო კალვით დაინტერესდა. ის ლიჩო ჯელის მოლარე და მსხვილი საერთაშორისო აფერისტი აღმოჩნდა. ბანკირი უკვალოდ გაქრა. მასზე ძებნა გამოცხადდა... კალვის კვალს ავსტრიაში მიაგნეს, მაგრამ როგორც კი იტალიელი ძალოვანები ამ ქვეყანაში ბანკირის დასაკავებლად ჩავიდნენ, კალვი გაქრა. პოლიციამ მხოლოდ ის დაადგინა, რომ ბანკირი ვერტმფრენით ერთ-ერთ ქვეყანაში გადაიყვანეს.

შემდგომში კალვის ლონდონში მიაკვლიეს. დადგინდა სასტუმროც, სადაც ის სხვისი გვარით ცხოვრობდა. იტალიელთა მოთხოვნას, კალვი გადმოგვეცითო, ინგლისი უმალ დათანხმდა. პოლიციელებიც ხსენებული სასტუმროსკენ გაემართნენ, მაგრამ... ნომერი, რომელშიც კალვი ცხოვრობდა, ცარიელი დაუხვდათ.

— გუშინ გავიდა და აღარ დაბრუნებულა! — განუცხადეს პოლიციას სასტუმროს თანამშრომლებმა.

მალე ბანკირი იპოვეს. ის თემზის ერთ-ერთ ხიდზე თოკით ეკიდა. „მოკლეს!" — ამტკიცებდნენ ჟურნალისტები, თუმცა ექსპერტიზამ თვითმკვლელობა დაასკვნა.

## თრილერის სტილში

ვისაც იტალიური ტელესერიალი „რვაფეხა" უნახავს, ერთი სცენა დაამახსოვრდებოდა: დაპატიმრებულ ლაუდეოს საკანში მოწამლული საჭმელი შეუგზავნეს. ლაუდეომ მოკბიჩა თუ არა, უმალ სული განუტევა. სცენა რეალობიდან არის აღებული...

ხელისუფლებამ პ-2-ზე დარტყმა განახორციელა. ახლა მასონური ლოჟა გადატრიალებას ვეღარ მოაწყობდა. მიუხედავად ამისა, ჟურნალისტები ამტკიცებდნენ: — პ-2 ჯერ კიდეც ცოცხალია, არც ჯელი, არც სინდონა დაკავებული არ არიანო!

გაუჩინარებულ ბანკირს აშშ-ში მიაკვლიეს. იტალიამ სინდონას გადმოცემა მოითხოვა, თხოვნა შეასრულეს... იტალიის ციხეში ვილაცამ მოწამლული შოკოლადი შეუგზავნა. ბანკირმა უმალ სული განუტევა — ისევე მოკვდა, როგორც „რვაფეხას" პერსონაჟი.

## დევნა

ჯელის მთელი ევროპის პოლიცია დაეძებდა. დასავლეთის საუკეთესო კრიმინალისტები თავს იმტვრევდნენ: სად შეიძლებოდა ყოფილიყო პ-2-ის თავკაცი. ბოლოს დაასკვნეს, რომ შვეიცარიაშია, სადაც გავლენიანი მეგობრები ჰყავდა და ფულსაც იქაურ ბანკში ინახავდა. პ-2-ის თავკაცი მართლაც იქ დააპატიმრეს. ახლა ჯელის იტალიაში ექსტრადირების საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. ამ დროს მსოფლიო ახალმა სენსაციამ შეძრა:

— ლიჩო ჯელი გაიქცა!

გამოცხადდა განგაში, გამოძიებამ დაადგინა, რომ გაქცევაში ჯელის ციხის ზედამხედველი ჩერეზე დაეხმარა. პ-2-ის თავკაცმა ამისათვის დიდძალი ფული გადაუხადა.

— სად უნდა იყოს ჯელი?

ჯელის გააფთრებით დაეძებდნენ. არსებობდა ინფორმაცია, რომ ჯელის საფრანგეთში სურდა გადასვლა. ფრანგულმა პოლიციამ მთელი გზები შეკრა, მიუხედავად ამისა, პ-2-ის თავკაცი გაქრა. არავინ იცოდა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ. ზოგი ამტკიცებდა, ჯელი რუმინეთში გადავიდა და თავს ჩაუშესკუსთან აფარებსო...

**არიან თუ არა საქართველოში მასონები?**



პ-2-ის თავკაცი ლიჩო ჯელი დღესაც ცოცხალია და საკუთარ ვილა „ვანდაში" ცხოვრობს



რობერტო კალვი ხიდზე ჩამომხრჩვალი იპოვეს



მიკელე სინდონას ციხეში მოწამლული შოკოლადი შეუგზავნეს. ბანკირმა უმალ სული განუტევა

**« პ-2-თან კავშირში დაადანაშაულეს იტალიის ყოფილი პრემიერი ანდრეოტი. სილვიო ბერლუსკონის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის დროსაც ფიგურირებდა პ-2.**

**„ბერლუსკონი პ-2-ის წევრი იყო! კალვისთან ერთად ფინანსურ მაქინაციებს აწარმოებდა. კალვის მკვლელობაც მან შეუკვეთა!"**



## დევნის დასასრული

გადიოდა წლები. ლიჩო ჯელი კვლავაც მოუხელთებელი რჩებოდა. ზოგი ჯელის ახალი დროის ფანტომასსაც უწოდებდა... პ-2-ის თავკაცს ხან ერთ ქვეყანაში მოჰკრავდნენ თვალს, ხანაც — მეორეში... ბოლოს ჯელი სასამართლოს წინაშე მაინც წარდგა... და მხოლოდ მსხვილი ფინანსური მაქინაციები დაუმტკიცდა, მაგრამ საკადრისი მიეზღო — სასამართლო პროცესი 3 წელიწადს გრძელდებოდა. ხალხის დაჟინებული მოთხოვნისა და სასამართლოს გადაწყვეტილებით პ-2-ის თავკაცს 1991 წელს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა, თუმცა ციხეში მხოლოდ 7 წელი გაატარა — ჯანმრთელობის გაუარესების გამო სამუდამო პატიმრობა შინაპატიმრობით შეუცვალეს. ჯელი ახლაც ცოცხალია და საკუთარ ვილა „ვანდაში" ცხოვრობს, სადაც მეორედ დაქორწინდა და ახალგაზრდა მეუღლესთან ერთად სიცოცხლის უკანასკნელ წლებს ბედნიერად ატარებს...

## პასუხგაუცემელი კითხვები

პ-2-ის ირგვლივ ვნებათაღელვა კარგა ხანს არ ჩამცხრალა. ჟურნალისტები ამტკიცებდნენ, რომ ლოჟის ბევრი წევრი ცნობილი ადამიანი იყო, მაგრამ მართლმსაჯულება მათ არ შეხებია. პ-2-თან კავშირში დაადანაშაულეს იტალიის ყოფილი პრემიერი ანდრეოტი. ბერლუსკონის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის დროსაც ფიგურირებდა პ-2.

*„ბერლუსკონი პ-2-ის წევრი იყო! ბანკირ კალვისთან ერთად ფინანსურ მაქინაციებს აწარმოებდა. კალვის მკვლელობაც მან შეუკვეთა!"* — ამტკიცებდნენ ჟურნალისტები.

სენიორ სილვიო, რასაკვირველია, ბრალდებას უარყოფდა. გამოძიებით დამტკიცდა, რომ ის პ-2-ის წევრი მართლაც იყო და ფინანსურ მაქინაციებშიც აქტიურად მონაწილეობდა, თუცა კალვის სიკვდილთან კავშირი არ ჰქონია.

კიდევ ვინ იყო პ-2-ის წევრი? — ამ კითხვას დღესაც სვამენ. აქტუალურია მეორე კითხვაც: ჯელის მჭიდრო კავშირი ჰქონდა ჩაუშესკუსთან, ჰონეკერთან, რუმინეთისა და იუგოსლავიის უშიშროების ბევრ მაღალჩინოსანთან, სუკის ხელმძღვანელებთან. ამ უკანასკნელთაგან კონკრეტულად ვინ იყო ჯელის პარტნიორი? კრემლის ელიტიდან ვინ იყო დაკავშირებული პ-2-თან? ეს კითხვები დღემდე პასუხგაუცემელია.

## ეპილოგი

დეტექტიურ ლიტერატურაში ამომწურავად არის ნაჩვენები იატაკქვეშა მასონობის კრიმინალური ხასიათი. კონან დოილმა ამას ცნობილი მოთხრობა „საშინელებათა ველი" მიუძღვნა. თანამედროვე იატაკქვეშა მასონობა მხილებულია მორის უესტის „სალამანდრასა" და რაფ ვალეს „არამზადის სიკვდილში". ორივე რომანი თავის დროზე ტრიუმფით იქნა ეკრანიზებული, თუმცა ფილმი — ფილმია, რეალობა — რეალობა. პ-2 ნათელი მაგალითია იმისა, რას წარმოადგენს დღევანდელი იატაკქვეშა მასონობა.

არიან თუ არა საქართველოში მასონები? ამ კითხვას ბევრი სვამს, თუმცა უპრიანი იქნებოდა საკითხი ასე დაგვესვა: არსებობს თუ არა ჩვენში პ-2-ის მსგავსი სტრუქტურა? ამას პასუხი აუცილებლად უნდა გაეცეს.

*ნიკა თევზაძე*

რას წერენ ჩვენზე

# ინდური „შემოსევა“ ქართულ მიწებზე

*საქართველოში მიწების პანჯაბელი მოახალშენეებისთვის მისხვისების ტენდენცია კიდევ ერთხელ მოექცა მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრში. ბრიტანული „გარდიანის“ შემდეგ ტელეკომპანია „ალ ჯაზირას“ ანალიტიკური ვებგვერდი აქვეყნებს ფილიპ გოტჯესა და გიტრი პარემესვარენის სტატიას „ინდური „შემოსევა“ ქართულ მიწებზე.“ როგორც სტატიის ავტორები წერენ, ათასობით პანჯაბელმა ფერმერმა შორეულ საქართველოში მიწები იაფად შეიძინა, რამაც ზოგიერთი ადგილობრივი გააღიზიანა.*

ALJAZEERA



**„1 ჰექტარის შეძენა 1 000-1 500 დოლარი ჯდება. პანჯაბში ასე იაფად ვერაფერს იშოვი. იქ 1 ჰექტარი ჩემი მიწა გავყიდე. ამ ფულით საქართველოში 200 ჰა მიწის ყიდვა შემიძლია“**

*„ალ ჯაზირა“ კატარი*

„ლარისა მაისურაძე გააოცა საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან 25 კმ-ში, მისი მიძინებული სოფლის ახლოს, ტრაქტორებზე ამხედრებულ უცხოელთა მოზღვავებამ“, — ნათქვამია სტატიაში. „არც კი ვიცოდი, რა ხდებოდა. გამიკვირდა ერთბაშად ამდენი ინდოელის დანახვა“, — ამბობს ქართველი ქალბატონი.

„ინდოელები, რომლებიც მაისურაძემ თავის სოფელში ნახა, პირველი ნაკადია იმ ფერმერებისა, რომლებიც ბოლო ხანს საქართველოს მოაწყდნენ და კავკასიის ამ რეგიონში სასოფლო-სამეურნეო მიწებს იძენენ“, — ნათქვამია ნახსენებ სტატიაში.

რამანდეპ სინგჰ პალანი, პანჯაბელი ფერმერი, მაისურაძის სახლის უკან გადაჭიმული 30 ჰა მიწის მფლობელია. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც პალანმა საქართველოში მიწა შეიძინა, მისი ღირებულებაა — აქ მიწა ძალიან იაფია. „1 ჰექტარის შეძენა 1 000-1 500 დოლარი ჯდება. პანჯაბში ასე იაფად ვერაფერს იშოვი. იქ 1 ჰექტარი ჩემი მიწა გავყიდე. ამ ფულით საქართველოში 200 ჰა მიწის ყიდვა შემიძლია, — ამბობს პალანი, რომელსაც საქართველოში ნაყიდ მიწაზე ხორბალი, კარტოფილი, ნიორი, ხახვი და სხვა ბოსტნეული მოჰყავს, — დიდებულია აქაური ნიადაგი. ის ძალიან კარგია იმ მოსავლისთვის, რომლის მოყვანაც აქ გვინდა. აქაური ნიადაგი დიდად არ განსხვავდება ჩვენი სამშობლოს ნიადაგისგან, — ამბობს პალანი და ღიმილით ამატებს, — ნამდვილი პანჯაბელი ვარ. ყველა ჩვენგანი დაგეშილია, რაც შეიძლება მეტი მიწა შევიძინოთ, არც ერთი პანჯაბელი არ არის კმაყოფილი კუთვნილი მიწით.“

**„ყველა ჩვენგანი დაგეშილია, რაც შეიძლება მეტი მიწა შევიძინოთ, არც ერთი პანჯაბელი არ არის კმაყოფილი კუთვნილი მიწით“**

მიუხედავად იმისა, რომ ინდოელი ფერმერი ქართული ცხოვრების სტილის მიჩვევას ცდილობს, მაინც აწყდება სირთულეებს. „ენა და კულტურა განსხვავებულია, კერძები კი ცხარე არ არის“, — ამბობს პალანი, რომელმაც საქართველოში სოფლის მეურნეობაში ინვესტირების შესაძლებლობაზე საიმიგრაციო სააგენტოს მიერ გაზეთში გამოქვეყნებული განცხადებით შეიტყო. კომპანია Crown Immigration-ის სარეკლამო პოსტერებს თბილისის გარეუბანში მდებარე „თბილისი-მოლშიც“ წააწყდებით. კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის, დარამიტ სინგჰ საინის განცხადებით, სააგენტოს მეშვეობით, საქართველოში შარშანდლიდან მოყოლებული, 2 ათასი ფერმერი ჩამოვიდა.

„აქ ყველაფერი გამჭვირვალეა და ინდოეთისგან განსხვავებით, კორუფცია არ ყვავის. თუ ყველაფერი კარგად იქნება, უფრო მეტი ინდოელი ჩამოვა“, — აცხადებს საინი.

„ალ ჯაზირას“ ინფორმაციით, სააგენტო პანჯაბში გეგმავს ქართულ-რუსულენოვანი სკოლის გახსნას, რათა პანჯაბელი ფერმერები ახალ სამშობლოში ჩამოსვლამდე მოამზადონ. თუმცა, ბოლოდროინდელი მოვლენების განვითარებით ყველა არ არის კმაყოფილი. მცირე და საშუალო მიწების მფლობელი ქართველი ფერმერები ჩივიან, — ხელისუფლება სოფლის მეურნეობაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას უწყობს ხელს, ადგილობრივ ფერმერებს კი არ ეხმარებაო.

„წინა ხელისუფლებამ ფერმერები გააკოტრა და მათ უცხოელებისთვის მიწის იაფად მიყიდვის გარდა, სხვა არჩევანი არ დაუტოვა“, — ამბობს რაულ ბაბუნაშვილი, საქართველოს ფერმერთა კავშირის დამფუძნებელი. ბაბუნაშვილი ასევე აღიარებს ადგილობრივი მიწათმოქმედების არაადეკვატურობას, თუმცა აცხადებს, რომ მთავრობამ ფოკუსირება უცხოელების ნაცვლად, ქართველებზე უნდა მოახდინოს: „ჩვენ უნდა შევაჩეროთ ინდოეთიდან მიწის მყიდველთა შემოსევა. მე ამას შემოსევას ვუწოდებ, რადგან ისინი მასობრივად ჩამოდიან“, — უთხრა ბაბუნაშვილმა „ალ-ჯაზირას“ ჟურნალისტებს.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ ქართველი ფერმერები წინა მთავრობისთვის არ იყვნენ პრიორიტეტულნი. 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ახალი ხელისუფლება ყურადღებას უთმობს სოფლის მეურნეობის სექტორს: „ჩვენ ვცდილობთ, ქართველი სოფლის მცხოვრებნი ბიზნესს დავუბრუნოთ. ამისთვის უდიდეს ინვესტიციებს ვახდენთ და შედეგებს მომდევნო თვეებში იხილავთ. ამიტომ გთხოვთ 7-8 თვის შემდეგ დაბრუნდეთ“, — განუცხადა კირვალიძემ „ალ ჯაზირას“ ჟურნალისტებს.

სტატიის ავტორები წერენ, რომ მიუხედავად იმისა, კირვალიძე ქართველი ფერმერებისთვის პირობების გაუმჯობესებაზე ლაპარაკობს, ის გვერდს არ უვლის უცხოელებზე საუბარს. „ჩვენ მივესალმებით ყველანაირ ინვესტიციას — უცხოურს თუ შინაურს. მივესალმებით თითოეულ ინვესტორს, რომელიც ჩვენთან გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარებას აპირებს“, — აცხადებს კირვალიძე. სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ რანჯუ სინგჰმა, რომელიც საქართველოში 150 ჰა მიწას ფლობს, ბიზნესის წარმოების კიდევ ერთი შესაძლებლობა აღმოაჩინა პანჯაბელი იმიგრანტების მოზღვავებით, — ახალჩამოსულებისთვის იაფფასიან სასტუმროსა და სასადილოს ამუშავებს. „საქართველოში ჩამოსულები აქ თავს შინ იგრძნობენ. აქ ისინი პანჯაბურ დიალექტზე საუბარს, პანჯაბური კერძების მირთმევასა და თბილისში მცხოვრები სხვა თანამემამულეების გაცნობას შეძლებენ“, — ამბობს სინგჰი.

## საზღვარგარეთის ქვეყნები

**მოკლედ**

**სერჟ სარგსიანი სომხეთის პრეზიდენტად მეორე ვადით აირჩიეს.** სომხეთის პირველ პირს ამომრჩეველთა 59%-მა დაუჭირა მხარი, მის მეტოქე რაფი ოვანესიანს კი — 37%-მა.

დანარჩენმა კანდიდატებმა (მათ შორის ვარდან სედრაქიანმაც, ვინც ირწმუნებოდა, პრეზიდენტი გავხდები თუ არა, სომხეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებსო, სტატისტების როლი შეასრულეს — ხმების 0,24% და 2,15% მიიღეს.

**საკვების მწარმოებელი უდიდესი შვეიცარიული კომპანია „ნესტლეს“** ხორცპროდუქტებში ცხენის ხორცი აღმოაჩინეს. კომპანიის ინფორმაციით, ანალიზის შემდეგ იტალიისა და ესპანეთის სუპერმარკეტებიდან ამოიღეს საქონლის ხორცის ის ნახევარფაბრიკატები, რომლებშიც ცხენის ხორცი აღმოჩნდა.

ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ „ნესტლეს“ პროდუქციაში ცხენის ხორცის შემცველობა მხოლოდ 1% იყო, თუმცა კომპანიამ მაინც მიიღო მათი გაყიდვიდან ამოღების გადაწყვეტილება.

**ისრაელის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, ავიგდორ ლიბერმანის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი იწყება.** ლიბერმანს ბრალი თაღლითობასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ედება. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ისრაელის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს სამწლიანი პატიმრობა ემუქრება.

**ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი კუბაში ჩატარებული სიმსივნის საწინააღმდეგო რამდენიმეთვიანი მკურნალობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა.**

ვენესუელაში დაბრუნება 58 წლის ჩავესმა




„ტვიტერის“ მეშვეობით ამცნო მსოფლიოს. სოციალურ ქსელში მან მადლობა გადაუხადა კუბის პრეზიდენტ რაულ კასტროსა და ყოფილ ლიდერს, ფიდელ კასტროს.

*ვრცლად იხ. საიტზე:*
**www.kvirispalitra.ge**

## ჰილარი კლინტონი ბიძინა ივანიშვილს გამოსამშვიდობებელ წერილს უგზავნის

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს გამოსამშვიდობებელი წერილი გამოუგზავნა.

*„ძვირფასო პრემიერ-მინისტრო! სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე ჩემი უფლებამოსილების ვადის მიწურულს მსურს, გაცნობოთ, რომ ჩემთვის საპატიო და სასიხარულო იყო, ვყოფილიყავი მოწმე თქვენი და თქვენი კოლეგების ხელმძღვანელობით საქართველოსთვის ისტორიული მნიშვნელობის ხელისუფლების გადაცემისა და კოჰაბიტაციის უპრეცედენტო პერიოდისა. ძალიან ვამაყობ იმ პროგრესით, რომელსაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საქართველომ მიაღწიეს ჩვენს ქვეყნებს შორის კავშირის განმტკიცებისა და საზიარო ინტერესების სრული სპექტრის გატარების კუთხით. დარწმუნებული ვარ, რომ ეს კავშირი კვლავინდებურად მტკიცე იქნება.*

*2012 წელს, როცა ჩვენი ქვეყნები აღნიშნავდნენ დიპლომატიური ურთიერთობის მეოცე წლისთავს, საქართველომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი დემოკრატიული განვითარებისა და ევროატლანტიკური მისწრაფებების განსახორციელებლად. ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს სიამოვნებით დაუდგა გვერდით დემოკრატიის*



*განმტკიცების საქმეში, რაც გამოვლინდა კიდეც არჩევნების შემდეგ ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გადაცემაში და რისი მიღწევაც წარმოუდგენელი იქნებოდა თქვენი, როგორც ლიდერის, ხელმძღვანელობის გარეშე. ვიმედოვნებ, რომ თქვენ წარმართავთ კონსტრუქციულ ურთიერთობებს ოპოზიციასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან და ითანამშრომლებთ საერთო მიზნის განსახორციელებლად, უზრუნველყოფთ საქართველოს დემოკრატიულ და ეკონომიკურ წინსვლას.*

*ვემზადები რა თანამდებობის დატოვებისთვის, გთხოვთ, ნუ დაივიწყებთ, რომ გისურვებთ უდიდეს წარმატებასა და ბედნიერებას თქვენს ყველა მომავალ წამოწყებაში“,* — ნათქვამია ჰილარი კლინტონის წერილში.

ისტორიის საიდუმლოებებით მოცული ყველაზე საინტერესო ფაქტები!
თვეში ერთხელ
„კვირის პალიტრასთან“ ერთად
წიგნების ახალი სერია
10 ტომად




გაიგე, რის შესახებ დუმს ისტორია! მხოლოდ ის, რაც ბადებს შეკითხვას...
4-დან 11 მარტამდე
წიგნის სპეციალური ფასი 9 ლარი
გაზეთთან ერთად 10 ლარი
შეისწავლე კაცობრიობის ისტორიის უდიდესი საიდუმლოებანი!
წიგნები ადგილზე მიტანით — ელვა.ჯი ტელ.: 2 38 26 73; 2 38 26 74; 2 38 26 76 www.elva.ge

# მედიცინა

## კარაბადინი

*„კარაბადინის“ რუბრიკისთვის განკუთვნილ მკითხველთა უამრავ წერილს გაზეთის ფორმატი ვერ იტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ეს წერილები ჟურნალში „ოჯახის მკურნალი“ გამოვაქვეყნოთ რუბრიკით — „დავეხმაროთ ერთმანეთს“. შეკითხვები რედაქციაში „კვირის პალიტრის“ ყუთების მეშვეობით საქართველოს ყველა კუთხიდან შემოდის. მათში ხალხში ნაცადი უამრავი რეცეპტია აღწერილი. ასე რომ, ხალხური მედიცინის მოყვარულებს ვურჩევთ, შეიძინონ „ოჯახის მკურნალი“ და გამოიყენონ მკითხველის მიერ მოწოდებული რჩევები.*

*ახალგაზრდობიდანვე მაწუხებს თირკმლები. დილაობით სახეშეშუპებული ვიღვიძებდი. ზოგჯერ სამსახურში წასვლისაც კი მერიდებოდა. ერთხანს შვიტისა და არყის ხის ფოთლების ნახარშს ვსვამდი, მერე ერთი მცენარეული ნარევი მასწავლეს, რომელიც ძალიან მომიხდა. მინდა, ეს რეცეპტი მკითხველსაც ვასწავლო.*

*5 გ ვირისტერფას ფოთოლს დაასხით 2 ჭიქა წყალი და ადუღეთ 5-7 წუთი. მიიღეთ ნახევარ-ნახევარი ჭიქა დღეში 2-3-ჯერ, ჭამამდე 1 საათით ადრე.*

*თუ ქორფა მცენარეა თქვენთვის ხელმისაწვდომი, ეს რეცეპტი შეგიძლიათ გამოიყენოთ: ვირისტერფას ფოთლები გარეცხეთ, დამდუღრეთ, ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ და გამოწურეთ. შემდეგ გამონაწური წყალში გააზავეთ (1:1) და 2-3 წუთი ადუღეთ. მიიღეთ 1 ს/კ დღეში 3-ჯერ, ჭამის შემდეგ. მკურნალობის კურსია 7-10 დღე.*

*ზოგჯერ ასეთ ნარევსაც ვამზადებ: 40გ ვირისტერფას შეურიეთ ამდენივე ჟოლოს ნაყოფი და 20 გ თავშავა. 1 ს/კ ნარევი ჩაყარეთ ნახევარლიტრიან მინის ქილაში, ნახევრამდე ფრთხილად შეავსეთ მდუღარე წყლით და 15 წუთი მდუღარე წყლისავე აბაზანაში გააჩერეთ. რომ შეგრილდება, რამდენიმე ფენა დოლბანდში გაწურეთ (დოლბანდში ჩარჩენილი ბალახიც კარგად გამოწურეთ) და დალიეთ. ეს ნაყენი მოამზადეთ ძილის წინ და მაშინვე მიიღეთ.*

*რაც ამ საშუალებებს ვიყენებ, წამალი არ დამჭირვებია და თავსაც კარგად ვგრძნობ. შეშუპება როგორც კი დამეწყება ხოლმე, მაშინვე ვამზადებ მცენარეულ ნაყენს და ყველაფერი რიგზეა. თქვენც თუ გამოიყენებთ, კმაყოფილი დარჩებით.*

*პატივისცემით ს. ფ., ერთგული მკითხველი*

*ექიმის კომენტარი:* ვირისტერფა საქართველოში საკმაოდ გავრცელებული მცენარეა.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება როგორც ამოსახველებელი საშუალება. ფოთლების ნაყენს ხმარობენ ბრონქული ასთმის, მწვავე და ქრონიკული ბრონქიტების, ფილტვების ანთების, გაჭიანურებული ხველის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, თირკმლის, შარდის ბუშტისა და საშარდე გზების ანთების, გაცივების, აგრეთვე ფილტვების აბსცესისა და განგრენის დროს. ვირისტერფა გამოიყენება როგორც ნახარშებისა და ნაყენების სახით ცალკე, ასევე სხვადასხვა სამკურნალო მცენარესთან ერთად. ქერტლისა და თმის ცვენის დროს იყენებენ ვირისტერფასა და ჭინჭრის მაგარ ნახარშს.

ნედლი მცენარის ფოთლიდან გამონაწური წვენი ითვლება ჭრილობების მოსაშუშებელ საშუალებად. ჯერ კიდევ ჰიპოკრატე იყენებდა მას ცხელი საფენების სახით ჩირქოვან ჭრილობებზე და წყლულებზე დასაფენად.

ვირისტერფას ნახარში ხელს უწყობს ნახველის ამოღებას სასუნთქი ორგანოების გაცივების დროს, ამშვიდებს ხველას, განსაკუთრებით ღამით.

ჟოლო შარდმდენი და ანტიანთებითი ეფექტით გამოირჩევა, ხოლო თავშავას აქვს ანტიანთებითი, ანტიმიკრობული, ტკივილგამაყუჩებელი, ნაღველმდენი და შარდმდენი მოქმედება. ამდენად, ამ მცენარეთა კომბინაცია დადებით ეფექტს მოგცემთ საშარდე გზების ანთებითი პათოლოგიის სამკურნალოდ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახის შეშუპება შეიძლება თირკმლის გარდა სხვა ორგანოთა პათოლოგიებს უკავშირდებოდეს. ამასთან, თირკმლის პათოლოგიებიდან შეშუპება შეიძლება გლომერულონეფრიტის ბრალი იყოს და მაშინ მხოლოდ მცენარეული საშუალებებით მკურნალობა საკმარისი არ არის, ამიტომ უპირველეს ყოვლისა, ექიმს უნდა მიმართოთ და დიაგნოზი დააზუსტოთ.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

# წონაში დაკლება გსურთ?

*დიეტოლოგები გირჩევენ, ნუ დაიტანჯავთ თავს და უარს ნუ იტყვით ტკბილეულზე, ზოგჯერ თავს მიეცით უფლება, პირი ჩაიტკბარუნოთ გემრიელი და სასარგებლო დესერტით. აი, ზოგიერთი მათგანი:*

*შოკოლადი* შეიცავს ანტიდეპრესანტ ფაილეთილამინს, რომელიც ხელს უწყობს სიხარულის ჰორმონის — ენდორფინების გამომუშავებას, ამიტომაც გვიყვარს ეს ნუგბარი.

შეგიძლიათ კვირაში 2-ჯერ მიირთვათ 50გ შავი, 75%-იანი კაკაოს შემცველობით, შოკოლადი.

შეგიძლიათ პირი ჩაიტკბარუნოთ ერთი მუჭა *ხილის ჩირით* (დღეში 100გ). ხელს არ უწყობს წონაში და სისხლში შაქრის დონის მომატებას.

*ბიოიოგურტი* ახშობს შიმშილის გრძნობას და აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცესს. შეგიძლიათ მირთვათ 200გ იოგურტი დღის ნებისმიერ დროს, მას ორგანიზმი ადვილად ითვისებს. შეგიძლიათ შეცვალოთ კეფირით.

*თაფლი* ბუნებრივი ნუგბარია, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზებას. ნახშირწყლებს, რომელსაც თაფლი შეიცავს, ადვილად ითვისებს ორგანიზმი და მომენტალურად მატებს ენერგიას. თაფლის მიღებისას უნდა დაიცვათ დოზირება: დილით 1 ჩ/კ თაფლი გახსენით 1 ჩ/ჭ ლიმონიან წყალში და დალიეთ. ენერგიით აივსებით.

*დარიჩინი* არეგულირებს შაქრისა და ინსულინის დონეს, ამცირებს შიმშილის გრძნობას. გირჩევთ, დილით საუზმეზე დალიოთ დარიჩინიანი ყავა.




*მარმელადი* დაბალკალორიულია, მიირთვით, მაგრამ ზომიერად. მისი დამზადებისას იყენებენ ნატურალურ პროდუქტებს (ჟელატინს, პექტინს, აგარ-აგარს), რომლებიც გამოდევნიან ორგანიზმიდან მძიმე მეტალებს.

*სტევია (ანუ თაფლის ბალახი)* მცენარეა, შეიცავს სტევიოზიდს, რომელიც თითქმის 300-ჯერ ტკბილია შაქარზე. აუმჯობესებს ორგანიზმის ყველა ორგანოს მუშაობას, აწესრიგებს არტერიულ წნევას, სისხლში შაქრისა და ქოლესტერინის დონეს, აღადგენს ნივთიერებათა ცვლას, ხელს უწყობს წონაში დაკლებას.

*ჟელე,* რომელიც 90% წყალია და არაკალორიულია (100გ 10 კკალორიაა), იდეალური დესერტია მათთვის, ვისაც სურს წონაში დაკლება, კლავს შიმშილის გრძნობას. გაითვალისწინეთ, რომ ის შარდმდენია, ამიტომ, ვისაც თირკმლების პრობლემები აქვს, მაინცდამაინც ნუ მიეძალება.

# ბუნების სასწაულები

*გერმანიაში* გაცივებას მკურნალობენ ხახვის ვაჟინით. ფიტონციდებით მდიდარი ხახვი აძლიერებს ორგანიზმის დამცველ ძალებს და ინფექციებთან ბრძოლის უნარს.

წვრილად დაჭრილ ხახვს დააყარეთ შაქარი და რამდენიმე საათი გააჩერეთ თბილ ადგილას. გამოყოფილი წვენი გადაწურეთ და დალიეთ თითო ჩ/კ დღეში 3-5-ჯერ, ჭამის შემდეგ.

*შვეიცარიაში* პოპულარულია გვირილის ყვავილის ინჰალაცია. ის განსაკუთრებით



სასარგებლოა სურდოს, ტრაქეიტისა და ბრონქიტის დროს.

მდუღარე წყალში ჩაყარეთ ერთი მუჭა გვირილის ყვავილი, გააჩერეთ რამდენიმე წუთი, თავზე გადაიფარეთ პირსახოცი და 10-15 წუთი ისუნთქეთ ორთქლი.

*შვედეთში* პირშუშხათი მკურნალობენ ყელის ტკივილს. მას აქვს ძლიერი ზოგადგამაჯანსაღებელი, ანთებსაწინააღმდეგო, ბაქტერიოციდული და ვირუსსაწინააღმდეგო თვისებები.

ყელის ტკივილის დროს 1 ს/კ გახეხილ პირშუშხას ფესვებს დაასხით 100მლ ანადუღარი გაცივებული წყალი და გამოივლეთ ყელში დღეში 4-5-ჯერ, ჭამის შემდეგ.

ხველების დროს კი პირშუშხას ახალი ფესვების წვენს დაასხით წყალი (1:10), დაამატეთ გემოვნებით თაფლი და დალიეთ.

*დანიაში* გაცივებას მკურნალობენ C ვიტამინით მდიდარი ასკილის პიურეთი. ასკილში C ვიტამინი 2-ჯერ მეტია, ვიდრე შავ მოცხარში და 8-ჯერ მეტი, ვიდრე ლიმონში.

თესლგამოცლილი ასკილის ნაყოფი ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით წყალი და ადუღეთ, ვიდრე დარბილდება. შემდეგ გაატარეთ ხორცსაკეპში, დაამატეთ შაქარი (2კგ ნაყოფზე საჭიროა 150-200გ შაქარი), კარგად აურიეთ და მიიყვანეთ დუღილამდე.



**კამა** — *კუჭის შეკრულობის (ყაბზობის) დროს* კამის ზეთი ასტიმულირებს ნაწლავებს, შველის ყაბზობას (დააწვეთეთ არა უმეტეს 10 წვეთი შაქრის ნატეხზე).

**შავი ბოლოკი** — *გაცივებისა და გრიპის დროს* შავ ბოლოკს ამოაჭერით გული, ჩადეთ შიგ თაფლი. გამოყოფილი 1 ს/კ წვენი მიიღეთ საათში ერთხელ.

**წითელი ხახვი** — *ყურის ტკივილის (ოტიტის) დროს* დღეში 3-ჯერ ყურში ჩაიდეთ ხახვის წვენში გაჟღენთილი ბამბის ტამპონი.

*ქოლესტერინის მომატებისას* გულსისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისთვის ყოველდღე შეჭამეთ ნახევარი ხახვი.

**კომბოსტო** — უზმოზე 100 მლ კომბოსტოს წვენის მიღება, *ასუფთავებს საჭმლის მომნელებელ სისტემას, ნაწლავებიდან გამოდევნის ტოქსინებსა და წიდებს. ართრიტის დროს* ღამით სახსრებზე დაიდეთ კომბოსტოს ფოთოლი და შეიხვიეთ შალით.



# თვალის მკურნალობის ევროპაში აღიარებული ბუნებრივი მეთოდი — მაგოთერაპია

უკვე რამდენიმე წელია, რაც თბილისში, თვალის სნეულებების სამკურნალოდ, ევროპაში აღიარებული მეთოდი — მაგოთერაპია დაინერგა. მეთოდის ავტორი გახლავთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო აკადემიების ქმედითი წევრი, ევროპელ ოფთალმოლოგთა საბჭოს წევრი, თვალის კლინიკა „ახალი ტექნოლოგიები — მაგო“-ს ხელმძღვანელი, ქ-ნი **მაკა გოგიაშვილი**. ჩვენ მას მაგოთერაპიის მეთოდის არსის შესახებ გავესაუბრეთ.

— ჩვენ გთავაზობთ — **ექსკლუზიურ, ბუნებრივ ფიზიოლოგიურ მეთოდს „მაგოთერაპიას“. მეთოდი დაცულია 12 გამოგონების, ევროპული, რუსული და ქართული საპატენტო უფლებებით, რაც მეტყველებს მეთოდის უსაფრთხოებასა და უვნებლობაზე.** მაგოთერაპიის დროს, ჩვენ არ ვიყენებთ მედიკამენტებს და არ ვაკეთებთ ოპერაციას, შესაბამისად გამორიცხულია ნებისმიერი გართულება, რისკი, გვერდითი მოვლენები და სხვ. ამიტომაც მეთოდის ბუნებრივობამ განაპირობა ჩვენი უცხოელი კოლეგების დაინტერესება მაგოთერაპიით.

მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კანის ზემოდან, სახეზე განლაგებული უახლესი აპარატურა (რომელიც არის უსაფრთხო, უმტკივნეულო და უვნებელი) ორგანიზმში იწვევს დადებით ბიოქიმიურ ცვლილებებს: აქტიურდება ნივთიერებათა ცვლა, უჯრედები ჯერდება ჟანგბადით, რაც იწვევს მათ გააქტიურებას, რომელიც მხედველობის მომატებით გამოიხატება. ამით აიხსნება ის დაუჯერებელი ფაქტი, **როდესაც პროცედურიდან 1 საათში პაციენტს ემატება მხედველობა,** რასაც შემდეგში გამყარება სჭირდება ვარჯიშების სახით.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყოველგვარი გვერდითი მოვლენების, რისკისა და გართულების გარეშე **მიღებული შედეგი სტაბილურია ათეული წლების განმავლობაში.** ეს შედეგები დასტურდება როგორც სამეცნიერო მასალით, აგრეთვე ვიდეოჩანაწერებით ინტერნეტგვერდზე www. mago.med.ge.

პირველივე გასინჯვისას, ტესტირების შედეგის საფუძველზე, ჩვენ ვეუბნებით პაციენტს, თუ რამდენად მოემატება მას მხედველობა და უკვე მე-2-3 გასინჯვისას პაციენტს ემატება დაპირებული მხედველობა.

ტესტირების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ ჩვენთან არსებული მეთოდიკით ვადგენთ, თუ რა რაოდენობის უჯრედები გააქტიურდებიან მკურნალობის შედეგად. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში შედეგი ინდივიდუალურია. აქედან გამომდინარე, ალბათ გასაგებია, რომ **მაგოთერაპიით მკურნალობისას არ აქვს მნიშვნელობა არც დაავადების ტიპს და ხანგრძლივობას და არც პაციენტის ასაკს!** მხოლოდ გასინჯვისას მიღებული პროგნოზის საფუძველზე პაციენტი ღებულობს გადაწყვეტილებას, გააგრძელოს თუ არა ჩვენთან თანამშრომლობა. როგორც ნებისმიერ შემთხვევაში მაგოთერაპიით მკურნალობისას, არსებობს დაავადებები, როდესაც შედეგი უმრავლეს შემთხვევაში მეტნაკლებად ეფექტურია. მაგალითად: **სიელმის მკურნალობისას,** რომელსაც ხშირად დაქვეითებული მხედველობა და „გაზარმაცებული თვალი“ სდევს თან, მაგოთერაპიით მკურნალობისას დადებითი შედეგი 97%-ის შემთხვევაში აღინიშნება. რაც მთავარია, პროცედურიდან 1 საათში პაციენტს ემატება მხედველობა და სიელმეც კლებულობს. რაც შესამჩნევია ყველასათვის და ყველგან!

შემდეგი დაავადება, როდესაც უმრავლესობის 98%-ში ემატებათ მხედველობა — ეს არის **ასტიგმატიზმი (ყველა ტიპის), ახლომხედველობა, შორსმხედველობა და სხვ.**

ხოლო ისეთ დაავადებათა სამკურნალოდ, როგორიცაა — ნისტაგმი, თვალის ატროფიულ-დისტროფიული პროცესები, გლაუკომა, განუვითარებელი თვალი და სხვ. — მაგოთერაპიით ამ დაავადებათა მკურნალობისას, პოზიტიური შედეგი 63%-ის შემთხვევაში აღინიშნება.

**ჩვენი გამარჯვება ჩვენი პაციენტებია!!!**

ვღებულობთ მხოლოდ ჩაწერით

12-დან-18 საათამდე

ტელ: 214-30-28;

790-73-30-28; 599 506-507

R

# ვარიკოზი და მასთან ბრძოლა

*ვენების ვარიკოზული დაავადებით თითქმის ყოველი მესამე ქალი ზარალდება. ამის მიზეზი ქალბატონების ვენური სისტემის აგებულებაა, თუმცა, სამედიცინო სტატისტიკით, ვენების ვარიკოზი ყოველ მეათე მამაკაცსაც აწუხებს. ამასთანავე ვარიკოზი უმეტესად შრომისუნარიან, 40 წლამდე ასაკის ადამიანებს ემართებათ. ბოლო დროს კი სენი გაახალგაზრდავდა.*

*ვენების დაავადების პროფილაქტიკასა და მკურნალობაზე ანგიოლოგი* ***სერგო ურუშაძე*** *გვესაუბრება...*

— ვენების ვარიკოზი, ანუ ვენების სანათურის გაფართოება და ვენური კედლის გათხელება იმ უძველეს დაავადებათა შორისაა, რომელზეც ეგვიპტურ პაპირუსებშიც წერია და მის მკურნალობას თვით ჰიპოკრატე და ავიცენა ამაოდ ცდილობდნენ. დღეს კი ამ მხრივ ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა მეტად მნიშვნელოვანი მაინც დაავადების დროული მკურნალობაა.

ვენების ვარიკოზული დაავადების ფორმებიდან (ბუასილი, ვარიკოცელე, კუჭისა და საყლაპავის ვენების გაგანიერება) ყველაზე გავრცელებულია ქვედა კიდურების ვენების ვარიკოზული გაფართოება, რასაც უმთავრესად ვენების სარქველების მუშაობის დარღვევა იწვევს — სისხლი ქვედა კიდურების ვენებში ქვევიდან ზევით მოძრაობს და სწორედ ვენების სარქველები უშლის ხელს, რომ უკანვე არ წავიდეს. როცა სარქველები დაზიანებულია, სისხლი კიდურების ვენებში გუბდება და სისხლძარღვი ბუშტივით იბერება. ვენის სარქველების დაზიანების მიზეზი ბევრი რამ შეიძლება იყოს: ხანგრძლივად ფეხზე დგომა, სიმძიმეების აწევა, ჰორმონული ფონის შეცვლა, ორსულობა — როდესაც თანდათანობით გაზრდილი საშვილოსნო მუცლის ღრუს ვენებს აწვება, რაც ქვედა კიდურების ვენებს ტვირთავს, ასევე — შეკრულობა, ხანგრძლივი, მძიმე ხველება და ცემინებაც კი...

— **ვენების ვარიკოზი ადვილად ამოსაცნობია დაბერილი ვენებით, გარდა ამისა, კიდევ რა ნიშნები ახასიათებს?**

— პირველი ნიშანია საღამოობით ფეხების შეშუპება, სიმძიმისა და წვის შეგრძნება ხანგრძლივად ფეხზე დგომის ან ჯდომის შემდეგ. ეს სიმპტომები ქრება ან მცირდება სიარულის ან ძილის შემდეგ. მოგვიანებით კი ჩნდება ტკივილი წვივის მიდამოში, სიმხურვალის შეგრძნება და ღამით — კრუნჩხვები კუნთებში. შემდეგ ვენებიც ფართოვდება. როცა ეს სიმპტომები შორს მიდის, შესაძლოა განვითარდეს თრომბოფლებიტი (ვარიკოზული ვენების ანთება), დაზიანებულ მიდამოში ტროფიკული წყლულები, ეგზემა ან თრომბის წარმონაქმნი, რომელიც შესაძლოა გადაადგილდეს და სადმე დაეცოს. დაბერილი, დაავადებული ვენა ზოგჯერ სკდება და სისხლდენა იწყება.

რაც ადრე შეუდგება დაავადებული პაციენტი მკურნალობას, მით უფრო შედეგიანია იგი. მართალია, ვარიკოზის სრული განკურნება არ ხდება, მაგრამ დროულად შერჩეული მკურნალობა დაავადების პროგრესირებას აუცილებლად შეაჩერებს. ზოგადად, ქვედა კიდურების ვარიკოზის მკურნალობა შესაძლებელია ოპერაციით, სკლეროთერაპიით და მედიკამენტებით. ფართოდ გამოიყენება ლიმფოდრენაჟული მასაჟი, ფიზკულტურა და წვივის ელასტიკური სახვევები, რომლებიც გამობერვას ხელს უშლის.

— **მაგრამ თუკი ვენები უკვე გამობერილია?**

— მაშინ საჭირო ხდება ქირურგიული ჩარევა, მაგრამ არა ყოველთვის. უკვე ინერგება სკლეროთერაპიის მეთოდი, როცა ვენაში შეჰყავთ პრეპარატები, რომლებიც ახდენენ სისხლძარღვის სანათურის შეწებებას და დახურვას. პროცედურა სულ 5-10-წუთიანია და მეტად შედეგიანი.

— **რაც შეეხება ვარიკოზის პროფილაქტიკას?**

— არ შეიძლება დიდხანს ჯდომა, განსაკუთრებით, ფეხი ფეხზე გადადებული; შეეცადეთ სამსახურში ყოველ 40-50 წთ-ში ფეხზე ადგეთ და გაიაროთ. ეს გააუმჯობესებს ქვედა კიდურებში სისხლის ცირკულაციას. შინ ყოფნისას, თუკი შესაძლებლობა გაქვთ, ქვედა კიდურები სიმაღლეზე შემოაწყვეთ... ვენებს ვნებს



სიმსუქნე, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. თუკი ამჩნევთ ვენების ვარიკოზისთვის დამახასიათებელ რომელიმე ნიშანს, შეეცადეთ, თავი აარიდოთ ისეთ პროცედურებს, როგორიცაა ცხელი შხაპი, აბაზანა, საუნა... არ არის სასურველი ელექტროგამათბობელთან ან რადიატორთან ხანგრძლივად ისე მიფიცხება, რომ კიდური შეწითლდეს. ვარიკოზულ დაავადებას ასევე უწყობს ხელს ბრტყელტერფიანობა. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხსაცმლის შერჩევას ბავშვებისთვის. 4-5 წლის ასაკამდე ბავშვის ფეხსაცმელს სასურველია, ჰქონდეს მაგარი ზედა ნაწილი და მყარი ძირი, რომელიც მჭიდროდ დააფიქსირებს ქუსლს და კოჭ-წვივის სახსარს. ქუსლის მიდამო შედარებით რბილი უნდა იყოს, ფეხსაცმლის წვერი კი შედარებით ფართო.

***ეთერ ერაძე***


**გადახდილი თანხის უკან დაბრუნებით!**
ქოლესტერინის და გლუკოზის აპარატები
სისხლ-მოლაპარაკე გლუკომეტრები
*აკონტროლეთ თქვენი ჯანმრთელობა !!!*
*იზრუნეთ მომავალზე !!!*
**მის: ბორჯომის ქ. №4 (გერმანიის საელჩოს პირდაპირ)**
**ტელ: 235 44 05; 599 19 60 55. www.glucometer.ge**


# აშშ-ის საკვები პროდუქტების და მედიკამენტების სააგენტოს (FDA) მიერ ტამიფლუ ნებადართულია გრიპის სამკურნალოდ ახალშობილებში

***პირველი ანტივირუსული პრეპარატი, რომელიც ნებადართულია გრიპის სამკურნალოდ ახალშობილებში ორი კვირის ასაკიდან***

აშშ-ის საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების სააგენტომ (FDA) გააფართოვა ტამიფლუს (ოსელტამივირის სულფატი) გამოყენება და იგი უკვე ნებადართულია მწვავე არაგართულებული გრიპის სამკურნალოდ ახალშობილებშიც ორი კვირის ასაკიდან. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს ტამიფლუს ეფექტურობას და უსაფრთხოებას. ტამიფლუ ვირუსის რეპლიკაციის დათრგუნვის გზით ამცირებს გრიპის სიმძიმესა და ხანგრძლივობას.

ამჟამად ტამიფლუ ერთადერთი შინაგანად მისაღები ანტივირუსული პრეპარატია, რომლის გამოყენება ნებადართულია ყველა ასაკის პაციენტების, მათ შორის ორი კვირისა და მეტი ასაკის ახალშობილებისა და ხანდაზმული პირების სამკურნალოდ.

„მოხარული ვართ, რომ ამ დამტკიცებით მშობლებს საშუალება ეძლევათ გამოიყენონ პრეპარატი ახალშობილებში ორი კვირის ასაკიდან, განსაკუთრებით იმიტომ, რომ აშშ-ის დაავადების კონტროლის და პრევენციის ცენტრის მიერ არ არის რეკომენდებული 6 თვემდე ბავშვთა ვაქცინაცია გრიპის ვაქცინით," — განაცხადა ჰოლ ბარონმა, „როშის" მთავარმა სამედიცინო ოფიცერმა.

FDA-ს დამტკიცება ეფუძნება ორ ღია უსაფრთხოების პროფილის და ფარმაკოკინეტიკის შემსწავლელ კვლევას. მათში მონაწილეობდა 136 გრიპით დაავადებული — 1 წლამდე ასაკის ბავშვში ტამიფლუს შეწოვისა და განაწილების და ამტანობის შესასწავლად! აღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით ახალშობილებში ტამიფლუს 3 მგ/კგ დოზით დღეში ორჯერ მიღებისას 5 დღის განმავლობაში აღინიშნება ისეთივე უსაფრთხოებისა და ეფექტურობის პროფილი, როგორიც უფროსი ასაკის ბავშვებისა და მოზრდილების შემთხვევაში.

***ტამიფლუს შესახებ***

ტამიფლუ (ოსელტამივირი) შემუშავებულია კომპანია „ჰოფმან ლა როშის" მიერ Gilead Sciences Inc-თან თანამშრომლობით. ტამიფლუ პერორული ანტივირუსული მედიკამენტია (და არა ვაქცინა), რომელიც გამოიყენება გრიპის სამკურნალოდ და მიეკუთვნება ნეირამინიდაზას ინჰიბიტორების კლასს. იგი ავლენს აქტივობას გრიპის კლინიკურად მნიშვნელოვანი ყველა ვირუსის მიმართ. მისი მოქმედების მექანიზმს წარმოადგენს გრიპის ვირუსის ზედაპირზე ნეირამინიდაზას მოქმედების დათრგუნვა, რაც ხელს უშლის ვირუსის გავრცელებას სხვა უჯრედებში. ტამიფლუ ნაჩვენებია მწვავე გართულებული A და B ტიპის ვირუსებით გამოწვეული გრიპის სამკურნალოდ ორი კვირის ასაკიდან და გრიპის პრევენციისათვის 1 წელზე მეტი ასაკის პაციენტებში.

ტამიფლუ ბაზარზე პირველად 13 წლის წინ იქნა დაშვებული და მას შემდეგ ტამიფლუთი ნამკურნალებია 90 მილიონზე მეტი პაციენტი, მათ შორის 30 მილიონი ბავშვი, მსოფლიოს დაახლოებით 80 ქვეყანაში, მათ შორისაა აშშ, იაპონია, კანადა, ავსტრალია, ევროკავშირი, შვეიცარია და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები.

ტამიფლუ გამოიყენება ექიმის დანიშნულებით, პერორულად, მოსახერხებელი კაფსულის სახით (75 მგ), რის შემდეგ პრეპარატი აღწევს ყველა იმ საკვანძო უბანს ორგანიზმში, სადაც ხდება ვირუსის გამრავლება. ტამიფლუს სამკურნალო დოზა მოზრდილებში შეადგენს 75 მგ-ს დღეში ორჯერ 5 დღის განმავლობაში. ვირუსთან კონტაქტის შემთხვევაში პროფილაქტიკური დოზა შეადგენს 1 კაფსულას ერთხელ დღეში, რომლის მიღებაც შეიძლება 6 კვირამდე დროის განმავლობაში. ტამიფლუს ერთი შეფუთვა შეიცავს მკურნალობის სრული კურსისათვის საჭირო 10 კაფსულას. მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად აუცილებელია მკურნალობის დაწყება სიმპტომების გამოვლენიდან 48 საათის ფარგლებში.

ტამიფლუს გამოყენებას დოზირების დამტკიცებული რეჟიმის მიხედვით თან ახლავს სიმპტომების სიმძიმის შემცირება 38%-ით, მეორადი გართულებების (ბრონქიტი, პნევმონია და სინუსიტი) შემცირება სხვამხრივ ჯანმრთელ პირებში 67%-ით, გრიპით ავადმყოფობის ხანგრძლივობის შემცირება 37%-ით. აღნიშნული მონაცემები მოპოვებულ იქნა გრიპის სეზონური აფეთქებებისას.

ტამიფლუ, როგორც ნეირამინიდაზას ინჰიბიტორი, ეფექტური იყო 2009 წლის პანდემიური გრიპის A(H1N1)pdm09 პანდემიის დროს. ნეირამინიდაზას ინჰიბიტორების ფართოდ გამოყენება ათეულ მილიონობით დაავადებულში თვითონ ვირუსის დაბალ ვირულენტობასთან ერთად იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც განაპირობა სხვა პანდემიებთან შედარებით დაბალი სიკვდილიანობა, ასევე შესაძლებელი გახადა პანდემიის დროული ლიკვიდაცია. ტამიფლუს ფართომასშტაბიანმა გამოყენებამ შესაძლებელი გახადა კიდევ ერთხელ დადასტურებულიყო მისი ეფექტურობა და უსაფრთხოება. კერძოდ, პანდემიის დროს მრავალრიცხოვანი დაკვირვებების საფუძველზე გამოვლინდა, რომ დროულად დაწყებული ტამიფლუთი მკურნალობა ამცირებს დაავადების ხანგრძლივობას და სიმძიმეს, გართულებების რისკს, სიკვდილიანობას, ჰოსპიტალიზაციის საჭიროებას. იგი ეფექტურია როგორც მსუბუქი, ისე მძიმე დაავადების დროს, ამბულატორიულ და ჰოსპიტალიზებულ პაციეტებში, იმუნოკომპრომეტირებულებსა და ორსულებში(ii, iii, iv, v, vi, vii, viii). იგი ასევე ამცირებს ვირუსის გამოყოფას და ვირუსის გავრცელების პოტენციალს (ix, x).

ტამიფლუს მიღებისას ყველაზე ხშირი გვერდითი მოვლენებია გულისრევა და პირღებინება. აღნიშნულ შემთხვევათა დიდი ნაწილი გამოვლინდა ერთჯერადად ან მკურნალობის პირველ-მეორე დღეს და თავისთავად ალაგდა 1-2 დღეში.

ტამიფლუ ჩრდილოეთ ამერიკისა (აშშ და კანადა) და შვეიცარიის ბაზარზე გამოჩნდა 1999/2000 წწ-ში. ყველა საკვანძო ევროპულ ბაზარზე პრეპარატის გაყიდვა დაიწყო 2002/2003 წწ.

ტამიფლუს შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხ. პაციენტის ბროშურა. მაგალითად, ევროპაში დამტკიცებული პაციენტის ბროშურა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე:

www.roche.com/tamiflu_PIL_EU.pdf

***გრიპის შესახებ***

გრიპი წარმოადგენს გრიპითა და ვირუსებით გამოწვეულ სერიოზულ დაავადებას, რომელიც, როგორც წესი, სეზონურად ვითარდება შემოდგომისა და ზამთრის თვეებში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯმო) მონაცემებით ყოველწლიურად სეზონური გრიპის 3-5 მილიონი მძიმე შემთხვევა ვითარდება; ამ დაავადებისგან იღუპება დაახლოებით 250 000-500 000 ადამიანი.

*დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:*
*შპს „ჰოფმან-ლა როშის" წარმომადგენლობა საქართველოში*
*ტელ: 2181202; ელ-ფოსტა:* **georgia.office@roche.com**
*ვებ-გვერდი:* **www.roche.ge**
**www.roche.com**


[i] ტამიფლუ® (ოსელტამივირის ფოსფატი). გამოყენების ინსტრუქცია. 21 დეკემბერი, 2012
[ii] Roche Data on File
[ii] Estimating effect of antiviral drug use during pandemic (H1N1) 2009 outbreak, United States.
Atkins CY, Patel A, Taylor TH Jr, et al. Emerg Infect Dis 2011;17:1591–8
[iii] Clinical features of the initial cases of 2009 pandemic influenza A (H1N1) virus infection in China.
Cao B, Li XW, Mao Y, et al. N Engl J Med 2009;361:2507–17
[iv] Benefit of early antiviral therapy in reducing the severity and mortality of influenza A (H1N1)2009: data obtained from serious infection monitoring. Institut de Veille Sanitaire, 21 December 2009
[v] Patients hospitalised with 2009 pandemic influenza A (H1N1) – New York City, May 2009. Centers for Disease Control and Prevention (CDC). MMWR Morb Mortal Wkly Rep. 2010;58:1436–40
[vi] Critically ill patients with 2009 influenza A(H1N1) in Mexico. Dominguez-Cherit G, Lapinsky SE, Macias AE, et al. JAMA. 2009;302:1880–7
[vii] Benefit of early treatment with oseltamivir in hospitalised patients with documented 2009 influenza A (H1N1): retrospective cohort study. Hiba V, Chowers M, Levi-Vinograd I, et al. J Antimicrob Chemother 2011 [Epub ahead of print]
[viii] Maternal and infant outcomes among severely ill pregnant and postpartum women with 2009 pandemic influenza A (H1N1) – United States, April 2009–August 2010. Centers for Disease Control and Prevention (CDC). MMWR Morb Mortal Wkly Rep 2011;60:1193–6.
[ix] Household transmission of 2009 influenza A (H1N1) virus after a school-based outbreak in New York City, April-May 2009. France AM, Jackson M, Schrag S, et al. JID 2010;201:984–92
[x] Use of antiviral drugs to reduce household transmission of pandemic (H1N1) 2009, United Kingdom.
Pebody RG, Harris R, Kafatos G, et al. Emerg Infect Dis 2011;17:990–99


R

## ორშაბათი 25 თებერვალი

06.30 დოკ/ფ ,,სლავას თოვლის შოუ" 07.30 ,,ჩვენი დილა" 09.00; 10.00; 12.00; 14.00; 16.00; 19.00; 20.00; 02.00 ,,მოამბე" 11.00 ,,სამოთხის ვაშლები" 12.45 ,,პირადი ექიმი" - მარი მალაზონია 13.30 ,,დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დოკ/ფ ,,ადამიანი - პლანეტა" 17.00 დოკ/ფ ,,მეცნიერების ისტორია" 18.00 ,,პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერიალი ,,სიყვარულის კოცნა" 21.00 ტ/სერიალი ,,პური და თავისუფლება" 22.00 ,,დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 ,,ქართული დოკუმენტალისტიკა" 00.00 ,,საფარი" 00.30 მხ/ფ ,,ტეხასური ჟლეტა ხერხით. დასაწყისი"

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერიალი ,,სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერიალი ,,იდუმალი ქალი" 12.00; 15.00; 18.00; 20.00; 21.00; 03.00 ,,კურიერი" 12.30 ,,შუა დღე" 15.30 შერეკილები 17.00 სერიალი ,,ვნების უფსკრული" 18.45 სერიალი ,,ცრემლების გვირგვინი" 20.05 სერიალი ,,ერთგულების ძალა" 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 შიშის ფაქტორი 01.00 მხ/ფ 03.30 მხ/ფ

07.30 იმედის დილა 09.00; 11.00; 14.00; 17.00; 19.00; 20.00; 00.00 ,,ქრონიკა" 10.00 სერიალი ,,იღბლიანი მოახლე" 11.20 სერიალი ,,მაფიის ქვრივი" 13.00 სერიალი ,,გაქცევა - 4" 14.40 სერიალი ,,24 - 5" 15.40 სერიალი ,,დამალული სიმართლე" 17.50 სერიალი ,,თილისმა" 18.50 სერიალი ,,სახიფათო ვნება" 21.00 სერიალი ,,მარტოსული" 22.00 სერიალი ,,ცხელი ძაღლი" 23.00 მხ/ფ ,,ლარი ქრაუნი" 01.00 სერიალი ,,ლვინის გზა" 01.35 მხ/ფ ,,შიშის ჩრდილი" 03.00 მუსიკა

08.00 ,,ახალი" დილა 10.00 მატრიცა 11.00 მთავარი კითხვა 12.00 საინფორმაციო 12.30 დეტექტორი 13.00 ბიზნესის დრო 14.00 მატრიცა 15.00 საინფორმაციო 15.30 დიდი დრო 16.00 ბიზნესის დრო 17.00 მთავარი კითხვა 18.00 ,,ახალი" 19.00 მატრიცა 20.00 ბიზნესის დრო 21.00 ,,ახალი" 22.00 მთავარი კითხვა 23.30 მატრიცა 24.30 ,,ახალი" 24.30 მთავარი კითხვა 24.30 ბიზნესის დრო 24.30 ,,ახალი" დილა 24.30 მატრიცა 24.30 ბიზნეს ინფო 07.00 მთავარი კითხვა

07.00 ახალი ამბების კოლაჟი 07.30 უცხოეთის ამბები 07.55 უკომენტაროდ + ამინდი 08.00 ახალი ამბები 08.10 მალვიძარა (დილის პროგრამა) 09.00 ახალი ამბები 09.10 მალვიძარა (დილის პროგრამა) 10.00 ახალი ამბები 10.15 მალვიძარა (დილის პროგრამა) 10.55 უკომენტაროდ + ამინდი 11.00 ახალი ამბები 11.30 უცხოეთის ამბები 11.55 უკომენტაროდ + ამინდი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30 უცხოეთის ამბები 12.55 უკომენტაროდ + ამინდი 13.00 ახალი ამბები 13.15 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 14.00 ახალი ამბები 14.15 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 14.55 უკომენტაროდ + ამინდი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 15.30 უცხოეთის ამბები 15.55 უკომენტაროდ + ამინდი 16.00 ახალი ამბები 16.10 მაესტროს პრესკლუბი 16.55 უკომენტაროდ + ამინდი 17.00 ახალი ამბები 17.10 უცხოეთის ამბები 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.45 უცხოეთის ამბები 18.55 უკომენტაროდ + ამინდი 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05 თოქშოუ ,,სუბიექტური აზრი" 20.00 ამბები მოკლედ 20.05 თოქშოუ - ,,არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00 ,,ყოველდღიური ამბები" 22.20 თოქშოუ ,,პოლიტმეტრი" 00.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება) 00.30 თოქშოუ ,,სუბიექტური აზრი" 01.20 ყოველდღიური ამბები 01.40 თოქშოუ ,,არგუმენტები" 02.30 თოქშოუ ,,პოლიტმეტრი" 04.00 ახალი ამბების კოლაჟი 04.35 უცხოეთის ამბები 05.00 ახალი ამბების კოლაჟი 05.35 უცხოეთის ამბები 06.00 ახალი ამბების კოლაჟი 06.35 უცხოეთის ამბები 06.55 უკომენტაროდ + ამინდი 07.00 ახალი ამბების კოლაჟი

06.00 შვიდგზის ლოცვა 06.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ ,,გაფითრებული თებერვლის ლანდი" 07.00 მხ/ფ ,,მაისის თოვლი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დილის პროგრამა ,,განთიადი" 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.30 უწყვეტი თვალთახედვის იასარი მოკლეა 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 11.55 შვიდგზის ლოცვა 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ისტორიის დღიური 12.10 კალამის წვერიბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ ,,იყო შაშვი მგალობელი" 13.30 კონცერტი - ანდრე რიე 14.50 ფოტოგალერეა 14.55 შვიდგზის ლოცვა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი ,,კლაკე" 17.10 შემეცნებით-დოკ/ფ ,,ველური ბუნება" 17.35 დოკ/ფ ,,ტაო - კლარჯეთი" I ნაწ. 17.55 შვიდგზის ლოცვა 18.00 საეკლესიო კალენდარი 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.10 საქართველო არის ესე 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.00 სიახლენი 19.20 მხ/ფ ,,დათა თუთაშხია" I ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 20.55 შვიდგზის ლოცვა 21.00 საეკლესიო კალენდარი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.20 სღვთისმეტყველო საუბრები 21.55 უწყვეტი თვალთახედვის იასარი მოკლეა 22.00 სიახლენი 22.25 საქართველოს ისტორია 22.55 კალამის წვერიბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ ,,ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული" 23.30 მოკ/ფ ,,ქოლგა" 23.50 ფოტოგალერეა 23.55 შვიდგზის ლოცვა 00.05 საეკლესიო კალენდარი 00.10 სიახლენი 00.30 ისტორიის დღიური 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 02.30 სიახლენი

07.55 დილის პალიტრა 10.00 საინფორმაციო გამოშვება 10.10 აქ და ახლა (გამეორება) 11.00 ვებლაბულა (გამეორება) 12.00 საინფორმაციო გამოშვება 12.10 რადიომარკეტი 12.30 საქმე 13.00 ინტერნეტკონფერენცია 13.30 მოკლე ჩართვა (გამეორება) 14.00 საინფორმაციო გამოშვება 14.10 აქ და ახლა 15.00 ვიდეოპორტალი (გამეორება) 16.00 საინფორმაციო გამოშვება 16.10 დემოკრატია ჯიბე და მეკუვარი 17.10 პპლე და თურაშაული 18.00 ვიდეოპორტალი - მსოფლიო ამბები 18.30 რეზიუმე 19.35 ვებლაბულა 20.30 მოკლე ჩართვა 21.00 ვიდეოპორტალი 22.00რეზიუმე (გამეორება)

## სამშაბათი 26 თებერვალი

06.30 ,,მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ,,ჩვენი დილა" 09.00; 10.00; 12.00; 14.00; 16.00; 19.00; 20.00; 01.20 ,,მოამბე" 11.00 ,,სამოთხის ვაშლები" 12.45 ,,პირადი ექიმი" - მარი მალაზონია 13.30 ,,დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დოკ/ფ ,,ძალების მკვლევარები" 17.00 ,,საფარი" 18.00 ,,პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერიალი ,,სიყვარულის კოცნა" 21.00 ტ/სერიალი ,,პური და თავისუფლება" 22.00 ,,აქცენტები" 23.30 მხ/ფ ,,პაწაწკალი დიუკი" 01.40 დოკ/ფ ,,ჩირლიდერები"

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერიალი ,,სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერიალი ,,იდუმალი ქალი" 12.00; 15.00; 18.00; 20.00; 21.00; 03.00 ,,კურიერი" 12.30 ,,შუა დღე" 15.30 ვანოს შოუ 17.00 სერიალი ,,ვნების უფსკრული" 18.45 სერიალი ,,ცრემლების გვირგვინი" 20.05 სერიალი ,,ერთგულების ძალა" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 პოზიცია 23.30 ოსკარი 2013 01.00 მხ/ფ 03.30 მხ/ფ

07.30 იმედის დილა 09.00; 11.00; 14.00; 17.00; 19.00; 20.00; 00.00 ,,ქრონიკა" 10.00 სერიალი ,,იღბლიანი მოახლე" 11.20 სერიალი ,,მაფიის ქვრივი" 13.00 სერიალი ,,24 - 5" 14.40 დოკ/ფ ,,შობის ბრწყინვალე დღესასწაული" 16.00 სერიალი ,,დამალული სიმართლე" 17.50 სერიალი ,,თილისმა" 18.50 სერიალი ,,სახიფათო ვნება" 21.00 სერიალი ,,მარტოსული" 22.00 მხ/ფ ,,მეოჯახე" 00.30 სერიალი ,,ღვინის გზა" 01.05 მხ/ფ ,,საკვდილის შემდეგ" 02.35 მუსიკა

08.00 ,,ახალი" დილა 10.00 მატრიცა 11.00 მთავარი კითხვა 12.00 საინფორმაციო 12.30 დეტექტორი 13.00 ბიზნესის დრო 14.00 მატრიცა 15.00 საინფორმაციო 15.30 დიდი დრო 16.00 ბიზნესის დრო 17.00 მთავარი კითხვა 18.00 ,,ახალი" 19.00 მატრიცა 20.00 ბიზნესის დრო 21.00 ,,ახალი" 22.00 მთავარი კითხვა 23.30 მატრიცა 24.30 ,,ახალი" 24.30 მთავარი კითხვა 24.30 ბიზნესის დრო 24.30 ,,ახალი" დილა 24.30 მატრიცა 24.30 ბიზნეს ინფო 07.00 მთავარი კითხვა

07.00 ახალი ამბების კოლაჟი 07.30 უცხოეთის ამბები 07.55 უკომენტაროდ + ამინდი 08.00 ახალი ამბები 08.10 მალვიძარა (დილის პროგრამა) 09.00 ახალი ამბები 09.10 მალვიძარა (დილის პროგრამა) 10.00 ახალი ამბები 10.15 მალვიძარა (დილის პროგრამა) 10.55 უკომენტაროდ + ამინდი 11.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური ამბები 11.55 უკომენტაროდ + ამინდი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30 უცხოეთის ამბები 12.55 უკომენტაროდ + ამინდი 13.00 ახალი ამბები 13.15 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 14.00 ახალი ამბები 14.15 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 14.55 უკომენტაროდ + ამინდი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 15.30 უცხოეთის ამბები 15.55 უკომენტაროდ + ამინდი 16.00 ახალი ამბები 16.10 მაესტროს პრესკლუბი 16.55 უკომენტაროდ + ამინდი 17.00 ახალი ამბები 17.10 უცხოეთის ამბები 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.45 უცხოეთის ამბები 18.55 უკომენტაროდ + ამინდი 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05 თოქშოუ ,,სუბიექტური აზრი" 19.30 თოქშოუ - ,,არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00 ,,ყოველდღიური ამბები" 22.20 თოქშოუ ,,პოლიტმეტრი" 00.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება) 00.30 თოქშოუ ,,სუბიექტური აზრი" 00.55 ყოველდღიური ამბები 01.15 თოქშოუ ,,არგუმენტები" 02.30 თოქშოუ ,,პოლიტმეტრი" 04.00 ახალი ამბების კოლაჟი 04.35 უცხოეთის ამბები 05.00 ახალი ამბების კოლაჟი 05.35 უცხოეთის ამბები 06.00 ახალი ამბების კოლაჟი 06.35 უცხოეთის ამბები 06.55 უკომენტაროდ + ამინდი 07.00 ახალი ამბების კოლაჟი

06.00 შვიდგზის ლოცვა 06.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 სპექტაკლი ,,კლაკე" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დილის პროგრამა ,,განთიადი" 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05 ისტორიის დღიური 10.10 სიახლენი 10.30 უწყვეტი თვალთახედვის იასარი მოკლეა 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ ,,ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული" 10.50 საქართველოს ისტორია 10.20 სღვთისმეტყველო საუბრები 11.55 შვიდგზის ლოცვა 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერიბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ ,,დათა თუთაშხია" I ნაწ. 13.25 კონცერტი - სასულე მუსიკის ფესტივალი 14.50 ფოტოგალერეა 14.55 შვიდგზის ლოცვა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 შემეცნებით-დოკ/ფ ,,ველური ბუნება" 15.55 დოკ/ფ ,,იწყება ზღაპარი" 16.15 აქტუალური თემა 16.35 დოკ/ფ ,,სიაუმ ქართველი" 17.35 დოკ/ფ ,,ტაო - კლარჯეთი" II ნაწ. 17.55 შვიდგზის ლოცვა 18.00 საეკლესიო კალენდარი 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.10 საქართველო არის ესე 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.00 სიახლენი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 20.55 შვიდგზის ლოცვა 21.00 საეკლესიო კალენდარი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ლექსით ქებათა ქება 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 დოკ/ფ ,,ვაჟკაცს კარგ უნდა ჰყვანდის ცხენიო" 21.55 უწყვეტი თვალთახედვის იასარი მოკლეა 22.00 სიახლენი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 კალამის წვერიბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ/ფ ,,პეიტარი" 23.55 შვიდგზის ლოცვა 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.05 სიახლენი 00.25 ისტორიის დღიური 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.45 კარაბადინი 02.30 სიახლენი

07.55 დილის პალიტრა 10.00 საინფორმაციო გამოშვება 10.10 აქ და ახლა (გამეორება) 11.00 ვებლაბულა (გამეორება) 12.00 საინფორმაციო გამოშვება 12.10რადიომარკეტი 12.30 საქმე 13.10 ბიზნეს ფაილი 14.00 საინფორმაციო გამოშვება 14.10 აქ და ახლა 15.00 ვიდეოპორტალი (გამეორება) 16.00 საინფორმაციო გამოშვება 16.10 ისტორიანი 17.10 პროვოკატორი 18.00 ვიდეოპორტალი - მსოფლიო ამბები 18.30 რეზიუმე 19.35 ვებლაბულა 20.30 მოკლე ჩართვა 21.00 ვიდეოპორტალი 22.00 რეზიუმე (გამეორება)

## ოთხშაბათი 27 თებერვალი

06.30 ,,მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ,,ჩვენი დილა" 09.00; 10.00; 12.00; 14.00; 16.00; 19.00; 20.00; 02.10 ,,მოამბე" 11.00 ,,სამოთხის ვაშლები" 12.45 ,,პირადი ექიმი" - მარი მალაზონია 13.30 ,,დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დოკ/ფ ,,მეცნიერება ფილმებში" 17.00 ,,გურმანია" 18.00 ,,პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერიალი ,,სიყვარულის კოცნა" 21.00 ტ/სერიალი ,,პური და თავისუფლება" 22.00 ,,დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 დოკ/ფ ,,კილიმანჯარო აკინკგუა" 23.40 მხ/ფ ,,ზოდიაქი"

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერიალი ,,სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერიალი ,,იდუმალი ქალი" 12.00; 15.00; 18.00; 20.00; 21.00; 03.00 ,,კურიერი" 12.30 ,,შუა დღე" 15.30 იღბლიანი ბორბალი 17.00 სერიალი ,,ვნების უფსკრული" 18.45 სერიალი ,,ცრემლების გვირგვინი" 20.05 სერიალი ,,ერთგულების ძალა" 22.00 ,,ნანუკას შოუ" 01.00 მხ/ფ 03.30 მხ/ფ

07.30 იმედის დილა 09.00; 11.00; 14.00; 17.00; 19.00; 20.00; 00.00 ,,ქრონიკა" 10.00 სერიალი ,,იღბლიანი მოახლე" 11.20 სერიალი ,,მაფიის ქვრივი" 13.00 სერიალი ,,24 - 5" 14.40 დოკ/ფ ,,მზიანი შობა" 16.00 სერიალი ,,დამალული სიმართლე" 17.50 სერიალი ,,თილისმა" 18.50 სერიალი ,,სახიფათო ვნება" 21.00 სერიალი ,,მარტოსული" 22.00 სერიალი ,,ცხელი ძაღლი" 23.00 მხ/ფ ,,ფული ორისათვის" 01.15 სერიალი ,,ღვინის გზა" 01.50 მხ/ფ ,,უცხოპლანეტელი - 3" 03.40 მუსიკა

08.00 ,,ახალი" დილა 10.00 მატრიცა 11.00 მთავარი კითხვა 12.00 საინფორმაციო 12.30 დეტექტორი 13.00 ბიზნესის დრო 14.00 მატრიცა 15.00 საინფორმაციო 15.30 დიდი დრო 16.00 ბიზნესის დრო 17.00 მთავარი კითხვა 18.00 ,,ახალი" 19.00 მატრიცა 20.00 ბიზნესის დრო 21.00 ,,ახალი" 22.00 მთავარი კითხვა 23.30 მატრიცა 24.30 ,,ახალი" 24.30 მთავარი კითხვა 24.30 ბიზნესის დრო 24.30 ,,ახალი" დილა 24.30 მატრიცა 24.30 ბიზნეს ინფო 07.00 მთავარი კითხვა

07.00 ახალი ამბების კოლაჟი 07.30 უცხოეთის ამბები 07.55 უკომენტაროდ + ამინდი 08.00 ახალი ამბები 08.10 მალვიძარა (დილის პროგრამა) 09.00 ახალი ამბები 09.10 მალვიძარა (დილის პროგრამა) 10.00 ახალი ამბები 10.15 მალვიძარა (დილის პროგრამა) 10.55 უკომენტაროდ + ამინდი 11.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური ამბები 11.55 უკომენტაროდ + ამინდი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30 უცხოეთის ამბები 12.55 უკომენტაროდ + ამინდი 13.00 ახალი ამბები 13.15 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 14.00 ახალი ამბები 14.15 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 14.55 უკომენტაროდ + ამინდი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 15.30 უცხოეთის ამბები 15.55 უკომენტაროდ + ამინდი 16.00 ახალი ამბები 16.10 მაესტროს პრესკლუბი 16.55 უკომენტაროდ + ამინდი 17.00 ახალი ამბები 17.10 უცხოეთის ამბები 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.45 უცხოეთის ამბები 18.55 უკომენტაროდ + ამინდი 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05 თოქშოუ ,,სუბიექტური აზრი" 20.00 ამბები მოკლედ 20.05 თოქშოუ - ,,არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00 ,,ყოველდღიური ამბები" 22.20 თოქშოუ ,,პოლიტმეტრი" 00.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება) 00.30 თოქშოუ ,,სუბიექტური აზრი" 01.20 ყოველდღიური ამბები 01.40 თოქშოუ ,,არგუმენტები" 02.30 თოქშოუ ,,პოლიტმეტრი" 04.00 ახალი ამბების კოლაჟი 04.35 უცხოეთის ამბები 05.00 ახალი ამბების კოლაჟი 05.35 უცხოეთის ამბები 06.00 ახალი ამბების კოლაჟი 06.35 უცხოეთის ამბები 06.55 უკომენტაროდ + ამინდი 07.00 ახალი ამბების კოლაჟი

06.00 შვიდგზის ლოცვა 06.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ ,,სიაუმ ქართველი" 07.25 მოკ/ფ ,,პეიტარი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დილის პროგრამა ,,განთიადი" 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05 ისტორიის დღიური 10.10 სიახლენი 10.30 უწყვეტი თვალთახედვის იასარი მოკლეა 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ ,,ვაჟკაცს კარგ უნდა ჰყვანდის ცხენიო" 11.05 მოკ/ფ ,,ქოლგა" 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 11.55 შვიდგზის ლოცვა 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერიბულბულის ნისკარტი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 კონცერტი - ანიტა რაჭველიშვილი 14.50 ფოტოგალერეა 14.55 შვიდგზის ლოცვა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 შემეცნებით-დოკ/ფ ,,ველური ბუნება" 15.55 დოკ/ფ ,,ტაო - კლარჯეთი" III ნაწ. 16.45 კვირიაკე 17.55 შვიდგზის ლოცვა 18.00 საეკლესიო კალენდარი 18.05 საქართველო არის ესე 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.00 სიახლენი 19.20 მხ/ფ ,,დათა თუთაშხია" II ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 20.55 შვიდგზის ლოცვა 21.00 საეკლესიო კალენდარი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 ეპოქის სახელები 21.55 უწყვეტი თვალთახედვის იასარი მოკლეა 22.00 სიახლენი 22.25 ქართული ალბომი 22.50 ფოტოგალერეა 22.55 კალამის წვერიბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ ,,თბილისის თავგადასავალი" 23.55 შვიდგზის ლოცვა 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.05 სიახლენი 00.25 ისტორიის დღიური 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ ,,დღეს ღამე უთენებია" 02.30 სიახლენი

07.55 დილის პალიტრა 10.00 საინფორმაციო გამოშვება 10.10 აქ და ახლა (გამეორება) 11.10 ვებლაბულა (გამეორება) 12.00 საინფორმაციო გამოშვება 12.10 რადიომარკეტი 12.30 საქმე 13.00 მოკლე ჩართვა (გამეორება) 13.30 ვიდეოპორტალი (გამეორება) 14.00 საინფორმაციო გამოშვება 14.10 აქ და ახლა 15.10 მკურნალი 16.00 საინფორმაციო გამოშვება 16.10 ვიდეოპორტალი (გამეორება) 17.10 პროვოკატორი 18.00 ვიდეოპორტალი - მსოფლიო ამბები 18.30 რეზიუმე 07.55 19.35 ვებლაბულა 20.30 მოკლე ჩართვა 21.00 ვიდეოპორტალი 22.00 რეზიუმე (გამეორება)

## ხუთშაბათი 28 თებერვალი

06.30 ,,მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ,,ჩვენი დილა" 09.00; 10.00; 12.00; 14.00; 16.00; 19.00; 20.00; 02.05 ,,მოამბე" 11.00 ,,სამოთხის ვაშლები" 12.45 ,,პირადი ექიმი" - მარი მალაზონია 13.30 ,,დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დოკ/ფ ,,როგორ შევქმნა დედამიწა" 17.00 ,,ჩვენი ფერმა" 18.00 ,,პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერიალი ,,სიყვარულის კოცნა" 21.00 ტ/სერიალი ,,პური და თავისუფლება" 22.00 ,,დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 სპორტული თოქშოუ ,,არენა" 00.00 მხ/ფ ,,სასიკვდილო იარაღი - 4"

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერიალი ,,სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერიალი ,,იდუმალი ქალი" 12.00; 15.00; 18.00; 20.00; 21.00; 03.00 ,,კურიერი" 12.30 ,,შუა დღე" 15.30 კომედი შოუ 17.00 სერიალი ,,ვნების უფსკრული" 18.45 სერიალი ,,ცრემლების გვირგვინი" 20.05 სერიალი ,,ერთგულების ძალა" 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00 მხ/ფ 03.30 მხ/ფ

07.30 იმედის დილა 09.00; 11.00; 14.00; 17.00; 19.00; 20.00; 00.00 ,,ქრონიკა" 10.00 სერიალი ,,იღბლიანი მოახლე" 11.20 სერიალი ,,მაფიის ქვრივი" 13.00 სერიალი ,,24 - 5" 14.40 კაცების შოუ 15.35 რომ გადავხვალ, გაჩერე 16.00 სერიალი ,,დამალული სიმართლე" 17.50 სერიალი ,,თილისმა" 18.50 სერიალი ,,სახიფათო ვნება" 21.00 სერიალი ,,მარტოსული" 22.00 მხ/ფ ,,რა სურთ ქალებს" 00.30 სერიალი ,,ღვინის გზა" 01.05 მხ/ფ ,,პირდაპირ მოქმედება" 02.40 მუსიკა

08.00 ,,ახალი" დილა 10.00 მატრიცა 11.00 მთავარი კითხვა 12.00 საინფორმაციო 12.30 დეტექტორი 13.00 ბიზნესის დრო 14.00 მატრიცა 15.00 საინფორმაციო 15.30 დიდი დრო 16.00 ბიზნესის დრო 17.00 მთავარი კითხვა 18.00 ,,ახალი" 19.00 მატრიცა 20.00 ბიზნესის დრო 21.00 ,,ახალი" 22.00 მთავარი კითხვა 23.30 მატრიცა 24.30 ,,ახალი" 24.30 მთავარი კითხვა 24.30 ბიზნესის დრო 24.30 ,,ახალი" დილა 24.30 მატრიცა 24.30 ბიზნეს ინფო 07.00 მთავარი კითხვა

07.00 ახალი ამბების კოლაჟი 07.30 უცხოეთის ამბები 07.55 უკომენტაროდ + ამინდი 08.00 ახალი ამბები 08.10 მალვიძარა (დილის პროგრამა) 09.00 ახალი ამბები 09.10 მალვიძარა (დილის პროგრამა) 10.00 ახალი ამბები 10.15 მალვიძარა (დილის პროგრამა) 10.55 უკომენტაროდ + ამინდი 11.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური ამბები 11.55 უკომენტაროდ + ამინდი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30 უცხოეთის ამბები 12.55 უკომენტაროდ + ამინდი 13.00 ახალი ამბები 13.15 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 14.00 ახალი ამბები 14.15 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 14.55 უკომენტაროდ + ამინდი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 15.30 უცხოეთის ამბები 15.55 უკომენტაროდ + ამინდი 16.00 ახალი ამბები 16.10 მაესტროს პრესკლუბი 16.55 უკომენტაროდ + ამინდი 17.00 ახალი ამბები 17.10 უცხოეთის ამბები 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.45 უცხოეთის ამბები 18.55 უკომენტაროდ + ამინდი 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05 თოქშოუ ,,სუბიექტური აზრი" 20.00 ამბები მოკლედ 20.05 თოქშოუ - ,,არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00 ,,ყოველდღიური ამბები" 22.20 თოქშოუ ,,პოლიტმეტრი" 00.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება) 00.30 თოქშოუ ,,სუბიექტური აზრი" 01.20 ყოველდღიური ამბები 01.40 თოქშოუ ,,არგუმენტები" 02.30 თოქშოუ ,,პოლიტმეტრი" 04.00 ახალი ამბების კოლაჟი 04.35 უცხოეთის ამბები 05.00 ახალი ამბების კოლაჟი 05.35 უცხოეთის ამბები 06.00 ახალი ამბების კოლაჟი 06.35 უცხოეთის ამბები 06.55 უკომენტაროდ + ამინდი 07.00 ახალი ამბების კოლაჟი

06.00 შვიდგზის ლოცვა 06.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 მხ/ფ ,,დღეს ღამე უთენებია" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დილის პროგრამა ,,განთიადი" 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05 ისტორიის დღიური 10.10 სიახლენი 10.30 უწყვეტი თვალთახედვის იასარი მოკლეა 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ ,,თბილისის თავგადასავალი" 11.15 ჩვენი ტრაპეზი 11.30 ეპოქის სახელები 11.55 შვიდგზის ლოცვა 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერიბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ ,,დათა თუთაშხია" II ნაწ. 13.25 კონცერტი - სამი ვარსკვლავი 14.55 შვიდგზის ლოცვა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 შემეცნებით-დოკ/ფ ,,ველური ბუნება" 15.55 მხ/ფ ,,ჩრდილი გზაზე" 17.30 დოკ/ფ ,,ტაო - კლარჯეთი" IV ნაწ. 17.55 შვიდგზის ლოცვა 18.00 საეკლესიო კალენდარი 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.10 გახსენება - რამაზ ჩხიკვაძე 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.00 სიახლენი 19.20 მხ/ფ ,,დათა თუთაშხია" III ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 20.55 შვიდგზის ლოცვა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.05 ლექსით ქებათა ქება 21.10 ერთსულოვნების სალონი 21.55 უწყვეტი თვალთახედვის იასარი მოკლეა 22.00 სიახლენი 22.20 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 22.55 კალამის წვერიბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები (გაგრძელება) 23.55 შვიდგზის ლოცვა 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.05 სიახლენი 00.25 ისტორიის დღიური 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ ,,დიდი ქალაქის ჩირაღდნები" 02.30 სიახლენი

07.55 დილის პალიტრა 10.00 საინფორმაციო გამოშვება 10.10 აქ და ახლა (გამეორება) 11.10 ვებლაბულა (გამეორება) 12.00 საინფორმაციო გამოშვება 12.10 რადიომარკეტი 12.30 საქმე 13.00 მოკლე ჩართვა (გამეორება) 13.30 ვიდეოპორტალი (გამეორება) 14.00 საინფორმაციო გამოშვება 14.10 აქ და ახლა 15.10 კავკასიური პალიტრა 16.00 საინფორმაციო გამოშვება 16.10 ვიდეოპორტალი (გამეორება) 17.10 პროვოკატორი 18.00 ვიდეოპორტალი - მსოფლიო ამბები 18.30 რეზიუმე 19.35 ვებლაბულა 20.30 მოკლე ჩართვა 21.00 ვიდეოპორტალი 22.00 რეზიუმე (გამეორება)

## პარასკევი 1 მარტი

06.30 ,,მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ,,ჩვენი დილა" 09.00; 10.00; 12.00; 14.00; 16.00; 19.00; 20.00; 01.45 ,,მოამბე" 11.00 ,,სამოთხის ვაშლები" 12.45 ,,პირადი ექიმი" - მარი მალაზონია 13.30 ,,დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დოკ/ფ ,,ეგვიპტიდან" 17.00 დოკ/ფილმები. ,,ისლანდიის ვულკანის მორიგი ამოფრქვევა" 18.00 ,,პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერიალი ,,სიყვარულის კოცნა" 21.00 ტ/სერიალი ,,პური და თავისუფლება" 22.00 ,,აქცენტები" 23.30 ,,წითელი ზონა" 00.30 მხ/ფ ,,აშულ ქერიბი"

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერიალი ,,სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერიალი ,,იდუმალი ქალი" 12.00; 15.00; 18.00; 20.00; 21.00; 03.00 ,,კურიერი" 12.30 ,,შუა დღე" 17.00 სერიალი ,,ვნების უფსკრული" 18.45 სერიალი ,,ცრემლების გვირგვინი" 20.05 სერიალი ,,ერთგულების ძალა" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.30 მხ/ფ

07.30 იმედის დილა 09.00; 11.00; 14.00; 17.00; 19.00; 20.00; 00.00 ,,ქრონიკა" 10.00 სერიალი ,,იღბლიანი მოახლე" 11.20 სერიალი ,,მაფიის ქვრივი" 13.00 სერიალი ,,24 - 5" 14.40 ღამის შოუ 16.00 სერიალი ,,დამალული სიმართლე" 17.50 სერიალი ,,თილისმა" 18.50 სერიალი ,,სახიფათო ვნება" 21.00 სერიალი ,,მარტოსული" 22.00 თოქშოუ - ლა ეთერი 00.15 სერიალი ,,ღვინის გზა" 00.50 მხ/ფ ,,მატჩ პოინტი" 02.50 მუსიკა

08.00 ,,ახალი" დილა 10.00 მატრიცა 11.00 მთავარი კითხვა 12.00 საინფორმაციო 12.30 დეტექტორი 13.00 ბიზნესის დრო 14.00 მატრიცა 15.00 საინფორმაციო 15.30 დიდი დრო 16.00 ბიზნესის დრო 17.00 მთავარი კითხვა 18.00 ,,ახალი" 19.00 მატრიცა 20.00 ბიზნესის დრო 21.00 ,,ახალი" 22.00 მთავარი კითხვა 23.30 მატრიცა 24.30 ,,ახალი" 24.30 მთავარი კითხვა 24.30 ბიზნესის დრო 24.30 ,,ახალი" დილა 24.30 მატრიცა 24.30 ბიზნეს ინფო 07.00 მთავარი კითხვა

07.00 ახალი ამბების კოლაჟი 07.30 უცხოეთის ამბები 07.55 უკომენტაროდ + ამინდი 08.00 ახალი ამბები 08.10 მალვიძარა (დილის პროგრამა) 09.00 ახალი ამბები 09.10 მალვიძარა (დილის პროგრამა) 10.00 ახალი ამბები 10.15 მალვიძარა (დილის პროგრამა) 10.55 უკომენტაროდ + ამინდი 11.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური ამბები 11.55 უკომენტაროდ + ამინდი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30 უცხოეთის ამბები 12.55 უკომენტაროდ + ამინდი 13.00 ახალი ამბები 13.15 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 14.00 ახალი ამბები 14.15 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 14.55 უკომენტაროდ + ამინდი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 15.30 უცხოეთის ამბები 15.55 უკომენტაროდ + ამინდი 16.00 ახალი ამბები 16.10 მაესტროს პრესკლუბი 16.55 უკომენტაროდ + ამინდი 17.00 ახალი ამბები 17.10 უცხოეთის ამბები 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.45 უცხოეთის ამბები 18.55 უკომენტაროდ + ამინდი 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05 თოქშოუ ,,სუბიექტური აზრი" 19.30 თოქშოუ - ,,არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00 ,,ყოველდღიური ამბები" 22.20 თოქშოუ ,,პოლიტმეტრი" 00.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება) 00.30 თოქშოუ ,,სუბიექტური აზრი" 00.55 ყოველდღიური ამბები 01.15 თოქშოუ ,,არგუმენტები" 02.30 თოქშოუ ,,პოლიტმეტრი" 04.00 ახალი ამბების კოლაჟი 04.35 უცხოეთის ამბები 05.00 ახალი ამბების კოლაჟი 05.35 უცხოეთის ამბები 06.00 ახალი ამბების კოლაჟი 06.35 უცხოეთის ამბები 06.55 უკომენტაროდ + ამინდი 07.00 ახალი ამბების კოლაჟი

06.00 შვიდგზის ლოცვა 06.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 შემეცნებით-დოკ/ფ ,,ველური ბუნება" 06.35 მხ/ფ ,,დიდი ქალაქის ჩირაღდნები" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დილის პროგრამა ,,განთიადი" 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05 ისტორიის დღიური 10.10 სიახლენი 10.30 უწყვეტი თვალთახედვის იასარი მოკლეა 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 11.55 შვიდგზის ლოცვა 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერიბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ ,,დათა თუთაშხია" III ნაწ. 13.30 კონცერტი - ფრიდრიშ გულდა 14.50 ფოტოგალერეა 14.55 შვიდგზის ლოცვა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 შემეცნებით-დოკ/ფ ,,ველური ბუნება" 15.55 დეკორატიული ფლორა 16.00 მხ/ფ ,,ბაში - აჩუკი" 17.30 დოკ/ფ ,,ტაო - კლარჯეთი" V ნაწ. 17.55 შვიდგზის ლოცვა 18.00 საეკლესიო კალენდარი 18.05 საქართველო არის ესე 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.00 სიახლენი 19.20 მხ/ფ ,,დათა თუთაშხია" IV ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 20.55 შვიდგზის ლოცვა 21.00 საეკლესიო კალენდარი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 21.55 უწყვეტი თვალთახედვის იასარი მოკლეა 22.00 სიახლენი 22.25 ჩვენი ფონდი 22.55 კალამის წვერიბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ფოტოგალერეა 22.20 დიდი მარხვა 23.55 შვიდგზის ლოცვა 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.05 სიახლენი 00.25 ისტორიის დღიური 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო 02.30 სიახლენი

07.55 დილის პალიტრა 10.00 საინფორმაციო გამოშვება 10.10 აქ და ახლა (გამეორება) 11.10 ვებლაბულა (გამეორება) 12.00 საინფორმაციო გამოშვება 12.10 რადიომარკეტი 12.30 საქმე 13.00 მოკლე ჩართვა (გამეორება) 13.30 ვიდეოპორტალი (გამეორება) 14.00 საინფორმაციო გამოშვება 14.10 აქ და ახლა 15.00 ვიდეოპორტალი (გამეორება) 16.00 საინფორმაციო გამოშვება 16.10 სახალხო დარბაზი 17.10 პროვოკატორი 18.00 ვიდეოპორტალი - მსოფლიო ამბები 18.30 რეზიუმე 19.35 ვებლაბულა 20.30 მოკლე ჩართვა 21.00 ვიდეოპორტალი 22.00 რეზიუმე (გამეორება)

## შაბათი 2 მარტი

08.00 დოკ/ფ ,,მსოფლიო ოდისეები" 08.30 ,,მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.30 საბ/ან/ფ ,,უკანასკნელი მიმზი" 11.00 ,,ეთნოგრაფიული ნარკვევები" 11.30 საბ/ტ/სერიალი ,,პირველყოფილი" 12.00; 16.00; 20.00; 02.35 ,,მოამბე" 12.30 ,, V - ლ I " 13.00 დოკ/ფ ,,ლეონარდო და ვინჩი" 14.00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. სუპერლიგა. ,,არმია" - ,,სოხუმი" (პ/რ) 16.30 ,,ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.00 ,,აღმოაჩინე საქართველო" 17.30 დოკ/ფ ,,წიგნის მშვენება" 18.00 ,,ეტალონი" 19.00 ,,გურმანია" 21.00 ,,საჯარო პოლიტიკა" 22.00 ,,ქართული დოკუმენტალისტიკა" - ოკუპაცია 23.00 ,,ახალი ქართული კინო" 23.30 დოკ/ფ ,,რამინი" 00.30 მხ/ფ ,,ცხოვრება, როგორც სახლი"

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ან/ფ 10.00 MTV TEEN CRIBS 11.00 სერიალი ,,კლუბი" 12.00; 15.00; 18.00; 21.00; 04.00 ,,კურიერი" 12.30 ბიზნეს კურიერი 15.30 სერიალი 19.00 ყველაზე ჭკვიანი დაწყება 20.00 ,,ნანუკას შოუ" 22.00 მხ/ფ ,,ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი" 23.00 რა? სად? როდის? 00.00 პოკერის ტურნირი 00.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00 Latin Angels 02.00 მხ/ფ 04.30 მხ/ფ

08.15 ან/ფ ,,მონსტრები და მეკობრეები" 09.15 მხ/ფ ,,მეფე - პოლარული დათვი" 11.00; 14.00; 17.00; 19.00; 20.00 ,,ქრონიკა" 11.15 ან/ფ ,,ავატარი" 12.00 სერიალი ,,შუა ქალაქში" 13.00 სერიალი ,,აიქარლი" 14.20 მხ/ფ ,,სენსაცია" 16.00 სერიალი ,,გმირები - 4" 17.50 სერიალი ,,თილისმა" 18.50 სერიალი ,,სახიფათო ვნება" 21.00 სერიალი ,,მარტოსული" 22.00 სერიალი ,,შუა ქალაქში" 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ ,,წერილები ჯულიეტასთვის" 01.45 მხ/ფ ,,სიბრმავე" 03.45 მუსიკა

08.00 ,,ახალი" დილა 10.00 დოკ/ფ-ები 11.30 დიდი დრო 12.00 ,,ახალი" 13.00 დოკ/ფ-ები 15.00 ,,ახალი" 3ზე 16.00 დოკ/ფ-ები 18.00 ,,ახალი" 19.00 დოკ/ფ-ები 19.30 ჩემიანი 20.00 დოკ/ფ-ები 20.30 სხვა კინო 21.00 ,,ახალი" 22.00 დოკ/ფ-ები 00.00 ,,ახალი" 01.00 ,,ახალი" დიდი დრო 01.30 დოკ/ფ-ები 03.30 ,,ახალი" დილა 05.30 დოკ/ფ-ები

07.00 ახალი ამბების კოლაჟი 07.30 უცხოეთის ამბები 08.30 კვირის არგუმენტები 10.00 დილა (კოლაჟი) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30 ყოველდღიური ამბები (პარასკ.) 12.55 უკომენტაროდ + ამინდი 13.00 ამბები მოკლედ 13.05 ყოველდღიური ამბები (ორშ) 13.25 უცხოეთის ამბები 13.55 უკომენტაროდ + ამინდი 14.00 ამბები მოკლედ 14.05 ყოველდღიური ამბები (სამშ) 14.25 უცხოეთის ამბები 14.55 უკომენტაროდ + ამინდი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 15.30 უცხოეთის ამბები 15.55 უკომენტაროდ + ამინდი 16.00 ამბები მოკლედ 16.05 ყოველდღიური ამბები (ოთხშ) 16.25 უცხოეთის ამბები 16.35 უცხოეთის ამბები 16.55 უკომენტაროდ + ამინდი 17.00 ამბები მოკლედ 17.05 ყოველდღიური ამბები (ხუთშ) 17.25 უცხოეთის ამბები 17.55 უკომენტაროდ + ამინდი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.45 უცხოეთის ამბები 19.00 ამბები მოკლედ 19.10 უცხოეთის ამბები 20.00 ამბები მოკლედ 20.10 სტუდია ,,მონიტორის" ჟურნ. გამოძიება 20.55 უკომენტაროდ + ამინდი 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 21.40 უცხოეთის ამბები 22.00 ,,პრეს - პრესი" 23.00 ,,ჩვენ" - თამარ ჩიქოვანთან ერთად 00.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 00.30 უცხოეთის ამბები 01.00 ახალი ამბების კოლაჟი 01.30 სტუდია ,,მონიტორის" ჟურნ. გამოძიება 02.00 ,,პრეს - პრესი" 03.00 ახალი ამბების კოლაჟი 03.30 ,,ჩვენ" - თამარ ჩიქოვანთან ერთად 04.30 უცხოეთის ამბები 05.00 ახალი ამბების კოლაჟი 05.25 უცხოეთის ამბები 05.55 ახალი ამბების კოლაჟი 06.20 უცხოეთის ამბები 06.55 უკომენტაროდ + ამინდი

06.00 შვიდგზის ლოცვა 06.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 შემეცნებით-დოკ/ფ ,,ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ ,,ყველაზე, ყველაზე" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 დილის პროგრამა ,,განთიადი" (კოლაჟი) 10.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.35 უწყვეტი თვალთახედვის იასარი მოკლეა 10.40 კვირიაკე 11.55 შვიდგზის ლოცვა 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერიბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ ,,დათა თუთაშხია" IV ნაწ. 13.45 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 14.55 შვიდ გზის ლოცვა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ოპერა - ,,ლუჩია დე ლამერმური" 17.35 დოკ/ფ ,,ტაო - კლარჯეთი" VI ნაწ. 17.55 შვიდგზის ლოცვა 18.00 საეკლესიო კალენდარი 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.10 ფოტოგალერეა 18.15 აქტუალური თემა 18.35 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.00 სიახლენი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 20.55 შვიდგზის ლოცვა 21.00 საეკლესიო კალენდარი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.25 წმინდა თეოდორე ტირონი 21.30 სამედიცინო გადაცემა ,,კარაბადინი" 21.55 უწყვეტი თვალთახედვის იასარი მოკლეა 22.00 სიახლენი 22.25 პორტრეტი ,,ერთსულოვნების" გალერეიდან 22.55 კალამის წვერი, ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სიმღერის კვალდაკვალ 23.55 შვიდგზის ლოცვა 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.05 სიახლენი 00.25 ისტორიის დღიური 00.30 ძველი აფიშა 01.00 მხ/ფ ,,აპარი" 02.30 სიახლენი

10.00 პროვოკატორი (გამეორება) 11.00 სახალხო დარბაზი (გამეორება) 12.00 საინფორმაციო გამოშვება 12.10 შუადღე 13.00 საინფორმაციო გამოშვება 13.10 შუადღე 13.45 მუსიკა 14.00 საინფორმაციო გამოშვება 14.10 შუადღე 15.00 ვიდეოპორტალი 16.00 საინფორმაციო გამოშვება 16.10 რეზიუმე (გამეორება) 17.00ვებლაბულა

## კვირა 3 მარტი

08.00 დოკ/ფ ,,მსოფლიო ოდისეები" 08.30 საბ/ფ ,,მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ" 10.00 ,,ეტალონი" 11.00 ,,ჩვენი ეკლესია" 11.30 საბ/ტ/სერიალი ,,პირველყოფილი" 12.00; 14.00; 16.00 ,,მოამბე" 12.30 ,,ჩვენი ფერმა" 13.00 ,,სპექტაკლის დრო" - კ. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი. ,,მარტოობის ბინადარი" 14.10 ქართული მხ/ფ ,,ხევისბერი გოჩა" 16.30 ,,ჩვენი ეზო" 17.30 ,,ვაშინგტონი დღეს" 18.00 ალექსანდრე ბასილაიას ხსოვნის საღამო 20.00 მხ/ფ ,,სულელების ოქრო" 22.00 ,,ქართული დოკუმენტალისტიკა" - ოკუპაცია 23.00 ,,აღმოაჩინე საქართველო" 23.30 ,,უცნობი მუსიკა" 00.30 კონცერტი 01.30 მხ/ფ ,,სექსი დიდ ქალაქში - 2"

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ან/ფ 10.00 MTV TEEN CRIBS 11.00 სერიალი ,,კლუბი" 12.00; 15.00; 18.00; 04.00 ,,კურიერი" 12.30 დოკ/ფ 13.00 ეკი ვოკი 15.30 სერიალი 19.00 ეკი ვოკი დაწყება 20.00 პროფილი 21.00 P.S. 22.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი 01.00 ტოპ გოგო 02.00 მხ/ფ 04.30 მხ/ფ

08.00 ან/ფ ,,მონსტრები და მეკობრეები" 09.00 მხ/ფ ,,ნამდვილი მამაკაცი" 11.00; 14.00; 17.00; 19.00; 20.00 ,,ქრონიკა" 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერიალი ,,შუა ქალაქში" 13.00 მხიარული სტარტები 14.20 მხ/ფ ,,ფესტივალი კანში" 16.00 სერიალი ,,გმირები - 4" 17.40 იმედის გმირები 18.00 კონცერტი ,,ივერია" 21.00 ღამის შოუ 22.00 სერიალი ,,შუა ქალაქში" 23.00 რომ გადავხვალ, გააჩერე 23.25 მხ/ფ ,,ბრძოლის წესები" 01.00 მხ/ფ ,,დღეს შენ მოკვდები" 02.30 მუსიკა

10.00 დოკ/ფ-ები 11.00 დილის იდილია 11.30 პროფი 12.00 ,,ახალი" 13.00 დოკ/ფ-ები 15.00 ,,ახალი" 3ზე 16.00 დოკ/ფ-ები 18.00 ,,ახალი" 19.30 პროფი 20.00 დეტექტორი 20.30 ანატომია 21.00 ,,ახალი" 22.00 დოკ/ფ-ები 23.00 დიდი დრო 23.30 დოკ/ფ-ები 00.00 ,,ახალი" 01.00 დეტექტორი 01.30 ანატომია 02.00 დიდი დრო 02.30 დოკ/ფ-ები 06.30 დეტექტორი 07.00 ანატომია 07.30 დილის იდილია

07.00 ახალი ამბების კოლაჟი 07.30 უცხოეთის ამბები 10.00 დილა (კოლაჟი) 10.35 უცხოეთის ამბები 10.55 ,,პრეს - პრესი" 11.55 უკომენტაროდ + ამინდი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30 უცხოეთის ამბები 12.55 უკომენტაროდ + ამინდი 13.00 პრეს - პრესი (გამ.) 14.00 ამბები მოკლედ 14.05 უცხოეთის ამბები 14.55 უკომენტაროდ + ამინდი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 15.30 უცხოეთის ამბები 15.55 უკომენტაროდ + ამინდი 16.00 ამბები მოკლედ 16.05 ,,ჩვენ" თამარ ჩიქოვანთან ერთად 16.55 უკომენტაროდ + ამინდი 17.00 ამბები მოკლედ 17.05 მონიტორის ჟურნ. გამოძიება 17.35 უცხოეთის ამბები 17.55 უკომენტაროდ + ამინდი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 დისკუსია - სტუდია ,,რე" 20.00 ამბები მოკლედ 20.10 ღია კარის დღე 20.45 უცხოეთის ამბები 20.55 უკომენტაროდ + ამინდი 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00 იცოდე მეტი სამართალზე (თოქ - შოუ) 23.25 ღია კარის დღე 00.00 ახალი ამბების კოლაჟი 00.25 უცხოეთის ამბები 01.00 ახალი ამბების კოლაჟი 01.30 იცოდე მეტი სამართალზე (გამ.) 02.30 დისკუსია - სტუდია ,,რე" 03.00 ახალი ამბების კოლაჟი 03.25 უცხოეთის ამბები 04.00 ახალი ამბების კოლაჟი 04.25 უცხოეთის ამბები 05.00 ახალი ამბების კოლაჟი 05.25 უცხოეთის ამბები 06.00 ახალი ამბების კოლაჟი 06.25 უცხოეთის ამბები 06.55 უკომენტაროდ + ამინდი

06.00 შვიდგზის ლოცვა 06.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 შემეცნებით-დოკ/ფ ,,ველური ბუნება" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 08.45 დეკორატიული ფლორა 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 დილის პროგრამა ,,განთიადი" (კოლაჟი) 10.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 უწყვეტი თვალთახედვის იასარი მოკლეა 10.45 ლექსით ქებათა ქება 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 11.55 შვიდგზის ლოცვა 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი, ბულბულის ნისკარტი 12.15 ერთსულოვნების სალონი 13.00 ძველი აფიშა 13.30 ,,ჩვენი ტრაპეზი" 13.40 ქართული მულტფილმი 13.55 დიდი მარხვა 14.30 კარაბადინი 14.55 შვიდგზის ლოცვა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მგზავრები წუთისოფლისა 15.40 ეპოქის სახელები 16.05 კონცერტი - ,,ისევ ის ბაღი" შოთა მილორავა 17.55 შვიდგზის ლოცვა 18.00 საეკლესიო კალენდარი 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.40 მხ/ფ ,,დათა თუთაშხია" V ნაწ. 20.55 შვიდგზის ლოცვა 21.00 საეკლესიო კალენდარი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 უწყვეტი თვალთახედვის იასარი მოკლეა 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 ,,კვირიაკე" 22.55 კალამის წვერიბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ფოტოგალერეა 23.20 გაცოცხლებული წარსული 23.40 დრო და ადამიანები 23.55 შვიდგზის ლოცვა 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.05 ისტორიის დღიური 00.10 პატრიარქის ქადაგება 00.35 მხ/ფ ,,გაქცევა შოუშენკიდან"

10.00 მკურნალი (გამეორება) 11.00 პპლე და თურაშაული (გამეორება) 12.00 საინფორმაციო გამოშვება 12.10 შუადღე (გამეორება) 13.00 საინფორმაციო გამოშვება 13.10 შუადღე (გამეორება) 13.45 მუსიკა 14.00 საინფორმაციო გამოშვება 14.10 შუადღე (გამეორება) 15.00 კავკასიური პალიტრა (გამეორება) 16.00 საინფორმაციო გამოშვება 16.10 რეზიუმე (გამეორება) 17.00 მთავარი რეგიონიდან (გამეორება) 17.30 მუსიკა

## კვირიკატურა



— ხედავ, ძამა? ნაციონალები 19 აპრილს დიდი მიტინგის ჩატარებას აპირებენ.
— კაი ერთი, თუ კაცი ხარ, მაგ მიტინგზე რომ ხალხი მივა, იმდენი კაცის დაპატიჟებას მე ჩემი ბიჭის ქორწილში ვაპირებ.

## ანეკდოტები

გათენდა მიხოს და მაროს ქორწინებიდან მე-15 წლის დილა. საწოლში კედლისკენ გადაბრუნებული მარო ფიქრობს: „დღეს 15 წელი გავიდა. ადგება ახლა ჩემი მიხო, წავა ქალაქში, ბეჭედს მიყიდის და მომილოცავს.“ მიხო კი ფიქრობს: „15 წელი გავიდა. მაშინ რომ მომეკლა, დღეს ციხიდან გამომიშვებდნენ.“





გურულს ეკითხებიან:
— „ვიაგრას“ ტაბლეტებზე გაგიგია რამე?
— „ვიაგრა“ რაია ძამა, რისთვის სვამენ?
— რისთვის და ორჯერ-სამჯერ რო შეძლო ქალთან!
— მაი დამაწყნარებელი ყოფილა, ძამა!

— შვილო, გეყოფა, „ფეისბუკის“ გარდა სხვა სამყაროც არსებობს. — ეუბნება დედა შვილს.
— ვა, მართლა, დედი? დამილინკე, რაააა....





ფრანგმა არქეოლოგებმა გათხრების დროს აღმოაჩინეს ტელეფონის კაბელი, რითაც დამტკიცდა, რომ ფრანგები მე-18 საუკუნეში ტელეფონს იყენებდნენ. სომეხმა არქეოლოგებმა გათხრებისას კაბელი ვერ იპოვეს, რითაც დაამტკიცეს, რომ მე-18 საუკუნეში სომხები მობილურ ტელეფონს იყენებდნენ.

## წერილი

# საპასუხო წერილი ქალბატონ ჰილარი როდემ კლინტონს



*კარგად მოგეხსენებათ, რომ ვადის ამოწურვის შემდეგ ქალბატონი ჰილარი კლინტონი გადადგა (არის ასეთი ქვეყნები, ვადა რომ ეწურებათ, პოლიტიკოსები გადადგებიან ხოლმე), კოლეგებს თბილად გამოემშვიდობა და წერილები მისწერა. არც საქართველო დავიწყებია და ძალიან თბილი წერილი გამოუგზავნა ჩვენს პრემიერსა და საგარეო საქმეთა მინისტრს, თუმცა მანამდე კოჰაბიტაციისკენ მოგვიწოდებდა და ოპოზიციასა და პოზიციას ქვეყნის ერთობლივად მართვას სთხოვდა. ასეთი ყურადღების გამო ჩვენ გვინდა ქართველი ხალხის სახელით ქალბატონ ჰილარის წერილს წერილითვე ვუპასუხოთ და კარგად ავუხსნათ, როგორია ქართველი ხალხი და როგორ გვესმის კოჰაბიტაცია.*

„მოგესალმებით, ქალბატონო ჰილარი! ძალიან დაგვწყდა გული, რომ გადადექით, როგორც ბრძანეთ, თქვენი ნებით. კარგი, რა, ქალბატონო ჰილარი, ქართველებს ვერ მოგვატყუებთ. კარგად ვხვდებით — ან პროკურატურის ზეწოლას ვერ გაუძელით, ან პრეზიდენტმა რაიმე ბლაგვი საგანი გესროლათ და გაბრაზდით, თორემ მაგხელა თანამდებობიდან თავისი ნებით არ მიდიან, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან ასე არასოდეს მომხდარა. ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა, ისე კი, ძალიან დიდი მადლობა გვინდა გადაგიხადოთ ყველაფრისთვის, რაც თქვენ და ბატონმა ბარაქმა ჩვენთვის გააკეთეთ. 20 წლის მანძილზე ამერიკის ვერც ერთმა მთავრობამ ვერ მიაღწია იმას, რასაც თქვენ მიაღწიეთ. ახლა ზოგიერთი რესპუბლიკელი დაიწყებს, ჩვენ ერაყის პრობლემა გადავჭერითო, კოსოვოს კონფლიქტი მოვაგვარეთო, ავღანეთში ჯარები შევიყვანეთო, ცივი ომი დავასრულეთო... ეგ რა მოსატანია იმასთან, რაც თქვენ შეძელით. ხუმრობა ხომ არაა — საქართველოში პირველად ჩაატარეთ დემოკრატიული არჩევნები და ხელისუფლება მშვიდობიანად შეიცვალა! თუმცა ერთი საყვედურიც უნდა გაკადროთ: ეს კოჰაბიტაცია რომ ბრძანეთ, თავიდან ვერ მივხვდით, რას ნიშნავდა და იმიტომაც დაგეთანხმათ ორივე მხარე. მერე რომ გაირკვა, თანამშრომლობა ყოფილა, ძალიან გაგვიკვირდა. რა გინდათ, მთლიანად გადავჯიშდეთ ქართველები და ყველა პოლიტიკური პრობლემა მშვიდობიანი გზით გადავჭრათ? ერთმანეთი არ დავჭამოთ თანამდებობებისთვის და მიტინგები აღარ დავარბიოთ? სისხლისმსმელები არ ვეძახოთ ერთმანეთს და რუსთაველი აღარ გადავკეტოთ? ბოდიშს გიხდით, ქალბატონო ჰილარი, ჩვენ არაბებმა ვერ გადაგვაჯიშეს და ვერც ეგ თქვენი კოჰაბიტაცია დაგვაკლებს რამეს. ახლა ორიოდე სიტყვით გეტყვით, რა ხდება ჩვენთან და თავადვე მიხვდებით თქვენს შეცდომას. დავიწყოთ იმით, რომ წინა ხელისუფლება მაშინდელ ოპოზიციას და დღევანდელ ხელისუფლებას რუსეთის აგენტებს ეძახდა. მოვიდა ეს ოპოზიცია ხელისუფლებაში და აღმოჩნდა, რომ „ნაციონალების“ მთავრობის ბევრი წევრი ყოფილა თანამდებობის ბოროტად გამომყენებელი. ახლა აგვიხსენით, როგორ შეიძლება რუსეთის აგენტებმა და თანამდებობების ბოროტად გამომყენებლებმა იკოჰაბიტაციონ?

ანდა, გამგებელი რომ „ნაციონალია“, დეპუტატი „ოცნებელი“, აქეთ პრეზიდენტი „ნაციონალი“ და მინისტრი კიდევ — „ოცნებელი“, როგორ გინდათ, ამ ოთხმა შტომ ერთად მართოს ქვეყანა? ეჰ, ქალბატონო ჰილარი როდემ, რამდენჯერ ბრძანდებოდით საქართველოში და ნუთუ კარგად ვერ გაგვიცანით? აქ თამადა ვერ იტანს თავის მოადგილეს და ღვინოში უნდა ჩაახრჩოს და „ნაცების“ გამგებელი და „ოცნების“ მაჟორიტარი აიტანენ ერთმანეთს? ჩვენ განსხვავებული ხალხი ვართ, ყველასგან განსხვავებული და რამდენიმე მაგალითსაც მოვიხმობთ ამის დასტურად: აბა, დაასახელეთ მსოფლიოში პოლიტიკოსი, რომელიც თავის ქვეყანაში არჩევნებს წააგებს და სხვა ქვეყანაში აპირებს რევოლუციის მოწყობას. ჩვენ გვყავს ასეთი პოლიტიკოსი — გივი თარგამაძე. ამერიკას რომ ტრილიონობით დოლარი დაუჯდა რუსეთის დაშლა, ჩვენი გივი მაგ საქმეს 30 ათას დოლარად აკეთებდა.

ან კიდევ, რომელ ქვეყანაში გინახავთ დასუფთავების სამსახურის თანამშრომელი პოპულარული მომღერალი იყოს? ჩვენთან იყო. ამიტომაც გეუბნებით, რომ ჩვენ ძალიან განვსხვავდებით თქვენგან. მაგალითად, ხომ წარმოუდგენელია, კალიფორნიის ყოფილ გუბერნატორს, არნოლდ შვარცენეგერს ავსტრიიდან ყველა შვარცენეგერი ჩაეყვანა და კალიფორნიის მთავრობაში თანამდებობებზე დაენიშნა? ჩვენთან კი ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ადრეც ხდებოდა და ახლაც ხდება, იმიტომ, რომ ვიცით ნათესავ-მეგობრობა. უფრო მეტს გეტყვით: თქვენ, ალბათ, გაგიგიათ ისეთი პარტია, რომელიც არჩევნებში გაიმარჯვებს და დაპირებას ასრულებს, ან ისეთი პარტია, რომელიც დაპირებას ვერ ასრულებს, მაგრამ სადმე გაგიგიათ პარტია, რომელიც დაპირებას კვირაში სამი დღე ასრულებს და ოთხი დღე — ვერა? ჩამობრძანდით, დააკვირდით აქაურ ბენზინის ფასებს და მიხვდებით, რას ვგულისხმობთ.

სხვა ყველაფერი კარგადაა, ახლა, მგონი, უგულავას იჭერენ და ძალიან გთხოვთ, არ დაიწყონ მანდ შეშფოთება და აღშფოთება. უგულავას დაიჭერენ, ახალაიას გამოუშვებენ, მერე უგულავას გამოუშვებენ, მერაბიშვილს დაიჭერენ, მერე მერაბიშვილს გამოუშვებენ, სააკაშვილს დაიჭერენ, ამასობაში კი გავა ოთხი წელი და ხალხის დასაქმებაზე უკვე ახალი მთავრობა იზრუნებს.

ერთი პატარა პრობლემა გვაქვს და გეტყვით ბარემ. პარლამენტი აპირებს რეგლამენტში ცვლილებების შეტანას, რაც დეპუტატებისთვის ეროვნული სამოსის ჩაცმას სავალდებულოს ხდის. ეს კი მოგვწონს, მაგრამ ძალიან საშიშია, ქალბატონო ჰილარი: ჩვენს ეროვნულ სამოსში ხანჯალიც შედის, ამიტომ ძალიან გთხოვთ, გამოიყენოთ თქვენი გავლენა და ხანჯალი ამოაღებინოთ სამოსიდან, ის ყაწიმები კი ურტყან ერთმანეთს, რამდენიც უნდათ. დასასრულ, კიდევ ერთი თხოვნა გვაქვს: გული გვიგრძნობს, შემოდგომამდე რაღაც ცუდი მოხდება ჩვენს თავს, ამიტომ იქნებ გამონახოთ დრო, ჩამობრძანდეთ რომის ყოფილ პაპთან ერთად და ჩვენს პრეზიდენტს დაელაპარაკოთ, რომ გადადგომა ძნელი სულაც არ არის.

## ფოტოკომიქსი




მოგვწერეთ ცხოვრებისეული კურიოზები. აგრეთვე თქვენი ქალაქის, რაიონის, სოფლის პრობლემებზე, ადგილობრივ ჩინოვნიკთა გულგრილობაზე. ჩვენთან დაკავშირება შეგიძლიათ ,,კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთებით;
ელ/ფოსტით: **kvirispalitra@posta.ge;** ტელეფონით: 596 104 401

*რუბრიკა მოამზადეს სულხან ნამჩევაძემ და გელა კორძაძემ*

# „ნაცმოძრაობას“ რეაბილიტაციის რესურსი აღარ აქვს“

*„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის, **გიორგი თარგამაძის** აზრით, „ნაციონალურ მოძრაობას“ კონტრრევოლუციის მოწყობის არავითარი შანსი არა აქვს, მაგრამ რადგან დასაკარგი ძალიან ბევრი აქვს, შესაძლოა ათასგვარ პროვოკაციაზე წავიდეს:*

**„ნაცმოძრაობას“ როგორც კი ჩაგრულის მანტიას მოვასხამთ, როცა მათ სახეზე სისხლის ლაქები გამოჩნდება, ეს ძალიან ცუდად შემოუტრიალდება ჩვენს ქვეყანას**

— პოლიტიკურად და მორალურად გაკოტრებული „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს შექმნას ილუზია, რომ საქართველოში პოლიტიკურ დღის წესრიგს ის ქმნის. მათ მცდელობას პერსპექტივა არ ექნება, თუკი დღევანდელი სახელისუფლებო პოლიტიკური ბლოკი მოახერხებს საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგი შესთავაზოს არა „ნაცმოძრაობას“, არამედ ქართველ საზოგადოებას. ამის მცდელობა უკვე სახეზეა. მარტიდან ფუნქციონირებას დაიწყებს საკონსტიტუციო კომისია, სადაც არა მხოლოდ მმართველ ძალას, არამედ სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებსაც გვექნება შესაძლებლობა, საკუთარი წინადადებებით მივიდეთ და ქვეყნისათვის საჭირო საკითხებზე ვიმსჯელოთ. ასევე მნიშვნელოვანია, რა ტიპის ახალ არჩევნებს ჩავატარებთ საქართველოში. საარჩევნო კოდექსის შეცვლასაც პოლიტიკურ პარტიებთან აქტიური მუშაობა სჭირდება. ადრე თუ გვიან, ეს გამოაფხიზლებს მმართველ პოლიტიკურ კოალიციას და დაანახებს, რომ მხოლოდ ამბიციებითა და პოლიტიკური წარსულით გომბეშოსავით გაბერილ „ნაციონალურ მოძრაობას“ კი არა, სხვა პოლიტიკურ ძალებსაც შეუძლიათ მისთვის კონსტრუქციული წინადადებების მიწოდება.

**— რატომ ჩაიშალა ხელისუფლებისა და „ნაცმოძრაობის“ მოლაპარაკებები?**

— „ნაცმოძრაობისთვის“ უმთავრესია ქონების ხელშეუხებლობის გარანტია. სხვა ყველაფერი: კონსტიტუციის პრეამბულაში ნატოს შესახებ ჩანაწერი და სხვა რამ შესაფუთი მასალაა, რომელიც საგარეო პიარისთვის სჭირდებათ.

**— „ქართული ოცნების“ წინაშე დილემაა — აღადგინოს სამართლიანობა, რომელსაც ხალხი ითხოვს, თუ შეასრულოს დასავლეთის რეკომენდაციები, რომელიც საქართველოში პოლიტიკური ოპონენტების დევნის საშიშროებას ხედავს.**

— პოლიტიკური ცხოვრების წესია, როდესაც მაღალი სამართლებრივი პოლიტიკური კულტურით ეპყრობი პოლიტიკური მოწინააღმდეგის მიმართ არსებულ პრეტენზიებს, ამას დრო და პროფესიონალური მუშაობა სჭირდება ბრალდებების სამართლებრივი დასაბუთებისთვის. ამ პროცესში უნდა ჩაერიონ საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები, რომლებიც ობიექტურ სურათს გაიტანენ და თუ ხელისუფლება ამ პირობებს დაიცავს, რომელიმე ყოფილი თანამდებობის პირის წინააღმდეგ წარმოებული საქმის პოლიტიკური ანგაჟირება აღარ მოხდება.



**— თქვენ რევანშს გამორიცხავთ, მაგრამ „ოცნების“ წევრები სწორედ ამ მიზანს უკავშირებენ 19 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე „ნაცმოძრაობის“ დანიშნულ აქციას.**

— 19 აპრილს მიტინგის დანიშვნა იმ ტაქტიკის გაგრძელებაა, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ მიმართავს თავისი ფინანსური ჯგუფების ქონებრივი რესურსის ხელშეუხებლობისათვის. „ნაცმოძრაობა“ ჩამქრალი ნათურაა, რომელიც ვეღარასოდეს გაანათებს დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებული ქართველი საზოგადოების იმედს, რადგან ბოლო წლებში დასავლურ ღირებულებებს დარტყმა სწორედ სააკაშვილმა, მერაბიშვილმა, ადეიშვილმა და მთელმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიაყენეს. „ნაცმოძრაობას“ არა აქვს მორალური უფლება, დასავლური ღირებულებების დაცვის ლოზუნგით მიტინგი ჩაატაროს. ასეთი მეთოდებით ცდილობენ, ასაზრდოონ ის მითი, რომ შეიძლება „ნაცმოძრაობა“ ისეთ რისკზე წავიდეს, სახელმწიფო გადატრიალება მოხდეს ან პრეზიდენტმა მთავრობა დაითხოვოს და თავისი მინისტრები დანიშნოს. „ნაცმოძრაობა“ ცდილობს საზოგადოება მუდმივად დაძაბული ამყოფოს. ასეთ ვითარებაში კი ხელისუფლება შეცდომისაგან დაზღვეული არ არის. შესაძლოა, მან კიდევ დაუშვას ისეთი შეცდომები, როგორიც ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მოხდა.

**„ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად აღმოჩნდება ბიძინა ივანიშვილი სიტყვის კაცი“**

„ნაცმოძრაობას“ რეაბილიტაციის რესურსი აღარ აქვს. რესურსი გაჩნდება მხოლოდ მაშინ, თუ მმართველი ძალა და ივანიშვილი შეცდომებს დაუშვებენ. ახალმა ხელისუფლებამ მათ პროვოკაციებს არ უნდა უპასუხოს.

**„ნაცმოძრაობა“ ის ვირუსია, რომელიც წინააღმდეგობის შემდეგ უფრო აქტიურდება.**

როგორც კი მათ ჩაგრულის, უსამართლოდ დევნილის მანტიას მოვასხამთ, როცა მათ სახეზე სისხლის ლაქები გამოჩნდება, ეს ძალიან ცუდად შემოუტრიალდება ჩვენს ქვეყანას. არ ვამბობ, რომ მათ დანაშაული უნდა ვაპატიოთ. პირიქით, ყველაფერს სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება უნდა მივცეთ.

**— პარლამენტს მიღმა დარჩენილი პოლიტიკური ძალები ვადამდე საპარლამენტო არჩევნების საკითხს სვამენ.**

— ჩვენ რეჟიმთან დაპირისპირების ეტაპი გავიარეთ და მისი დამარცხების შემდეგ დემოკრატიული სისტემის მშენებლობაზე უნდა გადავიდეთ. დემოკრატიული სისტემა ვერ აშენდება რეჟიმის ნარჩენებითა და ნანგრევებზე. ის აშენდება მხოლოდ დემოკრატიული არჩევნებით, სადაც ყველა პარტიას თანაბარი პირობები ექნება. პროცესი ჩიხშია შესული, ქვეყანა პოლიტიკური სტაგნაციის ეტაპზეა. დემოკრატიულ არჩევნებში ჩვენ სერიოზულ შედეგს მივიღებთ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად აღმოჩნდება ბიძინა ივანიშვილი სიტყვის კაცი, რომლის მთავარი დაპირება მრავალპარტიული დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მშენებლობა იყო. თუ ის სიტყვის კაცია, ხელი უნდა აიღოს დომინანტის როლზე პოლიტიკაში და ეს იქნება მისი აღებული ვალდებულების შესრულება.

**— ბიძინა ივანიშვილი თავიდან კრიტიკულად იყო განწყობილი თქვენი პოლიტიკური ძალისადმი.**

— პოლიტიკაში შემოსვლამდე ადამიანი შეიძლება სხვანაირად ფიქრობდეს, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის მერე მოუწიოს ისეთი ნაბიჯების გადადგმამ, რაც განსხვავდება მისი თავდაპირველი შეხედულებებისგან. ბიძინა ივანიშვილი აღარ არის მხოლოდ ოპოზიციური ბლოკის ლიდერი, ის ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირი, უზარმაზარი გავლენისა და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანია და ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ, რომ ამ პოლიტიკური ფიგურის, როგორც ქვეყნის მმართველის, ფორმირება შედეგის მომტანი იყოს. ეს შედეგი მიღწეული იქნება, თუ მისი მმართველობის პირობებში საქართველოში დამყარდება მრავალპარტიული დემოკრატია, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მსგავს პოლიტიკურ ძალას არ მისცემს რევანშის საშუალებას.

**— როგორც ვიცი, აშშ-ის ელჩს ხშირად ხვდებით. საინტერესოა, რა თემებს განიხილავთ?**

— ამ შეხვედრებით სპეკულირება არ მსურს. კერძო საუბრების შინაარსს საჯარო განხილვის თემად ვერ გავხდი, თუმცა არცთუ ძნელი წარმოსადგენია, რაზე უნდა ვსაუბრობდეთ. ინფორმაციას ვცვლით და საქართველოში არსებულ ვითარებას ვაანალიზებთ.




# „ოცნება“ გამორჩევით უტევს აღმშენებლობით გამორჩეულ პირებს“

*„აღარ აქვს დასასრული ჩვენი თანაგუნდელების დაკითხვაზე დაბარებას. ახალი ხელისუფლება თითქოს კონსტრუქციულ ურთიერთობაზე მოდიოდა, მაგრამ რეალურად საქმე სხვაგვარად არის“, — აცხადებს უმცირესობის წევრი **დავით დარჩიაშვილი**:*

— აქამდე უგულავას მოწმედ იბარებდნენ, ახლა ბრალი წაუყენეს. ასეთ ვითარებაში რა სამართლიანობის იმედი უნდა გვქონდეს? ეს ხელისუფლება შედგება შევარდნაძის დროინდელი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებისგან, ჩვენ გვდევნიან და აწიოკებენ იმათ, ვინც ცნობილი იყო კორუფციულ და კრიმინალურ სისტემაში გავლენით. ვინ იყო 90-იან წლებში ქანთარია, რით იყო დაკავებული? ვინ იყო გოგი ქავთარაძე? როდის შესძულდა ზაქარია ქუცნაშვილს წინა ხელისუფლება — როდესაც ბიზნესდარღვევები აღმოჩნდა მისი ოჯახის წევრების საქმიანობაში... ეს არის შურისძიება!

**— კბილაშვილმა არ გამორიცხა, „იმედის“ საქმეზე პრეზიდენტის დაკითხვა, რაც პრეზიდენტის პრესსპიკერმა გააპროტესტა და პასუხისმგებლობა ივანიშვილს დააკისრა. თუმცა კბილაშვილის განცხადებით, არსებობს ჯოზეფ ქის ჩვენება.**

**„ეს არის შურისძიება!“**

— ვეჭვობთ, კბილაშვილი იმას აკეთებს, რასაც ივანიშვილი ეუბნება. გამოძიება ისეთ ჩვენებებს იღებს, როგორიც უნდა. მაგალითად, დანამდვილებით ვიცი, რომ რობაქიძის საქმეში პატრულის თანამშრომლებს დაკითხვისას ეუბნებოდნენ, სხვებმა უკვე აღიარეს, რომ შემთხვევის ადგილზე იარაღი არ იყო და თქვენც იგივე თქვითო. საბოლოოდ კი პატრულის რამდენიმე თანამშრომელმა თქვა, რომ ეს დაკითხვა ტენდენციური იყო.

9 წლის განმავლობაში ქვეყანაში აღმშენებლობა მიმდინარეობდა და ახალი ხელისუფლება გამორჩევით უტევს აღმშენებლობით გამორჩეულ პირებს, რათა საზოგადოებას მათზე ნეგატიური აზრი შეუქმნას.

**— თქვენი ხელისუფლებაც იბარებდა დაკითხვაზე შევარდნაძის მაღალჩინოსნებს.**

— რამდენიმე კაცი დაიბარეს პროკურატურაში, რომ მიტაცებული ფული დაებრუნებინათ. მოიტანეს და ამით დამთავრდა ყველაფერი. ჩვენი ხელისუფლების დროს რა კარგი იყო და რა ცუდი, ასაწონია. რომელი ხელისუფლებაა უშეცდომო? მაგრამ ისიც არ შეიძლება, წინა ხელისუფლების კარგი არაფერი დაინახო.

**— ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკების ჩაშლა თქვენს პოლიტიკურ გუნდს დააბრალეს იმის გამო, რომ ხელშეუხებლობის გარანტიები მოითხოვეთ.**

— არავითარ ამნისტიას ჩვენ არ ვითხოვთ. გვეუბნებიან, თუ აღიარებთ დანაშაულს, 5 წელი საჯარო სამსახურში მუშაობის პრეტენზია არ უნდა გქონდეთ და ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაცებს თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება ვაპატიოთო. თავი დაანებონ ათასობით ადამიანის ტერორსა და დაკითხვაზე დაბარებას. აგერ არის ხელმძღვანელობა და თუკი დანაშაულს უპოვით, მოგვკითხონ პასუხი დეპუტატებს, ყოფილ მინისტრებს და სხვ. სად არის აქ ხელშეუხებლობის გარანტიის მოთხოვნა? თუკი სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი რომელიმე ჩვენს თანაგუნდელს, არ ვითხოვთ ამაზე თვალის დახუჭვას. ჩვენ ვამბობთ, რომ ნუ ერჩიან ადამიანებს (მაგ. დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს), რომელთაც არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ.

**— 19 აპრილს დანიშნული აქცია „ქართულმა ოცნებამ“ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად გამოაცხადა. თქვენ ეჭვობთ, რომ საქართველო საგარეო კურსს შეიცვლის და ამ აქციით ამას აპროტესტებთ?!**

— პრემიერ-მინისტრმა ერევანში, ნატოსა და რუსეთთან ურთიერთობის დალაგების ნიმუშად სომხეთი მოიყვანა. ასეთი საგარეო პოლიტიკა გულისხმობს დსთ-ის უსაფრთხოების სისტემაში დაბრუნებას. როგორც ვიცი, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სისტემაში შევარდნაძის დროინდელი კადრები ბრუნდებიან. ისინი, ვინც რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში იყვნენ მხილებული, პოლიტპატიმრებად არიან გამოცხადებული... ჩვენი პოლიტიკური ძალა კვლავ გააგრძელებს ამ მძიმე ბრძოლას და საქართველოს დაბრუნებას რუსულ-კრიმინალურ ორბიტაზე ყველანაირად შეეწინააღმდეგება.

*მოამზადა იზო რიკაძემ*

## მილოცვა



საჩხერის რაიონის სოფ. ნაგვზარაში მცხოვრებ ხუთი შვილის აღმზრდელ მშობლებს – სერგო და მერი მაჭარაშვილებს ვულოცავთ ქორწინების 62-ე წლისთავს.

დედა, გილოცავთ დედის დღეს – 8 მარტს დაბადების დღეს. ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ. დაგვეფასებინოს თქვენი უანგარო ღვაწლი და შრომა. ღმერთი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი.

შვილები, რძლები, სიძეები, შვილიშვილები, შვილთაშვილიშვილები, ახლობლები.

*დიმიტრი, ცირა*

**ბებია და შვილიშვილს**



მზია ხაზარაძეს და ოთო ჭოლაძეს გილოცავთ დაბადების დღეს – 25 თებერვალს. დაესწარით მრავალს თქვენს ლამაზ, მოსიყვარულე ოჯახთან ერთად და ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

*გკოცნით,*

*ნინიკო და გიორგი ჭოლაძეები*

## ვასწავლი

ავტომანქანის ტარებას ა/მ „შკოდათი". ტელ: 597 61-09-06

პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი, სახელმწიფო სასწავლებლის პედაგოგი, შევასწავლი გიტარაზე დაკვრას და სიმღერას, ხმის დამუშავებით (მათ შორის დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით). კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით – სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება. ასაკი შეუზღუდავია. ტ: 599 72-00-42; 279-07-72

მაღალკვალიფიციური გამოცდილი მათემატიკოსი მოვამზადებ აბიტურიენტებს მათემატიკაში, ზოგადი უნარების ორივე ნაწილში, სკოლის მოსწავლეებს VI-დან XII კლასის ჩათვლით. დავეხმარები გაკვეთილის მომზადებაში მაღალი ქულის გარანტიით. ვცხოვრობ დოლიძის ქუჩაზე. ტელ: 2 33-53-57

მასაჟის შემსწავლელი ორთვიანი ან სამთვიანი კურსები, პროგრამა: 1. გამაჯანსაღებელი; 2. მასაჟი დაავადებების მიხედვით; 3. ბავშვთა მასაჟი 0-დან 1 წლამდე და ზემოთ; 4. „პარაფანგოთერაპია" (გასახდომი); 5. კოსმეტიკური მასაჟი. მიმდინარეობს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ორთვიანი – ყოველდღე და სამთვიანი კვირაში 3-ჯერ. გაიცემა 3-ენოვანი სერტიფიკატი და პროგრამის დანართი. აღმაშენებლის გამზ-ზე. ტელ: 599 17-18-50 მაია, 599 78-21-24, 261-61-18

1-თვიანი კურსები კოსმეტიკური მასაჟის შესასწავლად!!! შეისწავლება სახის და დეკოლტეს კოსმეტიკური მასაჟი ნიღბებით, ჩინური წერტილებით (ნემსის გარეშე), რომელიც ახალგაზრდავებს სახის კანს, აძლევს ელასტიურობას, ასწორებს ნაოჭებს, ხელს უწყობს კანის წმენდას და ატენიანებს, კანი გამოიყურება ახალგაზრდულად, აქვე შეისწავლება თავის მასაჟი, თმის ცვენის და ნევროზების საწინააღმდეგოდ. გაიცემა 3-ენოვანი სერტიფიკატი. ტელ: 599 17-18-50 მაია, 599 78-21-24 ნინო

შპს სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი „ინტერმედი" აცხადებს მიღებას მასაჟის შემსწავლელ კურსებზე. შეისწავლება: ანატომია, კლასიკური, კოსმეტიკური, ვაკუუმ-მასაჟი და მანუალური თერაპია, ბავშვთა მასაჟი და ფიზკულტურა (ასაკობრივ თავისებურებებსა და შესაბამის პათოლოგიებზე დაყრდნობით). სწავლება მიმდინარეობს ხელმისაწვდომ ფასად, ყოველდღიური პრაქტიკითა და აუდიო-ვიდეო მასალის ჩვენებით. გაიცემა სერტიფიკატი. მის: წერეთლის 93. ტ: 571 04-50-89; 790 85-01-55 ექიმი ნინო

1-თვიანი კურსები ბავშვთა მასაჟის შესასწავლად!!! შეისწავლება ბავშვთა მასაჟი თვეების და განვითარების მიხედვით 1-3 თვემდე, 4-6 თვემდე, 6-9 თვემდე, 9 თვიდან 1 წლამდე შემდეგ დაავადებებზე: ბრტყელ-ტერფიანობა, კისერმრუდობა, დისპლაზიები, X და 0-ს მაგვარი ფეხები, სქოლიოზები, ქათმის და მეწაღის გულმკერდი. გაიცემა 3-ენოვანი სერტიფიკატი. ტელ: 599 17-18-50 მაია, 599 78-21-24 ნინო

## გთავაზობთ სამუშაოს

პრესტიჟულ კომპანიას სათანამშრომლოდ ესაჭიროება 2 უმაღლესი განათლების მქონე პირი, რუსული ენის ცოდნით, შემოსავალი მაღალია. ტელ: 592-92-00-00

სამსახური პედაგოგების საყურადღებოდ!!! ოფისში მესაჭიროება პედაგოგიური გამოცდილების მქონე პირები (საშუალო სკოლების და უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგები), შემოსავალი მაღალია, შესაძლებელია შეთავსებაც. ტელ: 296-62-58 (საღამოს), 599 14-64-95

შევასწავლი რუსულს დაჩქარებული მეთოდით, აგრეთვე ვიდეო გაკვეთილების გამოყენებით, ყველა პროფესიის გათვალისწინებით. საუბარს იწყებთ მეორე გაკვეთილიდან. ასევე მოვაზადებ სკოლის მოსწავლეებს საატესტაციო გამოცდებისთვის, ბიოლოგია-ქიმიაში. ტელ: 232-03-58; 571 05-06-01; 230-31-51

ყურადღება! მაღალანაზღაურებადი სამუშაო ოფისში, მსხვილ საერთაშორისო კორპორაციაში. ასაკი 25-55წ. სასურველია რუსული ენის ცოდნა.ტელ: 555 62-39-05 ირინა

ქალაქის ცენტრში მდებარე ოფისს T.gესაჭიროება საქმეების კოორდინატორი ფირმის პროდუქციის და კადრების დაჯგუფების განხრით. მოთხოვნები: უმაღლესი განათლება, რუსული ენის ცოდნა, მოწესრიგებულობა. infocall21@gmail.com ტელ: 574 30-33-47

სამუშაო პოლონეთში: მშენებლები, შემდუღებლები, მძღოლები ტრაილერზე (ე კატეგორია) სამუშაო ფაბრიკებში. სამუშაო ლიტვაში: მძღოლები ტრაილერებზე (ე კატეგორია). ტ: 220-45-44; 293-24-79; 599 36-45-93

სამსახური პედაგოგების საყურადღებოდ!!! ოფისში მესაჭიროება პედაგოგიური გამოცდილების მქონე პირები (საშუალო სკოლების და უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგები), შემოსავალი მაღალია, შესაძლებელია შეთავსებაც. ტელ: 296-62-58 (საღამოს), 599 14-64-95

პრესტიჟულ კომპანიას სათანამშრომლოდ ესაჭიროება 2 უმაღლესი განათლების მქონე პირი, რუსული ენის ცოდნით, შემოსავალი მაღალია. ტელ: 592-92-00-00

## მომსახურება

შპს „Beauty way" სასწავლო ცენტრი აცხადებს მიღებას კურსებზე: 1. კოსმეტოლოგი-ვიზაჟისტი (კანის დიაგნოსტიკა, ეპილაცია, სახის გაწმენდა ულტრაბგერებით, იონოფორეზით, ლიფტინგი, ფიზიოთერაპია, ვაკუუმით გაწმენდა კომბაინზე, ლაზერული ეპილაცია, კრემები, ლოსიონები, მასაჟი, პილინგი, მაკიაჟი, წამწამების დაგრძელება და სხვა); 2. მასაჟისტი (სამკურნალო, კოსმეტიკური, სპორტული, ბავშვთა მასაჟი); 3. პარიკმახერის კურსები (ქალთა და მამაკაცთა თმის შეჭრა, მელირება, ქიმიური დახვევა, ნაწნავები) 4. მანიკიური, პედიკიური, ფრჩხილების დაგრძელება. 5. პერმანენტული მაკიაჟი. სწავლის და პრაქტიკის დამთავრების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი, ჩაწერა მისამართზე მის. დავით აღმაშენებლის 124-ის ეზოში. „ბიუთი ვეი". ტელ: 294-53-15; 296-22-89; 593 54-33-15

კომპიუტერული სერვისი თქვენი ორგანიზაციისთვის და ოჯახისთვის. ტელ: 599 32 49 70.გიორგი

ძვირფასო ქალბატონებო! თუ გსურთ გამოიყურებოდეთ მუდამ მომხიბვლელად და ახალგაზრდულად, გეცვათ თანამედროვე ტანსაცმელი (პალტო, მანტო, კოსტიუმი ყოველდღიური და გამოსასვლელი, ყოველდღიური და სარამოს კაბები). გთავაზობთ ტანსაცმლის კერვას თანამედროვე დიზაინით. ასევე შეგიქმნით ინდივიდუალურ მოდელს ყველა ზომის ქალბატონებს. გაგიფორმებთ თანამედროვე აქსესუარებით. მის. აღმაშენებლის გამზ. №115 (ეზოში). ტელ: 593 32-07-68 ნაზი; 595 42-13-00 ნინო

ვიზები: შენგენი, სამუშაო, სასწავლო, ბიზნეს ვიზები. ტ: 322-20-45-44; 322-93-24-79; 599 36-45-93

## მკურნალობა

მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, მოსკოვის ნევროლოგიის ინსტიტუტის 23-ე საავადმყოფოს მეტყველების ცენტრში კვალიფიცირებული, თსუ-ს ფსიქოლოგიის კათედრის ყოფილი ასპირანტი, ფსიქოლოგი, კვალიფიკაციით ექიმ-ლოგოპედი ქ-ნი ინა კომახიძე ყველა ქვეყნის საუკეთესო მეთოდის გამოყენებით, ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილებით – საბავშვო ბაღში, სკოლაში, პოლიკლინიკაში, საავადმყოფოს ნევროლოგიურ განყოფილებაში კარგი შედეგებით, სამედიცინო აპარატებით, ყველა სახის ტრენაჟორებით, ჩინური ნემსებით ანატომ-კლინიკური ატლასის რეფლექსოთერაპიის დაყრდნობით, ერთ თვეში ყველა ასაკში გამოგაჯანმრთელებთ, გაგიქრობთ შიშებს, ფსიქოლოგიურ დარღვევებს, შთამომავლობით ენაბლუობას, ლოგონევროზს, ენაჩლუნგობას, გულ-ხელ-ფეხის პრობლემებს, „წიკებს", მასაჟორებით ქონებს; გარდა ფსიქიატრიის პაციენტებისა, უშედეგო შემთხვევა არ ჰქონია ნორმალურ პაციენტებზე. მის: თავისუფლების მოედანი. ტელ: 599 55-05-75; 790 88-05-75

გასუქება სასურველ წონამდე. შრომის უნარის ამაღლება, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ორგანიზმის წმენდა. (სისხლის, სისხლძარღვების) იმუნიტეტის ამაღლება. გახდომა ასეე სურვილისამებრ თვეში 2-20 კგ-მდე. კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარებით, კანის ელასტიკურობის შენარჩუნებით. მუშაობის მრავალწლიანი პრაქტიკიდან – შედეგები მყარია და მუდმივი. მკურნალოაბ არაქიმიური, მცენარეული აპრობირებლი პრეპარატებით. ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 34-02-38; 599 90-54-78

ბიოლოგი ც. მჭედლიძე და ია ბეგაშვილი მკურნალობენ: თმის ცვენას, ქერტლს, ქავილს, გამონაყარს, ბუდობრივ ცვენას (ამოდის თმა), ტილებს, ფსორიაზს, ეგზემას, სოკოს ყველა სახეობას (ფრჩხილი), სახსრებს, პლექსიტს, ნაწოლებს, ნახეთქებს, ჰაიმორიტს, დემოდეკოზი, კოსმეტიკური საშუალებები. მის: ვაჟა-ფშაველას №47. ტელ: 214-47-80; 593 91-89-17, 555 20-03-41; 235-32-62

კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავისი მრავალწლიანი გამოცდილებით და მამაპაპური რეცეპტებით არჩენს კანის უამრავ დაავადებას, სახის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი

მეთოდებით. ყავს ათასობით მადლიერი პაციენტი. არჩენს გამონაყარს, მეჭეჭებს, სოკოს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით აშორებს ტილებს. არჩენს სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილს, გამაგრებულ ქუსლს, მაზოლს, ძირმაგარას. ახალმშობიარე დედებს ურჩენს მასტიტს, გამაგრებულ მკერდს, ნებისმიერი კანისთვის ამზადებს დღის და ღამის კრემს, მკვებავს, ნიღბებს და ნებისმიერ მალამოებს. ტელ: 230 62-52; 599 16-10-82. მის: საბურთალო, ოთარ ჭილაძის №166 მე-X კორპუსის წინ.

მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში, რკ/სადგურთან, საუკეთესო შემოთავაზება ი/მ პლანტა ე. რამიშვილისაგან, უკრაინის სამედიცინო ცენტრში შესწავლილი უნიკალური საგვარეულო მცენარეული სიროფი PLANTA ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც), არეგულირებს T3-ს, T-4, FT4-ს, ანტისხეულებს. PLANTA-GLANDA ჩირქოვანი გლანდები ქრ. ტონზილიტი, ადენოიდები-ხვრინვა, ლიმფოდენიტი (ლიმფური კვნძების გადიდება). PLANTA+მასტოპატია, ფიბროადენომატოზური კვანძები, ფიბრომა, კისტა, ჰორმონალური დარღვევები-მომატებული პროლაქტინი და სხვა. უნაყოფობა. ტელ: 322 59-59-82; 558 59-59-82; 500079700012006

განცხადება. ალკოჰოლიზმი, პარკინსონი, ქრ. თავის ტკივილები, თავბრუსხვევა, დეპრესია, გონებრივი ჩამორჩენა, აუტიზმი, უნებლიე შარდვა, უძილობა, ალერგია, ბრონქიალური ასთმა, ქრ. ბრონქიტი, ტუბერკულოზი, (რეზისტ. ფორმა). ქრ. ტონზილიტი, ქრ.სუნი პირის ღრუდან, ქრ. გამონადენი ცხვირის ღრუდან. პროსტატიტი, ცისტიტი, კლიმაქსი, უშვილობა, სქესობრივი დარღვევები, ფსორიაზი, ნეიროდერმიტი, ვიტილიგო, ეგზემა... სოკო... მკურნალობა მცენარეული საშუალებებით. ტელ: 599 48-93-98 ნათია ექიმი

ალკოჰოლისა და თამბაქოსაგან სწრაფი გათავისუფლება მცენარეული არაჰორმონალური საშუალებებით, რომელიც ხსნის დამოკიდებულებას და უკარგავს სურვილს ალკოჰოლის მიმართ. წმენდს ღვიძლს, ნაღვლის ბუშტს, თირკმლებს. აწესრიგებს ნერვულ სისტემას, ხსნის აგრესიას, დეპრესიას, ჰალუცინაციებს, შიშებს, აკვიატებებს და ალკჰოლიზმისაგან გამოწვეულ უნებლიე შარდვას. მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისაგან ფარულადაც (საკვებში გარევით). არ გააჩნია უკუჩვენება და არ იწვევს ალერგიას. მკურნალობა უსაფრთხოა და იცავს ორგანიზმს შემდგომი გართულებებისაგან. მაია ტელ: 593 96-50-32

ცნობილი ექიმი, მანუალური თერაპევტი სოსო ფირცხალაიშვილი, ანტიტორსიული მანიპულაციებით მკურნალობს ხერხემლის გამრუდებას (სქოლიოზი, კიფოზი, ტორსია, გულ-მკერდის დეფორმაციები), ეფექტი იგრძნობა პირველივე სეანსიდან; დისკოზურ რადიკულიტებს (ფესობრივ სინდრომებს) მომენტალური გაუმჯობესებით და კურსის შემდგომი სრული განკურნებით ოპერაციის გარეშე; ხერხემლის სხვა პათოლოგიებს (ოსტეოქონდროზი, თავის ტკივილები, ბაზალური ნაკლოვანებები და სხვა) უსწრაფესი შედეგებით; სიმაღლეში ზრდას; მკურნალობის მაღალეფექტურობის გარანტიის საფუძველია უკვე არსებული (დაფიქსირებული) შედეგები. მის. კრწანისის ქ. 7/ა. ტელ: 275-06-14, 8790 75-06-14, 599 26-51-08, 568 71-71-90

გაზაფხული საუკეთესო დროა!!! ნაღვლის ბუშტის, ღვიძლის, თირკმელების გაწმენდა-გაჯანსაღება მცენარეული ნაყენით მკურნალი სუმბაძისაგან, მკურნალობა მარტივია, შედეგი მაქსიმალური (კონსულტაცია უფასოა). მის. თბილისი, დავით აღმაშენებლის 113-115 (ეზოში). ტელ: 577 41-86-16, 291-18-38 (სამსახ.); 269-18-38 (ბინა); ექიმი-მკურნალი ცისანა სუმბაძე

სებორიის, ქერტლის, თმის ცვენის, მკურნალობა-პროფილაქტიკა, პრეპარატის მოხმარება ძალზედ მარტივია. ექიმი-მკურნალი ცისანა სუმბაძე. ტელ: 577 41-86-16, 291-18-38 (სამსახ.); 269-18-38 (შედეგი პირველი მოხმარებისთანავეა)

ლომთათიძე პოლიკლინიკის დირექტორი კვალიფიციურ ექიმებთან ერთად მკურნალობს იაპონური აპარატით წურბელებით: ბუნებრივი საშუალებებით, მუმიოსაგან დამზადებული მალამოებით, ოსტეოქონდროზს, იშიაზს, რადიკულიტს, მარილების დაგროვებას, სამწვერა ნერვის ანთებას, მუხლის-ქვეშა თიაქარს, ხერხემლის თიაქარს უოპერაციოდ, სახსრების დაავადებებს, უნებლიე შარდვას დიდებში და პატარებში, პროსტატიტს, ფრჩხილების სოკოს, ფსორიაზს, სებორეას, ტროფიკულ წყლულს, ნაწოლებს., ბუასილი იკურნება უოპერაციოდ. აგრეთვე გთავაზობთ თმის ცვენის საპონს და ხსნარს, რომლებიც მცენარეებზეა დამზადებული, ამაგრებს თმის ძირებს და გაცვენილ ადგილზე ამოყავს თმა. ვკურნავ ფეხის ოფლიანობას, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს. საგვარეულო რეცეპტით ვმკურნალობ A, B, C- ჰეპატიტებს, ცხიმგროვებს თვალების ირგვლივ, ჰაიმორიტს, ფრონტიტს. მუცლის ღრუს ორგანოების გამოკვლევა ექოსკოპიით – 30 ლარი. მის. აღმაშენებლის 93. მ. „მარჯანიშვილთან". ტელ: 296-38-27, 593 39-04-87 ირინა

მკერდის გაზრდა, გამკვრივება, ფორმირება ქირურგიული ჩარევის გარეშე. სიგარეტის გადაგდება, აგრეთვე ვმკურნალობ თავის ტკივილებს, ნერვოზებს, ოსტეოქონდროზს, ფრონტიტს, რადიკულიტს, კუჭ-ნაწლავის და ქალურ დაავადებებს, სმენის და მხედველობის გაუმჯობესებას. აქვე ფუნქციონირებს ბიოენერგოკორექციის შემსწავლელი კურსები. მის. უზნაძის 78. კაბინეტი 310. ტელ: 272-99-34. 577 45-87-55 ლაურა

ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ორგანიზმის საერთო გაწმენდით უჯრედულ დონეზე, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, უძილობა, შიშები, აგრესია, აკვიატებები, ღვიძლის და თირკმლის ფუნქციების აღდგენა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოწესრიგება, მკურნალობა ხდება მცენარეული საშუალებებით, 100% შედეგით, უკუჩვენებების გარეშე, ანონიმურობა დაცულია. მის. მ. დიდუბე, „სამთო ქიმია", I სართ. ოთახი №6 ტელ: 34-02-38; 858 96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი

მამაკაცებისთვის პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა და ტკივილი შარდვისას, მამაკაცის რეპროდუქციული ფუნქციის სწრაფი აღდგენა-შენარჩუნება. ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოწესრიგება, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100% შედეგით (ანონიმურობა დაცულია). მის. მ. დიდუბე, „სამთო ქიმია", I სართ. ოთახი №6 ტელ: 234-02-38; 558 96-89-15 ექიმი მეგი

მამაკაცური პრობლემების: სქესობრივი სისუსტის, იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ქავილის, ტკივილის, ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების, უშვილობის მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება, უკუჩვენების გარეშე, შედეგი და ანონიმურობა გარანტირებულია. მის. სამთო ქიმია, I სართ. ოთახი 6. ტელ: 790 25-44-14, 234-02-38, 599 25-44-14 ექიმი სპეციალისტი ქ-ნი მზია

ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის მკურნალობა ჯანმრთელობის უვნებლად, დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ორგანიზმის გაწმენდით ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე, ნერვული სისტემის მოწესრიგება – უძილობა, ნევროზი, დეპრესია, შიშები, აკვიატება, აგრესია. იმუნიტეტის გაძლიერება, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, შედეგი გარანტირებულია 100%-ით. ანონიმურობა დაცულია. მის. მ. დიდუბე „სამთო ქიმიის" ინსტიტუტი, I სართ. ოთახი №6 ტელ: 234-02-38; 599 25-44-14, 790 25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია

ძვლის პრობლემების: ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ართრიტების, კოქსართრიტების, ართროზის, კოქსართროზის და ა.შ. მკურნალობა, დაზიანებული ხრტილის და ძვლის შეცვლილი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, უძილობა, ძვლის აქტიური კვება-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, საუკეთესო შედეგებით. მის. მ. დიდუბე „სამთო ქიმიის" ინსტიტუტი, I სართ. ოთახი №6 ტელ: 599 96-44-94; 234-02-38 (ოფისი კვირის გარდა) ექიმი ქ-ნი სალომე

სიმაღლეში სწრაფად და ეფექტურად ზრდა, თვეში 3-5სმ-ის მომატებით 25 წლამდე, ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშები, უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა ბავშვებშიც და მოზრდილებშიც, ასევე გახდომა თვეში 7-20კგ-მდე უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, ცხიმების აქტიური წვა, მადის რეგულირება, მკურნალობა მცენარეული საშუალებით უკუჩვენების გარეშე 100%-ის გარანტიით. მის. მ. დიდუბე, „სამთო ქიმია", I სართ. ოთ. №6 ტ: 599 96-44-94, 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე

კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მკურნალობა, მწვავე და ქრონიკული გასტრიტი, სველი და მშრალი კოლიტი, ენტერიტი, ყაზბობა, დიარეა, დისბაქტერიოზი. აგრეთვე სახეზე გამონაყარი, ასაკობრივი და პათოლოგიური, ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე ტოქსინებისგან, ეფექტურია პირიდან უსიამოვნო სულის დროსაც, შედეგი გარანტირებულია. მის. მ. დიდუბე „სამთო ქიმია" I სართ. ოთახი №6 ტელ: 558 15-63-33; 234-02-38 ექიმი ქ-ნი ნინო

საუკეთესო შედეგებით ვმკურნალობ ბიომასაჟით: ნევროზებს, შიშებს, აკვიატებულ ფიქრებს, თავის ტკივილს, უძილობას, ნერვულ ტიკებს, უნებლიე შარდვას, ოპერაციის გარეშე ვმკურნალობ პროსტატიტს, თირკმელებს, ბუასილს, შარდ-სასქესო ორგანოს, სქესობრივ დაქვეითებას. მის: აღმაშენებლის 115, კაპ. 10. ცისანა გუდაძე ტელ: 558 91-01-98

ამერიკაში სერტიფიცირებული მასაჟისტ-თერაპევტი, მკურნალობს მყეს-მაჯის არხის სინდრომს, ტერფის ფასციიტს, ბრტყელტერფიანობას, მოყინული ბეჭის სინდრომს, შაკიკს, სქოლიოზს, კიფოზს, ლორდოსს, ტკივილებს, ქირურგიულ ოპერაციის შემდგომ და ასე შემდეგ. შინაგანად მოწოდებული ვარ დავეხმარო ჩემს პაციენტებს, რათა შეინარჩუნონ ტკივილისგან თავისუფალი ცხოვრების სტილი. მის. ალმასენებლის 93. ტელ: 555 78-17-07, 599 24-75-76 ბ-ნი გიორგი

ვმკურნალობ პოტენციის დაქვეითებას და ნაადრევ ეაკულაციას. სრული ანონიმურობით, დიაგნოსტიკით, ლაბორატორიული კვლევით. მის. ლუბლიანას 5/ა (ყოფ. რკინიგზის საავადმყოფო დიღომში). ექიმი სექსოპათოლოგი არკადი. ტელ: 577 43-25-13, 579 13-13-13, 295-77-44 (მიმღები)

## იყიდება

იყიდება პიკაპი ფორდი-150, 2000 წლიანი, ძრავა 4,6 ბენზინი, უყენდება ნებისმიერი თაობის გაზის აპარატურა, დიდი ტევადობის და ტვირთამწეობის (2,5 ტონა), სალონში არის 3 ადგილი, მანქანა ტექნიკურად სრულად გამართულია, გარეგნულად აქვს რამდენიმე ვიზუალური დეფექტი. მანქანა ძალიან კარგია სოფელში მოსახმარად. ფასი 4500$. ტ. 597-12-77-85

ხელილის ნამყენი ნერგები: ალუჩა, ალუბალი, ატამი, ბალი, ბროწეული, გარგარი, კომში, კარალიოკი, კაკალი, მსხალი, ვაშლი, ხურმა, ქლიავი, ნუში, ზღმარტლი, ტყემალი, შინდი, უნაბი, თხილი, ვარდები და ვაზები. მის: სანერგე მეურნეობა (თბილისის ზღვასთან). ტელ: 599 16-93-15

3-სართულიანი 300კვმ ფართის კაპიტალური, ახალ აშენებული სახლი, ევრორემონტით, სიგნლიზაციით, 2 აბაზანა-ტუალეტით, 70კვმ ფართის ვერანდით, აივნით, საუკეთესო ხედით, 400კვმ ფართის ბაღით, პალმით, მარადმწვანე ბალახით, კაპიტალური, 50კვმ ფართის სარდაფით. მის: ნაძალადევის რაიონი, საჭილაოს ქუჩა. ტელ: 595 25-68-53

ორთოპედიული დასაჯდომი ბალიშები მძღოლებისათვის, ოფისის მუშაკებისათვის, პროგრამისტებისათვის – მათთვის ვინც დღეს მჯდომარე მდგომარეობაში ატარებს 3-4საათს. ზომა 40X40სმ. აწესრიგებს სისხლის მიმოქცევას, ახდენს კონდინცირებას, გამოიყენება ბუასილის, პროსტატის, უშვილობის პროფილაქტიკისათვის. ბალიში არ იწვევს ალერგიას და გამოიყენება ასთმით დაავადებული ადამიანებისათვის. კომფორტულია მთელი დღის მანძილზე და არ იწვევს დაღლას. ტელ: 593 96-50-32

იყ. სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, ინდივიდუალური ყურის ჩასართით, აგრეთვე ტელევიზორის მოსასმენი სპეციალური მოწყობილობა ყველასათვის მოსახერხებელი, განსაკუთრებით სმენადაქვეითებულთათვის. აქვე წარმოებს სმენის, წნევის აპარატების და ინგალატორების (ნებულაიზერების) შეკეთება. ტელ: 294-67-96, 599 27-38-99, 8790 95-96-22 (11-15სთ)

იყ. ყველა სახეობის, საუკეთესო ჯიშების ხეხილის ნამყენი ნერგები. უწამლი ვაზები, ნამყენი და ხეივნის ვარდები. კაკალი, ნუში, თხილი, უნაბი, ვაშლატამა, კიპარისი, ტუია და სხვა. მის: თბილისის ზღვა, სანერგე მეურნეობა. ტელ: 555 60-65-84; 599 46-90-55

**„ერაძის სავარძელი"**



ხერხემლის სნეულებათა სრული რეაბილიტაცია მსოფლიოში პირველად და მხოლოდ საქართველოში, უწამლოდ და უოპერაციოდ, უსაფრთხოდ და საბოლოოდ - კისრის, გულ-მკერდისა და გავა-წელის ოსტეოქონდროზი, პროთრუზია, თიაქარი, სქოლიოზები, კიფოზები, ნერვრალგიები. ინჟინერული კლინიკა GEOIN. კოსტავას 71; 577-42-07-18

## სხვადასხვა

**საქართველოს ნოტარიუსის შორენა ხარაიშვილის საჯარო განცხადება მამკვიდრებლის გარდაცვალებისა და სამემკვიდრო საქმისწარმოების გახსნის შესახებ**

„სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის 85-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 87-ე მუხლის შესაბამისად ვაქვეყნებ შემდეგი შინაარსის ინფორმაციას საჯარო პუბლიკაცის გზით:

1. ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშანებლის გამზირი №116, გახსნილია სამემკვიდრეო საქმისწარმოება 1997 წლის 28 მაისს გარდაცვლილი გიორგი მიხეილის ძე ბეგალიშვილის სამკვიდრო ქონების მიმართ მისი კანონით მემკვიდრეების მარინა და ლალი ბეგალიშვილების განცხადების საფუძველზე.

2. სამკვიდროს მიღებაზე უფლებამოსილმა ყველა პირმა (მათ შორის 1989 წლის 26 ივლისის ანდერძით გათვალისწინებულმა არჩილ კარლოს ძე ფასუაშვილმა) განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ უნდა წარადგინოს ჩემს სანოტარო ბიუროში აღნიშნული განცხადების პირველი გამოქვეყნებიდან ოცდაათი კალენდარული დღის ვადაში.

**„ჩემი გვერდის" პასუხები**

**„ლაბირინთები"**

ა) დილა; ქარი; დარი; ელვა.

ბ) კარი; ნოხი; დანა; ჭერი.

**მუსიკალური რებუსები:**

**ჯამი; რემა; ფატა; ლოსი; კალამი; დომინო.**

**ერთნაირი გოგონები:**

1. ბ) ; დ) .
2. ა) ; დ) .
3. ა) ; გ) .

**მხიარული არითმეტიკა:** 3.

### ანდრო (ანდრეი) ტოლსტოის და ვენერა კუკულაძის ტკივილიანი გახსენება




ჩვენო ანდრიუნა, შენს სულს და შენი მღიმარე სახ-ის გახსენებას ვე-ნაცვალეთ, იმდე-ნად ტკივილიანია ჩვენთვის შენი ასე-თი კურიოზული წასვლა. ამ განცხ-ადების გაკეთება-ზეც თავს ვიკავებ-დით, როგორი შეფუთულიც ჩამოგიყვანეს, საუბედუროდ ისეთივე გაგისტუმრეთ ამქვეყნიდან, რომ ვერ გნახეთ. კიდევ არ გვინდა გავითავისოთ და შევეგუოთ მწარე სინამდვილეს, რომ მართლა წახვედი ჩვენგან, ჩვენო ერთადერთო იმედო. როგორ გიმუხთლა ბედისწერამ. მოსკ-ოვში წახვედი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესე-ბლად და თვენახევარში ჩამოსასვენებელი გახდი. არ გვინდოდა შენი წასვლა სახლიდან, მაგრამ ამხელა ქალაქ-ში არ გამოიძებნა შენთვის სამსახური. ამ პრობლემამ მიგაღებინა გადაწყვეტილება, წასულიყავი ელემენტარუ-ლი პირობების შესაქმნელად, რამაც გაიძულა დროებით აქ დაგეტოვებინა შენი მოსიყვარულე ცოლ-შვილი. ორი კვირის წასული იყავი, შენი მოსიყვარულე და გამზრდე-ლი ბებიის დასაფლავებაზე რომ ვერ მოახერხე ჩამოსვ-ლა და ამას ძალიან განიცდიდი. ოცდაცხრა დღის შემ-დეგ კი შენც ბებიის გზას დაადექი და დამწვარზე მდუღარე გადაგვასხი. მანდ მაინც თუ შეხვდით ერთმა-ნეთს, ჩვენო საფიცარო. ძნელია 29 დღეში ორი უძვირ-ფასესი და უსაყვარლესი ადამიანის — დედის და შვი-ლის გარდაცვალება, გაუსაძლისია ჩემი ყოფა. დედა დედაა, მაგრამ შენ ყველა გვერდზე ჩამოიტოვე. შენს ტკივილს არაფერი შეედრება. მკვდარია გული, მენატრე-ბი და მელანდები. საღამოს ტელეფონი დარეკავს თუ კარზე ზარი, სულ შენ მგონიხარ. შენი სამი წლის შვილი დაგეძებს. ჩემი მამიკო მომიყვანეთ, მომენატრაო. მაგას ხომ ჯერ არაფერი არ ესმის, მაგრამ ახსოვს და იგონებს, ეს სათამაშო ჩემმა მამიკომ გამიკეთა, ჩემი მამიკო ასეთნაირად მეთამაშებოდა და სხვ. სულ მამიკო, მამიკოთი მოგიხსენიებს. დაღონებული და სიტყვაგამ-შრალია შენი ცოლი. ის ხომ არ არის მიჩვეული დამოუკიდებლად ყოფნას და უჭირს ძალიან უშენობა, ჩვენთვის პირადად უშენოდ სიცოცხლეს აზრი აღარა აქვს, შენ იყავი ჩვენი ყველაფერი, როგორც იმედი, ასევე სიამაყე. შენით ვხარობდით და ვამაყობდით, მაგრამ ვაი რომ ყველაფერი — შენი სიხარული და შენით ჩვენი გახარება ხანმოკლე აღმოჩნდა. ეხლა გინდოდა და გიხ-აროდა ყველაფერი. წინა დღეს თაკოს დაურეკე და ახ-არე, — ჩვენი ოცნებები ასრულდება, ყველაფერი ისე კარგად აეწყოო, და მეორე დღეს შენი სიკვდილი გაგვაგე-ბინეს. ვაი, იმ დღეს! ქვეყანა თავზე ჩამოგვემხო. ძნელია ჩვენთვის, მაგრამ ვლოცულობ სულ. რაც კი ამქვეყნად დაგაკლდა, სიხარული და სიყვარული, მანდ მაინც იყავი მშვიდად. მანდ მაინც იხარე და შეივსოს შენი სული და გული სიხარულით. გაუსაძლისია ჩვენი სიცოცხლე შენს გარეშე, მაგრამ ყველაფერი განგების ნება ყოფილა. ვე-რანაირი დრო ვერ გააიოლებს შენს წასვლას ჩვენგან. ჩვენთვის აღარ არსებობს არანაირი დღესასწაული. ძნე-ლია 27 თებერვალიც უშენოდ. ჩვენ სულ შენთან ვართ და შენზე ვლოცულობ და გელაპარაკები, ამით ვინუგ-ეშებ თავს. უშენობა სასჯელია ჩვენთვის. მეტი რა დაგვრ-ჩენია, ღმერთმა ცათა სასუფეველში დაამკვიდროს შენი ლამაზი სული, ჩვენო ბიჭო. შენ და ბებია მოეფერეთ ერთმანეთს. თქვენ ძალიან გიყვარდათ ერთმანეთი. აღარაფერს ვამბობთ ადრე წასულებზე. თქვენი სულის გასანათლებლად დაგინთებთ სანთლებს და მუხლმო-დრეკით შევთხოვ უფალს თქვენს კეთილ სულებს დაუმკვიდროს ბინა, სადაც მართალნი განისვენებენ.

*ცრემლიანი მშობლები*

### ზაქრო ჯანჯიბუხაშვილის მონატრება



„შენი სიცოცხლე ქარიშხალს ჰგავ-და, მეხის გავარდნას ჰგავდა სიკვდილი!" ვინ წარმოიდგენდა თუ ასე უდროოდ მიგვატოვებდი. 45 წელი ხომ ბევრი არ არის. რა იქნებოდა ცოტახ-ანს კიდევ გეცოცხლა და გაგეხარა შენს პატარა ოჯახში. შენ ხომ სიკე-თისა და სიყვარულისთვის იყავი და-ბადებული. ზაქრო, 27 თებერვალს 46 წელი შეგისრულდებოდა, ეს მტკივ-ნეული და ცრემლით სავსე, პირველი დაბადების დღეა უშენოდ. მონატრებაზე ძნელი და სიკვდილზე შემზარავი არაფერი ყოფილა. უზომოდ გვე-ნატრები და გვიჭირს შევეგუოთ უშენობას. შენი ცხ-ოვრების უმეტესი ნაწილი ემიგრანტობაში გაქვს გა-ტარებული. ამ განშორებას ძალიან განიცდიდი პირადად შენ და რა თქმა უნდა შენი საყვარელი მშობლებიც, მაგრამ ეს განშორება სულ სხვაა... შენი მშობლები ამაოდ ელოდებიან შენგან ტელეფონის ზარს. ცრემ-ლიანი და ტანჯული სიბერე არგუნე მათ.

შენს „პატარა ოჯახს" დაუტოვე უდიდესი ტკივილი და მონატრება. მიატოვე საყვარელი მეუღლე და შენი პატ-არა ვაჟკაცი თორნიკე, რომელიც მუდამ იამაყებს შენით. ვინც ახლოს გიცნობდა, ყველამ იცის, რომ შენ იყავი სამაგალითო მეუღლე, მამა და მეგობარი. შენ მუდამ დარჩები ჩვენს მეხსიერებაში, როგორც მაღალი ფასეუ-ლობების, ღირსების, ჰუმანიზმისა და პატიოსნების ნათე-ლი მაგალითი. მსუბუქი იყოს შენთვის ქართულ მიწა. თვალცრემლიანნი, ასობით წმინდა სანთელს ავანთებთ შენს საფლავზე და ვილოცებთ, რომ მშვიდად იძინო მარადიულ სასუფეველში, სადაც მართალნი განისვენებენ.

*შენი ოჯახი*

### ეთერ ჯავახიშვილ-ბაცაცაშვილის მონატრება



ცათა სასუფეველში გილოცავ და-ბადების დღეს, 22 თებერვალს, ჩემო ეთო! შენ მოგიკვდეს დეიდა, შენ შე-მოგევლოს ჩემი სიცოცხლე, ჩემო პირველო დიდო სიხარულო, ბოლოს კი დიდო ტკივილო.

რომ იძახიან „დრო ყველაფრის მკურ-ნალიაო", არ დაიჯეროთ, პირიქით, უფრო და უფრო გვენატრები, ჩემო ეთო. როცა შენს შვილებსა და შვილ-იშვილებს ვუყურებ, შენმა დაბრუნებამ, მათ წინ შენ დგახარ, ჯერ შენ გხედავ და მერე მათ. 4 შვილიშვილის ბებია ხარ. შენი სურათებით გავაცანით შენი თავი, ჩემო ფიზიკურად და სულიერად ლამაზო გოგო, ეთო ბებო. განსაკუთრებით აკლიხარ შენს გიორ-გის, რომელიც ჯერ კიდევ დასაოჯახებელია და რა იქნე-ბა სიზმრად მას მაინც მოევლინო და დაარიგო, როგორ მოიქცეს. იმედია შეხვდებოდი შენს საყვარელ მამას, რომელ-იც დაწვრილებით მოგიყვებოდა შენი შვილებისა და შვილ-იშვილების ამბავს. შენ იმდენად კეთილი იყავი ყველას მიმართ, ჩემო ეთო, რომ მწამს და მჯერა, შენ უფალთან ხარ. ღმერთსაც ხომ რჩეულები უყვარს. ნათელში იყავი და უფალი ჰფარავდეს შენს სპეტაკ სულს. გიხსენებთ მარად!

*დედა, დეიდა, შვილები, შვილიშვილები, ძმისშვილები, ყველა ვინც კი გიცნობდა.*

### ქეთევან ლომთათიძე



მოგვენატრე ქეთინო მასწავლებელო, ძალიან მალე მოგვენატრე! ალბათ იმიტ-ომ, რომ ვიცით, ამ მონატრებას საზღვარი არა აქვს... რას ვიზამთ, დროს ვერც შევცვ-ლით და ვერც შევაჩერებთ, მაგრამ ხშირ-ად გავიხსენებთ გაკვეთილებს, როცა გის-მენდით და სიამაყე გვემატებოდა, რადგან ვერაფერი შეედრებოდა მძივივით აკინძულ, დახვეწილ, თქვენეულ ტკბილ ქართულს!.. გვიყვარხარ, ქეთინო მასწავლებელო და გვინდა თქვენს ლამაზ სულს სჯეროდეს, რომ ეს ყველაზე მართალი და ალალი გამხელაა! ერთხელ ბოძებული სიცოცხლე კი სწორედ ისე უნდა გალიო, როგორც თქვენ მოახერხეთ!

*137-ე საჯარო სკოლის 2007 სასწავლო წლის XIბ კლასელები*

### ოთარ ტლაშაძის მონატრება



ოთხი თვალცრემლიანი წელი, ჩემო საყ-ვარელო ოთარ, უშენოდ ვართ, შენი ოჯახი, ახლობლები. უტკბილესო, კეთილო, ყველა-სათვის საყვარელო და კარგო. მინდა ხმამა-ღლა ვიყვირო — მენატრები! მენატრები და გეძებ! იძახიან, — ყველა ადამიანს თავისი ორეული ჰყავსო და გეძებ, მაგრამ ვეღარ მოგკარი თვალი. ვტირი, გიხსენებ, ვლოცუ-ლობ შენი სულისათვის.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი ლამაზი, კეთილი, უმანკო სული. ჩვენთვის ყოველთვის სანატრელო, საყვარელო, ლამაზო ოთარ.

*შენი ოჯახი*

### მაყვალა სამხარაძე-ყიფშიძის მონატრება



ჩემო მაყვალა! 28 თებერვალს — შენს დაბადების დღეს, უშენოდ ვხვდებით, ცრემ-ლით, დარდით და უსაზღვრო მონატრებით. ჩემო მაყვალა, ბევრი სიკეთე, სიყვარული და სითბო დაგვიტოვე. კარგი ადამიანები მუდმივ სასუფეველს იმკვიდრებენ იმქვეყ-ნად. ეს გვანუგეშებს, რომ შენი ფაქიზი სული ზეცაშია და იქიდან გვლოცავს. ღმ-ერთმა ნათელში გამყოფოს და ჩვენს მიერ დანთებული სანთლები გზას გინათებდეს სამუდამო სასუფეველში. შენს დაბადების დღეს ცრემლით და ყვავილებით მოვალთ შენს საფლავთან, დაგინთებთ სანთლებს, რომ მოგილოცოთ 60 წლისთავი. მუდამ გვახსოვხარ ყველას, ძალიან გვენატრები ჩვენო საყვარელო და ლამაზო გოგო.

*შენი რძალი მარინა ჯაფარიძე*

### მერი ფიროსმანიშვილი-ნიკვაშვილის გახსენება



ოთხი წელი გავიდა, რაც ჩემი მხედ-ველობის მიღმა აგრძელებ სულიერ ცხ-ოვრებას. მაგრამ მაინც რეალობას თვალს ვერ ვუსწორებ. მართალია, სიკვდილმა 100%-ის ალბათობით დაბლოკა ჩვენი მე-გობრობის არსებობა, მაგრამ მე მჯერა, რომ ჩვენი ერთად ცხოვრების წარსული, ყოველთვის გადაწონის აწმყოს. ჩემი საკუთრების „დეკლარაციაში" ოთხი წე-ლია რაც აღარა სწერიხარ. შენ უკვე უფლის ნათელი გმოსავს და მაღლა ზე-ციდან დაჰყურებ ჩემს უკიდეგანო წუხილს გულისას. შენ იყავი თბილი, კეთილი, სტუმართმოყვარე და ოჯახის დიდი მოყვარუ-ლი. ყოველი საუკეთესო თვისება, რაც ადამიანშია, შენს პიროვნებაში იყო თავმოყრილი. შენ ყველა გაჭირვებული გეცოდებოდა, როგორც იშვიათი, ამაღლებული სულის პატრონს. მაგრამ ეს ასე არა ყოფილა. სიკეთის მთესველმა სიკვდილი ნაადრევად მოიმკე. ჩვენ ორთაგან, სიკვდილის პირველი სამიზნე მე ვიყავი, მაგრამ სიკვდილი ამჯერად შესცდა. „ჯერ მე, შენ არასდროს", აი ასეთი დევიზით უნდა ემსჯელა, მაგრამ სიკვდილს ქარავანი მაინც თავისი გზით მიჰყავს.

გჯეროდეს, რომ შენს სულსა და ხსოვნას არასოდეს მიადგება ჩრდილი, მეც მჯერა ერთის, ეს რწმენაა სულის უკვდავების და არსებობის. ვანთებ სანთლებს და შევთხოვ უფალს, რომ დაუმკვიდროს ლამაზი სული სასუფეველში ჩემი ცხოვრების 50 წლის მეგობარს, მერი ფიროსმანიშვილს.

*შენი მეუღლე*

### თინათინ ბალხამიშვილის ხსოვნა



ჩვენო დიდო ტკივილო თინა, უკვე მე-5 - დშევხვდით შენს დაბადების დღეს უშენ-ოდ, რომელიც აღვნიშნეთ გულის ტკი-ვილით და ცრემლით. შენი წასვლით დაგვი-ტოვე მოურჩენელი ტკივილი, რასაც უშე-ნობა და შენი მონატრება ჰქვია. ბავშვები ხშირად გიგონებენ. მოვდივართ შენს საფლავზე და როგორც ცოცხალს, ისე გეფერებით. ვლოცულობთ შენი სულისთვის, იძინე მშვიდად, ჩვენო მოამაგე და ყველა-სათვის თავდადებულო. ჩვენ ვერ დაგი-ფარეთ მუხანათი სიკვდილისაგან. დაე, უფალმა და ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს ცათა სასუფეველი.

*შენი დები და დისშვილები*

### ლაშა ჩხაიძის ტკივილიანი მონატრება



„არ დავიჯერებთ, რომ აღარა ხარ"
„შენი სიცოცხლე ქარიშხალს ჰგავდა,
მეხის გავარდნას ჰგავდა სიკვდილი"

ვინ იფიქრებდა სრულიად ჯანმრთელი, სიცოცხლის სავსე 29 წლის ასაკში, სამუდამოდ გაიხურავდი შენი ოჯახის კარს და უკან აღარასოდეს დაბრუნდე-ბოდი. წახვედი და დაგვიტოვე სამუდა-მო ტკივილი და მონატრება, რომელიც არაფრით ნელდება.

23 თებერვალს 32 წლის გახდებოდი...

უკვე 3 წელია ზეციურ სამყაროში ხვდები შენს დაბადების დღეს. ჩვენ კი თვალცრემლიანნი, ასო-ბით წმინდა სანთელს ავანთებთ შენს საფლავთან და ვილოცებთ, რომ მშვიდად იძინო მარადიულ სასუფეველში, სადაც მარ-თალნი განისვენებენ.

„იმქვეყნიური გწამდეს ცხოვრება,
ამქვეყნიური წარმავალია".

გვენატრები... გვენატრები... გვენატრები უზომოდ.

*რიმა, კოტე, შოთიკო*

### ოთო ჯებაშვილის ხსოვნა



გავიდა ტკივილიანი ოთხი წელი. 1-ლი მარტი შენი გარდაცვალების დღეა, 30 მარტი კი დაბადების. როგორ გიხარო-და სიცოცხლე, რომელიც მხოლოდ 33 წელს ითვლიდა, წახვედი და დაგვი-ტოვე უზომო მწუხარება, მონატრება და სევდა. ძალიან ძნელია უშენობა, სულ შენ ხსენებაში ვართ შენი მეგო-ბრები და თანამშრომლები. რამდენი რამ გვაქვს გასახსენებელი. შენი სიკეთე და ყველას მიმართ გვერდში დგომა. 1-შიც დ 30-შიც ამოვალთ შენ საფლავზე და ყვავილებით და სანთლებით შევამკობთ შენ სამარადისო სა-სუფეველს. ღმერთს ვევედრებით ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული. ჩვენ მიერ დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს მარადი-ული სასუფეველი.

*ბიძა რომან კვირკველია*

### ია ნოზაძის გახსენება



ჩვენო საყვარელო დედა, 40 ტკივილიანი დღე მიილია უშენოდ, შენი დაბადების 80 წლისთავი უნდა აღგვენიშნა, მაგრამ არ დაგვ-ცალდა. 18 იანვარს შენმა სულმა ზეციურ სასუფეველში დაიმკვიდრა ადგილი, 21 წლის წინ გარდაცვლილ მამასთან, შენს ოთხ და-ძმასთან და საყვარელ სიძე გივისთან ერთად. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. გვიჭირს უშენოდ. შენ ძალიან ძლიერი, უღალატო, თავდადებული, შესანიშნავი მეუღლე, დედა და ბებია იყავი. 16 წლის იყავი, როდესაც მამამ მოგიყვანა სოფელ ფონაში. მის შემდეგ ქმარ-შვილის ერთგულებაში, დიდ შრომაში, დაუზარე-ბლად და პირნათლად გაატარე მთელი ცხოვრება, ბოლოს ჯანმრთელობამაც გიმტყუნა. შენ ხომ სოფლის ექთანი და ერთგული მეზობელი იყავი. გმადლობ, ჩემო ძვირფასო ადამიანო, შენ მიერ უხვად გაცემული სათნოებისა და მზრუნველობი-სათვის, შვილებზე, შვილიშვილებზე, ნათესავებზე, რომლებიც ჩვენთან ერთად განიცდიან ამ დიდ ტკივილს. გმადლობ, რომ ფიზიკური დაშორების ჟამს, სულიერად კვლავ ჩვენს გვერდით დგახარ და ტკივილს გვიმსუბუქებ. მადლობა ქვეყნის შემოქმედს შენი ამქვეყნად მოვლენებისათვის, შენი ლამაზი სულის უკვდავ-ებისა და მარადიულობისათვის, ჩემო სათნო და საყვარელო დედიკო. ვილოცებთ შენი წმინდა სულისათვის, ჩვენმა დანთე-ბულმა სანთლებმა გაგინათოს გზა სამოთხისაკენ.

*შვილები*

### ეველინა ჯობაძის ტკივილიანი მონატრება



ჯერაც გაოგნებულები ვართ... მოუშუშებე-ლი ტკივილი თავს გვახსენებს. 24 თებერ-ვალს შენი გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეა. გავიდა დიდი გულისტკივილისა და უკიდეგანო მონატრების 40 დღე. ძნელია უშენობასთან შეგუება. როგორი მწარეა რე-ალობა, საშინლად გვაკლიხარ. მონატრე-ბასთან დრო უძლურია, იგი დროის პირდა-პირპროპორციულია და ვიცით, რაც მეტი დრო გავა, უფრო გამძაფრდება მონატრება.

უახლოესი მეგობრის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი არ შუშდება, მას ხანდაზმულობის ვადა არა აქვს. ჩვენო ეველინა! შენი გარდაცვალებით ძალიან ახლოს მოვიდა სიკვდილი ჩვენ-თან; ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს სამეგობროში შემოაღწია შემოდგომის სუსხმა და დაიწყო ფოთოლცვენა. უფლის ნებას ჩვენ წინ ვერ აღვუდგებით, როგორი უძლურები ვართ, როგორი უსუსურები.

მუხლმოდრეკით ვთხოვთ უფალს, შენს კეთილ, უბოროტო სულს დაუმკვიდროს ბინა იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. ჩვენ კი, სანამ შენი ხსოვნის სადარაჯოზე დგომას დაგვაცლის გამჩენი, აქედან ლოცვას და სანთლებს არ მოგაკლებთ.

ამით უკვდავყოფთ შენს ხსოვნას ჩვენს გულებში. ცრემლიანი თვალებით მოგიგონებთ მუდამ! ყოველთვის მოგვენატრები!

კურთხეულ იყოს ეს მონატრება!

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!

გწამდეს, რომ ჩვენ არასოდეს დაგივიწყებთ!

*შენი მოულოდნელი წასვლით გულდაწყვეტილი მეგობრები: თინათინ ჭანტურია, ლილი მაქაცარია, მიმოზა გაბუჩია, დალი ჟვანია*

### „ხსოვნას შერჩება ათასში ერთი" ეძღვნება ჩვენი სულიერი ძმის — ვახტანგ (ვათა) გაბელიას ნათელ ხსოვნას



„და ჩემი სული, როგორც სანთელი,
საკუთარ სხეულს წვავს და ანთია"...

ვახტანგ, ჩვენო სულიერო ძმაო, უკიდეგანო სევდისა და ტკივილის აღმძვრელი აღმოჩნ-და ჩვენთვის შენი წუთისოფლიდან გასვლა. „ნათლით მოსილი გონებით" აგვანთებდი და გვხიბლავდი შენი თავმდაბლობით, ერთ-გულებით, ზნეობრივი პრინციპებით. ჩვენი ბავშვობა, ყრმობა, სიჭა-ბუკე და დავაჟკაცება ერთად მოხდა. შენ თბილისიდან ჩამოდიო-დი, ჩვენ — სოხუმიდან და სიყვარულით ვავსებდით ერთმანეთს სამეგრელოს ულამაზეს ბუნებაში; შემდეგ სოხუმის ტრაგედია და... ჩვენი მასპინძლობაცა და პატრონობაც შენ დაგეკისრა. ჩვენ, ერთად, ღირსეულად გავიარეთ ეს ურთულესი წლები. კარგად იცოდი, რომ ადამიანს ვერც ერთი კაცი ვერ მისცემდა იმდენ სიკეთეს, რამდენსაც მისი ვალის ასრულება, ამიტომ იყავი საქმისადმი გულმოდგინე. გსურდა ღმერთიც მადლიერი გყოლოდა და კაციც. ხშირად იმეორებდი ვაჟას სიტყვებს: „ნეტავი იმას, ვისაც კი, მადლიერი ჰყავს ქვეყანაო". ამ ურთულესი მისიისთვის ილვაწე და აღასრულე კიდეც შენი სულიერი მისწრაფება — შენს იდეას ფრთა შეასხი და შენი გამოცემული უნიკალური ალბომი „საქართვე-ლოს სულიერი საგანძური" ამშვენებს ათონის, სინას მთის წიგნთ-საცავებს, აგრეთვე კვიპროსის მუზეუმს. ეს გხიბლავდა და ახა-ლი სიცოცხლით გავსებდა. შენი საქციელით აღადგენდი ხოლმე მიწიერ სამართლიანობას და სულიერ ასპექტშიც ამგვარად გსურდა მოქცევა. სიმშვიდითა და სიყვარულით მოიპოვებდი უდიდეს გამა-რჯვებას, რაც ყოველგვარ მატერიალურზე მეტად გახარებდა.

ვათა, ძმაო, შენთვის არაფერი ადამიანური უცხო არ ყოფილა, გარდა პატივმოყვარეობისა და სულიერი სიმდაბლისა. ხანდახან უგუნებობა და აუხსნელი სევდაც შემოგაწვებოდა — არ გსურ-და სხვათა განკითხვა. მთელი სიცოცხლე უხმაუროდ იცხოვრე, თითქოს განდეგილივით, ეს ასე არ იყო. შენ საკუთარი რწმენით დგამდი ნაბიჯს. მთელი სოფელი საკუთარი ღვიძლივით გიყვარ-და, თავს ვალად სდებდი მათზე გეფიქრა.

შენ წარმოგაჩენდა შენი სიტყვა, საქმე, ფიქრი, სხვათა შეფასება. ჭეშმარიტ ღირსებას ყვირილი არ უნდაო, — ხშირად გითქვამს ჩვენთვის. მით უფრო სასახელოა, რაც უფრო მდუმარეა. სიყ-ვარულს, სიკეთეს, სათნოებას მალვა უნდა, რომ ადამიანთა ქებით და სახელის მოხვეჭით, უფრო დიდი სასყიდელი არ დაიკარგოს! ჩვენ ის გვამშვიდებს, ვახტანგ, რომ სიცოცხლე მარადიული არ არის. ის, რაც გარდაუვალია, არ შეიძლება საშიში იყოს. და საიდანაც ტირილით მოვედით, იქ ტირილით დაბრუნება არ ეგების. თითქოს სიკვდილით ყველაფერი თავდება, ეს ასე არ არის: „უკეთუ მოკვდეს მრავალი ნაყოფი გამოიღოს". ვახტანგ, ძმაო, შენი სულისთვის სიცოცხლე გრძელდება!

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო საღმრთო რაინდო!

*ვახტანგ და კოტე გოგინავები*
*2013 წლის 25 თებერვალი*

### პაატა (პეტია) ჯავახაძის მონატრება



2009 წლის 1 მარტს მეხის დაცემას ჰგავდა შენი უცაბედი სიკვდილი. 4 წე-ლია რაც წახვედი ამ წუთისოფლიდან, ძნელია უშენობა, რომელმაც დიდი ტკივილი, სევდა და მწუხარება მოგვიტანა. გამო-სავალი კი არაფერშია, მხოლოდ ღმერთი გვაძლევს ძალას და მოთმინებას. უსაშვე-ლო მონატრება ხარ შენი ცოლის და შვილისათვის, მშობლებისათვის, შენი ძმისთვის და შენი ბიძების და ბიძაშვილებ-ისათვის. იმ ახლო ნათესავებისთვის, რომ-ლებიც თბილად გიგონებენ. შენს შემდეგ თავზარდამცემი იყო ჩვენი მარინას თამუნას გარდაცვალება, რომელსაც შენსავით პატარა გოგონა დარჩა ყველა ახლობლის იმედად. ნათელში იყოს თქვენი სული, ასევე შენსავით ავტოა-ვარიაში დაღუპული თბილისელი მეგობრის, თემურის სული, რომლის დეიდა, ქალბატონი ცისანა ხშირად ჩამოდის შენი საფლავის და ჩვენთვის ნუგეშის მოსაცემად.

რეალობას ვერსად გავექცევით და გვინდა თუ არ გვინდა, ცხოვრების ბოლომდე ყველამ ამ ტკივილით უნდა ვიაროთ. ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია, ვილოცოთ. უფალმა ნათელში ამყო-ფოს თქვენი ლამაზი სულები.

*შვილი ანეტა, ბებია-თამარი, ლილი, მშობლები ლარისა და მურთაზი, ძმა ალეკო ჯავახაძეები*

### ნელი ბაბუნაშვილის გახსენება



„ადამიანის სიცოცხლე საფლავთან რომ თავდებოდეს, ერთობ ღარიბი იქნებოდა წუთ-ისოფელიო", უთქვამთ ჩვენს წინაპართ. დიახ, უფროსი თაობისთვის „ჩვენი ნელი", მოწა-ფეებისთვის — „ქალბატონი ნელი", იმ ად-ამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ამდიდრებენ წუთისოფელს და გარდაცვალებ-ის შემდეგაც სითბოს, სიკეთეს და მადლს ტოვებენ ამქვეყნად დარჩენილთა საზრდოდ და სალხენად. ჩვენ დღეს ყველას, უფროსებსაც და უმცროსებ-საც, ერთი სახელი გვაერთიანებს — თქვენი კოლეგები გვქვია და ამაში უზომოდ დიდია თქვენი დამსახურება, როგორც კათედრის ხელმძღვანელის, როგორც პროფესორის და როგორც პიროვნუ-ლი ღირსებებით შემკული ადამიანისა. ამქვეყნიური ცხოვრე-ბიდან წასვლის შემდეგ უფრო მეტად გამოჩნდა თქვენი ნაშრომ-ნაღვაწი, რომელიც კათედრის თითოეულ წევრზე ნაწილდებოდა და ახლა სანთელ-საკმევლად გაგიძღვებათ იმქვეყნად მიმავალ გზაზე. დღეს ყველა იხსენებს მისთვის გაკეთებულ სიკეთეს და თითოეულ ჩვენგანს ჰგონია, რომ მასზე მეტს ზრუნავდით, მისთვის მეტს აკეთებდით, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თქვენს განუმეორებელ ბუნებას, რომელიც მაგალითად გამო-ადგებათ შემდგომ თაობებს. თქვენ სიყვარულითა და სიკეთით იცხოვრეთ, რადგან სხვანაირად არ შეგეძლოთ; ეს იყო თქვენი სულის გამოძახილი, ყოველდღიური ცხოვრების წესი, რითაც საზრდოობდით და სხვებსაც ასაზრდოებდით.

გარდაცვალება გარდაუვალი, თუმცა ძნელად შესაგუებელი კანონზომიერებაა. ამ დროს ერთადერთი შვების მომგვრელი შეიძლება იყოს „ხორცთ ნაქნარი", რომელიც „სულს მიუძღვის". თქვენი ცხოვრების გზა საამაყოდ დარჩებათ არა მარტო თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს, არამედ ყველას, ვინც თქვენ გვერ-დით და თქვენი ხელმძღვანელობით მუშაობდა. ეს გახსენება მადლიერების გამოხატვის მოკრძალებული სურვილია მხოლოდ, რადგან სიცოცხლეში ამას ვერ გეტყოდით.

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი*

### ვაჟა კოპალეიშვილის ცრემლიანი მონატრება






მეშვიდე წელია, რაც შენ არა ხარ. ძნელია ჩემთვის იმ 23 მაისის გახსენება. იმ დღეს შენი კეთილი სული სამუდამო სასუფეველ-ში გადავიდა. შენმა მოულოდნელმა გარ-დაცვალებამ ყველას გული გვატკინა. წახ-ვედი და დაგვიტოვე ცრემლიანი მონატრება და გულისტკივილი. შენ ყოველთვის თავა-ზიანი და ყველას ხელის შემწყობი და თანამდგომი იყავი. უშენოდ ლხინი არ იმა-რთებოდა ჩვენს უბანში. ჭირში გვერდით უდექი ყველას. ძალიან განიცდიან უშენობას შენი მეუღლე ლაურა, შვილები მაკა და კახა, სიძე კობა, რძალი ინგა, შვილიშვილი-პატარა ანა, დები ნელი და თარი. განსაკუთრებით განიცდის ნელი, რომელსაც დღისით და ღამით თვალწინ უდგეხარ, ჩემო ერთადერთო, საფიცარო შვილივით გაზრდილო ძმაო ვაჟა. ვტირი შენთან ერთად ჩემს საყვარელ დედიკოს, რომელიც 21 წელია წავიდა ამქვეყნიდან. ახლა შენს გვერდით იმყოფება. ტრაგიკულმა შემთხვევამ წაგვართვა შენი დისშვილი მამუკა. უკრაინის ველზე ავტოავარიით დაიღუპა. აღარ არიან ირაკლი, ოქრო. მსუბუქი იყოს ის მიწა, რომელიც გულზე გაყრიათ.

*დები ნელი და თარი*

### მამუკა ვარაზანაშვილის მონატრება



კვლავ ცრემლიანი, ტკივილიანი 27 თებერვალი, შენი დაბადების დღე უშენოდ. ჩვენთვის ეს დღე შენი მონატრების დღეა. მამუკა, ძალიან გვენატრები, ენატრები გამწარებულ დედას, რომელსაც შენს და მამას შემდეგ სიცოცხლე სასჯელად ექცა. მამუკა, მაპატიე, ძალიან ვიტანჯები და მიჭირს სიტყვების პოვნა, როცა შენზე ვიწყებ წერას. გჯეროდეთ, ჩვენ არასოდეს დაგივიწყებთ, მუდამ ჩვენს გვერდით იქნებით. უფალს შევთხოვთ ნათელში ამყოფოს თქვენი სული. დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს სა-სუფეველი.

*შენი და ანა ვარაზანაშვილი ოჯახით*

### ბეჟან კვირკველიას ხსოვნას



ძვირფასო ძმაო ბეჟან, 27 თებერვალს 47 წლისა გახდებოდი... ვერ მოესწარი. სამწუხ-აროა შენი ნაადრევი და უცაბედი წასვლა ამ ქვეყნიდან. თვალცრემლიანი დატოვე საყვარელი ოჯახი, ახლობლები. კეთილი, თბილი, ერთგუ-ლი კაცი იყავი, ამიტომ მომხსენებელიც ბევრი დაგრჩა. ღმერთმა გაცხონოს.

*ჯონი კვირკველიას ოჯახი*

### მერაბ კლდიაშვილის მონატრება



გილოცავთ დაბადების დღეს, 24 თებერვალს, ექვსი წელია ამ დღეს სასუფეველში ხვდები. შენს გამწარებულ მშობლებს დაუტოვე დიდი სევდა, მწუხარება და უსასრულო მონატრება. დრო არ ყოფილა ყველაფრის მკურნალი. შვი-ლის სიკვდილს ვერაფერი კურნავს. ამაზე შემზარავი არაფერი ყოფილა ამ ქვეყნად. რაც დრო გადის, უფრო და უფრო გვენატრები. შენ ვერავინ შეგცვლის, ჩემო კეთილო ბიჭო. შენს მშობლებს და შვილებს ძალიან აკლიხარ. შენ არავის დავიწყებიხარ და არც დაავიწყდები, იმდენი სიკეთე და სიყვარული დატოვე.

ღმერთს ვევედრებით, ნათელში გამყოფოს და ჩვენი დანთებული სანთლები გზას გინათებდეს იმქვეყნიურ სასუფეველში.

*შენი მშობლები*

### ალექსანდრე კვეტენაძის გახსენება



ამგვარ ადამიანზე წერა, მისი განუმეორებელი ღვაწლის წარმოჩენა ადვილი არ არის. ძნელია ქაღალდზე გადაიტანო შენი განცდები. განსაკუთრე-ბით ისინი, რომელიც ბავშვობის ასაკს, სკოლის აღმზრდელ-მასწავლებლებს უკავშირდება.

ალექსანდრე კვეტენაძე ზესტაფონის რაიონის სოფელ ზოვრეთის საშუალო სკოლის დირექ-ტორი იყო ოთხი ათეული წლის მანძილზე. მრავალი თაობა აღზარდა მან იმ შესანიშნავი პედაგოგიური კოლექტივის ხელშეწყობით, რომ-ლებიც მასთან ერთად მოღვაწეობდნენ ამ სკო-ლაში გასული საუკუნის 50-80-იან წლებში. ალექსანდრე მასწავლებე-ლი იყო გამორჩეული გარეგნობის, დახვეწილი ინტელიგენტი, თავისი საქმის ერთგული, სოფლის, რაიონის მშვენება და მაგალითი. იგი სიცოცხლეშივე იმკიდა გაცემულ დიდ სითბოსა და სიყვარულს. ცხ-ოვრებამ დიდი განსაცდელები და ტკივილებიც მოუმზადა, მაგრამ ვერ გატეხა. ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან, იგი გულწრფელი ცრემლი გააცილა მთელმა სოფელმა. ძვირფასო მასწავლებელო, მრავალი თაო-ბის აღმზრდელო, მუდამ იქნებით ჩვენთვის კაცური კაცობის, ჭეშმარ-იტი აღმზრდელობისა და გამორჩეული პიროვნების მაგალითი.

უფალი ფარავდეს თქვენს წმინდა სულს მარადიულ სასუფეველში. ამინ!

*თქვენი მადლიერი მოსწავლეების სახელით, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე*

# გინდ ჩასულხარ იმერეთში, გინდა — სამოთხეში...



შოთა ნიშნიანიძე

## იმერეთი... გიორგობისთვე

I

გიორგობის თვეში
ნუნუა წვიმს ჩვენში.
გალეშილი ოჩოკოჩი დაჩინდრიკობს
ტყეში,
გარბიან და გამორბიან გზები
ალთაბალთას
და ღლაბუცობს ოჩოკოჩი ოქროსთმიან
ალთან.
რა ხანია არღნის ხმები აღარ ესმის
იმერეთს,
დოლ-გარმონით აფიცხებენ მაჭახელა
სიმღერებს.
ეჰ, არღანო, ჩემო „კუკლა“, ვინ
ოხერმა გიყელა,
მო, შურთხივით ამიფრინე მოკრიახე
სიმღერა,
თქვენი ძველი პატრონები, თითქოს
არაფერია,
გადიდებულ სურათიდან ჩუმად
გადმოგვცქერიან...
მაშ, არღანო, ძველებური ჰანგი
დასხლიტე,
გაიხსენე სახლიკაცთა ომში წასვლის დღე...
გიორგობის თვეში გულს გაუდის რეჩხი,
გინდ ყოფილხარ იმერეთში, გინდა —
სამოთხეში.

II

იმ დღეს ღვინო მოიწყურა ნაღვლიანმა
გლეხკაცმა,
მერე არღანს ეკურკურა და ცხენივით
შეკაზმა.
გადავარდა... სოფელ-სოფელ დაიარა
მოყვრები,
იქეიფა, მოიოხა გული მოსაოხევი,
არ დაღლილა არც სიმღერით, არც
ხუმრობა-ხარხარით,
აჭახჭახა აზლუქუნა, აღრიალა არღანი.
(სანამ ტყვია დაცხრილავდეს
ჯარისკაცის ფარაჯას...)
თავის წილი სიხარული იმ ორ დღეში
დახარჯა.
ჰკოცნიდა და ეხვეოდა ვაზის რქას თუ
ხარის რქას,
სიმინდს ფეხზე აყენებდა, წამოჩოქილს
ქარისგან.
მაღლარსა და გულა ლელვებს
შეჰხაროდა ქვემოდან,
ალბათ, ტანი თუ უგრძნობდა — ველარ
დაბრუნდებოდა...
. . .
ეჰ, არღანო, ახლა ვხვდები, თურმე
რანაირი ხარ,
ეს რა მოგდის, შე ბებერო, მღერიხარ
თუ ტირიხარ?
. . .
გიორგობის თვეში გულს გაუდის რეჩხი,
გინდ ჩასულხარ იმერეთში, გინდა —
სამოთხეში...



## „ქართული ზღაპარი“

იქ, რიონზე, ბონდის ხიდი ქანაობდა
გავდიოდი გაღმა მხარეს
და ჯადოსნურ ლერწამს ვთლიდი.
თურმე ბეწვის ხიდი იყო,
მე მეგონა ბონდის ხიდი.

ვიღაც ქალი ბჟოლას სხეპდა
და ვაზს უმაგრებდა ჭიგოს,
მე მეგონა გლეხის ქალი,
თურმე ღვთისმშობელი იყო.

ვიღაც შუბლზე ხარს კოცნიდა
და მთესვარად ხნულს მისდევდა,
თურმე ქრისტე-ღმერთი იყო,
მე მეგონა გუთნის დედა.

იქ ერთ ბიჭთან ვჭიდაობდი,
ხათრს არ მიტეხავდა ისიც..
თურმე ამირანი იყო,
ძმა ბადრის და უსუპისი.

ერთი გოგო მომეწონა
ირმის ჯოგს წველიდა მთაში,
თუ ქალღმერთი დალი იყო,
ბრიყვმა რა ვიცოდი მაშინ.

კოლხის ქალი მყავდა ძიძად
ამორძალი ენამწარე,
ნიშა ხარის სიყვარულიც
იმ მხარეში შემასწავლეს.

დედაჩიტი ბარტყებისთვის
ღმერთს უნთებდა თაფლის სანთლებს.
ჩიტის ლოცვას ყურს ვუგდებდი
და იმ მადლით გავიზარდე.

გზაზე ბერი გადამიდგა
შემომცინა — გიხაროდენ .
— წადი, შვილო, და რაც ნახე,
ქართული ხმით იგალობე.

— ჩიტო, ჩიტო, ოქროს ჩიტო,
ბავშვობისკენ ფრინდი, ფრინდი,
ბონდის ხიდი მაპოვნინე,
ზღაპრის ხიდი, ოქროს ხიდი.

*მოამზადა მანანა ჯანელიძემ*




# №9(856) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**თემა №9(856) — კრიტიკა**

**ვის აკრიტიკებთ დღეს ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-ის ჩათვლით.

| № | თემა №9(856) | ქულა |
|---|---|---|
| 1 | პრეზიდენტი — მიხეილ სააკაშვილი | |
| 2 | მთავარი პროკურორი — არჩილ კბილაშვილი | |
| 3 | პრემიერ-მინისტრი — ბიძინა ივანიშვილი | |
| 4 | თბილისის მერი — გიგი უგულავა | |
| 5 | პარლამენტის თავმჯდომარე — დავით უსუფაშვილი | |
| 6 | შინაგან საქმეთა მინისტრი — ირაკლი ღარიბაშვილი | |
| 7 | უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე — კონსტანტინე კუბლაშვილი | |
| 8 | იუსტიციის მინისტრი — თეა წულუკიანი | |

*დამატებითი კითხვა*

**როგორ შეაფასებთ ირაკლი ფირცხალავას მიერ გავრცელებულ ვიდეომასალას?**

| ნამდვილია | ყალბია | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე... გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

## 200 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო საშუალო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად. პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს. საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი. იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

**ყურადღება! საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში SMS-ის საშუალებითაც შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება. შევსების წესი მარტივია: ტელეფონის SMS ფუნქციაში ლათინურად უნდა აკრიფოთ სიტყვა REITINGI გამოტოვოთ ცარიელი ადგილი და შემდეგ ქულების ისეთივე კომბინაცია, როგორც რეიტინგის ქვითარს შეავსებდით. მაგალითისთვის: REITINGI 73456182, ამ შემთხვევაში 7 — „პრეზიდენტისთვის" მიკუთვნებული ქულაა, 3 — „მთავარი პროკურორისთვის", 4 — „პრემიერ-მინისტრისთვის" და ა.შ. შემდეგ დააფიქსირეთ დამატებითი კითხვის პასუხი, თქვენი სახელი და გვარი, ასაკი, ქალაქი (რაიონი) და გამოგზავნეთ ნომერზე 2141.**

ერთი ტელეფონიდან მხოლოდ ერთი SMS-ის გამოგზავნა შეგიძლიათ. ერთი SMS-ის ღირებულებაა 50 თეთრი. **SMS-ის** გამოგზავნის ბოლო ვადაა **ხუთშაბათის, 28 თებერვლის 20⁰⁰ სთ.**

**№9(856)** საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი **რაიონებში** განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მოათავსეთ **ოთხშაბათის, 27 თებერვლის 10⁰⁰ საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 28 თებერვლის 13⁰⁰ საათამდე.**

©თბილისი

# №8(855) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის თემას — **„ძლიერების გარანტი"** — 515 რესპონდენტი გამოეხმაურა. 2 ბარათი არასწორად იყო შევსებული. კონკურსში 223 ქალისა და 290 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი (SMS) მონაწილეობდა. კითხვა ასეთი იყო: **„თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რა არის ქვეყნის ძლიერების გარანტი?"**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენი მკითხველების აზრით, ქვეყნის ძლიერების უპირველესი გარანტი კანონის უზენაესობაა. რესპონდენტთა 59%-მა შეაფასა ეს გრაფა მაქსიმალური — 9 ქულით, მინიმალური შეფასება კი არც ერთ მკითხველს არ მიუკუთვნებია. 8.11 საშუალო ქულით „კანონის უზენაესობა" პირველ ადგილზეა. შემდეგ ადგილზეა „პროფესიონალი კადრები ქვეყნის სათავეში", საშუალო ქულაა 6.89. სამეულს „ძლიერი მრეწველობა" ასრულებს 6.10 საშუალო ქულით.

საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი (SMS) არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი თბილისელი, 65 წლის **ელგუჯა ნოზაძეა.** მან, საპრიზო ვარიანტისგან განსხვავებით, „ძლიერ მრეწველობას" შვიდის ნაცვლად ექვსი ქულა (მეოთხე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო „თავისუფალ სასამართლოს" პირიქით — ექვსის ნაცვლად — შვიდი (მესამე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 200 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 27 თებერვალს, 17 საათზე.

ყველაზე მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა ასე ხდება: პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგ. თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (IX-VIII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VIII-VII ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VII-VI ადგილებს), 4-სა და 5-ს (VI-V ადგილებს) და ა. შ. 8-9-მდე (II-I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად 1 და 3 (IX და VII ადგილები), 2 და 4 (VIII და VI ადგილები) და ასე შემდეგ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.




### ყურადღება!

● საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას **აუცილებელია, მონაწილეობა მიიღოთ „მკითხველის რეიტინგში" („დამატებით კითხვაში").**

● თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგში" („დამატებით კითხვაში") მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

● „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყაზბეგი, თიანეთი, კაზრეთი.*

***„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

**ყურადღება! „კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით ©**

### 9 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№9 ქვითარი თბილისში „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ **28 თებერვლის** (ხუთშაბათი) 13⁰⁰ სთ-მდე.

*დამატებითი კითხვა*

**თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა ხელისუფლებასა და უმცირესობას შორის კოჰაბიტაცია?**




*დამატებით კითხვას 470-მა რესპონდენტმა უპასუხა*

## ცნობილთა აზრით:



**ბასა ფოცხიშვილი:** მიჭირს პასუხის გაცემა. ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრია საზოგადოებაში. ბევრს სხვა მოლოდინებიც აქვს. ამიტომ რთულია რამის წინასწარ განსაზღვრა.



**ნიკუშა შენგელაია:** ეჭვი მეპარება. ხელოვნურად კოჰაბიტაცია შეუძლებელია. მზაობა და სურვილი ამისა ორივე მხარეს თანაბრად უნდა ჰქონდეს. საზოგადოებას კოჰაბიტაცია სულ არ სჭირდება. ეს ხელისუფლებისა და პოლიტიკოსების პრობლემაა.



**ბესო ბერულაშვილი:** თანაცხოვრებას გულისხმობთ, ალბათ. ქართველები მიმტევებლები ვართ ზოგადად. იმედია, გამონახავენ საერთო ენას. მე არ ვამბობ, რომ დამნაშავე არ უნდა დაისაჯოს და პასუხი არავის მოეკითხოს. უწმინდესს უნდა დავუგდოთ ყური და საქართველოს აღმშენებლობაც და გაბრწყინებაც ახლო მომავალში გვექნება.

მოგვწერეთ თქვენთვის სასურველი თემების შესახებ, რა საკითხებზე ისურვებდით გამოკითხვის ჩატარებას. რედაქცია შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს თქვენს სურვილებსა და წინადადებებს. ველით გამოხმაურებას. წინადადებები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") ყუთების საშუალებით.

# პასპორტი



სახელი, გვარი
*ვიქტორ სანიკიძე*

დაბადების თარიღი
*01.04.1986*

პროფესია
*კალათბურთელი*

**— ბავშვობაში რა გინდოდა ყველაზე მეტად?**

— ძალიან მინდოდა, საკუთარი შოკოლადის ქარხანა მქონოდა... :)

**— ოჯახის წევრები გაგვაცანი.**

— მშობლები, ძმა, დეიდა, ბებია და ძაღლი „სმოუქი“. :) დედა დიასახლისია, მამა სახელმწიფო უნივერსისტეტში მუშაობს, დეიდა — მუსიკალურ სკოლაში. ჩემი ძმა — ზურა და „სმოუქი“ კი, ჯერჯერობით, უმუშევრები არიან. :)

**— კალათბურთში როგორ მოხვდი?**

— თავდაპირველად, კალათბურთის სექციაში ზურა მიიყვანეს, რადგან ასაკთან შედარებით ძალიან მაღალი იყო. მერე მეც „შევეტენე“ :) არადა, საკმაოდ დაბალი ვიყავი.

**— რომ არა კალათბურთელი, ვინ იქნებოდი?**

— ძნელი სათქმელია... ძალიან მომწონს დიპლომატიური სამსახური და, ალბათ, ამ სფეროში ვიმუშავებდი.

**— ჰოროსკოპი...**

— ყოველდღიურ პროგნოზს არასდროს ვეცნობი. თუმცა, ჰოროსკოპით „ვერძი“ ვარ და როცა ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულებს ახასიათებენ ხოლმე, ბევრი რამ ჩემს ხასიათსა და თვისებებსაც ემთხვევა.

**— ფრაზა, რომელსაც ყველაზე ხშირად ამბობ...**

— „ყველაფერი კარგად იქნება“... ხშირად ვუთხრათ ერთმანეთსაც და საკუთარ თავსაც, ყველაფერი ხომ მართლაც კარგად იქნება.

**— ყველაზე უცნაური თვისება, რაც გაქვს...**

— ვერ გეტყვით, შეიძლება, მაქვს კიდეც და მე არ მიმაჩნია უცნაურად.

**— ადამიანი, რომელიც სამაგალითოა შენთვის...**

— სხვისი ზეგავლენის ქვეშ არასდროს ვექცევი. შესაბამისად, არც მისაბაძი ადამიანი მყავს.

**— ქვეყანა, სადაც იცხოვრებდი...**

— საქართველოს გარდა — არსად! ოჯახი და მეგობრები იქ ცხოვრობენ, მათ გარეშე სიცოცხლე კი ვერ წარმომიდგენია...

**— წიგნი, რომელიც რამდენჯერმე წაკითხვის მიუხედავადაც არ გბეზრდება...**

— წიგნი უმნიშვნელოვანესი რამ არის და მიმაჩნია, რომ ადამიანმა რაც შეიძლება მეტი უნდა იკითხოს. თუმცა, გამეორება არ მიყვარს, ორჯერ არც ერთი წიგნი არ წამიკითხავს...

**— კალათბურთის გარდა რა გიყვარს?**

— ფეხბურთის თამაში, ავტომანქანები, მეგობრებთან ყოფნა...

**— რა გაღიზიანებს ყველაზე მეტად?**

— მატყუარა და ზედმეტად ამბიციური ხალხი.

**— იტალიური ანეკდოტი მოგვიყევი...**

— თუ იტალიელს ხელები ჯიბეში აქვს, ე.ი. მუნჯია... იტალიელები ხომ სულ ხელებით ლაპარაკობენ. :)

*მოგვწერეთ, კიდევ რომელი ცნობილი სპორტსმენის „პასპორტში“ ჩახედვა გსურთ. წინადადებები გამოგზავნეთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) ყუთების მეშვეობით. ან ჩვენს ელექტრონულ მისამართზე:*
**contact@kvirispalitra.ge**

# მკრთალი, მაგრამ მე-17 გაელვება

რუსეთთან თამაშზე წერა უკვე აღარ არის ადვილი საქმე. ოცწლიანი სარაგბო დაპირისპირების ისტორიაში მრავალფეროვნება მხოლოდ მოგებული მატჩების ანგარიშებს თუ შეაქვს, თორემ უკვე წლებია, სცენარი არ იცვლება: ვუგებდით, ვუგებთ და მომავალშიც ბევრჯერ დავიბრიყვებთ! რაც უნდა ცუდ ფორმაში იყვნენ, რუსების „სამყოფ“ კლასს „ბორჯღალოსნები“ მაინც პოულობენ. ასე იყო 23 თებერვალსაც — უამრავი ხარვეზისა და შეცდომის მიუხედავად საქართველოს ნაკრებმა მასპინძლებს „რუსული არმიის დღე“ მაინც ჩაამწარა და გამარჯვება ამ დღისთვის ზედგამოჭრილი — 23 ქულითაც მოავარაყა. ისიც ნიშანდობლივია, რომ „დათვები“ ამჯერადაც სოჭში, სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონზე დავიბრიყვეთ, სადაც მათთვის ადრეც არაერთხელ ჩაგვიტარებია რაგბის გაკვეთილი. ქართულ-რუსული რაგბის 20-წლიან დაპირისპირებაში ეს მე-17 მატჩი გახლდათ და ეს რიცხვი სათაურშიც ამიტომ გამოვიტანეთ. 15 მოგება, თითო მარცხი და ფრე — ასეთია საქართველოს ნაკრების უპირატესობა და ძნელი წარმოსადგენია, უახლოეს მომავალში ეს სტატისტიკა მნიშვნელოვნად შეიცვალოს. „წითელი არმიის დღეს“ წითელ მაისურებში გამოწყობილი ქართველების დამარცხება რუსებს




**რუსებს 23 თებერვალიც ჩავამწარეთ**

ორმაგად ესიამოვნებოდათ, ოღონდ... მასპინძელთა ნაცვლად იუბილე ჩვენ ვიზეიმეთ: საქართველოს ნაკრები 150-ედ გავიდა მოედანზე და 90-ე გამარჯვება მოიპოვა!

ეს, რაც შეეხებოდა „დითირამბებს“. რეალობა კი ის არის, რომ რაგბის მხოლოდ რუსებს არ ვეთამაშებით და არც სპორტული თვალსაზრისით უმნიშვნელო ამ მეტოქესთან მუდმივი გამარჯვებები გამოგვადგება პროგრეს-რეგრესის საზომად. ქართული რაგბი ახალი გამოწვევების წინ დგას, ახალი სისტემის ათვისებასაც თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესის პარალელურად ლამობს, მაგრამ... 23 თებერვლის მატჩში ჩვენებს ძალიან ბევრი ნაკლი ჰქონდათ და გამარჯვებაც მხოლოდ კლასისა და მასპინძელთა უზუსტობის ხარჯზე დაიბევეს. სხვა რომ არაფერი, იმ დროს, როცა ანგარიში 3:6 იყო, რუსებმა ზედიზედ ექვსი (!) საჯარიმო დარტყმა გააცუდეს, ასეთ საჩუქარს კი სხვა ნებისმიერი მეტოქე შეირგებდა... მართალია, ჩვენმა შერკინებამ დამხვდურებს „კატოკივით“ გადაუარა, მაგრამ აქედან ბევრი ვერაფერი ვიხეირეთ — ქართველები ძალიან ხშირად ჯარიმდებოდნენ და ბურთის შენარჩუნებაც უჭირდათ. უამისოდ კი რომელ ახალ სისტემასა და ხელდახელ ბურთაობაზეა ლაპარაკი?!

# „ლეგიას“ ქართველი „ლეგიონერი“

## დვალიშვილი ვარშავაში დარჩა




*ვ ლადიმერ დვალიშვილმა კლუბი შეიცვალა, ქალაქი — არა. ვარშავის „პოლონიაში“ გატარებული რამდენიმე თვის შემდეგ საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი კარიერას ისევ პოლონეთის დედაქალაქში, ოღონდ, გაცილებით ტიტულოვან და მდიდარ „ლეგიაში“ გააგრძელებს. დიდი ბიუჯეტი შემთხვევით არ გვიხსენებია, ლადო ხომ „პოლონიადან“ სწორედ იმიტომ წამოვიდა, რომ ფინანსურ კრიზისში მყოფი კლუბი ხელფასს ვეღარ უხდიდა. საბედნიეროდ, ცუდი პერიოდი უკვე წარსულშია, დვალიშვილი — პოლონური ექსტრაკლასას ლიდერ გუნდშია. 26 წლის ქართველმა პოლონეთის ერთ-ერთ უძველეს კლუბთან 2,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ორ საკონტროლო მატჩში სამი გოლის გატანაც მოასწრო. ვლადიმერ დვალიშვილი „ლეგიაში“ 13-ნომრიანი მაისურით ითამაშებს:*

— ცრუმორწმუნე ნამდვილად არა ვარ. ასე რომ, როცა თავისუფალი ნომრები ჩამომითვალეს, 13 ბევრი ფიქრის გარეშე ავირჩიე.

**— და „ბედნიერი“ ნომერიც გამოდგა: ორ საკონტროლო მატჩში სამი გოლი გაიტანე...**

— დასაწყისი კარგი იყო და იმედია, ასევე გავაგრძელებ. ჯერ მხოლოდ ხუთი დღეა, რაც ახალ გუნდში ვარ და მიხარია, თავის გამოჩენა ორივე საკონტროლო მატჩში რომ მოვახერხე. მით უმეტეს, „ლეგიაში“ კონკურენციაც მაღალია. თუმცა, მთავარია, შედეგიანი ოფიციალურ მატჩებში ვიყო (იცინის). „ლეგიას“ მიზანი ყოველ წელს ერთია — ქვეყნის ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა. გამონაკლისი არც წლევანდელი სეზონი იქნება.

**— „პოლონიასგან“ თავის დახსნა როგორ მოახერხე, კლუბთან ხომ კიდევ წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გაკავშირებდა?**

— დავალიანება კი გამისტუმრეს, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო მაინც ვეღარ შემინარჩუნებდნენ. კლუბის პრეზიდენტმაც იცოდა, რომ კლუბის გამოცვლა მსურდა და... საბოლოოდ, მაინც ადამიანურად მოიქცა, წასვლაში ხელი აღარ შემიშალა. არადა, მანამდე სულ პრობლემას მიქმნიდნენ...

**— „პოლონიაც“ და „ლეგიაც“ ვარშავის კლუბებია. რა არის მთავარი განსხვავება მათ შორის?**

— განსხვავება თვალსაჩინოა — ტიტულების, ფინანსური მდგომარეობის, ინფრასტრუქტურის მხრივ „ლეგია“ პოლონეთში პირველი გუნდია. როგორც კი კლუბის ბაზაში შეხვალ, მაშინვე შეატყობ, რომ ძლიერ და ამბიციურ გუნდში მოხვდი.

**— „პოლონიას“ მოკრძალებული სტადიონის შემდეგ „ლეგიას“ შთამბეჭდავ არენაზე თამაში ერთი სიამოვნება იქნება...**

— „პოლონიას“ საშინაო არენის ტრიბუნები მხოლოდ 7 ათას მაყურებელს იტევდა, „ლეგიას“ კი გაცილებით დიდი სტადიონი აქვს. 1930 წელს აშენებული სტადიონის რეკონსტრუქცია 2011 წელს დასრულდა და ამჟამად, „პეპსი არენა“ 31 ათასი მაყურებლისთვის არის განკუთვნილი. 15-20 ათასი ქომაგი თითქმის ყველა მატჩს ესწრება, პრინციპული შეხვედრებისას კი ტრიბუნები სავსეა ხოლმე. ვარშავა ლამაზი ქალაქია, აქაურობას უკვე კარგად ვიცნობ. როცა გარემოს შეცვლა არ გიწევს, ნაცნობ ქალაქში ხარ, ახალ კლუბში ადაპტაციაც გაცილებით მარტივდება. ბინის შეცვლაც კი არ დამჭირვებია (იცინის).

**— „ლეგია“ უმეტესად ერთი გამოკვეთილი ფორვარდით თამაშობს. ვინ არის შენი მთავარი კონკურენტი ამ პოზიციაზე?**

— სერბი თავდამსხმელი დანიელ ლუბოია. ძალიან გამოცდილი ფეხბურთელია და არაერთ ძლიერ გუნდში უთამაშია. თუმცა, კონკურენციის ნამდვილად არ მეშინია — მთავარია, თამაშის შესაძლებლობა მქონდეს და თავს არც მე შევირცხვენ.

**— პოლონეთამდე, რამდენიმე სეზონი ისრაელში ითამაშე. ამ ორი ქვეყნის ჩემპიონატები რით განსხვავდება?**

— ისრაელში უპირატესობას ტექნიკურ და კომბინაციურ თამაშს ანიჭებენ, პოლონეთის ჩემპიონატი კი შედარებით ძალისმიერია. საბედნიეროდ, პოლონურ ფეხბურთთან შეგუება არ გამჭირვებია, აქაც ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდიროობისთვის ვიბრძოდი და მინდა, „ლეგიაშიც“ ასე იყოს.

**— როგორ ფიქრობ, ეროვნულ ნაკრებში ისეთივე შედეგიანი რატომ ვერ ხარ, როგორიც კლუბში?**

— კონკრეტული მიზეზის დასახელება ძნელია... უპირველესი, ალბათ, ფსიქოლოგიური პრობლემაა: თამაში რომ არ „წაგივა“, მომდევნო შეხვედრებში უფრო შებოჭილი ხარ... იმედია, გოლების გატანას ნაკრებშიც მალე დავიწყებ. ყველაზე მეტად ეს მე მინდა!

# სუპერთასის სუპერფასი

## „ზესტაფონი“ 0:0 „დილა“ (პენ. 4:2)

„ზესტაფონმა“ საქართველოს სუპერთასი ზედიზედ მეორედ მოიგო: ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა თასის მფლობელ გორის „დილას“ მატჩისშემდგომი პენალტების სერიაში აჯობა და სუპერთასების რაოდენობით თბილისის „ამერს“ გაუტოლდა. ბოლო ერთი წელიწადია, იმერულმა კლუბმა სათავისო „დილა ვერ გაითენა“ (გორელებმა საქართველოს თასის ფინალში 4:1 დაამარცხეს და ეროვნული პირველობის ორივე მატჩიც მოუგეს. — ავტ.) და რევანშის წყურვილის გამო, ამ გამარჯვებას ზესტაფონელებისთვის „სუპერფასი“ დაჰკრავდა. ოღონდ, „სუპერ“-თამაში არც ერთ გუნდს არ გამოუვიდა და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე შეკრებილმა სამი ათასამდე ქომაგმა თვალსასეირო ვერაფერი ნახა. უგოლოდ ჩამთავრებული ძირითადი და დამატებითი დროის შემდეგ, გამარჯვებულის გამოსავლენად თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერია გახდა საჭირო. ისე, ამ მატჩის გამართვა თურქეთშიც თავისუფლად შეიძლებოდა, რაკილა წინასასეზონო შეკრება ორივე კლუბმა ჩვენს მეზობელ ქვეყანაში გაიარა და სუპერთასის მფლობელის ვინაობის გარკვევაც იქვე შეეძლოთ.

ხუმრობა იქით იყოს და, სანახაობრივ მატჩს არც არავინ ელოდა, რადგან შეკრება შეკრებაა, წლის პირველი ოფიციალური მატჩი კი, მით უმეტეს — პრინციპულ მეტოქესთან, სხვა. თანაც, ზამთრის შესვენებისას, ახალი ფეხბურთელები ორივე კლუბმა დაიმატა. სახიფათო ეპიზოდი მთელი მატჩის განმავლობაში სულ რამდენჯერმე შეიქმნა და ამ მხრივ გამორჩეული არც დამატებითი დრო ყოფილა. ერთადერთი, რასაც მოედანზე მყოფებს ნამდვილად ვერ დავუწუნებთ, თავდაუზოგავი ბრძოლა იყო, ოღონდ ფეხბურთი რომ მხოლოდ ბრძოლა არ არის, ეგეც არახალია. პენალტები კი იმერლებმა უკეთ შეასრულეს: კვირკველიამ ბურთი კარს ააცილა, ბრაზილიელ ლეონარდოს როინ კვასხვაძემ აჯობა და...

*რუბრიკა მოამზადა*
*რატი შელეგიამ*




# საფრთხე უკან დარჩა თუ საფრთხე წინ არის?

*ძვირფასო რედაქციავ, ახლახან ჩვენი დედამიწა დიდი საფრთხის წინაშე დადგა. ჯერ იყო და 44 მეტრი სიგრძის 130 000-ტონიანმა ასტეროიდმა, **2012 DA14**-მა დედამიწას რეკორდულად ახლო მანძილზე — (27 000 კმ-ზე) ჩაუქროლა და უსასრულო სივრცეში გაუჩინარდა. ქალაქ ჩელიაბინსკის თავზე კი, 15-25 კილომეტრის სიმაღლეზე ე.წ. მეტეორული ბოლიდი აფეთქდა და ნამსხვრევები მიწაზე ჩამოცვივდა. ნასას გამოთვლით, აფეთქების ძალა ტროტილის ეკვივალენტით 500 კილოტონას უდრიდა, ანუ ამ აფეთქებას შვიდჯერ მეტი ძალა ჰქონდა, ვიდრე ჰიროსიმასა და ნაგასაკში ჩამოგდებულ ბომბს. აფეთქების შედეგად წარმოქმნილი ჰაერის ტალღებისა და მეტეორული წვიმისაგან 1 500-ზე მეტი ადამიანი დაშავდა. მეცნიერები ჯერაც დაობენ, იყო თუ არა ეს ორი მოვლენა ურთიერთკავშირში. როგორ შეიძლება აირიდოს დედამიწამ გამანადგურებელი დარტყმები, ამის შესახებ იქნებ მეცნიერებმა მოგვითხრონ.*

***პატივისცემით, ლევან როყვაძე, თბილისი***

**კეპლერი — დედამიწის „დობილი“ პლანეტა**



***პლანეტა კეპლერი ძალზე ჰგავს დედამიწას, მაგრამ მასზე 2,5-ჯერ დიდია. ვარაუდობენ, რომ კეპლერზე წყალია. მაშასადამე, იქ სიცოცხლეა!***

Ზოგჯერ გაგვიელვებს ფიქრი, — დედამიწის ყოველ გადარჩენაში განგების ხელია ჩარეულიო. ამაზე უნებურად ფილმ „ნერგების“ გმირი, ხეჭეჭურის ნერგებისთვის მოსიარულე ბერიკაციც მახსენდება: გადაეკიდებიან უცხოელები, — რას დადიხარ ამ თხუთმეტწლიანი ხეჭეჭურის საშოვნელად, 15 წელიწადში დედამიწა ან იქნება, ან არაო... ის კი გულმოსული პასუხობს, — დედამიწის შექმნა ღმერთს არავისთვის უკითხავს და არც მის განადგურებას ჰკითხავს ვინმესო!

დედამიწაზე და მის მომავალზე გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ბატონ **თამაზ ჭელიძეს** ვესაუბრეთ.



— იყო ერთი დიდი ფიზიკოსი, გიორგი გამოვი, რომელიც მზის სისტემაში, იუპიტერსა და მარსს შორის მოთავსებულ სარტყელზე ხშირად ლაპარაკობდა. სწორედ ეს სარტყელი შედგება უსასრულო სივრცეში განფენილი ასტეროიდებისაგან. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ამ სარტყლის ადგილზე იყო პლანეტა ასტერი, რომელიც მერე ნატეხებად დაიშალა. გამოვი კი ხუმრობდა, — ალბათ ასტერი მისმა უგუნურმა მკვიდრებმა ააფეთქეს და ასტეროიდებად დაშალესო. სწორედ ამ სარტყლიდან ცვივა ასტეროიდები დედამიწაზე.

**როგორ წარმოიშვა ასტეროიდები?**

ასტერის სარტყელში ასტეროიდები კონცენტრაციამდე ვერ მივიდნენ, ისინი „დაფრინავენ“, ადგილს სწყდებიან და დედამიწას ემუქრებიან. ამ სარტყლიდან კოსმოსურ სივრცეში ყოველწლიურად 15 000 ტონა ციური სხეული ცვივა.

— **და ყველა ჩვენ გვემუქრება?!**

— ყველა ჩვენ რომ გვემუქრებოდეს, დედამიწაც აღარ იქნებოდა. საიდანაც ისინი სწყდებიან, იქ ხახუნის ძალა არ არის და ამიტომაც ჩვენს ატმოსფეროს, ისეთივენი უახლოვდებიან, როგორიც მოწყვეტისას იყვნენ. თუმცა როგორც კი ჩვენს ატმოსფეროში შემოდიან, ეს კატასტროფული სიჩქარით მოძრავი სხეულები ატმოსფეროს ხახუნის ძალას განიცდიან და ატმოსფეროშივე ფეთქდებიან, თანაც ისე, რომ მხოლოდ იმ კვალს ვხედავთ, რომელსაც მოწყვეტილ ვარსკვლავებს ვეძახით.

საინტერესო ფენომენია მეტეორის წვიმა. თუ ზეცას კარგად დავაკვირდებით, ამ წვიმასაც დავინახავთ. ზოგჯერ, რამდენიმე ასეულ წელიწადში ერთხელ (საკვირველია, რომ ამასაც თავისი კანონზომიერება აქვს), დედამიწამდე რომელიმე მეტეორიტი მაინც აღწევს და მძიმე კვალსაც ტოვებს. მაგალითად, ჩვენ, ადამიანები, ასე ვთქვათ, დედამიწის მფლობელებად 65 მილიონი წლის წინ ჩამოვარდნილმა მეტეორიტმა გვაქცია, რომელმაც დინოზავრები გადააშენა, რადგან დედამიწა სქელი მტვრით დაიფარა და მძიმე წონის ცხოველებმა საკმარისი საკვების მოპოვება ველარ შეძლეს. ადამიანებმა კი ასეთ პირობებში გადავირჩინეთ თავი და დედამიწასაც დავეპატრონეთ.

## „გამოპარული“ მეტეორიტი

*ჩელიაბინსკის მეტეორიტი ერთ-ერთი ყველაზე დიდია იმ მეტეორიტთაგან, რომელსაც დღევანდელი კაცობრიობა შეესწრო, — 17 მეტრი სიგრძის სხეული, თითქმის 10 000 ტონას იწონიდა. უნდა ითქვას, რომ იგი ატმოსფეროში შესვლისთანავე აფეთქდა და ქალაქში მისი ნარჩენებიდან მხოლოდ სანტიმეტრიანი ნამსხვრევები ჩამოცვივდა. ქალაქი სწორედ ამან იხსნა, თორემ ჩელიაბინსკი დღეს არ იქნებოდა. საინტერესო ის არის, რომ ჩელიაბინსკის მეტეორიტი საერთოდ არ იყო დაფიქსირებული ისეთი უმსხვილესი კოსმოსური კვლევის ცენტრის მიერ, როგორიც ნასაა. ის „გამოიპარა“. საქმე ის არის, რომ ნასას ტელესკოპების ქსელი გამიზნულია უფრო დიდი, დედამიწისთვის გაცილებით საშიშ ციურ ობიექტებზე დასაკვირვებლად. ასეთი კი ნასას დღეისათვის უკვე 400 აქვს აღრიცხული. მათგან ერთ-ერთმა, თითქმის 50-მეტრიანმა და დაახლოებით 130 000-ტონიანმა ასტეროიდმა **2012 DA14**-მა სულ რამდენიმე დღის წინ ახლოს ჩაუქროლა დედამიწას — ის სხვა ციურმა სხეულებმა მიიზიდეს. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ჩელიაბინსკის მეტეორიტი და ასტეროიდი **2012 DA14** ერთმანეთთან კავშირში არ არიან — სხვა რომ არაფერი, ჩელიაბინსკის ბოლიდი აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მოძრაობდა, მისი დიდი ბიძაშვილი კი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.*

მიუხედავად უახლესი ტექნოლოგიებისა, ჯერჯერობით ასტეროიდებზე მხოლოდ დაკვირვება შეგვიძლია. სხვა რაიმე ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროება, მაგალითად, დედამიწისკენ უეჭველი სიზუსტით წამოსული ასტეროიდის აფეთქების გამოცდილება არ გვაქვს. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ამ ტექნოლოგიას ვერასოდეს გამოვიყენებთ, მაგრამ ციურ სხეულთა მოძრაობა ადამიანს მუდამ აშინებს. ამ შიშს კი ფანატიკოსები ამძაფრებენ. მაგალითად, 1995 წელს ვინმე ნენსი ლიდერმა განაცხადა, უცხოპლანეტელებმა თავში გადამცემი ჩამინერგეს და მაცნობეს, 2003 წელს დედამიწას პლანეტა ნიბირუ უნდა შეეჯახოს და მოსრასო. ეს რომ 2003 წელს არ მოხდა, ქალბატონმა წინასწარმეტყველება 2012 წლისთვის გადაიტანა და ბევრი შოკში ჩააგდო კიდეც. ამ შოკით მშვენივრად ისარგებლა ჰოლივუდმა და შექმნა ბლოკბასტერი „2012“.

— **ახლო მომავალში რეალურად რა საშიშროება გვემუქრება ციდან?**

— ლინკოლნის ასტეროიდის კვლევის ცენტრის ასტრონომებმა 2002 წლის 9 ივლისს შეამჩნიეს ასტეროიდი, რომელსაც „2002 NT 7“ დაარქვეს. ცენტრის თანამშრომელთა ვარაუდით, ასტეროიდი დედამიწას 2019 წელს უნდა მოახლოებოდა, მაგრამ შემდგომმა კვლევებმა ცხადყო, რომ 2060 წელს მოუახლოვდება.

— **მეცნიერება წინ უზარმაზარი ნახტომებით მიიწევს და ბოლო ხანს დედამიწისთანა რჩეული, სიცოცხლის მატარებელი პლანეტები სადმე ხომ არ აღმოჩნდა სამყაროში?**

— მარსზე სიცოცხლის არსებობას დღემდე ვარაუდობენ, რადგან სიცოცხლე არის იქ, სადაც წყალია. მარსზე კი არის წყალი, მაგრამ ის ჩვენზე მეტად შორს არის მზისგან, ანუ იქ უფრო ცივა. ეს კი ნიშნავს, რომ ეს წყალი გაყინულია. ბოლოდროინდელმა აღმოჩენებმაც დაადასტურეს, რომ ამ პლანეტაზე წყალი თხევადი ფორმით არ ჩერდება, სწრაფად იყინება. მარსის კიდევ ერთი უბედურება მისი მიზიდულობის ძალის ნაკლებობაა, წყლისა და ჰაერის მოლეკულებს ვერ იჭერს და მარსის ოკეანეებიდან წყალი სწორედ ამის გამო დაიკარგა. თუმცა როცა შეისწავლეს მარსზე დაცემული მეტეორიტისეული ღრმული, იქ თიხა იპოვეს. თიხაში კი ყოველთვის არის წყალი. ანუ თუ მარსის ზედაპირზე სიცოცხლე არ არის, იმას არ ნიშნავს, რომ რამდენიმე მეტრის სიღრმეში ცოცხალი ორგანიზმები არ ცხოვრობენ.

ახლა რაც შეეხება დედამიწის „დობილებს“, ანუ დედამიწის მსგავს პლანეტებს, რომელზეც სიცოცხლე შეიძლება იყოს. ეს იმაზეა დამოკიდებული, არიან თუ არა ისინი მზესთან ისეთ მანძილზე, როგორც დედამიწაა. ჩვენ ოდნავ ახლოს ან შორს რომ ვიყოთ მზისგან, სიცოცხლე ჩვენთანაც არ იქნებოდა. ბოლო დროს ასეთი 2 300 პლანეტაა აღმოჩენილი, მათ შორისაა კეპლერი. ის კოსმოსურ სურათზეც ძალზე ჰგავს დედამიწას და სიდიდით დედამიწაზე 2,5-ჯერ მეტია. ვარაუდობენ, რომ კეპლერზე წყალია. მაშასადამე, იქ სიცოცხლეა!

ასე რომ, რაც უფრო წინ მიდის კაცობრიობა, მით მეტად აქვს შანსი, სადმე სიცოცხლეს წააწყდეს, მაგრამ ალბათ არა ისე ლამაზს, როგორიც დედამიწაზეა. ამიტომაც მეც გავიმეორებ იმას, რაც მეცნიერებს მრავალჯერ უთქვამთ, — ადამიანებო, მოუფრთხილდით დედამიწას, მისი მსგავსი უსასრულო სამყაროში არაფერია!

***ეთერ ერაძე***




# პასპორტი



სახელი, გვარი
*ვიქტორ სანიკიძე*

დაბადების თარიღი
*01.04.1986*

პროფესია
*კალათბურთელი*

— **ბავშვობაში რა გინდოდა ყველაზე მეტად?**

— ძალიან მინდოდა, საკუთარი შოკოლადის ქარხანა მქონოდა... :)

— **ოჯახის წევრები გაგვაცანი.**

— მშობლები, ძმა, დეიდა, ბებია და ძაღლი „სმოუქი". :) დედა დიასახლისია, მამა სახელმწიფო უნივერსისტეტში მუშაობს, დეიდა — მუსიკალურ სკოლაში. ჩემი ძმა — ზურა და „სმოუქი" კი, ჯერჯერობით, უმუშევრები არიან. :)

— **კალათბურთში როგორ მოხვდი?**

— თავდაპირველად, კალათბურთის სექციაში ზურა მიიყვანეს, რადგან ასაკთან შედარებით ძალიან მაღალი იყო. მერე მეც „შევეტენე" :) არადა, საკმაოდ დაბალი ვიყავი.

— **რომ არა კალათბურთელი, ვინ იქნებოდი?**

— ძნელი სათქმელია... ძალიან მომწონს დიპლომატიური სამსახური და, ალბათ, ამ სფეროში ვიმუშავებდი.

— **ჰოროსკოპი...**

— ყოველდღიურ პროგნოზს არასდროს ვეცნობი. თუმცა, ჰოროსკოპით „ვერძი" ვარ და როცა ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულებს ახასიათებენ ხოლმე, ბევრი რამ ჩემს ხასიათსა და თვისებებსაც ემთხვევა.

— **ფრაზა, რომელსაც ყველაზე ხშირად ამბობ...**

— „ყველაფერი კარგად იქნება"... ხშირად ვუთხრათ ერთმანეთსაც და საკუთარ თავსაც, ყველაფერი ხომ მართლაც კარგად იქნება.

— **ყველაზე უცნაური თვისება, რაც გაქვს...**

— ვერ გეტყვით, შეიძლება, მაქვს კიდეც და მე არ მიმაჩნია უცნაურად.

— **ადამიანი, რომელიც სამაგალითოა შენთვის...**

— სხვისი ზეგავლენის ქვეშ არასდროს ვექცევი. შესაბამისად, არც მისაბაძი ადამიანი მყავს.

— **ქვეყანა, სადაც იცხოვრებდი...**

— საქართველოს გარდა — არსად! ოჯახი და მეგობრები იქ ცხოვრობენ, მათ გარეშე სიცოცხლე კი ვერ წარმომიდგენია...

— **წიგნი, რომელიც რამდენჯერმე წაკითხვის მიუხედავადაც არ გბეზრდება...**

— წიგნი უმნიშვნელოვანესი რამ არის და მიმაჩნია, რომ ადამიანმა რაც შეიძლება მეტი უნდა იკითხოს. თუმცა, გამეორება არ მიყვარს, ორჯერ არც ერთი წიგნი არ წამიკითხავს...

— **კალათბურთის გარდა რა გიყვარს?**

— ფეხბურთის თამაში, ავტომანქანები, მეგობრებთან ყოფნა...

— **რა გაღიზიანებს ყველაზე მეტად?**

— მატყუარა და ზედმეტად ამბიციური ხალხი.

— **იტალიური ანეკდოტი მოგვიყევი...**

— თუ იტალიელს ხელები ჯიბეში აქვს, ე.ი. მუნჯია... იტალიელები ხომ სულ ხელებით ლაპარაკობენ. :)

*მოგვწერეთ, კიდევ რომელი ცნობილი სპორტსმენის „პასპორტში" ჩახედვა გსურთ. წინადადებები გამოგზავნეთ „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") ყუთების მეშვეობით. ან ჩვენს ელექტრონულ მისამართზე:*

**contact@kvirispalitra.ge**

# მკრთალი, მაგრამ მე-17 გაელვება

9:23



რუსებს 23 თებერვალიც ჩავამწარეთ

რუსეთთან თამაშზე წერა უკვე აღარ არის ადვილი საქმე. ოცწლიანი სარაგბო დაპირისპირების ისტორიაში მრავალფეროვნება მხოლოდ მოგებული მატჩების ანგარიშებს თუ შეაქვს, თორემ უკვე წლებია, სცენარი არ იცვლება: ვუგებდით, ვუგებთ და მომავალშიც ბევრჯერ დავიბრიყვებთ! რაც უნდა ცუდ ფორმაში იყვნენ, რუსების „სამყოფ" კლასს „ბორჯღალოსნები" მაინც პოულობენ. ასე იყო 23 თებერვალსაც — უამრავი ხარვეზისა და შეცდომის მიუხედავად საქართველოს ნაკრებმა მასპინძლებს „რუსული არმიის დღე" მაინც ჩაამწარა და გამარჯვება ამ დღისთვის ზედგამოჭრილი — 23 ქულითაც მოავარაყა. ისიც ნიშანდობლივია, რომ „დათვები" ამჯერადაც სოჭში, სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონზე დავიბრიყვეთ, სადაც მათთვის ადრეც არაერთხელ ჩაგვიტარებია რაგბის გაკვეთილი. ქართულ-რუსული რაგბის 20-წლიან დაპირისპირებაში ეს მე-17 მატჩი გახლდათ და ეს რიცხვი სათაურშიც ამიტომ გამოვიტანეთ. 15 მოგება, თითო მარცხი და ფრე — ასეთია საქართველოს ნაკრების უპირატესობა და ძნელი წარმოსადგენია, უახლოეს მომავალში ეს სტატისტიკა მნიშვნელოვნად შეიცვალოს. „წითელი არმიის დღეს" წითელ მაისურებში გამოწყობილი ქართველების დამარცხება რუსებს ორმაგად ესიამოვნებოდათ, ოღონდ... მასპინძელთა ნაცვლად იუბილე ჩვენ ვიზეიმეთ: საქართველოს ნაკრები 150-ედ გავიდა მოედანზე და 90-ე გამარჯვება მოიპოვა!

ეს, რაც შეეხებოდა „დითირამბებს". რეალობა კი ის არის, რომ რაგბის მხოლოდ რუსებს არ ვეთამაშებით და არც სპორტული თვალსაზრისით უმნიშვნელო ამ მეტოქესთან მუდმივი გამარჯვებები გამოგვადგება პროგრეს-რეგრესის საზომად. ქართული რაგბი ახალი გამოწვევების წინ დგას, ახალი სისტემის ათვისებასაც თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესის პარალელურად ლამობს, მაგრამ... 23 თებერვლის მატჩში ჩვენებს ძალიან ბევრი ნაკლი ჰქონდათ და გამარჯვებაც მხოლოდ კლასისა და მასპინძელთა უზუსტობის ხარჯზე დაიბევს. სხვა რომ არაფერი, იმ დროს, როცა ანგარიში 3:6 იყო, რუსებმა ზედიზედ ექვსი (!) საჯარიმო დარტყმა გააცუდეს, ასეთ საჩუქარს კი სხვა ნებისმიერი მეტოქე შეირგებდა... მართალია, ჩვენმა შერკინებამ დამხვდურებს „კატოკივით" გადაუარა, მაგრამ აქედან ბევრი ვერაფერი ვიხეირეთ — ქართველები ძალიან ხშირად ჯარიმდებოდნენ და ბურთის შენარჩუნებაც უჭირდათ. უამისოდ კი რომელ ახალ სისტემასა და ხელდახელ ბურთაობაზეა ლაპარაკი?!

# „ლეგიას" ქართველი „ლეგიონერი"

## დვალიშვილი ვარშავაში დარჩა

*ვლადიმერ დვალიშვილმა კლუბი შეიცვალა, ქალაქი — არა. ვარშავის „პოლონიაში" გატარებული რამდენიმე თვის შემდეგ საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი კარიერას ისევ პოლონეთის დედაქალაქში, ოღონდ, გაცილებით ტიტულოვან და მდიდარ „ლეგიაში" გააგრძელებს. დიდი ბიუჯეტი შემთხვევით არ გვიხსენებია, ლადო ხომ „პოლონიადან" სწორედ იმიტომ წამოვიდა, რომ ფინანსურ კრიზისში მყოფი კლუბი ხელფასს ვეღარ უხდიდა. საბედნიეროდ, ცუდი პერიოდი უკვე წარსულშია, დვალიშვილი — პოლონური ექსტრაკლასას ლიდერ გუნდშია. 26 წლის ქართველმა პოლონეთის ერთ-ერთ უძველეს კლუბთან 2,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ორ საკონტროლო მატჩში სამი გოლის გატანაც მოასწრო. ვლადიმერ დვალიშვილი „ლეგიაში" 13-ნომრიანი მაისურით ითამაშებს:*




— ცრუმორწმუნე ნამდვილად არა ვარ. ასე რომ, როცა თავისუფალი ნომრები ჩამომითვალეს, 13 ბევრი ფიქრის გარეშე ავირჩიე.

— **და „ბედნიერი" ნომერიც გამოდგა: ორ საკონტროლო მატჩში სამი გოლი გაიტანე...**

— დასაწყისი კარგი იყო და იმედია, ასევე გავაგრძელებ. ჯერ მხოლოდ ხუთი დღეა, რაც ახალ გუნდში ვარ და მიხარია, თავის გამოჩენა ორივე საკონტროლო მატჩში რომ მოვახერხე. მით უმეტეს, „ლეგიაში" კონკურენციაც მაღალია. თუმცა, მთავარია, შედეგიანი ოფიციალურ მატჩებში ვიყო (იცინის). „ლეგიას" მიზანი ყოველ წელს ერთია — ქვეყნის ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა. გამონაკლისი არც წლევანდელი სეზონი იქნება.

— **„პოლონიასგან" თავის დახსნა როგორ მოახერხე, კლუბთან ხომ კიდევ წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გაკავშირებდა?**

— დავალიანება კი გამისტუმრეს, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო მაინც ვეღარ შემინარჩუნებდნენ. კლუბის პრეზიდენტმაც იცოდა, რომ კლუბის გამოცვლა მსურდა და... საბოლოოდ, მაინც ადამიანურად მოიქცა, წასვლაში ხელი აღარ შემიშალა. არადა, მანამდე სულ პრობლემას მიქმნიდნენ...

— **„პოლონიაც" და „ლეგიაც" ვარშავის კლუბებია. რა არის მთავარი განსხვავება მათ შორის?**

— განსხვავება თვალსაჩინოა — ტიტულების, ფინანსური მდგომარეობის, ინფრასტრუქტურის მხრივ „ლეგია" პოლონეთში პირველი გუნდია. როგორც კი კლუბის ბაზაში შეხვალ, მაშინვე შეატყობ, რომ ძლიერ და ამბიციურ გუნდში მოხვდი.

— **„პოლონიას" მოკრძალებული სტადიონის შემდეგ „ლეგიას" შთამბეჭდავ არენაზე თამაში ერთი სიამოვნება იქნება...**

— „პოლონიას" საშინაო არენის ტრიბუნები მხოლოდ 7 ათას მაყურებელს იტევდა, „ლეგიას" კი გაცილებით დიდი სტადიონი აქვს. 1930 წელს აშენებული სტადიონის რეკონსტრუქცია 2011 წელს დასრულდა და ამჟამად, „პეპსი არენა" 31 ათასი მაყურებლისთვის არის განკუთვნილი. 15-20 ათასი ქომაგი თითქმის ყველა მატჩს ესწრება, პრინციპული შეხვედრებისას კი ტრიბუნები სავსეა ხოლმე. ვარშავა ლამაზი ქალაქია, აქაურობას უკვე კარგად ვიცნობ. როცა გარემოს შეცვლა არ გიწევს, ნაცნობ ქალაქში ხარ, ახალ კლუბში ადაპტაციაც გაცილებით მარტივდება. ბინის შეცვლაც კი არ დამჭირვებია (იცინის).

— **„ლეგია" უმეტესად ერთი გამოკვეთილი ფორვარდით თამაშობს. ვინ არის შენი მთავარი კონკურენტი ამ პოზიციაზე?**

— სერბი თავდამსხმელი დანიელ ლუბოია. ძალიან გამოცდილი ფეხბურთელია და არაერთ ძლიერ გუნდში უთამაშია. თუმცა, კონკურენციის ნამდვილად არ მეშინია — მთავარია, თამაშის შესაძლებლობა მქონდეს და თავს არც მე შევირცხვენ.

— **პოლონეთამდე, რამდენიმე სეზონი ისრაელში ითამაშე. ამ ორი ქვეყნის ჩემპიონატები რით განსხვავდება?**

— ისრაელში უპირატესობას ტექნიკურ და კომბინაციურ თამაშს ანიჭებენ, პოლონეთის ჩემპიონატი კი შედარებით ძალისმიერია. საბედნიეროდ, პოლონურ ფეხბურთთან შეგუება არ გამჭირვებია, აქაც ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობისთვის ვიბრძოდი და მინდა, „ლეგიაშიც" ასე იყოს.

— **როგორ ფიქრობ, ეროვნულ ნაკრებში ისეთივე შედეგიანი რატომ ვერ ხარ, როგორიც კლუბში?**

— კონკრეტული მიზეზის დასახელება ძნელია... უპირველესი, ალბათ, ფსიქოლოგიური პრობლემაა: თამაში რომ არ „წაგივა", მომდევნო შეხვედრებში უფრო შებოჭილი ხარ... იმედია, გოლების გატანას ნაკრებშიც მალე დავიწყებ. ყველაზე მეტად ეს მე მინდა!

# სუპერთასის სუპერფასი

**„ზესტაფონი" 0:0 „დილა" (პენ. 4:2)**

„ზესტაფონმა" საქართველოს სუპერთასი ზედიზედ მეორედ მოიგო: ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა თასის მფლობელ გორის „დილას" მატჩისშემდგომი პენალტების სერიაში აჯობა და სუპერთასების რაოდენობით თბილისის „ამერს" გაუტოლდა. ბოლო ერთი წელიწადია, იმერულმა კლუბმა სათავისო „დილა ვერ გაითენა" (გორელებმა საქართველოს თასის ფინალში 4:1 დაამარცხეს და ეროვნული პირველობის ორივე მატჩიც მოუგეს. — ავტ.) და რევანშის წყურვილის გამო, ამ გამარჯვებას ზესტაფონელებისთვის „სუპერფასი" დაჰკრავდა. ოღონდ, „სუპერ"-თამაში არც ერთ გუნდს არ გამოუვიდა და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე შეკრებილმა სამი ათასამდე ქომაგმა თვალსასეირო ვერაფერი ნახა. უგოლოდ ჩამთავრებული ძირითადი და დამატებითი დროის შემდეგ, გამარჯვებულის გამოსავლენად თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერია გახდა საჭირო. ისე, ამ მატჩის გამართვა თურქეთშიც თავისუფლად შეიძლებოდა, რაკილა წინასასეზონო შეკრება ორივე კლუბმა ჩვენს მეზობელ ქვეყანაში გაიარა და სუპერთასის მფლობელის ვინაობის გარკვევაც იქვე შეეძლოთ.

ხუმრობა იქით იყოს და, სანახაობრივ მატჩს არც არავინ ელოდა, რადგან შეკრება შეკრებაა, წლის პირველი ოფიციალური მატჩი კი, მით უმეტეს — პრინციპულ მეტოქესთან, სხვა. თანაც, ზამთრის შესვენებისას, ახალი ფეხბურთელები ორივე კლუბმა დაიმატა. სახიფათო ეპიზოდი მთელი მატჩის განმავლობაში სულ რამდენჯერმე შეიქმნა და ამ მხრივ გამორჩეული არც დამატებითი დრო ყოფილა. ერთადერთი, რასაც მოედანზე მყოფებს ნამდვილად ვერ დავუწუნებთ, თავდაუზოგავი ბრძოლა იყო, ოღონდ ფეხბურთი რომ მხოლოდ ბრძოლა არ არის, ეგეც არახალია. პენალტები კი იმერლებმა უკეთ შეასრულეს: კვირკველიამ ბურთი კარს ააცილა, ბრაზილიელ ლეონარდოს როინ კვასხვაძემ აჯობა და...

***რუბრიკა მოამზადა რატი შელეგიამ***

# SPORTALL.ge-ამბები

## საქართველო

## ნაკრების მოთამაშეს ჯარში იწვევენ?!



23 წლის შოთა ჭანუყვაძე საქართველოს ფუტსალის ნაკრების წევრია და მალე ნაკრებთან ერთად შეკრება და ჰოლანდიაში გასამართი ელიტრაუნდის მნიშვნელოვანი შეხვედრები ელის თუმცა, დიდია ალბათობა, ნაკრების ნაცვლად, ჯარში აღმოჩნდეს. „ნაკრებში 2010 წლიდან სისტემატურად მიძახებენ. წელს ორჯერ ვიყავი მალტაზე, ტურნირიც ვითამაშე და შესარჩევი ეტაპის შეხვედრებიც, მაგრამ ახლა არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა ნაკრების დახმარებას. ოთხი თვის წინ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა მივიღე. კომისარიატში მითხრეს, რომ ჯარიდან გათავისუფლება მხოლოდ პრეზიდენტის პრეროგატივაა. საქმეში ფუტსალის ასოციაცია ჩაერთო და მიმართა სპორტის სამინისტროს, რომელმაც პრეზიდენტს წერილი გაუგზავნა, მაგრამ ოთხი თვეა, პასუხი არ მიგვიღია. შესაძლებელია, 2.000 ლარი გადავიხადო და დროებით გადავავადო, მაგრამ ცოტა ხანში ისევ გამიწვევენ და ამ პროცედურის გავლა თავიდან მომიწევს", — ამბობს ჭანუყვაძე.

## ცინცაძემ „ბუდიველნიკს" ევროთასზეც ულიდერა



გიორგი ცინცაძის „ბუდიველნიკი" ევროთასის მეოთხედფინალშია და ნახევარფინალისტის ვინაობას 6-13 მარტს, სანქტ-პეტერბურგის „სპარტაკთან" ორთაბრძოლაში გაარკვევს. პლეი-ოფში თამაშის უფლება უკრაინელებმა ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში, რუსული „ტრიუმფის" ლამაზი ანგარიშით — 88:77 ძლევით მოიპოვეს. მატჩის შემდეგ ევროსპორტის რუსმა კომენტატორმა ასეთი რეზიუმე გააკეთა: ტრიუმფელები „ბუდიველნიკის" ორმა კალათბურთელმა გაარღვია — მალკოლმ დილეინიმ და გიორგი ცინცაძემ. მათ ერთობლივად 40 ქულა და 13 პასი მოაგროვეს. გიორგი „ბუდიველნიკის" ძრავის როლს ასრულებდა, მეოთხე პერიოდში, როცა მატჩის ბედი წყდებოდა, საჯარიმოებიც შესაშური სიზუსტით ისროლა. გიორგის სრული მონაგარი ასეთი იყო: 24 წუთი, 14 ქულა, 6 პასი, 3 მოხსნა.

## ფეხბურთი და ტექნოლოგიები: პრემიერლიგა ემზადება



ფიფას ეგიდით გამართულ მატჩში გოლის ფიქსაციის ელექტრონული სისტემა GoalRef პირველად გასული წლის დეკემბერში, „მონტერეისა" და „ჩელსის" შეხვედრისას გამოიყენეს. სისტემა ელექტრომაგნიტური ინდუქციის თვისებებზეა დამყარებული. კარზე მაგრდება სპეციალური ხელსაწყო, რომელიც მაგნიტურ ველს ქმნის. ბურთში ჩამონტაჟებული გადამცემი კი არბიტრს ნიშანს აძლევს, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი. მსგავსი სისტემა სახელად Hawk-Eye ჩოგბურთში 2006 წლიდან გამოიყენება. ფიფამ უკვე დაადასტურა, რომ კონფედერაციათა თასზე სისტემებს კიდევ ერთხელ გამოცდიან. ინგლისში კი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია, რომ გოლის ფიქსაციის ტექნოლოგია პრემიერლიგაში 2013/14 წლების სეზონის სტარტიდანვე დაინერგება.

## სერხიო რამოსი... „ბარსელონას" ქომაგობს?!



მადრიდის „რეალის" მცველმა სერხიო რამოსმა განაცხადა, რომ როცა „ბარსელონა" საერთაშორისო არენაზე თამაშობს, კატალონიურ კლუბს ქომაგობს: „როდესაც „ბარსელონა" სხვა ქვეყნის გუნდს ეთამაშება, მას ვგულშემატკივრობ. რა თქმა უნდა, შიდა ჩემპიონატში კონკურენტები ვართ, მაგრამ მე ყოველთვის ესპანეთის გულშემატკივარი ვარ", — ამბობს რამოსი.

## მსოფლიო

## ოსკარ პისტორიუსი თავისუფალია

პარაოლიმპიელი ჩემპიონი მძლეოსნობაში, ოსკარ პისტორიუსი, რომელიც შეყვარებულის, მოდელ რივა სტინკამპის მკვლელობაშია დადანაშაულებული, სამხრეთ აფრიკის ქალაქ პრეტორიის სასამართლომ გირაოთი გაათავისუფლა. თანხამ 114 ათასი დოლარი შეადგინა. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ბრალდების მხარემ არ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებები, რათა ამპუტანტი მორბენალი



პატიმრობაში დაეტოვებინათ. უფრო ადრე, სპორტსმენის საქმეს ჩამოაშორეს წამყვანი დეტექტივი ჰილტონ ბოთა, რომელიც თავად ყოფილა დადანაშაულებული მკვლელობის მცდელობაში. თავის დროზე, გამომძიებელმა ცეცხლი გაუხსნა ტაქსის, რომელშიც შვიდი მგზავრი იჯდა.


## გამოვიდა ლურჯი მონეტების" მეექვსე სერია! მოქმედების ვადა 30 აპრილის ჩათვლით!

**რა არის ეს?**
„ჯადოსნური ქისა" „პალიტრა მედიის" პროექტია, რომელიც გაძლევთ საშუალებას, შეიძინოთ სხვადასხვა პროდუქცია გასაყიდ ფასზე გაცილებით იაფად. პროექტი გულისხმობს „ლურჯი მონეტების" მოგროვებას და მათ გამოყენებას ფასდაკლების კუპონის სახით სხვადასხვა მაღაზიასა და დაწესებულებაში.

**სად ვიშოვოთ „ლურჯი მონეტები"?**
„ლურჯი მონეტები" უფასოდ შეგიძლიათ მიიღოთ" გაზეთ „კვირის პალიტრის", ჟურნალ „რეიტინგისა" და გაზეთ „ყველა სიახლის" (2 ცალი) ყოველ ნომერში.
ამოჭერით ისინი, მოაგროვეთ და გამოიყენეთ სასურველი ნივთის შესაძენად.

**რა კურსი აქვს ერთ მონეტას ლართან?**
1 (ერთი) „ლურჯი მონეტა" შეიძლება უდრიდეს 1 ლარსაც, 5 ლარსაც, 10 ლარსაც და ნებისმიერ სხვა რაოდენობას, ეს დამოკიდებულია ამ პროექტში მონაწილე თითოეული კომპანიის გადაწყვეტილებაზე. სხვადასხვა კომპანიაში „ლურჯ მონეტებს" სხვადასხვა კურსი აქვს. გაზეთში, პროექტის გვერდში აღნიშნულია კურსი, თუ რას უდრის 1 „ლურჯი მონეტა" ამა თუ იმ მაღაზიაში. დამოკიდებულია ამ პროექტში მონაწილე თითოეული კომპანიის გადაწყვეტილებაზე. სხვადასხვა კომპანიაში „ლურჯ მონეტებს" სხვადასხვა კურსი აქვს. გაზეთში, პროექტის გვერდში აღნიშნულია კურსი, თუ რას უდრის 1 „ლურჯი მონეტა" ამა თუ იმ მაღაზიაში.

**რა მაქსიმალური ფასდაკლება შეიძლება მივიღო?**
ესეც დამოკიდებულია პროექტში მონაწილე კომპანიების გადაწყვეტილებაზე – თუ ერთგან „ლურჯი მონეტებით" შეიძლება საფასურის მაქსიმუმ 10%-ის გადახდა, სხვაგან ეს შეიძლება 20%, 50% ან სულაც მეტი იყოს! სხვადასხვა მაღაზიაში მაქსიმალური ფასდაკლების ოდენობა წინასწარ აღნიშნულია გაზეთში, „ლურჯმონეტიანი" კუპონის გვერდით.

**რამდენ ხანს აქვს მოქმედების ვადა „ლურჯ მონეტას"?**
მეექვსე სერიის „ლურჯი მონეტა" ძალაშია 2013 წლის პირველი თებერვლიდან, 30 აპრილის ჩათვლით. ის აუცილებლად უნდა გამოიყენოთ, რადგან შემდეგ ახალი სერიის მონეტები გამოვა და ძველი გაუქმდება.
როგორ გამოვიყენო „ლურჯი მონეტა"?
მაგალითი: მაღაზიაში, რომელიც მონაწილეობს „ჯადოსნური ქისის" პროექტში, ირჩევთ სასურველ ნივთს პირობითად „წიგნს" (იმ ჩამონათვალიდან, რომელზეც იმ თვეში „ჭრის" „ლურჯი მონეტა").
დავუშვათ, „წიგნი" ღირს 20 ლარი და ამ მაღაზიაში ერთი „ლურჯი მონეტა" უდრის 1 ლარს, ხოლო მაქსიმალური ფასდაკლება, რომელიც შეიძლება მიიღოთ „ლურჯი მონეტით", არის 50%, თქვენ შეგიძლიათ გადაიხადოთ მხოლოდ 10 ლარი, დაუმატოთ 10 „ლურჯი მონეტა" და სასურველი „წიგნი" თქვენია!

## სიახლე! განახლდა შეთავაზებები „ბიბლუსის" და „ILITEK"-ისმაღაზიებში! (იხილეთ შეთავაზება)

**ბიბლუსი** Books
მაქსიმალური ფასდაკლება -50%
1 „ლურჯი მონეტა" = 1 ლარი
ნებისმიერი წიგნი სერიებიდან:
- „მსოფლიო კულინარია" ~~15 ლ~~ – 7,5 ლ
- „ჩემი საყვარელი ზღაპრები" ~~5 ლ~~ – 2,5 ლ
- „ახალი ქართული ლიტერატურა" – ~~6 ლ~~ –3 ლ
- „თვალები, ყურები, ცხვირი და კუდი" – ~~20 ლ~~ – 10 ლ

ტელ: 248 68 44

**mirco** აფთიაქი
მაქსიმალური ფასდაკლება -50%
1 „ლურჯი მონეტა" = 10% ფასდაკლებას
~~50 ლარი~~ 25 ლარი
მექანიკური წნევის საზომი აპარატი „FORA"
~~100 ლარი~~ 50 ლარი
ციფრული სასწორი „FORA"
მის: პეკინის №15 ტელ: 237 98 73

**Safilo** OPTICS
სათვალეების მაღაზიათა ქსელი
მაქსიმალური ფასდაკლება -30%
1 „ლურჯი მონეტა" = 10% ფასდაკლებას
მზის სათვალეები და ოპტიკური ჩარჩოები
მის: ჭავჭავაძის №16
ტელ: 245 13 35

**ILITEK** lucky choice...
მაქსიმალური ფასდაკლება -30%
1 „ლურჯი მონეტა" = 10% ფასდაკლებას
IL 161
IL 142
ფასდაკლება ვრცელდება ILITEK-ის წვენსაწურზე და ბლენდერზე
მის: თბილისი ყაზბეგის 14 ბ +995 (0790) 38 93 79
ქუთაისი ჯავახიშვილის 2 +995 (592) 34 33 53
ბათუმი ნ.ინაძის 4 +995 (592) 12 13 99

**Röndell** Professionals Recommend
მაქსიმალური ფასდაკლება -30%
1 „ლურჯი მონეტა" = 10% ფასდაკლებას
RDS360
RDA 111
ფასდაკლება ვრცელდება RÖNDELL-ის ტაფაზე და ქვაბზე
მის: თბილისი ყაზბეგის 14 ბ +995 (0790) 38 93 79
ქუთაისი ჯავახიშვილის 2 +995 (592) 34 33 53
ბათუმი ნ.ინაძის 4 +995 (592) 12 13 99

**Winx** CLUB
მაქსიმალური ფასდაკლება -30%
1 „ლურჯი მონეტა" = 10% ფასდაკლებას
WX 1101
WX 2151
ფასდაკლება ვრცელდება WINX-ის აბაზანის სასწორზე და ვაფლის საცხობზე
მის: თბილისი ყაზბეგის 14 ბ +995 (0790) 38 93 79
ქუთაისი ჯავახიშვილის 2 +995 (592) 34 33 53
ბათუმი ნ.ინაძის 4 +995 (592) 12 13 99

**VITEK**
მაქსიმალური ფასდაკლება -30%
1 „ლურჯი მონეტა" = 10% ფასდაკლებას
VT 1833
VT 1102
ფასდაკლება ვრცელდება VITEK-ის ჩაიდანზე და მტვერსასრუტზე
მის: თბილისი ყაზბეგის 14 ბ +995 (0790) 38 93 79
ქუთაისი ჯავახიშვილის 2 +995 (592) 34 33 53
ბათუმი ნ.ინაძის 4 +995 (592) 12 13 99

**Maxwell**
მაქსიმალური ფასდაკლება -30%
1 „ლურჯი მონეტა" = 10% ფასდაკლებას
MW 1153
MW 1651
ფასდაკლება ვრცელდება Maxwell-ის ბლენდერზე და ყავის სახარშზე
მის: თბილისი ყაზბეგის 14 ბ +995 (0790) 38 93 79
ქუთაისი ჯავახიშვილის 2 +995 (592) 34 33 53
ბათუმი ნ.ინაძის 4 +995 (592) 12 13 99

იპოვეთ „ლურჯი მონეტა" გაზეთ „კვირის პალიტრაში", ჟურნალ „რეიტინგში„ და 2 მონეტა გაზეთ „ყველა სიახლეში"

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 238 97 77 www.moneta.ge


ამოსაჭრელი კუპონი იხ. გვ. 1

# კოფანოლი

სამკურნალო მცენარეების დაბალანსებული შერწყმა!




შემადგენლობა:

ძირტკბილას მშრალი ექსტრაქტი 27.5 მგ
პიტნის ზეთი 50 მგ
ანისის ზეთი 100 მგ
მიხაკის ზეთი 50 მგ
ევკალიპტის ზეთი 100 მგ
სოჭის ზეთი 25 მგ
მენთოლი 10 მგ

შესაძლებელია მისი გამოყენება ორსულობის და ძუძუთი კვების დროს

**ჩვენება:**

- გაციება.
- ხველა.
- ტონზილიტი.
- ბრონქიტი.
- ყელის ტკივილი.
- სასუნთქი გზების მწვავე და ქრონიკული ინფექციები.
- ალერგიული რინიტი.
- ბრონქოსპაზმი.

კოფანოლი თავისი ფიტო შემადგენლობის წყალობით გამოიყენება როგორც: ანთებისსაწინააღმდეგო, ანტისეპტიკური და ანტიმიკრობული, ამოსახველებელი, ტკივილგამაყუჩებელი და ანტივირუსული საშუალება

მკურნალობის ხანგრძლივობა 7-14 დღე
მოზრდილებში პრეპარატები ინიშნება 1-2 პასტილა 4 -ჯერ დღეში.
ბავშვები 14 წლის ზევით 2 პასტილა 3-4 ჯერ დღეში.
7-დან 14 წლამდე 1 პასტილა 3-4 ჯერ დღეში.

Nabros Pharma Pvt. Ltd.

მწარმოებელი: „ნაბროს ფარმა“
ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში
შ.პ.ს „კონგა ფარმა“
ტელ: 223 63 25
557 94 39 14

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს


# ადამიანის „შიგნითა“ მხარე...

*გალერეა „ვერნისაჟში“ ფსიქიატრიული პრობლემების მქონე ადამიანების ნამუშევრების გამოფენა - გაყიდვა მიმდინარეობს. გამოფენის ორგანიზატორი გახლავთ ქალაქის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი.*







მსოფლიოში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი პრობლემა დგას ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების მკურნალობის და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად... თანამედროვე მიდგომა ამ დაავადების მქონე პირთა მიმართ ადრინდელისაგან განსხვავებულია — მაშინ საავადმყოფოს დიდი რკინის გისოსები ჰყოფდა დანარჩენი ქალაქისაგან, ასეთივე გისოსები იყო ალმართული ცნობიერებაშიც — ისინი სხვები იყვნენ — გაუცხოებულები და ამდენად, გამიჯნულებიც...

დღეს კი უკვე ვიწყებთ გათავისებას, რომ ჩვენ ერთნი ვართ... რა დაავადებაც უნდა აწუხებდეს ადამიანს, არავის აქვს უფლება, უგულებელყოს მისი ნიჭი და სამყაროს დანახვის განსაკუთრებული უნარი. ამის საფუძველს იძლევა „ვერნისაჟში“ გამოფენილი ნამუშევრები, რომლებიც მართლაც ხელოვნების ნიმუშები გახლავთ.

აქ წარმოდგენილია ადამიანის ცხოვრების ორი მხარე — ერთი ყველასთვის ხილული და მეორე — დაფარული, ადამიანის „შიგნითა“ მხარე... სევდიანი, მომლოდინე, მოულოდნელად ბავშვობაგაღვიძებული ან ნაადრევად წლებით დატვირთული...

ფსიქიკური პრობლემა არ არის დამღა, არც განაჩენი, ჩვენ ვიცით დიდი მხატვრები, მწერლები, მუსიკოსები, რომლებიც ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთში იმავე პრობლემების წინაშე იდგნენ და მათ შემოქმედებას ან პიროვნულ ღირსებას ეს სულაც არ აკნინებდა...

რაც მეტი ნამუშევარი გაიყიდება ამ გამოფენიდან, მით მეტად შევძლებთ მოყვასისადმი სიყვარულის, გულისხმიერების გამომჟღავნებას, იმის დადასტურებას, რომ სიცოცხლის უფლება თანაბრად გვეძლევა...

***ლელა ჯიყაშვილი***



**თარაზულად:** 1. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი; 6. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში; 7. მგზავრთათვის განკუთვნილი განყოფილება თვითმფრინავში ან ავტობუსში; 8. თხევადი ცხიმი; 9. გუსტავ ფლობერის რომანი „ქალბატონი...“; 10. ამერიკული ავტომობილი; 14. ხელოვნების დარგი; 16. შავიზღვისპირა კურორტი საქართველოში; 18. ეგვიპტის დედაქალაქი; 19. ფართო და გრძელი მოსასხამი; 22. ულამაზო; 23. სიცილის დროს ლოყებზე გაჩენილი პატარა ჩაღრმავება; 24. ალკოჰოლი; 26. იგივეა, რაც სანთელი; 27. უჭკუო, უაზრო; 31. კურო; 33. ალექსანდრე მაკედონელის ცხენი; 34. ფულის ერთეული ისრაელში; 35. ერთგვარი კანფეტი; 36. მტრედის ხმიანობა; 37. ცვარი; 38. წალკოტი უდაბნოში.

**შვეულად:** 1. იაპონური ცხარე საწებელი; 2. იგივეა, რაც მოჭიდავე; 3. სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი რომ. მით: 4. საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი; 5. აკაკი წერეთლის ლექსი; 10. კუჭუკანა ჯირკვალი; 11. ჭრილობის მონარჩენი ზოლი სხეულზე; 12. ნარნარი ფრენა; 13. სამხრეთკორეული ავტომობილი; 15. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია; 17. ვაჟა-ფშაველას პოემა; 19. ხელის ნაწილი; 20. ვერდის ოპერა; 21. ჯუჯა ცხენი; 25. მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში; 26. საპყრობილე; 28. თამამი, მამაცი, შეუპოვარი; 29. საქართველოს მეფე დავით VII; 30. ქრისტიანული დღესასწაული; 31. ტროპიკული ხილი; 32. ვაშლის ჯიში; 33. საცალფეხო გზა.

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ნამუსი; 5. ჯორჯია; 9. ტანგო; 11. ვნუკოვო; 12. ქარქაში; !3. აზიზი; 14. აგილერა; 17. ბაიკალი; 18. ტურნე; 20. აგური; 21. სიმამრი; 24. ინცესტი; 28. ბოლმა; 31. ხელახლა; 32. კანბერა; 33. იანძი; 34. ესაკია; 35. ბიბილო.

**შვეულად:** 1. ნირვანა; 2. მანუალი; 3. სოფოკლე; 4. წნეხი; 6. ობერეკი; 7. ჯაკარტა; 8. არქიელი; 9. ტროა; 10. ოლქი; 15. ანტიკვარი; 16. ფური; 17. ბრეგოვიჩი; 19. ჭური; 21. საჩხერე; 22. მათლაფა; 23. მარხილი; 25. ციანოზი; 26. სიდედრი; 27. ინტალიო; 28. ბაცი; 29. ღვინო; 30. აკრი.


www.qataraiways.ge

QATAR AIRWAYS

ყატარის ავიახაზები გთავაზობთ აქციას ავიაბილეთებზე შემდეგი მიმართულებით:

| | |
|---|---|
| დუბაი | 240 € |
| პეკინი | 599 € |
| დელი | 530 € |
| კოლომბო | 460 € |



დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ „ყატარის ავიახაზებს“

ტელ: 2 43 96 08 ლესელიძის ქ. 25
ვებ გვერდი: www.qatarairways.ge

ან ნებისმიერ ტურისტულ კომპანიას


## „პალიტრამედიის“ ცხელი ხაზი

2 19 60 13; 2 19 60 53


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი
გიორგი თევდორაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები:
ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი;
პასუხისმგებელი რედაქტორი
ნათია გორდელაძე
სარედაქციო კოლეგია

მის.: იოსებიძის ქ. №49
ტელ.: რედაქცია: 238-98-88
რეკლამა: 237-78-07
ფაქსი: 238-98-88
contact@kvirispalitra.ge
www.kvirispalitra.ge
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა“
გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.

ISSN 1987 - 5002